


ს.ყ

1168
2006

N37 (327) 14/IX-20/IX.2006



ჩელსა და ნაბა ნიჟარაძის
პარტნიორობა საუნიველსო
კონფლიქტით დაიწყო




სანსაბიური
ფოტო და
ინტერვიუ

ქართული
ბრანდების
აილოში
„რუხიანი“
საცვლებითა და
კოლგოტებით
დადის



პერიკო ტურაშვილის
სირკში გამოსვლა
ქმარს კვირად
დაუჯდა

სად ინახავენ
გალაკტიონის
ტვინსა და ჰაბლბ
გონაშვილის სორსს?



პერსია

„კარგად ნაცნობი სახეების
დაპატიმრება იგეგმება...“

„...თბილისის გერად
ქვასას გაიყვანენ“

ვის უნდირას
აფხაზებმა მსხვირული

იანვარი თებერვალი მარტი აპრილი

იპოვათ მომბებიანი კომბინატი

მომბებიანი კომბინატი

თამარი კუში

ნაგაროვა № 19, 03/55

მომბებიანი კომბინაციები

▽▽▽▽	512
▽▽▽▽	256
△△△△	128
△△△△	64
△△△△	32
△△△△	16
▽▽▽▽	8
△△△△	4
▽▽▽▽	2
△△△△	1

ლარი

თქვენი მოგება თქვენს ხელთა
თამაშის წესები!

ბილეთზე მოცემულია 10 საფეხური თანმიმდევრული უჯრედით. თამაში იწყება პირველი საფეხურიდან და მსხნება თანმიმდევრულად (1,2,3,...,10). მოთამაშეს უფლება აქვს გადაფიქვანოს ყოველი საფეხურის მხოლოდ ერთი უჯრედი (მარჯვენა ან მარცხენა). თუ დამცავი ფენის ქვეშ დაბეჭდილი სამკუთხედები კომბინაცია წამოგებიანია, თამაშს წაგებული და დამთავრებულია. თუ დამცავი ფენის ქვეშ დაბეჭდილი სამკუთხედების კომბინაცია მომბებიანია, მოთამაშემ მოიგო. მოთამაშეს შეუძლია შეწყვიტოს თამაში და აიღოს მოგებული თანხა ან გააგრძელოს თამაში ამისათვის საჭიროა განხილას შემდეგ საფეხურის ერთ-ერთი უჯრედი. თუ სამკუთხედების კომბინაცია წამოგებიანია, მოთამაშე აგებს ადრე მოგებულ თანხასაც. ამით თამაში დამთავრებულია თუ სამკუთხედების კომბინაცია მომბებიანია, მოთამაშე აგრძელებს თამაშს.

- I საფეხურზე მოგება შეადგენს 1 ლარს;
- II საფეხურზე 2 ლარს;
- III საფეხურზე 4 ლარს;
- IV საფეხურზე 8 ლარს;
- V საფეხურზე 16 ლარს;
- VI საფეხურზე 32 ლარს;
- VII საფეხურზე 64 ლარს;
- VIII საფეხურზე 128 ლარს;
- IX საფეხურზე 256 ლარს;
- X საფეხურზე 512 ლარს;

ვისურვებთ წარმატებებს!

№19 (131) 14.IX-27.IX.2006 **ოჯახის მკურნალი** ზანი 70 თამარი

საბავშვო ჟურნალი

თირკმელი - არტერიული ჰიპერტენზიის მიზეზი

ანავკრიზა - უნებლად მოკვდავების ჭურჭელი

როდესაც სასლავი გუბარკულოზით დაავადებულია

ინსულტამდე და ინსულტის შემდეგ

მთავარი თემა: შაქრიანი დიაბეტი

გაუხვია დიაბეტი და სიმსუქნე

უბრუნს პათოლოგიას

შაქრიანი დიაბეტი

თირკმელი - არტერიული ჰიპერტენზიის მატების მიზეზი

ინსულტამდე და ინსულტის შემდეგ

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის



შეპი.ge პარლელურ სამყაროში

მურა: იცი, არასდროს არავესთან შექონია ასეთი ურთიერთობა. შენთან თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. მოდი, გავაგრძელოთ ურთიერთობა; რომ ჩამოხვალ, შევხვდეთ და მერე გადავწყვიტოთ, ვის რა გვინდა. თანახმა ხარ?

17



ბრახით დასრულებული სამეცნიერო კვლევა

ცნობილ ადამიანთა ორგანოები (გარდა ჰამლეტ გონაშვილის ხორხისა) 15 წლის წინ, ხელისუფლების ბრძანებით, დიდუბის პანთეონში დაუმარხავთ.

20



„ტყუპალზე“ მჯღარი ია ჩანტლაკე, შესესო არსებები და სასიყვარულო ბარათები

„სკოლაში არავეინ დადიოდა, კომპარული სიტუაცია იყო და მახსოვს, როცა კლასელებთან ერთად „შატალოზე“ მივდიოდი, ჟურნალიც მიმქონდა“.

30



„იგეგმება გვირი, საზოგადოებისთვის ბარბად ნახნობი სახის დაპატიმრება...“

„ყოველ წუთში ველოდები დაპატიმრებას. შეიძლება, ეს, ინტერვიუს ჩაწერის პროცესშიც მოხდეს და თქვენ ამის თვითმხილველი გახდეთ, მაგრამ არა მგონია, ჩემი დაპატიმრებით ხელისუფლებამ რაიმეს მიაღწიოს...“

10

მინიატურები

„თეთრი თათვანი“ ანუ რას გვიპირებთ, ბატონო შალვა? 3

ერთი კითხვა

არჩევნები

„პარტი ვაქაასია, ასოვანი, მხარბუჟიანი...“
„ოსა მოაქვს თავი, თითქოს თბილისს მერის სავარაუდო უკვე განაღებულ აქვს...“ 5

უსსოური კრება

მეგობარო კარისარო... 7

ქრნალისტის როლი

ჩელესა და ნატა ნიქარაპის პარტნიორობა საშინელი კონსულიქტით დაიწყო 8

გაგრაზებულები

„იგეგმება გვირი, საზოგადოებისთვის ბარბად ნახნობი სახის დაპატიმრება...“ 10

კრიმინალი

- თაღლითი ნოტარიუსები 14
- საკუთარ დაბადების დღეზე ჩაღენილი საშინელი დანაშაული 15

ონლაინ-პრტიკრობა

ვირტუალური წყვილის რეალური აგაპი გაგრძელებაებით 17

ჭორ-გართალი

კრახით დასრულებული სამეცნიერო კვლევა 20

მუხსოვანი

შავილთა შავი კარმა 21

ნამდვილი აგაპი

მიტოვებული პატარკალი... 23

გზავნილები

სოლიანი კასი მემიყვარდა 24

ანტიდაკრესანტი

28

მომღერალი

ცირკის არენა, ავთო ცქვიტინიძის ორი კოსტიუმი და ჭირის 250-მდე აწეული წნევა 28

თინეიჯერული კონტაქტი

„ტყუპალზე“ მჯღარი ია ჩანტლაკე, შესესო არსებები და სასიყვარულო ბარათები 30

მთამოგავლოვა

რა უსახსოვრა მიხაილ რომანოვმა გლეს შალუტაშვილს... 33

ტაიგ-აუტი

36

რომანი

გაგა ვარნაპე. ველური წაბლის ხეივანი (გაგრძელება) 38

ოზიქტივი 43

მეგრამოლები

„ჩვენ ერთი ბრძოლას ვი არ წაგვიტია და როგორ წავაგებთ ომი?“ 44

მინდვრებს ვიღა

კლავს ტოპიოლური კიევერმა მატჩმა დააკმაყოფილა 48

ქართული ღატაქტივი

ბოზა მანველიძე. თეთრი სიკვდილი (გაბრკალება) 50

წინდაწავი

ჭეშარიტბაითვის წამებული დელოზალი 54

ჯანმრთელობა

● ყველანი – საბავშვო ბაღში! 55
● ყავა, როგორც თანხმობის ნიშანი 56

გარსკვლავეკი 57

მემორიალი

ბიზნესი ასკები ბელადის სასლ-მუზეუმში 60

ანოვალა

„რუხეიანი“ საცვლები, სექსი მსოლო ქალთან და 43 ზომის ფეხი... 62

გოვონდური მოზაიკა 64

პოროსკოვი

კვირის (14-20 სექტემბერი) ასტროლოგიური პროგნოზი 66

ავტო 67

კვალი

იაკობ გოგებაშვილის წიგნების „უკეთილსინდისიერების ამწყობი“ 68

ტესტი

რამდენად კომუნიკაბელური აღამიანი ბრკანდაებით 70

სქანოვრდი 71

...და გოლოს 72



ქენიფერ ლოპესის ჯერჯერობით აუსდენელი ოცნება

ჯენიფერ ლოპესი დიდი ხანია შეილის გაჩენაზე ოცნებობს, მაგრამ ჯერჯერობით მისი ოცნება, ოცნებადვე რჩება. ჯენიფერ ლოპესმა თავად აღიარა, რომ ის და მარკ ენგონი რამდენიმე თვეა ბავშვის ჩასახვას ცდილობენ, მაგრამ სამ წუხაროდ, ამ მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია.

58



„რუხეიანი“ საცვლები, სექსი მსოლო ქალთან და 43 ზომის ფეხი.

„ისე, ჩვეულებრივი მამაკაცი ვარ, გარეგნულადაც და ქცევითაც, მთელი ცხოვრების მანძილზე ნამდვილ, მამაკაცურ საქმესაც ვემსახურები. მაგრამ ჩემ შიგნით ქალი ცხოვრობს“.

62



იაკობ გოგებაშვილის წიგნების „უკეთილსინდისიერების ამწყობი“

„ჩემი მუშაობის ქებით ნასიამოვნებმა იაკობმა თავისი ყურადღება ჩემდამი იმითაც გამოხატა, რომ ჯიბიდან ამოიღო თავისი საათი და საჩუქრად მე გადმომცა“.

68



ვერუჩი წაბრის სიერვანი

ნიკამაც ესროლა. მერე მანქანა დმუილით მოსწყდა ადგილს და მოსახვევში გაუჩინარდა...

სანამ მგესუმზირის გამყიდველი მოასულიერეს, ნიკას არაფერი უგრძნია. მერე კი, მკლავზე დაიხედა და სისხლი დაინახა.

...სროლის ხმაზე ოფისიდან გამოსულმა ნაგომ, ნიკა მანქანაში ჩასვა და ნაცნობ ექიმთან, კერძო პოლიკლინიკაში გააქანა.

38

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“ გაეოღის კვირაში ერთხელ, სუთშაბათობით გავით „კვირის კალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს. მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე

მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქავიაა მენეჯერი: მათე კბილაძე

მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. №49

ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@kvispalitra.com

„თეთრი თათმანი“ ახე რას გვიპირებთ, ბაქონო შალვა?!“



მიუხედავად ასეთი სახელწოდებისა, ჩემს წერ-
ილს არაფერი აქვს საერთო მაინ რიდის ცნობილ
რომანთან, სადაც თეთრი თათმანი სიყვარულის
სიმბოლოსთანაა გაიგივებული, რადგან დღეს თეთრი
თათმანი ქართულ პოლიტიკაში გამოჩნდა და, სად
პოლიტიკა და სად — სიყვარული?!

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ, გამოცხადდა თუ
არა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებ-
ის თარიღი, ყველა მსურველმა თამამად შეიტანა
განაცხადი ცესკოში... თამამად იმიტომ, რომ ლეი-
ბორისტებმა განაცხადეს — ჩვენი ბელადი არ მონაწი-
ლეობს არჩევნებში და არც მერობა უნდაო, თორემ,
ვინ ოხერი გაბედავდა ან თუ გაბედავდა, რა აზრი
ქნებოდა ბატონი შალვას წინააღმდეგ ბრძოლას?!
ჰოდა, ლაღად გააჩაღეს საერთო კამპანია და

„დამეთანხმებით“, ის საკმაოდ
(სხვებისგან განსხვავებით)
სიტყვაძვირი პოლიტიკოსია, არ უყვარს ზედმეტად
გამოჩენა ტელეკამერების წინ და სიტყვების პაერზე
რახარუხი. ხანდახან, 80-90 წუთიც კი გავა ისე,
რომ ერთ პრესკონფერენციასაც არ მოიწვევს...

სწორედ ეს გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ,
რომ ცუდადაა ამ მთავრობის საქმე, რადგან ბა-
ტონმა შალვამ არათუ დედაქალაქის ხელისუფლე-
ბა, მმართველი პარტია და პირადად პრეზიდენტიც
კი გამოიწვია დუელში და ნიშნად ამისა, წყვილი
თეთრი ხელთათმანი გადაუგდო მას (თურმე მერე,
მთელი დღე ვილაც ბავშვი დასდევდა უკან — ბი-
ძია, „ფერჩატკები“ დაგივარდათო)...

დუელის თუ არა, დუელში გამოწვევის ინსტი-
ტუტი დიდი ხანია, დამკვიდრდა
ქართულ პოლიტიკაში, მა-
გრამ ეს ძირითადად, „ბორჯო-
მის“ შესხმით, შეფურხტებით,
საფერფლის სროლით, გინებით
ან პირდაპირ ალიყურით გამო-
იხატებოდა. ამ კაცმა კი, ყვე-
ლაზე რაინდულ ფორმას მიმარ-
თა და — ხელთათმანი გამოიყე-
ნა!..



მოკლედ, „დადექ“, ბატონი
შალვა მოდის!.. მაგრამ აქვე
ერთი შეკითხვა რჩება უპასუხ-
ოდ: ადგილობრივი თვითმ-
მართველობის წინა არჩევნები
იყო სწორედ, ლეიბორისტებმა
ყველაზე მეტი ხმა რომ მიიღეს
თბილისის საკრებულოში. მაშინ
ყველანაირი შესაძლებლობა
ჰქონდათ, მათი ლიდერი საკრე-
ბულოს თავმჯდომარედ აერჩი-
ათ, მაგრამ სწორედ იმ კაცს
დაუთმეს, რომელსაც ახლა ხე-
ლთათმანს ესვრიან და ვინ გახ-

ის-ის იყო, ცესკოში განაცხადების შეტანის ვადა
ინურებოდა, რომ ლეიბორისტთა ლიდერმა საკუ-
თარი კანდიდატურა წამოაყენა. დედააა!.. ნეტავ,
გენახათ, რა ამბავი დატრიალდა: ელდა ეცა ყველა
კონკურენტს! იმნამსვე გაიტყნენ ყველანი — ახ-
ლანდელ მერიან-მომავალმერებიანად, — რომ თა-
ვიანთი კანდიდატურები მოეხსნათ, მაგრამ ცესკო
შკვმ დაკეტილი დახვდათ.

და ამის მერე „ის კაცი“, — ყველამ ვიცით...

P.S. ლეიბორისტთა თათბირი პრესკონფერენცი- ის წინ:

- რა ქენით, იშოვეთ ხელთათმანი?
- მე კრივის ხელთათმანი ვიშოვე, ბატონო შალვა.
- ეგ რინგზე გამოწვევას ნიშნავს... მომერევა...
თეთრი ხელთათმანია საჭირო.
- ჯონდომ დაიწყო ქსოვა, მაგრამ ახლა ვერ
მოესწრება, ბატონ შალვა.
- აი, მე მოვიტანე თეთრი ხელთათმანი.
- ყოჩად, სიაში მეორე ნომერი იქნები!

აი, ეს არის ბატონი შალვას ალლო და შორსმ-
ჭვრეტელობა: იმ დროს შემოიჭრა ბრძოლის ველზე
ბატონი შალვა, რომ ბატონმა შალვამ მეტოქეებს
უკან დახევის დრო და საშუალება არ მისცა ბა-
ტონმა შალვამ (ვიცი, ერთ წინადადებაში ამდენ-
ჯერ გამოიყენო „ბატონი შალვა“ — ტავტოლო-
გიაა, მაგრამ რა ვქნა — მიყვარს ამ კაცის ქება-
დიდება და მეც ხომ მაქვს ჩემი სიმპათიის გამოხ-
ატვის უფლება!..). მიდით და ეჭიდავეთ ახლა ბა-
ტონ შალვას(!), თუ ბიჭები ხართ!..

შსს პრესცენტრის განცხადება: დღეს მეტროს
ვაგონში მოხუც ქალბატონს ვილაცამ თეთრი ხე-
ლთათმანი მოჰპარა.

თუ ამ კაცმა თავისი გადაწყვეტილება ხალხს
გაანდო, ე.ი. წარმატებაში დარწმუნებულია, თორემ,

პროვოკატორი

საქართველოს
პრესა
№37 14.09.2006 3
ბიზნეს-ცენტრი

2 7272

„სულ მალე ცხინვალის რეგიონში რეფერენდუმი დაიწყო. რეფერენდუმის შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლებელია, რომელიმე ქვეყანამ დე ფაქტო ხელისუფლების კანონიერება და დამოუკიდებლობა აღიაროს? კოტი გაგაშვილი, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე:

— 12 ნოემბერს ცხინვალის რეგიონში რეფერენდუმი დაიწყო. რეფერენდუმის შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლებელია, რომელიმე ქვეყანამ დე ფაქტო ხელისუფლების კანონიერება და დამოუკიდებლობა აღიაროს?

კოტი გაგაშვილი, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე:

— ცხინვალის სეპარატისტული ხელისუფლების გადაწყვეტილება, იდეოლოგიური პროვოკაციაა. ეს გადაწყვეტილება კონფლიქტის ზონაში მდგომარეობის კიდევ უფრო დაძაბვისკენ არის მიმართული. მარიონეტმა კოკოითმა ეს დაკვეთა ვისგანაც მიიღო, ალბათ ყველასთვის კარგად არის ცნობილი. ასეთი რეფერენდუმი უფრო ირონიის საგანი შეიძლება იყოს, ვიდრე სერიოზული განსჯისა. როდესაც მოსახლეობის გამოკითხვა ხდება, იმ ტერიტორიიდან ადგილობრივი მცხოვრებლების ნახევარზე მეტი გამოყრილი არ უნდა იყოს. თანაც, რეფერენდუმის პირობებში, ქუჩაში ის იარაღიანი მოძალადეები არ უნდა დარბოდნენ, რომლებიც ადამიანებს საკუთარი აზრის გამოთქმაში ხელს უშლიან. დევნილების, კორუფციის, ნარკობიზნესის და სრული განუკითხაობის პირობებში, რომელ რეფერენდუმზეა ლაპარაკი?! ის ქვეყანა, რომელიც სეპარატისტთა რეფერენდუმს დადებით პოლიტიკურ შეფასებას მისცემს, ყველას დაანახევებს, რომ სწორედ ის გვევლინება სეპარატისტული რეჟიმის მფარველად და საქართველოს ტერიტორიების დეზინტეგრაციის ხელშემწყობად. ასეთი ქვეყანა ალბათ, რუსეთი იქნება. მისი „კოლორიტული“ წარმომადგენლები მონდომებას არ იშურებენ და მთელ მსოფლიოს მოუწოდებენ — ოსი ხალხის ნება, რომელიც რეფერენდუმით გამოუღავენება, დააფასეთ და მათი დამოუკიდებლობა აღიარეთ. ასეთი სულელური გამოსდომებით რა შედეგსაც მოიმიკიან, ყველანი კარგად დავინახავთ. სულ მალე, ცხინვალის რეგიონში საქართველოს იურისდიქცია აღდგება.

„კვიციანი მზად არის, დაიხმაროს უცხო ქვეყნის მოქალაქეები...“

— მემამბოხე ემზარ კვიციანი, ხელისუფლებას სისხლის ღვრით ემუქრება. შესაძლებელია თუ არა, რომ მან კოდორის ხეობაში „პარტიზანული“ მოძრაობა დაიწყო?

ირაკლი ძავთბარაძე, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წევრი:

— საკვირველი არაფერია იმაში, რომ სახელმწიფოს ლაღატისთვის ძებნილი ემზარ კვიციანი საქართველოს მოსახლეობასა და ხელისუფლებას ემუქრება, მაგრამ ხელისუფლების დაშლანტაჟება და სისხლის გუბებზე ლაპარაკი, კვიციანისა და მისი მხარდამჭერებისთვის ცუდად დამთავრდება. ეს ადამიანი თავისი სიტყვებით კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მოლაღატა. კვიციანმა, მეზობლების დახმარებით, შექმნა შეიარაღებული დაჯგუფება ბანდფორმირებებისგან, რომელთა მმართველი ძალა რუსეთ-

შია. კვიციანი მზად არის, დაიხმაროს უცხო ქვეყნის მოქალაქეები, მათ შორის — ჩრდილოკავკასიელები. მაგრამ მეორე საკითხია, რამდენად შესწევს უნარი, რომ ქვეყანაში დესტაბილიზაცია გამოიწვიოს. შესაძლებელია, მისი განცხადების მიღმა რეალური გეგმა და კონკრეტული ძალაა. არც იმას გამოვიცხავ, რომ ბანდფორმირებები მზად არიან, კოდორის ხეობაში შემოიჭრან. კვიციანს ღვარძლი ამოძრავებს. ზოგი მალულად ადგას ქვეყნის ლაღატის გზას, კვიციანი კი, დაუფარავ აგრესიას ამჟღავნებს. როდესაც ქვეყნის შიგნით რაღაც ძალი გადართიანების მოწყობას ცდილობს და ამის პარალელურად, კოდორის ხეობაში სიტუაცია იძაბება, სერიოზული ეჭვი ჩნდება, რომ ყველაფერი ერთსა და იმავე კაბინეტში იგეგმება. მაგრამ საგანგაშო არაფერია, ჩვენს ხელისუფლებას შესწევს ძალა, ნებისმიერი ამბოხი აღკვეთოს.

„როდესაც ქვეყანაში სოციალური დასვის სისტემა სრულფასოვნად არ მუშაობს...“

— ხორბლისა და ელექტროენერჯის გაძვირების პირობებში, სკვებტიკოსები ზამთრის პერიოდში პურის საფასურის გაზრდას ვარაუდობენ. როგორია თქვენი პროგნოზი?

ნიკო ორველაშვილი, ეკონომიკური ექსპერტი:

— სამომხმარებლო პროდუქტებზე ფასების მატება პურს სულ ბოლოს ეხება ხოლმე. ამ ეტაპზე, პურის გაძვირება ნაკლებად სავარაუდოა. ხორბლის ფასი გაზრდილია, ქვეყანაში მიმდინარეობს ინფლაციური პროცესებიც, მაგრამ პურის ფასის მატება არ დაფიქსირებულა. ჩვენი მთავრობა ცდილობს, ეს საკითხი ადმინისტრაციული მეთოდებით დაარეგულიროს. მენარმეებს პურის გაძვირების უფლება არა აქვთ, შესაბამისად, ისინი ხარჯების დასაბალანსებლად, აპრობირებულ მეთოდს მიმართავენ: იკლებს პურის ხარისხი და წონა. არცთუ ისე დიდი ხნის წინ, სულ რამდენიმე პურის სახეობა გამოდიოდა. დღეს მალაზიებში, 40-თეთრიანი პურის გვერდით, ლარნახევრიანი და უფრო ძვირიც გვხვდება. მომხმარებელმა მშვენივრად იცის, თუ რას ნი-



შნავს ფასთა ასეთი სხვაობა, მაგრამ მისი ოჯახის ბიუჯეტი რომელსაც გასწვდება, იმ საკვებს ყიდულობს. ერთი შეხედვით, 40-თეთრიანი პურის შექმნა გვაძლევს გარკვეულ ეკონომიას, მაგრამ დროთა განმავლობაში, უხარისხო ხორბლისგან გამომცხვარი პური ჩვენს ჯანმრთელობაზე აისახება. ამის შედეგად, მედიკამენტებში იმაზე მეტის გადახდა გვიწევს, ვიდრე იაფფასიანი პურის შექმნით ვზოგავთ. როდესაც ქვეყანაში სოციალური დაცვის სისტემა სრულფასოვნად არ მუშაობს, ყველაზე მეტად, რიგითი ადამიანი ზარალდება.

ქვეყანა, სადაც 4-მილიონიან მოსახლეობაში მილიონზე მეტი პენსიონარია...

— დეპუტატებისთვის პენსიების გაზრდასთან დაკავშირებით მზადდება კანონპროექტი. მიზერული პენსიების ფონზე, ამ კანონპროექტის მხარდაჭერა პარლამენტართათვის უხერხული არ იქნება?

ედვარდ სურამანიძე, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი:

— დღევანდელი კანონის შესაბამისად, დეპუტატის პენსიის ზედა ზღვარი 560 ლარია. პარლამენტის წევრი, როგორც ქვეყნის კანონმდებელი, უზრუნველყოფილი უნდა იყოს არა მარტო მუშაობის პერიოდში, არამედ პენსიაში გასვლის შემდეგაც. ზედა ზღვრის მოხსნის შემთხვევაში, პენსია განისაზღვრება დეპუტატის ხელფასის 1/3-ით (ეს შეეხება ყოფილ პარლამენტარებსაც). დეპუტატის შრომის ნაყოფიერება რომ გაიზარდოს და საკანონმდებლო ორგანოს თითოეული წევრი საკუთარი მოვალეობის პირნათლად შემსრულებელი იყოს, მას უნდა ჰქონდეს იმის გარანტია, რომ საპენსიო ასაკის მიღწევას ან 25-წლიანი სტაჟის შემთხვევაში, უზრუნველი სიბერე ექნება. რაც შეეხება მოსახლეობის პენსიების ზრდას, — პროგრესი ამ სფეროშიც გვაქვს, თუმცა ქვეყანაში ძალიან სერიოზული საპენსიო რეფორმაა ჩასატარებელი. მსოფლიოში ვერ ნახავთ სხვა ქვეყანას, სადაც 4-მილიონიან მოსახლეობას მილიონზე მეტი პენსიონერი ჰყავს. „მკვდარი სულების“ თემა, მიუხედავად ჩვენი დიდი ძალისხმევისა, მაინც აქტუალურია. არის სხვა ობიექტური გარემოებებიც, რომლებიც ამ ეტაპზე პენსიების მკვეთრ ზრდას აფერხებს. ეკონომიკის სწრაფი განვითარების პირობებში შევძლებთ, პენსიები არა მარტო გაიზარდოს, არამედ დიფერენცირებული გახდეს. 30-წლიანი სტაჟის მქონე ადამიანმა ბიუჯეტში იმ რაოდენობის თანხა შეიტანა, რომ მას სოლიდური პენსია უნდა დაენიშნოს. ეს მომავლის საქმეა, რასაც აუცილებლად მივალწევთ.

„კარგი პაქატი, ასოვანი, მხარგობიანი...“

„ისე მოაქვს თავი, თითქოს თბილისის მერის სავარძელი უკვე განაღებული აქვს...“

რაც უფრო ახლოვდება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების თარიღი, ქვეყანაში პოლიტიკური ვნებათაღელვა მით უფრო მატულობს. კანდიდატების ვინაობა უკვე ცნობილია. თბილისის მერობისათვის სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის 5 წარმომადგენელი იბრძოლებს: „ნაციონალებიდან ამჟამინდელი მერი — გიგი უგულავა, ლეიბორისტებიდან — შალვა ნათელაშვილი, „მრეწველებიდან“ — გოგი თოფაძე, რესპუბლიკელებისა და კონსერვატორების საერთო კანდიდატი — კობა დავითაშვილი და „საქართველოს გზის“ ლიდერი სალომე ზურაბიშვილი. ბიზნესმენმა ბადრი პატარკაციშვილმა „ახალ მემარჯვენებს“ იმედები გაუცრუა და არჩევნებში მონაწილეობაზე უარი თქვა.

თამარ როსტიამვილი

არჩევნებთან დაკავშირებით საზოგადოებრივი აზრი არაერთგვაროვანია. ზოგი მიიჩნევს, რომ ისინი ჩვენს ცხოვრებაში ბევრს არაფერს შეცვლის; ნაწილი ფიქრობს, რომ პოლიტიკური ცვლილებები მოჰყვება. უმეტესობა, მერობის კანდიდატებიდან ფავორიტად ამჟამინდელ ქალაქის თავს მიიჩნევს. როგორც გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა ამბობს, უგულავას შემდეგ, ყველაზე მეტი შანსი „ექსნაციონალს“, კონსერვატორების ერთ-ერთ ლიდერს კობა დავითაშვილს აქვს; მას საგარეო საქმეთა ექსპრინსტრი სალომე ზურაბიშვილი მიჰყვება, ხოლო შემდეგ — გოგი თოფაძე და შალვა ნათელაშვილი. განსაკუთრებული პოლიტიკური მრწამსის მქონე პარტიების ლიდერთა წინააღმდეგობა პროგრამაზე მკვეთრად განსხვავებულია: ერთი პრიორიტეტად, ძველი დანაპირების შესრულებას მიიჩნევს, მეორე — მრეწველობის განვითარებას, მესამე — ამჟამინდელი ხელისუფლების დამარცხებას და ა.შ. თითოეულ კანდიდატს, რასაკვირველია, გამარჯვების იმედი აქვს, თუმცა, გიგი უგულავასი არ იყოს, „ყველაფერი 5 ოქტომბრის საღამოს გამოჩნდება“.

რას ელიან თვითმმართველობის არჩევნებისგან რიგითი მოქალაქეები? ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად, „გზამ“ მცირე გამოკითხვა ჩატარა და ცნობილ ადამიანთა შეხედულებებითაც დაინტერესდა.

ძალაბთონ ციციბა, ფსიქოლოგი, 35 წლის:

— სიმართლე რომ გითხრათ, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით ძალზე მწირი ინფორმაცია მაქვს. აგარაკიდან გუშინ დავბრუნდი, არც პრესა წამიკითხავს და არც საინფორმაციო გადაცემებისთვის მიყურებია. ზოგადად ვიცი, რომ თბილისის საკრებულო უნდა ავირჩიოთ. ისიც ვიცი, რომ საკრებულოში ჩვენი რაიონის ახალი დეპუტატი გვეყოლება თუმცა, რისთვის არის ეს საჭირო, ვერ ვხვდები. რომ მკითხოთ — ამჟამად ვინ არის ჩვენი რაიონის დეპუტატი? — ვერ გიპასუხებთ, რადგან მოსახლეობა მას თითქმის არ შეხვედრია. საკრებულოში ასეთი დეპუტატის არსებობას რა აზრი აქვს?! სამწუხაროდ, თბილისის მერს პირდაპირი გზით არ ვირჩევთ. არჩევნებში მონაწილეობას ალბათ,

მივიღებ. 5 ოქტომბრამდე საკმაოდ ბევრი დროა, გავცნობი მათ საარჩევნო პროგრამას და ამის მიხედვით გავაკეთებ არჩევანს.

ნატალი, სტუდენტი, 21 წლის:

— საზოგადოება იმდენად პოლიტიზებულია, მინდა თუ არა, მეც გავლენის ქვეშ ვექცევი. ტელევიზორი თითქმის მუდმივად ჩართულია და ყოველ საათში საინფორმაციოს ვუყურებ. ვფიქრობ, თვითმმართველობის არჩევნების გამართვა მხოლოდ ფორმალურია, რადგან უკვე გარკვეულია, თუ ვინ რომელ პოსტს დაიკავებს. მიუხედავად იმისა, რომ არანაირი პირადი სიმპათია არა მაქვს დღევანდელი მერის მიმართ, დარწმუნებული ვარ, რომ უგულავა გაიმარჯვებს. ამას მისი თავდაჯერებულობა ამტკიცებს. უგულავას ისე მოაქვს თავი, თითქოს თბილისის მერის სავარძელი უკვე განაღებული აქვს.

ნია, აზიზურიანი, 16 წლის:

— სამწუხაროდ, არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ მაქვს, პირადობის მოწმობა ჯერ არ ამიღია, თორემ, ხმას აუცილებლად გოგი თოფაძეს მივცემდი. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ კარგ ლუდს ასხამს და მეორეც, იმიტომ, რომ თბილისის მერი თუ გახდება, უფრო მეტი ფული ექნება, მეტ ლუდს ჩამოასხამს და ფასიც დაიკლებს. ხედავთ, რა გათვლებს ვაკეთებ?! აფსუს! რატომ არ მაქვს



„ჩამოყვანათ ეს პრტი კახი, რას დაგვაკლებდა?!“

— სახელმწიფო გადატრიალების მცდელობისთვის 13 ადამიანს უკვე ბრალი ნაუყენეს. როგორ აფასებთ იგორ გიორგაძის მხარდამჭერთა დაკავებას და რამდენად საშიშია გიორგაძე საქართველოსთვის?

რამაზ კლინიაშვილი, პოლიტოლოგი:

— იგორ გიორგაძეს საქართველოში ჩამოსვლა და არჩევნებში მონაწილეობა უნდოდა. მაშინ ხელისუფლებამ ამის უფლება არ მისცა და ეს შეცდომა იყო. გიორგაძე რომ ჩამოსულიყო, ხმებს ვერ მიიღებდა, არჩევნებში დამარცხდებოდა. ამის შემდეგ, მასთან დაკავშირებით თუ რამის გარკვევა უნდოდათ, ბრალს ნაუყენებდნენ და გაასამართლებდნენ. ახლა მისი სახით თავსატეხი გაიჩინეს და პოპულარობის მიღწევაში დაეხმარნენ კიდევ. უცხოეთის ყველა მასობრივი საინფორმაციო საშუალება ლაპარაკობს იგორ გიორგაძის შესახებ, აცნობს მას მსოფლიოს, როგორც პოლიტიკურ მოღვაწეს, რომელიც საქართველოს ხელისუფლებაში მოსვლას აპირებს. რაც შეეხება დაპატიმრებებს, — როგორც ჩანს, სამართალდამცავებს რალაც ხელჩასაჭიდი მართლაც ჰქონდათ, თორემ, სულელები ხომ არ არიან, მისცივდნენ და ამდენი ხალხი დააპატიმრონ! საჯაროდ სახელდება მხოლოდ გარკვეული თანხა, რომელიც ერთ მიტინგს თუ ეყოფოდა. თანაც, 3 წლის წინ, ხელისუფლებამ თავად გააკეთა იგივე! თავდაც არ მალავენ, რომ ხელისუფლების გადატრიალების მოწყობა სოროსმა დააფინანსა. ეს მიწისტრი ამბობს — ექვმიტანილებს იგორ გიორგაძის საქართველოში ჩამოყვანა უნდოდათო. ჩამოყვანათ ეს ერთი კაცი, რას დაგვაკლებდა?! რატომ ეშინიათ მისი? ჯერჯერობით, სამართალდამცავებს სერიოზული მტკიცებულებები არ წარმოუდგენიათ, საზოგადოებას კი, მეტი ინფორმაცია სჭირდება. ცოტა ძნელი დასაჯერებელია, რომ მათ ნიკოლეიშვილი, რომელსაც მხოლოდ ტელეკრანიდან ვიცნობ, ერთ დროს სააკაშვილის გუნდის წევრი იყო, ამასთან ერთად, მაღალი დონის პროფესიონალი, — გადატრიალებას ამზადებდა. ჩვენ რევოლუციები აღარ გვჭირდება, მაგრამ პრევენციული ზომებიც ფაქტებით უნდა იყოს განმტკიცებული.

ხმის მიცემის უფლება?!
ალვარტო მარიაში, პენსიონერი, 72 წლის:

— არჩევნებში ყოველთვის ვმონაწილეობ, არა აქვს მნიშვნელობა — საპრეზიდენტო, საპარლამენტო თუ ადგილობრივი თვითმმართველობის. ვფიქრობ, რომ თითოეული მოქალაქე ვალდებულია, არჩევანი თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ გააკეთოს. ხანდახან კი ვცდებით, მაგრამ არჩევნებში მონაწილეობა ყველა ჩვენგანის ვალია: ამით ხომ საარჩევნო ხმას დავიცავთ და გაყალბებაც ნაკლებად მოხდება. ვიმედოვნებ, ჩემი სასურველი პარტია გაიმარჯვებს, თანაც — დიდი უპირატესობით, რადგან მსურს, საკრებულოში უმრავლესობას ამ პარტიის წევრები წარმოადგინდნენ. რალა დაგიმალათ და, ძალიან მომწონს ჩვენი დღევანდელი მერი. კარგი ვაჟაცაია, ახოვანი, მხარბეჭიანი... მოხარული ვიქნები, თუ კიდევ დიდხანს ვიხილავ მას ამ პოსტზე. ქალაქი თანდათანობით ლამაზდება. მართალია, საკვებზე ფასებმა ძალიან მოიმატა, მაგრამ პენსიებიც იზრდება. მოხარული ვიქნები, თუ უფრო მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნება, რათა ახალგაზრდობას უკეთესი



მომავლის პერსპექტივა ჰქონდეს.
ლუპა, პროგრამისტი, 23 წლის:

— რას წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები?.. წარმოდგენა არა მაქვს და პასუხი არც მაინტერესებს. არჩევნებზე საერთოდ არ ყოფილვარ და არც წავალ. პოლიტიკა ჩემგან ძალიან შორსაა და საერთოდ არ ვერვები. ვიცი, რომ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილია, არსებობს პარლამენტი და წინა

ბურჯანაძე. ამ მხრივ, მეტი არც მაინტერესებს. მაქვს ჩემი საქმე, რომელიც ძალიან მიყვარს.

რას წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები და როდის ტარდება, — ეს, არც ცნობილმა ილუზიონისტმა ზურაბ ვადაჭკორიამ იცოდა. კი, მაგრამ არჩევნები ჯერ ხომ ძალიან ადრეაო...
მითხრა, გაკვირვებულმა.

ზურაბ ვადაჭკორია:

— ეს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები რალა?! ვინ და როდის უნდა ავირჩიოთ?! მოკლედ, სიმართლე რომ გითხრათ, დიდად არც მაინტერესებს. ჩემთვის მთავარი ისაა, თუ რას მოუტანს ეს არჩევნები ჩემს ქვეყანას. ფაქტი ერთია, რომ ქვეყანაში ძალიან ბევრი რამ კეთდება. დაუნახავი, ბრმა უნდა იყო კაცი, ეს რომ ვერ დაინახო. ირგვლივ ყველაფერი ლამაზდება, გზები იგება... ჩემი შვილი სტუდენტია. მიიღო რალაც სტუდენტურ პროგრამაში მონაწილეობა, გადაუხადეს გასამრჯელოს სახით, 300 ლარი და ამ ზაფხულს დასასვენებლად წავიდა. ჩემს შვილს, მეგობრის, მეზობლის თუ უბრალო ნაცნობის შვილს გახარებულს რომ ვხედავ, ეს ხომ ჩემთვის დიდი სიხარულია! შუქი თითქმის აღარ ქრება, წყალი მოდის, გაზი გვაქვს — ეს უკვე, ბოლო წლებში უშუქობით, უგაზობით თუ უწყლობით დატანჯული მოსახლეობისათვის დიდი ბედნიერებაა... როგორც თქვენგან გავიგე, 5 ოქტომბერს ადგილობრივი თვითმმართველობები უნდა ავირჩიოთ; გავცნობი თითოეული კანდიდატის პროგრამას და თუ იმ დროს თბილისში ვიქნები, არჩევნებზეც წავალ.

დოლო შიშინაძე, ღვანლმოსილი მსახიობი:

— ხმას ალბათ, ნაციონალურ მოძრაობას და პირადად გიგი უგულავას მივცემ. ყოჩალი ბიჭია, გამრჯე, ბრწყინვალე ოჯახის შვილი. სულ მოძრაობაშია, ხან სად არის და ხან — სად. სკვერებს აკეთებს, მოედნებს, განა ეს ცუდია?! ქვეყანა ერთბაშად არ ამწებულა და ჩვენც ნუ მოვთხოვთ ამ ხელისუფლებას, უცბად აგვაშენოს. მიწისძვრის შემდეგ, ჩემი ბინა მძიმე ავარიულ მდგომარეობაშია, ხალხს ისევ ძალიან უჭირს, ბევრი უსამსახუროდ არის და უსაქმოდ დახეტილობს... უამრავი პრობლემაა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებ და ვფიქრობ, რომ ყველაფერი თანდათანობით მოგვარდება.

პრეპარატი **ფინსი** გაძლევთ უნიკალურ შანსს

ფსორიაზი ენათ **საუკუნოვან** **მგზავა** გამორღილებას!

ნეიროდეპრეზია

სეზონა **იკითხეთ**

ნიმუშნაღმთ აუთიაქაზი

საუკუნოვანი გამომდინაზის მქონე, ყვალაზა აუთიაქური, არაპრომონალური მაღამოს საშუალაბით

სხელი ხაზი: 39 66 03

მეზოზელ, კაჩისაო...

რუსულან ლეხანია

მეზობლო კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო... არა მგონია, მეზობლობის სიკეთეზე ასე მოხდენილად და, რაც მთავარია, ზუსტად, ქართველის გარდა, კიდევ ბევრს ეთქვას. მაგრამ რად გინდა? ჩვენს უშუალო ანუ, როგორც ასეთ შემთხვევებში იტყვიან, „თლათ კარის-ძირის“ მეზობელთან — რუსეთთან მაინც ვერაფერი გავანყვეთ და საერთო ენაც ვერა და ვერ გამოვხახეთ...

ამ საქმეში რიგითი ქართველები არაფერ შუაში ვართ, ყველაფერი ჩვენი და რუსეთის მთავრობების ბრალიაო, შემომეპასუხება ალბათ, არაერთი ჩვენი მკითხველი. და პრინციპში, მართალიც იქნება. მე პირადად, როგორც ერთი რიგითი ქართველი, არც საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების თავგადაკლული მომხრე ვარ და არც რუსეთის მმართველთა დაუძინებელი მტერი, მაგრამ ამ ბოლო ხანებში მაინც ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ რაც არ უნდა თქვას ან გააკეთოს საქართველოს ხელისუფლებამ, ქვეყნის შიგნით იქნება ეს თუ მის ფარგლებს გარეთ, რუსეთში მაშინვე, აშკარა დანაშაულად თუ არა, სავარაუდო კანონდარღვევად მაინც უთვლიან და პასუხსაც შესაბამის სთხოვენ ანდა სხვებს უკიჟინებენ — ასეთი პასუხი მოსთხოვეთო!.. საკუთარი ხელისუფლების ნებას დამორჩილებულ, მაგრამ უნინდებურად ნიჭიერ რუსულ პრესაში კი, გაუთავებლად „ცხვება“ ჩვენი ქვეყნის სანინალმდგომო პუბლიკაციები, სადაც მართო მომხდარ ფაქტს კი არ უკეთდება ტენდენციური კომენტარი, არამედ იმასაც,

თუ ამ ფაქტთან დაკავშირებით, კიდევ რა მზაკვრული ჩანაფიქრი შეიძლება ჰქონდეს საქართველოს ხელისუფლებას. ყოველივე ამის შემხედვარე რიგით ქართველს კი, ხანდახან საკუთარ ქვეყანაში ცხვირის გემრიელად დაცემინებისაც კი გერიდება, რათა შენს ტერიტორიაზე და იქნებ, შენს უშუალო მეზობლად მცხოვრებ და შენგან აგრერ-



იგად „დაჩაგრულ“ რომელიმე მცირე ერის წარმომადგენელს, დიდი რუსეთის დახმარებით განაღდებული სიმშვიდე არ დაურღვიო...

„სააკაშვილმა რუსეთი ჰუნების ველურ ტომს შეადარა“ (IA REGNUM)

პოლონეთში გამართული XVI ეკონომიკური ფორუმის მონაწილე რუსეთის წარმომადგენლებმა კომენტარი გაუკეთეს საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის განცხადებას, რომელმაც რუსეთი ჰუნების ველურ ტომს შეადარა. საერთაშორისო და რეგიონული პოლიტიკის ცენტრის დირექტორი ბორის კუზნეცოვი მიიჩნევს, რომ სააკაშვილის გამოსვლა „საკმაოდ ემოციური იყო და მას რუსეთის დელეგაცია არ დაეთანხმა“. სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტის პროფესორმა ნიკოლაი მუჟევიჩმა კი განაცხადა: „სააკაშვილი თავისი უბედურებების მიზეზებს საკუთარი ქვეყნის გარდა, ყველგან ეძებს... სააკაშვილი და პუტინი ხელისუფლებაში სხვადასხვა დროს, მაგრამ მსგავს სიტუაციებში — სახელმწიფო სისტემის დესტრუქციის მომენტში მოვიდნენ. თუმცაღა შემდეგ, რუსეთის პრეზიდენტმა დესტრუქციის მიზეზებს — რუსეთის შიგნით, საქართველოს პრეზიდენტმა კი, ქვეყნის გარეთ დაუნყო ძებნა...

„კუჩხანებო ხელისუფლებას, რომ საქართველოში არსებობს ალტერნატიული ძალა“

— ბოლო დროს ჩატარებულ არჩევნებში ოპოზიცია საკუთარი წარმატებლობის ერთ-ერთ მიზეზად, საარჩევნო სივრცეს ასახელებდა. ეს პრობლემა ნაწილობრივ მაინც თუ მოგვარდა?

თინა ხიფაშვილი, რესპუბლიკური პარტია:

— ხელისუფლებამ აღიარა, რომ საარჩევნო სივრცეში დაკავშირებით სერიოზული პრობლემა ჰქონდათ, მაგრამ საკუთარი სიტყვები რამდენიმე დღეში გადათქვეს და დღეს ცდილობენ დაგვარწმუნონ, რომ ყველაფერი რიგზეა. 5 ოქტომბრისთვის სივრცე იქნება ისეთივე ყალბი, როგორც წინა არჩევნების დროს. საარჩევნო ადმინისტრაცია მთლიანად მუშაობს ხელისუფლებაზე, ქვეყნის ბიუჯეტს საკუთარი პიარკამპანისთვის იყენებენ. ძალადობის ყველა დაუშვებელი მეთოდით იბრძვიან იმისთვის, რომ არჩევნებში მათთვის სასურველი შედეგი მიიღონ. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, რომ ოპოზიციას გამარჯვების დიდი შანსი აქვს. ჩვენ ვუჩვენებთ ხელისუფლებას, რომ ამ ქვეყანაში არსებობს ალტერნატიული ძალა, რომელიც სახელმწიფო ძალადობის წინააღმდეგ გამოვა და საქართველოს კომუნისტური რეჟიმის წარჩენისგან გაათავისუფლებს. თუ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა მისცემს საკუთარ თავს უშიშარი და დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების უფლებას, 5 ოქტომბრის არჩევნებში ოპოზიცია გაიმარჯვებს. პარლამენტის თავმჯდომარემ რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ ეს არჩევნები მისი პირადი ღირსების საქმეა. ამ განცხადების შემდეგ, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ეს იქნება ყველაზე სამარცხვინო არჩევნები, რომელიც ოდესმე ჩატარებულა საქართველოში. ამის დასადასტურებლად, ისიც ვპირა, რომ კანონის სრული დარღვევით, სამხედროებს უფლება მიეცათ, არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ სამხედრო ბილეთით და მათი მიწერის ადგილზე: ეს იმას ნიშნავს, რომ ათასობით ქართველი ჯარისკაცი იმ საარჩევნო უბანზე აღმოჩნდება, სადაც ყველაზე მეტად გაუჭირდება ხელისუფლებას. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვიბრძობლებთ. ბრძოლას ყოველთვის მოაქვს შედეგი.

ბრიტანული ენის დარბაზი
გთავაზობთ ინგლისური ენის კურსს

- მოსწავლეებისა და უფროსებისათვის
- მოსამზადებელი კურსს კემბრიჯის საერთაშორისო სერტიფიკატებისათვის (PET, FCE, CAE, IELTS)
- სპეც-კურსს აბიტურიენტებისათვის

სწავლავისა და გამოცხადება
ბრიტანეთის ნაფხვანი
გამოცხადებასი გაკვირვანი,
პარკარი კოლინიის, პიარსონის,
ოქსფორდისა და კემბრიჯის
უახლესი სანსაქლო ლიზარაბურა

ბრიტანეთსა და ამერიკაში კურსდამთავრებული პედაგოგები უზრუნველყოფენ თქვენს წარმატებებსა და მაქსიმალურ პროგრესს.

Good Luck with your English

მის: თაინისუფლანის მოედანი №7
(სააკაშვილის შენობა), ოთახი 405
ტელ: 55-21-29

ლალი შახია

ქარნალისტი — ნატა ნიჟარაძე
შეხვედრები — ჩელე

— სანამ ჩვენთან დაინყებდი მუშაობას, თუ უყურებდი „რუსთავი 2“-ის დილის გადაცემას და რა აზრის იყავი მასზე?

— კი, ვუყურებდი და სულ იმას ვამბობდი, — ვინ არის ეს ლამაზი დეიდა, ნატო ნიჟარაძე, რომელიც მუდმივად ყვირის-მეთქი?..

— ვინ არის, ბიჭო, შენი დეიდა (შეუტია)?!

— ზოგჯერ მომწონდა რაღაცები, ზოგჯერ — არა. უმეტეს შემთხვევაში, მაინც მომწონდა.

— ახლა ასეთი ტუტუცობა რომ თქვი, უნდა დაასაბუთო, რა არ მოგწონდა!

— ის, რომ წიოდი, ყვიროდი და კიოდი.

— სად ვკიოდი, გაგიჟდი?!

— არა. ისე, მომწონდა შენი „ექსტრიმი“ — რომ ეკიდებოდი ხოლმე სიმაღლეებზე, ღებავდი ვილაც-ვილაცებს... ერთხელ მახსოვს, მეთოთხმეტე სართულიდანაც გადმოვარდი.

— ხუმრობ, ხომ?

— საბოლოოდ ვიტყვი, რომ მომწონდა დილის გადაცემა.

— ოდესმე გიფიქრია, ჩვენთან ერთად გემუშავა, გადაცემაში მონაწილეობა მიგელო?

— მაგას როგორ წარმოვიდგენდი, ნატა ნიჟარაძესთან ერთად გემუშავა?! ეს ხომ მიუწევდომელი იყო ჩემთვის. მაგრამ მოხდა ცხოვრებაში ისეთი ბედნიერება, რომ ახლა გადაცემაში შენი მენეჯერად ვარ (ხელზე ეამბორა)..

— ახლა ჩემს თანამშრომლებსაც ჰკითხე, როგორი ბედნიერები არიან ჩემთან მუშაობით.

— ალბათ იმიტომ, რომ კარგი ხასიათი გაქვს...

— ცხოვრებაშიც ისეთი ვარ, როგორც ეკრანზე?

— რაც ეკრანზე ხარ, ის ხარ ცხოვრებაშიც. ისევე გიჟობ, როგორც ეკრანზე. ასე ჯობია! „გრუზიან“ ხალხს ვერ ვიტან, ჩემ გვერდით სხვანაირს ვერ შევეგუებოდი. თუმცა, „გრუზინები“ ვართ ყველანი.

— კი, ვართ „გრუზინები“, მაგრამ ჩვენ არ „ვიგრუზებით“. შენც ისეთივე ხარ ცხოვრებაში, როგორიც ეკრანზე. გამიზიარე შენი გიჟური იდეა, რომლის განხორციელებასაც ჩვენს ეთერში აპირებ...

— მე და შენ ერთმანეთს შევეჯიბრებით არა მარტო სწორ გზაზე სირბილში, არამედ — გაგიგონია ალბათ, „სამთო ველორბოლა“ — და სპორტის ამ სახეობაში გორებზე ვირბენთ. დამერწმუნე, რომ გაჯობებ.

— გატყვი, რომ პირველი ახტომის შემდეგ, ეჭვი მაქვს, ვეღარ მიპოვი (იციინის) ან თუ მიპოვი, —

„ჯეობარი-2“-ის გამარჯვებული ჩელე დილის გადაცემაში ნატა ნიჟარაძის პარტნიორი გახდა. მათი ერთობლივი ჩანაფიქრი ასეთია: მაყურებელს დილიდან კარგი განწყობილება უნდა შევექმნათ, ამისთვის კი ბევრს ვიგეგმებთ... ჩელე კმაყოფილია, რომ ყველაფერთან ერთად, სამსახურაც იშოვა. თეატრალური უნივერსიტეტის მესამეკურსელ სტუდენტს, რომელსაც მთელი საქართველო იცნობს, სწავლის პარალელურად მუშაობა ალბათ, არ გაუჭირდება. ეგ კი არა და, 3 თვე დახურულ სივრცეში ცხოვრებას გავუძელიო... ნატასა და ჩელეს ურნალისტ-რეჟისორდენტის ბაასი მათთვის დამახასიათებელი ენაკვიმატიბითა და იუმორით წარიმართა. ინტერვიუს დრამატული ეპიზოდებიც ახლდა, რადგან დროდადრო მათ შორის საშინელი, კონფლიქტური სიტუაცია იქმნებოდა.

ჩელე და ნატა ნიჟარაძის



პარტნიორობა საუნიანი კოფეციებით დაიწყო

დამტყრულს... მერე ვინ წაიყვანს გადაცემას?

— თაბაშირში ჩასმული, საავადმყოფოდან რომ წაიყვან გადაცემას, მაგას აქვს მულამი. ისე, კარგად ვიცი, ხვალისთვის რა საშინელებასაც მიმზადებ. მეთოთხმეტე სართულიდან გადამაყირავებ. მაგრამ იმედი მაქვს, რომ გადავრჩები.

— კი, მოფიქრებული მაქვს შენთვის რაღაც საშინელი ტრიუკი.

— კი, ჩემო ნატა, თანახმა ვარ, რაც გინდა, მოიმოქმედე, შენი ხათრით ყველაფერს ვიზამ.

— ერთი არ ჩამოკიდებულხარ მეთოთხმეტე სართულზე და...

— ისე, სიმაღლის კი მეშინია.

— არა უშავს, დასძლევ კიდევ რისი გეშინია?

— შიში სხვა არაფრის მაქვს. ერთადერთი ძნელია ჩემთვის — დილით გაღვიძება, მაგრამ ამას უკვე მივეჩვიე, როცა საჭიროა, უნდა ადგე — დილის 5 საათზე ან 6-ის ნახევარზე. პირველ გადაცემაზე იმდენი ვიგეგმე, ერთმანეთს ნაყინითა და წყლით დავღვავდი, ვი-

წუნავთ. სულ დავასველეთ ერთმანეთი. ასე გავაცვილეთ ზაფხული და ჩვენი თანამშრომლობაც საშინელი კონფლიქტით დავიწყო.

— კვლავაც ვაპირებთ გიჟობას! მაყურებელს აინტერესებს, გყავს თუ არა ცხოვრების მეგზური?

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ მსურს.

— ძალიან ცუდი... მაშინ მითხარი, საქართველოს რომელი კუთხე გიყვარს ყველაზე მეტად?

— გურია.

— რატომ?

— ნახევრად გურული ვარ. ოზურგეთის რაიონის სოფელ კონჭკათშია ჩემი ფესვები. ულამაზესი სოფელია.

— ბიჭო, გურიაში ტყემლის გარდა, არაფერი მოდის და რამ შეგაყვარა იქაურობა?!

— ძალიან მიყვარს...

— ამ ზაფხულს სად დაისვენებ?

— ვიყავი ბათუმში, ქობულეთში, ურეკში, კვარიათში, შეკვეთილში...

— ტურნე გქონია დასავლეთ საქართველოში...

— დიახ.

— ყველგან გცნობდნენ?

— ყველგან. ვიღებდი ფოტოებს, ხან თვითონ მეპატიუებოდნენ, ხან მე ვეპატიუებოდი... სასიხარულოა, როცა ხალხს უყვარხარ და გაფასებს. ხანდახან რალაც-რალაცებს მჩუქნიან ხოლმე.

— გჩუქნიან კიდევ? „ჯეობარში“ უნდა მივიღო მონაწილეობა...

— შენ რომ სათამაშოდ შეხვიდე „ჯეობარში“, პირველსავე კვირას გამოვარდები.

— რატომ?

— გამოგადებენ, რადგან ყველაფერს იტყვი, რაც სათქმელი არ არის; ხალხს „დაცოფავ“, ლამე რალაც „მანაკობებს“ ჩაიდენ, დილის ექვს საათზე გააღვიძებ ყველას.

— მე მათ ჯანსაღი ცხოვრებისაკენ მოვუწოდებ, სიგარეტის მოწვევას ავუკრძალავ, დილით ყველას მწკრივში დავაყენებ და ვავარჯიშებ...

— და ამიტომაც გამოგადებენ.

— შენს ჯიბრზე, არ გამომაგდებენ... ესე იგი, იცოდი, ხომ, სრიკები — როგორ უნდა მოქცეულიყავი და ამიტომაც გაიმარჯვე? შენი აზრით, იქ იმარჯვებს ადამიანი, რომელსაც მოთმინების დიდი უნარი აქვს?

— ეს თვისება აუცილებელია.

— იდეები არ უნდა ჰქონდეს?!

შენ რომ იქ იჯექი, იდეები არ გქონდა და ფიქრობდი, საიდან მოგსვლოდა, — კარგად მახსოვს.

— კი, ჩემო კარგო, ფიქრი სხვასაც უნდა აცალო. ჩემი იდეები „ჯეობარში“ საკმარისად განვასორციელე და სხვებსაც ვაცდიდი.

— მე რომ ვყოფილიყავი „ჯეობარში“, იქ უფრო მეტი გასართობი იქნებოდა.

— ჯობდა, შენ „ჯეოსთარში“ ყოფილიყავი, რადგან კარგად მღერი, ნიჭი გაქვს.

— მე 2004 წელს პრიზი მაქვს აღებული სიმღერაში — „მის მასმედია“.

— რა პრიზი მოგცეს?

— თათა ვარდანაშვილის ფენსაცემელი.

— არ უნდა მოეცათ.

— ბოლმა ხარ, გშურს!

— ცდები. ხედავ, რა კარგი დამოკიდებულება გვაქვს ერთმანეთთან?!

— მშვენიერია! როგორი იქნები 20 წლის შემდეგ?

— მხიარული და ახალგაზრდული... მეყოლება მოსიყვარულე ცოლი, ორი შვილი, მექნება სტაბილური სამსახური...

— ახლა რამდენი წლის ხარ?

— 20-ის.

— ასეთი პატარა ხარ?

— შენც ხომ იყავი ჩემხელა?! მეც ხომ გავხდები შენხელა (იცინის)?!. ამწუთას, ჩვენ ერთი წლოვანების ვართ, ჩემო ნატა.

— შენგან განსხვავებით, შენი ასაკის ადამიანებთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს.

— მოდი, ახლა მე დაგისვამ კითხვებს, კარგი?

— კარგი, კარგი, თორემ, შენს თავხედობას საზღვარი არა აქვს.

ქურნალისტი — ჩაღე

სამსაქონლესი — ნატა ნიჰარაპე

— პროფესიით ვინ ხარ?

— გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული. ჩემი განსრავა — ატმოსფერული ფიზიკა. ვმუშაობდი თემაზე — ატმოსფეროს დაბინძურება, მაგრამ არ დამიცავს. დაწერილი მაქვს შრომა, დისერტაციაზე ვიმუშავე, რომელიც კანადაში გავგზავნე და მერე შევწყვიტე მუშაობა.

— ურნალისტიკაში როგორ მოხვდი?

— სულ რალაც 10 წლის წინ გადავწყვიტე, პროფესია შემიცვალა, რადგან ისეთი პერიოდი იყო, როდესაც მეცნიერება არავის სჭირდებოდა, მით უმეტეს — მეცნიერი მუშაუკები. არ ფინანსდებოდნენ, არანაირი ნახალისება არ ჰქონდათ და შესაბამისად, რამის გაკეთების სურვილიც არ არსებობდა. თუმცა ჩემი სპეციალობა მიყვარდა, მეცნიერებაში მცირე წვლილი შევიტანე და მერე ურნალისტიკური კარიერა დავიწყე.

— როგორ?

— ტელეკომპანია „საქართველოს ხმამ“ გამოაცხადა კონკურსი. ურნალისტიკის იძახებდნენ კასტინგზე. ურნალისტიკური განათლება სავალდებულო არ იყო, ამიტომ ყველა მსურველს შეუძლო, მისულიყო. გავიარე კასტინგი და დავინიჭე იქ მუშაობა. ვამზადდებდით შაბათის ანალიტიკურ გადაცემას. ამის მერე გავიარე „ინტერნიუსის“ სპეციალური კურსი. ჩვენი პედაგოგი, დათო კიკალიშვილი იყო. შეიძლება ითქვას, რომ ის ჩემი „ნათლიაა“, რადგან პირველად მან დამსვა ეთერში. პირველი სიუჟეტი ლარსის გამშვებ პუნქტზე მოვაშადა. სერიოზულ პრობლემებს წავანყადით. მახსოვს, სიუჟეტის გასაკეთებლად წავედით ლარსზე, სარაფნებით ვიყავით, თოვლი მოვიდა და გავიყინეთ... ბევრი რალაც გადაგვხდა თავს.

— გუშინ შენი ულამაზესი შვილები გავიცანი, გამაგიჟეს...

— მე რომ ორი შვილი მყავს — ანასტასია და დიმიტრი, — მკითხველმა ამის შესახებ უკვე კარგად იცის, საჟურნალო ინტერვიუებიდან!

— შეიძლება ასეც არის, მაგრამ მე ძალიან შემეყვარდნენ. გოგონა — „სუფთა“ მოდელია, ბიჭი — სპორტსმენი (იცინიან)... ასევე ძალიან მომეწონა შენი თევზი, რომელიც ჭიქაში გყავს გამომწვევადული. ჭიქა იმდენად ვინროა, რომ თევზი ვერ ცურავს და ვერტიკალურად ზის წყალში, მხოლოდ პირს ალებს, თან გეძახის: ნატა, ნატა, გამიშვი და

სამ სურვილს შეგისრულებო... ამდენი წელია, დილას პირდაპირ ეთერში მუშაობ, ენერგიული ადამიანი ხარ. საიდან იღებ ამდენ ენერგიას?

— პერპენტუმ-მობილე ვარ.

— ესე იგი, დიზელზე მუშაობ. ახლა დიზელი რომ გაძვირდა, პრობლემა არ შეგექმნა? შენ ხომ ბევრს წვავ (იცინიან)... ბავშვობაშიც ისეთივე იყავი, როგორც ახლა ხარ?

— წყნარი და მშვიდი.

— ბუჩქს ძირას ამოსული ია?!


— დიახ.

— ახლა ის მითხარი, რას ფიქრობ ჩემზე?

— სანამ გაგიცნობდი, მართალი გითხრა, შენი ცოტა მეშინოდა. არ მინდოდა, იმედები გამცრუებოდა. მიხარია, ისეთივე რომ არ ხარ, როგორც „ჯეობარში“ იყავი, გაცილებით თავისუფალი, ლალი, თბილი, კეთილი ხარ. ადამიანები გიყვარს. ცხოველებიც. ჩემს თევზზე გაგიჟდი. ვიცი, რომ ერთად კარგად ვიმუშავებთ.

— ნატა, „რუსთავი 2“-დან ერთი კვირის წინ ბევრი ცნობილი ურნალისტი წავიდა რას ფიქრობ ამაზე?

— ვფიქრობ, რომ ეს არხისთვის არ არის კარგი. თუმცა, მიმაჩნია — ადამიანები კი არ ქმნიან არხს, არამედ არხი ქმნის ადამიან-ვარსკვლავებს. ისინი, ვინც წავიდნენ, თავის დროზე აქ გაჩნდნენ, აქ გაიზარდნენ, აქ გახდნენ პოპულარულები. ალბათ მათი ნასვლა არხს ცოტა ხანს დაეტყობა. მაგრამ გამოჩნდებიან ისევე ახალი სახეები, რომლებიც მაყურებელს ისევე შეუყვარდება, როგორც ისინი... არხიდან ნასვლის მიზეზი ყველას თავისი ჰქონდა. ეს მხოლოდ ნიკა ტაბატაძის ნასვლას არ უკავშირდება, ეს იყო თითოეული იმ ადამიანის დამოკიდებულება რალაც-რალაცების მიმართ.



ზოგს არ მოეწონა ნიკა ტაბატაძის სამსახურიდან გაშვების ფორმა, ზოგს შიში ჰქონდა — რა იქნება მერე?.. მიზეზი სხვადასხვაა. საკმაოდ დიდები ვართ იმისთვის, რომ გადაწყვეტილებები დამოუკიდებლად მივიღოთ. ვერაფერს ვერავის ურჩევ. რადგან გადანყობის, რომ ნასულიყვენ, ე.ი. მართლა აღარ შეეძლოთ აქ მუშაობა. მათ შორის არიან ისეთები, რომლებიც ძალიან მიყვარს, მათზე გული მწყდება.

შენ არ გიფიქრია ნასვლაზე?

— ვიფიქრე, რადგან არ ვიცოდი, ახალი ხელმძღვანელობა რას მოიმოქმედებდა. ყველანი შოკში ვიყავით. მაგრამ ახალ ხელმძღვანელობასთან საუბრის შემდეგ, იმედო მომეცა.

რა იქნება ხვალ?

— ყველაფერი კარგად იქნება, რადგან „რუსთავი 2“-ს შემუშავებული აქვს სისტემა, რომელიც საკმაოდ მდგრადია. აქედან ვინც არ უნდა წავიდეს, სქემა უცვლელია, ის არ ინგრევა. ხალხის ჩანაცვლება ყოველთვის ხდება... საშინელებაა, რასაც ახლა ვამბობ, რადგან არსებობენ ადამიანები, რომლებიც ჩემთვის ძალზე ძვირფასები არიან, ასევე — მაყურებლებისთვისაც. არავის ეწყინოს და, ყველაზე მეტად ნათია ლაზაშვილზე მწყდება გული.

თუ ელაპარაკე ნათიას?

— ეს არც იყო საჭირო: ის საკმაოდ ჭკვიანი გოგოა, ალბათ იცის, რასაც აკეთებს. თუმცა, მათზე ყველა მათგანზე მართლა დამწყდა გული.



დისციპლინას ვითხოვ მეწყვილისგან, სამუშაო გრაფიკის დაცვას...

რა მოთხოვნები გაქვს პარტნიორის მიმართ?

— დისციპლინას ვითხოვ მეწყვილისგან, სამუშაო გრაფიკის დაცვას. არ უნდა დაიგვიანოს, სამსახურზე ბევრი უნდა იფიქროს, იდეები უნდა ჰქონდეს...

ვეცდები, ყველაფერი პირნათლად შევასრულო, დავეჭვებდები ბარო შენს მოთხოვნებს...

„იგაბეზა ბავრი, საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი სხვის დაპატიმრება...“

„ყოველ წუთში ველოდები დაპატიმრებას. შეიძლება, ეს, ინტერვიუს ჩაწერის პროცესშიც მოხდეს და თქვენ ამის თვითმხილველი გახდეთ, მაგრამ არა მგონია, ჩემი დაპატიმრებით ხელისუფლებამ რაიმეს მიაღწიოს.“ — ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი ირინა სარიშვილი. ის მომხდართი გაოგნებულია, მაგრამ იმედს იტოვებს, რომ ეყოფა ძალა, „გადაგვარებულ კასტასთან“ საბრძოლველად.

თამუნა კვინიტაძე

— ამ ხელისუფლებამ სასამართლო, „ცირკად“ აქცია. არ არსებობდა არც ერთი მოწმე, გარდა ანონიმური მოწმეებისა: ვიღაც თამარი, ნათია, რომეო... და მხოლოდ მათი ჩვენებები წარმოადგენდა ერთადერთ მტკიცებულებას. მოგვიანებით კი, მათ დაემატა ჩვენი ყოფილი თანამებრძოლის, მაია ნიკოლეიშვილის ცრუჩვენებაც. ძალიან ძნელია, თქვა, თუ რატომ მოიქცა ასე მაია, რას ვერ გაუძლო მან, რამ მიიყვანა ამ ზომამდე? მე ვიტყვოდი (საუკეთესო შემთხვევაში), რომ ადამიანური სისუსტის გამო მოიქცა ასე. მისი ჩვენებით გაჩნდა რეალური ცრუმონაწილე, რომელიც საკუთარ დანაშაულსაც აღიარებს, აქედან გამომდინარე, ზოგიერთი გულბრწყინო ადამიანისთვის ეს ცრუჩვენება შესაძლოა, უფრო დასაჯერებელიც იყოს. ის დეტალებიც — თითქოს ვიღაცამ ტაში შემოჰკრა, როცა გაიგო, რომ შეიარაღებული აჯანყება უნდა მომხდარიყო, თითქოს მე და ელიზბარ ჯაველიძე გაგზუმებულვართ, — იმიტომ ითხოვდა, რომ დოკუმენტი გახდეს სარწმუნო. დუმილის მიზეზს რატომ არავინ მეკითხება? იქნებ, მე იმ ტაშის დამკვერვლზე მეტი ვიცი, შეიძლება, იმ გეგმის ავტორი ვარ. ამით რატომ არ დაინტერესდნენ? დარწმუნებული ვარ, რომ ამ ცრუჩვენებას კიდევ ბევრი სხვაც მოჰყვება. თავიდან ძალიან „უჭირდათ“, მონაწილე კი არ ჰყავდათ და ვიღაც პირებს ზურგიტ უჩვენებდნენ (ტელევიზიით. — ავტ.), მერე კი, არათუ მონაწილე, არამედ თანამონაწილედ „აღმოაჩინეს“, რომელიც შეხვედრასაც აღიარებს და იმ ადამიანებსაც ასახელებს, რომლებიც იმ არარსებულ შეხვედრაში მონაწილეობდნენ. ასახელებს იგორ გიორგაძეს, რომელმაც ეს დავალება მისცა მეუღლის დისშვილს — მაია თოფურიას; მაია თოფურიამ კი, დაურეკა ნიკოლეიშვილს და ა.შ. ის მაინც მოე-

გონებინათ, ვითომ მე დამირეკა. მაია ნიკოლეიშვილს უფრო ნაკლები საერთო აქვს პოლიტიკასთან, ვიდრე მე — იაპონიასთან. მე ბავშვობაში მაინც მამსგავსებდნენ იაპონელს...

დასაფიქრებელი და რალაცაზე მიმანიშნებელია ის ფაქტიც, რომ 12 დაპატიმრებულიდან, არც ერთის ადვოკატის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა პროკურორმა, გარდა მაია ნიკოლეიშვილისა, მიუხედავად იმისა, რომ დაპატიმრებულთა შორის არის 3 მცირეწლოვანი შვილის დედა მაია თოფურია.

ტელევიზიით აჩვენეს სქემა, რომლითაც თურმე, შეიარაღებული აჯანყების დროს უნდა გვეხელმძღვანელა. ბევრს სქემა და რუკა ერთმანეთისგან ვერ გაურჩევია. სასაცილოდ არ მყოფნის: 25 წელია, პოლიტიკაში ვარ, ასეთ სქემებს ყოველთვის ვადგენდი აქციების, ყრილობებისა და არჩევნების წინ. ასეთი რამ ნებისმიერ პოლიტიკურ ორგანიზაციაში შეიძლება იპოვონ, მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ შეიარაღებული აჯანყება იგეგმება. იქ დასახელებული იყო რაიონები და მიწერილი ჰქონდა კონკრეტულ რაიონში ჩვენს მომხრეთა რაოდენობა. „სამართლიანობაში“ აქციები და სხვა პარტიული ღონისძიებები მართლაც იყო დაგეგმილი, მაგრამ — არა შეიარაღებული. ჩვენმა „ყოჩაღმა“ პოლიციელებმა კახა ქანთარიას კორპუსის საერთო სარდაფში „აღმოაჩინეს“ დიდძალი იარაღი. იმ სარდაფით წლებია, არც ერთ მეზობელს არ უსარგებლია, აქვს „ფორმალური“ კარი, რომელიც ერთი დარტყმითაც კი შეინგრევა. გამჩხრეკები ამას ხომ ვერ იკადრებდნენ!.. ამიტომ, კახა ქანთარიასგან გასაღები თავაზიანად მოითხოვეს. კახას გასაღები არ აღმოაჩნდა, ამიტომ, მეზობლის შენუხებამ მოუწიათ; სარდაფი გააღეს და... გონიერი კაცი ყველაფერს მიხვდება: ის იარაღი სარდაფში მათ მიერვე იყო შეტანილი. თუ ეს ასე არ არის, რატომ არ დააპატიმრეს ის მეზობელი, რომელსაც გასაღები ებარა? არც ჰკითხეს — იცოდა თუ არა მან რაიმე ამ არსენალის შესახებ.



ერთი ვერსია, რომელიც მუშავდება, ეს არის ავტოავარია ან რალაც მსგავსი. თუ ეს საეჭვო სახეს მიიღებს, მაშინ, იგორ გიორგაძის პოლიტიკური გარემოცვის შიდა გარჩევის საფუძველს უნდა დაპატიმრებოდეს. ეს ვერსია, ჩემი აზრით, ვერ „გაიხარება“ და აქედან გამომდინარე, ნაკლებად მემინია. არის მეორე, უფრო რისკიანი ვერსია: როგორც ვანო მერაბიშვილი დაიქაუნა, ეს დასაწყისია და ჩვენ უფრო სერიოზული დაპატიმრებების სერია გველის წინ. უფრო ვიწრო წრეში ამას მეორე რაუნდი დაარქვეს, ჩვენ კი — რეპრესიებს ვეძახით. სავარაუდოდ, მე ალბათ, მეორე რაუნდისთვის ვყავარ ამ ხელისუფლებას „შემონახული“, სხვა — უფრო მკვეთრი ისტორიის მქონე პოლიტიკურ ფიგურებთან ერთად — და, რაც ყველაზე სავალალოა, მაქვს ინფორმაცია, რომ იგეგმება ბევრი, საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი სახის დაპატიმრება, ისეთებისა კი, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო პოლიტიკასთან. ძალიან მიჭირს კონკრეტულ პირებზე საუბარი, მიჭირს თუნდაც იმიტომ, რომ დაუჯერებლად მეჩვენება, ამიტომ თავს შევიკავებ მათი დასახელებისგან, არ მინდა, ამ თემის პროვოცირება მოვახდინო.

მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადაუხადო ლეიბორისტული პარტიის ლიდერს. მან სხვა პარტიებისგან განსხვავებით, ღიად გამოხატა პროტესტი ბოლო დღეებში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. ხელისუფლებამ, ჩემი აზრით, ამ „სვლით“ ქულები

ვერ დაინერა. როცა მე „კავკასიაზე“ გამოვიდი, პირველი კარგი SMS-ის წამოსვლისთანავე, პირველად ამ ტელევიზიის ისტორიაში, ტელეფონიც გაითიშა და ინტერნეტიც... ქუჩაში შემხვედრი ხალხი „ორმაგი“ სახით მიყურებს: ზოგი გაონგებულა, ზოგი ვერ ფარავს სიხარულს: „ჯერ კიდევ გარეთ ხარ?“ — მეკითხება; — მაგრამ ის, რომ მათ სახეზე ნამეკითხოს — „შენ ვინ ყოფილხარ, შეიარაღებული ძალებით ამხობდი ხელისუფლებას!“ — არ მომხდარა. შესაძლოა, ეს იმიტომ ხდება, რომ მათ სჯერათ — არანაირი კავშირი არ მაქვს შეიარაღებულ ამბოხთან, ან არა და, მათ ისე მოაბეზრა თავი ხელისუფლებამ, შესაძლოა, არც ამ შეიარაღებული ამბოხის საწინააღმდეგო ჰქონდეთ რამე.

ეს ხელისუფლება თვითონ ღალატობს საკუთარ ქვეყანას და ჩვენ გვინოდებენ მოლაღატებებს?! გიგი უგულავამ ფილიპე მახარაძეს შემადარა. ეტყობა, ეზოების დაგვას მორჩა და იმასაც მიხვდა — ქვარომ დადონ მის ადგილზე, მთავარია, ხელისუფლებას უერთგულოს და თბილისის მერად იმ ქვასაც გაიყვანენ. ახლა ცდილობს, ხელისუფლებისადმი ერთგულება პოლიტიკური განცხადებით დაამტკიცოს. ის, თუ რამდენად ვგავარ მე ფილიპე მახარაძეს ან სერგო ორჯონიკიძეს, — საზოგადოებამ გადაწყვიტოს.

ხელისუფლება პოლიტიკური ოპოზიციის პირით გვივრცელებდა ხმებს, თითქოს მიტინგზე მისულ ხალხს 10-10 ლარს ვუხდიდით. ეს სიცრუეა, ამის

მომსწრე არასოდეს ვყოფილვარ. მაგრამ ის კი ვიცი, რომ ეს მთავრობა, რომელიც ოფიციალურად ფინანსდებოდა სოროსისგან და უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან ჰქონდა კავშირი, მიტინგზე მომსვლელებს 20-25 დოლარს უხდოდა, ხოლო თუ იმ დღეს წვიმიანი ამინდი დაემთხვეოდა, თანხაც იზრდებოდა. ვერ გავიგე, ქვეყანაში რევოლუციის შემდეგ ყველაფერი გაძვირდა და მიტინგზე მისვლა გაიადფდა?!

დაგეგმილი მაქვს შეხვედრები სხვადასხვა ორგანიზაციასთან, არასამთავრობოებთან, საელჩოებთან, შესაძლოა, მოვანყოთ პიკეტი სააპელაციო სასამართლოსთან. ვიმსჯელებთ ფართომასშტაბიანი, პერმანენტული აქციების მოწყობაზე, მშვიდობიან რევოლუციაზე, რომელიც წარიმართება ერთი მოთხოვნით — „გადადგეს ხელისუფლება!“ — ხელისუფლება, რომლისგანაც კარგს არაფერს უნდა ელოდე. ეგენი თვითონ, ერთმანეთს უსწორდებიან იარაღით. ეს ხელისუფლება ყოფილი „სამეულის“ (საკაშვილი, ბურჯანაძე, ჟვანია) ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ფიგურის მკვლელია. ეს ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს. ჩვენს აქციებზე შეიძლება, ვერ შევკრიბოთ 100-200 ათასი ადამიანი, მაგრამ ვინც მოვა, ყველას გააზრებული ექნება გადადგმული ნაბიჯის მნიშვნელობა. ეცოდინებათ, რომ ჯობია, ტყვია მოხვდეთ, ვიდრე შვილები გაზარდონ იმ ქვეყანაში, რომელსაც ეს გადაგვარებული კასტა მართავს.



ქვეყანა, კაცობა...

დასაწყისი იხ. გვ. 7

„კავკასიაში შემოდგომა ბრილი ვერტმფრენით იქნება“... (KM.RU)

3 სექტემბერს, ვერტმფრენ V8-8-სთვის ცეცხლის გახსნის შემდეგ, რომელშიც საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი ზაზა გოგავა ისხდნენ, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სიტუაცია კვლავ დაიძაბა.

სამხრეთ ოსეთმა ცეცხლის გახსნის ფაქტი დაადასტურა. აულიარებელი რეს-

საქართველო გარკვეული ხნით დაშოშმინდა და კონფლიქტის ზონაში მეტ-ნაკლებად წესიერად იქცეოდა. მაგრამ ბოლო ხანებში სიტუაცია კვლავ გართულდა... საქართველო განზრახ და დემონსტრაციულად არღვევდა სამხრეთ ოსეთის საჰაერო სივრცეს, რამაც სამხრეთელ ოსებს მოთმინების ფიალა აუფსო და ქართულ ვერტმფრენს ცეცხლი გაუხსნეს. მინდა იმედი ვიქონიო, რომ ეს დემონსტრაციული აქცია ქართველ სამხედროებს სამხრეთ ოსეთის პროვოცირების სურვილს დაუკარგავს... სამწუხაროდ, ყველაფრიდან ჩანს, რომ თბილისს სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის საომარი გზით გადაჭრა აქვს განზრახული, რაც კავკასიაში ახალი ომის გაჩაღებამდე მიგვიყვანს. ეს ომი კი, პირველ რიგში, თავად საქართველოს დააზარალებს“.

„საქართველო ბლიცკრიგისთვის ემზადება“ (KM.RU)

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ეჭვობს, რომ საქართველო აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების გზის ერთგული დარჩება. საგარეო პოლიტიკური უწყების განცხადება კოდორში შექმნილი სიტუაციის გამო, რუსეთის ხელისუფლების ოფიციალურ რეაქციას წარმოადგენს.

...მას შემდეგ, რაც ქართველები კოდორში შევიდნენ, იქ ძალების უამისოდაც მყიფე ბალანსი დაირღვა და ახლა აფხაზები სამართლიანად შიშობენ, რომ კოდორის

ოფლების გაყვანის მოთხოვნა საქართველოს ჭეშმარიტ მიზნებს ააშკარავებს.

ბოლო ხანებში პრობლემები მარტო კოდორში როდი შეიქმნა. ქართული ტექნიკა სამხრეთ ოსეთის საზღვარზეც მოგროვდა. ყოველ შემთხვევაში, ამას ირწმუნებიან ოსები, რომლებიც საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების ვერტმფრენთან დაკავშირებული ინციდენტის შემდეგ, განსაკუთრებით დაძაბულნი არიან. ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების ზონებში მომხდარ პროვოკაციებს და აგრეთვე, ქართული ოპოზიციის მიმართ განხორციელებულ პოლიტიკურ რეპრესიებს ანალიტიკოსები ერთი ჯაჭვის რგოლებად აღიქვამენ. სწორედ ამაზე ლაპარაკობს პოლიტიკური და სამხედრო ანალიზის ინსტიტუტის განყოფილების გამგე სერგეი მაკედონოვი.

მისი აზრით — „ქართული პოლიტიკის მთავარი მიზანია, ეს კონფლიქტები არაა საქართველოს შიგნით, არამედ რუსულ-ქართულ ურთიერთობებში არსებულ პრობლემად წარმოგვიდგინოს. მთელი ამ პოლიტიკის მეორე მიზანი კი, საერთაშორისო საზოგადოების და პირველ რიგში, ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან ერთმნიშვნელოვანი მხარდაჭერის მიღწევაა.

უნდა ითქვას, რომ შექმნილი სიტუაცია მთელი რეგიონის უსაფრთხოებას უქმნის საფრთხეს. სააკაშვილის რეჟიმი სულ უფრო და უფრო ავტორიტარული ხდება. ეს კი ის მნიშვნელოვანი ასპექტია, რომელიც რუსულმა დიპლომატიამ ძალზე სერიოზულად უნდა განიხილოს და წარმოაჩინოს...“

თბილისის ქმედებების ზედაპირული ანალიზითაც კი ცხადი ხდება, რომ საქართველო ბლიცკრიგისთვის ემზადება. სააკაშვილი, რომლის მმართველობის პერიოდში ქვეყანამ ვერც ეკონომიკაში და



პუბლიკის ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის განცხადებით, ეს ფაქტი საქართველოს მხრიდან სამხრეთ ოსეთის საჰაერო სივრცის დარღვევის გამო მოხდა. ოქრუაშვილი ცეცხლის გახსნის მოტივს არადაამაჯერებლად მიიჩნევს და აცხადებს, რომ „სამხრეთ ოსეთის საჰაერო სივრცე ბუნებაში უბრალოდ, არ არსებობს“.

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული შერეული სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობა ქართული ვერტმფრენის დაცხრილების ფაქტს ადასტურებს და იმასაც აცხადებს, რომ ქართული ვერტმფრენის გადაფრენამ ამ რაიონში სისტემატური ხასიათი მიიღო, რაც შერეული საკონტროლო კომისიის 2002 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილების აშკარა დარღვევაა. ამასთანავე, შერეული ძალების მეთაურის თანაშემწემ, კაპიტანმა ვლადიმერ ივანოვმა ისიც აღნიშნა, რომ სამხრეთ ოსეთის მხრიდან იარაღის გამოყენებაც მხარეებს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიღწეული შეთანხმებების დარღვევას წარმოადგენს.

საქართველოში ვერტმფრენისთვის ცეცხლის გახსნის ინციდენტში კვლავ კრემლის კვალი დაინახეს. შექმნილი სიტუაციის კომენტარებისას, დსთ-ის ქვეყნების ინსტიტუტის ექსპერტმა მიხაილ ალექსანდროვმა განაცხადა: „სამხრეთ ოსეთში 2004 წლის მარცხის შემდეგ,

ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების ზონებში მომხდარ პროვოკაციებს და აგრეთვე, ქართული ოპოზიციის მიმართ განხორციელებულ პოლიტიკურ რეპრესიებს ანალიტიკოსები ერთი ჯაჭვის რგოლებად აღიქვამენ

ხეობა სოხუმის წინააღმდეგ მიმართული ძირგამომთხრელი საქმიანობის ცენტრად გადაიქცევა. ხოლო იქ აფხაზეთის მარიონეტული მთავრობის განთავსება ცეცხლზე ნავთს დაასხამს.

ამ სიტუაციაში, ყველაზე უსიამოვნო მაინც ისაა, რომ თბილისი მიღწეულ მოლაპარაკებებს ცალმხრივად არღვევს და არც იმის გარანტია არსებობს, რომ მსგავსი რამ მომავალში მაინც აღარ განმეორდება. მოსკოვი მიიჩნევს, რომ მიღწეული შეთანხმებების რევიზია და კონფლიქტის ზონიდან რუსი მშვიდობისმყ-

ვერც პოლიტიკაში რაიმე, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან წარმატებას ვერ მიაღწია, საკუთარი შერეული ავტორიტეტის აღდგენას ძალისმიერი გზით ცდილობს. როგორც ჩანს, მას მოლაპარაკებების პროცესი შეგნებულად შეჰყავს ჩიხში, რათა შემდგომ, ის უპერსპექტივოდ გამოაცხადოს და საომარ მოქმედებებზე გადავიდეს. საეჭვოა ნათელია, რომ ეს გზა ქართველ ლიდერს ყოვლისმომცველ მარცხს უქადის, რომლის შემდეგაც საქართველო კარგა ხანს ვეღარ დადგება ფეხზე... ■

„ბაზისბანკი“ სტუდენტებს სესხებს გამარტივებული პირობებით სთავაზობს

სააქციო საზოგადოება „ბაზის-ბანკი“ ერთიან ეროვნულ გამოცდებში წარმატებულ ახალგაზრდებს სტუდენტური სესხებით დააფინანსებს. ახალი საკრედიტო პროდუქტის პრეზენტაცია რამდენიმე დღის წინ, „ბაზისბანკის“ ახალ ოფისში (ი. ჭავჭავაძის №41) შედგა და საკმაოდ დიდი ინტერესიც გამოიწვია. „ბაზისბანკი“ სტუდენტებს სტუდენტურ სესხებს გამარტივებული პირობებით სთავაზობს, რაც მათ საშუალებას მისცემთ, სრულყოფილი უმაღლესი განათლება მიიღონ.

„ინვესტიცია ჩვენს მომავალში, რომელიც წამგებია არასოდეს იქნება. „ბაზისბანკი“ განათლების სისტემას ნდობას უცხადებს, რაც ჩვენი მხრიდან საკმაოდ დასაფასებელია“ — ასე შეაფასა „ბაზისბანკის“ მორიგი სიახლე პრეზენტაციაზე მონაწილე განათლების მინისტრმა ალექსანდრე ლომიაძემ.

„ბანკი მზად არის, განათლების სისტემის გაუმჯობესებასა და სტუდენტური პოტენციალის ამაღლებაში საკუთარი წვლილი შეიტანოს. სწორედ ამის მაგალითია „სტუდენტური სესხების“ პროგრამის დახვეწა, გამარტივება და მისი განხორციელება. ჩვენ სტუდენტებს სრულიად ახალ, სხვა კომერციული ბანკებისგან განსხვავებულ პროგრამასა და სესხის გამარტივებულ პირობებს ვთავაზობთ. ჩვენი სესხები სტუდენტებზე გათვლილი, სესხის დაფარვას ისინი სწავლის დასრულების შემდეგ დაიწყებენ ანუ როდესაც პროფესიონალებად ჩამოყალიბდებიან. პროგრამის აზრიც ამაში მდგომარეობს, სესხს იღებს სტუდენტი, ხოლო აბრუნებს პროფესიონალი“, — აღნიშნა „ბაზისბანკის“ გენერალურმა დირექტორმა ზურაბ ციხისთავმა.

როგორც პრეზენტაციაზე ითქვა, ახალი პროგრამა სამი ტიპის სტუდენტურ სესხს ითვალისწინებს.

პირველი ტიპის სესხი ბაკალავრიატის სასწავლო პროგრამის დაფინანსებას ითვალისწინებს. სესხის ვადაა 10 წელი, თანხა, სწავლის ღირებულების შესაბამისად, მაქსიმუმ 10 ათას ლარს შეადგენს, წლიური საპროცენტო განაკვეთი კი — 15 პროცენტს. სესხის აუცილებელ პირობას განათლების სამინისტროს მიერ სწავლის ღირებულების თანადაფინანსება წარმოადგენს. სტუდენტები თანხის გადახდას სწავლის დასრულების შემდეგ დაიწყებენ. კერძოდ, 5 წელი — საშელავათო პერიოდია, როდესაც სტუდენტი იხდის მხოლოდ პროცენტს, შემდეგი 5 წლის განმავლობაში ხდება ძირითადი თანხის დაბრუნება.

სესხის მეორე ტიპი სამაგისტრო სასწავლო პროგრამის დაფინანსებას გულისხმობს და პირობები თითქმის ბაკალავრიატის პროგრამის იდენტურია. სესხის ვადა 5 წელია, წლიური საპროცენტო განაკვეთი 15 პროცენტს შეადგენს, ხოლო სესხის მოცულობა სწავლის ღირებულებაზე დამოკიდებული. მისი დაფარვის გრაფიკი 2-წლიან საშელავათო პერიოდს მოიცავს და ძირითადი თანხის დაბრუნება 3 წლის განმავლობაში მოხდება.

სესხის მესამე ტიპი მოკლევადიანი სემესტრობრივი, სტუდენტური სესხია, რაც „ბაზისბანკის“ მიერ შემუშავებულ ახალ პროდუქტს სხვა ბანკების ინიციატივებისგან განასხვავებს. სესხის ვადა 6 თვეა. კერძოდ, ყოველთვიურად დაიფარება მხოლოდ პროცენტი, ძირითადი თანხის დაბრუნება კი სესხის აღებიდან 6 თვის შემდეგ მოხდება. ამ შემთხვევაში სესხის საპროცენტო განაკვეთი ნაკლებია და 12 პროცენტს შეადგენს. როგორც ირკვევა, გაცემული სესხის საპროცენტო განაკვეთი დიფერენცირებულია და მხოლოდ სესხის ვადების მიხედვით განსხვავდება.

სესხების გაცემა 11 სექტემბრი-

დან დაიწყო და ბანკი ყველა კატეგორიის სტუდენტებს მასთანაბარი პირობებით სთავაზობს, ამასთან, სტუდენტური სესხების გამცემი 4 კომერციული ბანკის მიერ შემუშავებული ახალი საბანკო პროდუქტისგან განსხვავებით, „ბაზისბანკის“ სესხი ყველაზე გრძელვადიანია და საპროცენტო განაკვეთიც საკმაოდ დაბალია. „საუკეთესო პირობებით დაკრედიტება — ჩვენი ბანკის პრიორიტეტია“, — აღნიშნავს „ბაზისბანკის“ გენერალური დირექტორი და მიაჩნია, რომ სხვა ბანკებთან უპირატესობას, სწორედ მისი არჩეული პრიორიტეტი განაპირობებს.

საქართველოში შექმნილ მძიმე ეკონომიკურ ფონზე მსგავსი პროდუქტი ბანკისთვის მაღალ რისკებს შეიცავს, მაგრამ „ბაზისბანკის“ ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ უახლოეს მომავალში ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდება და მათი კლიენტები შეძლებენ მის დაფარვას. გარდა ამისა, ბანკი გამორჩეულ სტუდენტებს სწავლის დასრულების შემდეგ სამუშაო ადგილებს სთავაზობს, თუ მათ ამის სურვილი გაუჩნდებათ.

აღნიშნული პროდუქტი აპრობირებულია დასავლეთის ქვეყნებში, სადაც წამყვანი ბანკები უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს ანალოგიურ მომსახურებას სთავაზობს. „ბაზისბანკში“ მიაჩნიათ, რომ სტუდენტური სესხი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საქართველოში ამა თუ იმ დარგის სპეციალისტების კვალიფიკაციასა და განვითარებაშიც.

„პროგრამა მომავალში კიდევ უფრო დაიხვეწება და სხვა, ახალ პერსპექტიულ წინადადებებსაც შევთავაზებთ წარმატებულ სტუდენტებს“, — იმედოვნებენ „ბაზისბანკში“.

Ⓜ

თაღლითი ნოტარიუსები

თაღლითობაში ბრალდებული ქალები სასამართლომ დამნაშავედ ცნო

აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე საბოლოო განჩინება უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ გამოიტანა. თუმცა, ამ გადაწყვეტილებას კიდევ ორი განაჩენი უძღოდა წინ. ორივე იუწყებოდა, რომ თბილისელი ქალბატონები, რომელთაც პროკურატურამ თაღლითობაში დასდო ბრალი, დამნაშავეები იყვნენ. განაჩენი უზენაესმა სასამართლომაც დაადასტურა. გასამართლებული ქალბატონები 50 წელს მიღწეულები, ქმარშვილიანები, უმალლესი განათლების მქონენი გახლავნენ. წარსულში არც ერთი მათგანი ნასამართლეთი არ ყოფილა. თუმცა, როგორც პროკურატურა აცხადებს, დანაშაულებრივ საქმიანობას ისინი წლების მანძილზე ეწეოდნენ. ბრალდების თანახმად, მათი სახით, საქმე გვაქვს დამნაშავეთა ჯგუფთან, რომელმაც უკანონო ქმედებების შედეგად, მოტყუების გზით, კერძო პირებისგან დიდი თანხების გამოძალვისა და მითვისების მიზნით, არაერთი მოქალაქე დაზარალა. საბრალდებო დასკვნაში ასეთი დანაშაულის 19 ეპიზოდი და 19 მატერიალურად და მორალურად განადგურებული ოჯახი ფიქსირდება...

გამოძიების მასალებში აღნიშნულია, რომ ქალბატონები თავს ნოტარიუსებად ასალებდნენ. ამის დამადასტურებელი საბუთის წარდგენაც ნებისმიერი კლიენტისთვის შეეძლო და სანოტარო ბიუროც გახსნილი ჰქონდათ. სამუშაო უზნადა, ოფიციალურად, ჩუღურეთის რაიონი და მისი 14 ქუჩა განესაზღვრათ. ბიუროს ხელმძღვანელს — ნანა კილასონიასა და მის მეგობარ ქალბატონებს, ბრალდების თანახმად, იმ დროისთვის სამოქმედო გეგმა უკვე შედგენილი ჰქონდათ. გეგმის მიხედვით, მათ, სესხის მაღალი საპროცენტო ანაზღაურების გადახდის დაპირებით, ფულის გასესხებისა და სესხების მსურველები უნდა მოეზიდათ. მათ მოაჩვენებდნენ, თითქოს, სესხის უზრუნველყოფის საგარანტიოდ, კანონის სრული დაცვით გააფორმებდნენ გამსესხებელსა და მსესხებელს შორის შესაბამის დოკუმენტებს — სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებებს, სინამდვილეში კი, კლიენტებს მხოლოდ ყალბ ქალაქდებზე მოაწერინებდნენ ხელს. ამ გზით მიღებულ თანხას მთლიანად თვითონ მითვისებდნენ.

ნოტარიუსის ნიღაბს ამოფარებული თაღლითი ქალები გეგმას წარმატებით ახორციელებდნენ და დასახულ მიზანს

საკმაოდ იოლად აღწევდნენ. კლიენტების ნდობის მოსაპოვებლად, გარკვეული თანხის გაღება თავადაც უხდებოდათ, თუმცა, ამ ფულს სიამოვნებით იმეტებდნენ, რადგან სამაგიეროდ, შეუდარებლად დიდ თანხას ითვისებდნენ. მაგალითად, გამსესხებელს, თვალის ასახვევად, მოტანილი სოლიდური თანხიდან პირველი თვის 10%-ს მაშინვე უხდიდნენ, მომდევნო თვეებში კი, პროცენტის გადახდას სხვადასხვა მოტივით აჭიანურებდნენ და საბოლოოდ, აღარც პროცენტებს და აღარც ძირითად თანხას არ უბრუნებდნენ.

საქმის მასალების მიხედვით, თაღლითები მხოლოდ ამ კუთხით როდი „მუშაობდნენ“. დანაშაულებრივი ჯგუფის საქმიანობა მრავალმხრივი გახლდათ. ერთ-ერთ წარმატებულ მეთოდს წარმოადგენდა ბინების გაქირავება-დაგირავებაც. ბრალდების თანახმად, ჯგუფის ლიდერი — კილასონია თავის თანამზრახველებს ავალებდა, წინასწარ შეერჩიათ პრესტიჟულ ადგილებზე მდებარე, ძვირად ღირებული საცხოვრებელი ბინები, რომელთა მეპატრონეებსაც მათი გაქირავება ან დაგირავება სურდათ; შერჩეულ ბინებს კილასონია თავად ქირაობდა — რა თქმა უნდა, თაღლითთა ჯგუფის ბიუჯეტის ხარჯზე; — თანამზრახველთა თანადგომითა და დახმარებით აყალებდა დოკუმენტებს და თვალახვეულ და მოტყუებულ სახლის მეპატრონესთან სასურველი ხელშეკრულების გაფორმებას ახერხებდა. „ნოტარიუსი“ კილასონია არ იკვლევდა მხარეების უფლებამოსილებას, არ ითხოვდა შესაბამის დოკუმენტებს და სავალდებულო ფორმის დაუცველად აფორმებდა სანოტარო აქტებს, რომელთაც ერთსა და იმავე სარეგისტრაციო ნომერს ანიჭებდა. საკუთარი ხელით დამოწმებულ ხელშეკრულებებს კილასონია თვითონვე იტოვებდა და კლიენტს უცხადებდა, რომ დოკუმენტს საჯარო რეესტრში გაატარებდა. სინამდვილეში, ამას არასდროს აკეთებდა. ის სესხებს უზრუნველყოფის გარეშე ტოვებდა და ასე ატყუებდა მოქალაქეებს, რომელთაგანაც დიდი რაოდენობით თანხებს ითვისებდა, ზოგს — ყოველგვარი შემოსავლის, ზოგსაც — უსახლკაროდ, ღია ცის ქვეშ ტოვებდა...

კილასონიასთან ერთად, სასამართლოს წინაშე სამი ქალბატონი, მისი თანამზრახველები და ზემოთ აღნიშნული „სანოტარო ბიუროს“ თანამშრომლები — გულნაზ მანჯავიძე, ნათია ფაცაცია და ირმა ავალიშვილი წარდგნენ. წინასწარი გამოძიების პერიოდში მათ ჩადენილი დანაშაული სრულად აღიარეს და სამართალდამცველებს აღიარებითი ჩვენებებიც მისცეს. მაგრამ სასამართლო პროცესზე სიტუაცია შეიცვალა. პროკურატურამ მათ, ორგანიზებულ ჯგუფთან ერთად, წინასწარი შეთანხმებით; არაერთგზის, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, მოქალაქე-

თა მოტყუებით და მართლსაწინააღმდეგოდ, დიდი ოდენობით ფულის მისაკუთრებაში დასდო ბრალი. პროკურატურის მონაცემებით, ჯგუფმა საერთო ჯამში, 135 ათასი დოლარი მითვისა. საქმის სასამართლო განხილვისას, განსასჯელებმა წარდგინებულ ბრალდებაში თავი დამნაშავედ არ ცნეს. ერთ-ერთ მათგანს — ფაცაციას, სასამართლომ თავის დროზე, ალკვეთის ღონისძიების სახით, დანარჩენი ბრალდებულებისგან განსხვავებით, შინაპატიმრობა განუსაზღვრა. ფაცაცია, სასამართლოს წინაშე დადებული პირობის მიუხედავად (რომ ხელს არ შეუშლიდა ძიების მსვლელობას და საქირო დროს, პროცესზე გამოცხადებოდა), მისთვის მინიჭებული პრივილეგიით სარგებლობა გადაწყვიტა, არ დააყოვნა და პირველსავე შესაძლებლობისთანავე მიიშალა. ამის გამო, მის მიმართ აღძრული საქმე ცალკე წარმოებად გამოიყო, მის დაქვანა-დაპატიმრებამდე. დადგენილება შინაპატიმრობის შესახებ გაუქმდა. სასამართლომ ფაცაცია დაპატიმრება ბრძანა. სამართალდამცველებმა მისი ადგილსაყოფელიც მალე დაადგინეს. ხელახლა დაპატიმრებული ფაცაცია სასამართლოს წინაშე თავს იმით იმართლებდა, რომ იმ პერიოდში ძლიერ ავად გახდა. მაგრამ ავადმყოფობის დამადასტურებელი ცნობა მას და მის ადვოკატს პროცესზე არ წარმოუდგენიათ. ამის გამო, მათი მოთხოვნა — კვლავ ძალაში დარჩენილიყო დადგენილება შინაპატიმრობის შესახებ — სასამართლომ არ დააკმაყოფილა.

ადვოკატები თავიანთი დაცვის ქვეშ მყოფების გამართლებას მოითხოვდნენ. მათი თქმით, კილასონიასა და მის თანამშრომლებს არც ერთი კლიენტის ნდობა ბოროტად არ გამოუყენებიათ და არც ფული გამოუძალავთ ვინმესთვის. „დაზარალებულად ცნობილი პირები რეალურად, კრედიტორები არიან და მათ თავიანთი ნებითა და სურვილით გაასესხეს ფული. რეალურად, არც კილასონიას, არც ბიუროს რომელიმე თანამშრომელს ამ კლიენტებისგან თანხა არ მიუღიათ, თანხას იღებდა მსესხებელი, რომლებიც ვალდებული იყო, გამსესხებლისთვის პროცენტები და ძირითადი თანხა გადაეხადა. რაც შეეხება კილასონიასა და დანარჩენ განსასჯელებს, ისინი სანოტარო ბიუროს წარმოადგენდნენ და შესაბამის ვალდებულებებს ახორციელებდნენ. პროკურატურას მათი ქმედებების უკანონობის დამამტკიცებელი საბუთი, გარდა დაზარალებულების უსაფუძვლო და წინააღმდეგობრივი ჩვენებებისა, არ გააჩნია. დაზარალებულთა ასეთი ჩვენებების საფუძველზე არ შეიძლება, ამ ქალბატონების დამნაშავეებად გამოცხადება“, — აღნიშნა პროცესზე დაცვის მხარის წარმომადგენელმა. მაგრამ სასამართლომ ადვოკატის ეს არგუმენტი არ გაიზიარა. მოსამართლეებმა აღნიშნეს, რომ დაზარალებ-

ბულთა სიტყვებში ეჭვის შეტანა არ შეიძლება, რადგან მათი ჩვენებების სისწორე იპოთეის ხელშეკრულებებითა და გრაფიკული ექსპერტიზითა დადგინდა. გარდა ამისა, საქმის მასალებში არსებობს მონშეთა ჩვენებებიც, რომლებიც კილასონიასა და მისი თანამზრახველების მიერ ყალბი დოკუმენტების დამზადებას, კერძოდ, პირადობის მონშობებში სხვისი სურათების ჩაკვრას ადასტურებს. არსებობენ იმის მონშებებიც, თუ როგორ გაინაწილეს ჯგუფის წევრებმა ერთმანეთში აღებული თანხა. სხვათა შორის, კილასონიას ადვოკატმა პროცესზე აღნიშნა, რომ მის დაცვის

ქვეშ მყოფმა ერთ-ერთ დაზარალებულს 10.500 დოლარი აუნაზღაურა. ამის გამო, ადვოკატის თქმით, ბრალდების ამ ეპიზოდში კილასონიას მიმართ საქმე უნდა შეწყვეტილიყო. კილასონია არც დანარჩენ ეპიზოდებში ცნობდა თავს დამნაშავედ და ამბობდა, რომ დანარჩენი კლიენტებისგან მას ფული არ მიუღია, თუმცა, მის სანინააღმდეგოდ მეტყველებდა მისივე განცხადება, ერთ-ერთი დაზარალებულისთვის ფულის ანაზღაურების შესახებ. ეს ერთგვარად, პროკურატურის ბრალდების დადასტურება იყო. სასამართლომ არც კილასონიას, არც

დანარჩენი განსასჯელების პოზიცია არ გაიზიარა. ჩადენილი დანაშაულისთვის მოსამართლეებმა მათ დაზარალებულთათვის მიყენებული მატერიალური ზარალის სრულად ანაზღაურება დააკისრა; გარდა ამისა, ისინი თავისუფლების აღკვეთითაც დასაჯა. კილასონიას, როგორც ჯგუფის ლიდერსა და აღნიშნული საქმიანობის ინიციატორს, 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დანარჩენებს — 5-5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, საერთო რეჟიმის სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოხდით.

"მან გარდაცვლილი დედის შეურაცხყოფა ვერ აიტანა..."

საკუთარ დაზარალების დეიზი ჩადენილი საზინაოლი დანაშაული

სისხლის სამართლის საქმე, რომელიც შურისძიების მოტივით ჩადენილ საზინაო მკვლელობას ეხება, თავდაპირველად, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ განიხილა. 27 წლის განსასჯელი, ორი მცირეწლოვანი შვილის მამა სასამართლომ დამნაშავედ გამოაცხადა და ჩადენილი მკვლელობისთვის 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მკაცრი რეჟიმის სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოხდით. განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულმა თანამშრომელი მოკლა.

ბრალდების მხარე მთელი კატეგორიულობით აცხადებდა, რომ დანაშაული წინასწარი განზრახვით იქნა ჩადენილი. პროკურატურის პოზიციას მხარს უჭერდა დაზარალებულიც.

როგორც გამოძიების მასალებშია აღნიშნული, დანაშაული გარდაცვლილი დედის შეურაცხყოფამ გამოიწვია. სასიკვდილო ჭრილობები დამნაშავემ თავის თანამშრომელს დანით მიაციწა. მანამდე კი, სცემა იგი. მძიმედ დაჭრილმა, რალაც მომენტში, შურისძიების სურვილით აღესილი, შეიარაღებული თანამშრომლისგან, რომელიც მას მოკვლას უპირებდა, თავის დაღწევა მოახერხა, მაგრამ ბედისწერას მაინც ვერსად გაექცა... მკვლელი გაქცეულს დაედევნა, დაენია თუ არა, მაშინვე წააქცია მძიმე ჭრილობისგან ისედაც ღონემიხდილი და დანა ამჯერად, სიცოცხლისთვის უფრო სასიფათო ადგილას — გულმკერდის არეში ძლიერად ჩაარტყა. დაჭრილი ადგილზევე გარდაიცვალა...

საბრალდებო დასკვნაში (რომელიც შემდეგ, სასამართლო განაჩენმაც დაადასტურა) მოყვანილ დანაშაულის დეტალებს, 1978 წელს დაბადებული მირიან მუმლაძე (მოქმედ პირთა გვარები შეცვლილია) და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი თავიდანვე აპროტესტებდნენ. აღსანიშნავია, რომ მუმლაძე საქართველოში დღემდე მოქმედი

ერთ-ერთი მსხვილი კომპანიის წარმომადგენელი გახლდათ. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის — განზრახ მკვლელობისთვის მისი დაკავების ფაქტმა გარემო მყოფები შოკში ჩააგდო. დაპატიმრებულ მუმლაძეს შინ მეუღლე, ორი მცირეწლოვანი შვილი და ინვალიდი მამა დარჩა. სამივენი მის კმაყოფაზე იყვნენ. პროკურატურის მასალების საპირისპიროდ, განსასჯელს ყველა დადებითად ახსიათებდა. წარსულში ის სასამართლე არ ყოფილა და არც რაიმე კანონდარღვევაში შეუშრწევიათ ოდესმე. სასამართლო პროცესზე მისული ნათესავები აღშფოთებას გამოთქამდნენ პროკურატურის ბრალდების გამო და ამბობდნენ, რომ შეუძლებელი იყო, მუმლაძეს, მისი პიროვნებიდან და ბუნებითი გამოდინარე, ვინმე მოეკლა. იმავს ამტკიცებდნენ თავად მუმლაძე და მისი ადვოკატი. ისინი გამოძიებას ტენციურობაში სდებდნენ ბრალს. პროკურატურის მიკერძოებას კი, დაზარალებული მხარის ზეგავლენით ხსნიდნენ.

მუმლაძე თავს უდანაშაულოდ აცხადებდა, მაგრამ გამოძიების მასალები საპირისპიროზე მეტყველებდა. მომხდარი ფაქტი დეტალებშია აღწერილი: საბრალდებო დასკვნის მიხედვით, მკვლელობა რესტორანში ქეიფის შემდეგ მომხდარ შელაპარაკებას მოჰყვა. იმ დღეს მუმლაძის დაბადების დღე იყო...

ამის აღსანიშნავად მოწყობილ წვეულებაზე მირიან მუმლაძემ მეგობრები და თანამშრომლები რესტორან „მონამეთაში“ დაპატიჟა. საქმის მასალების მიხედვით, სუფრასთან დაახლოებით ათამდე კაცმა მოიყარა თავი. ქეიფისას, თითოეულმა ორ-ორი ლიტრი ღვინო დალია და გვარიანდაც დათვრნენ. ქეიფი ღამის 12 საათამდე გაგრძელდა. წვეულების დასრულების შემდეგ, ყველანი წამოიშალნენ და შინისკენ წავიდნენ. მათგან ოთხი სუფრის წევრი — კომპანიის თანამშრომლები, იუბილარმა თავის ავტომანქანაში ჩასვა, რათა სასაღამუო ისინი თვითონ მიეყვანა. გზაში ერთ-ერთის მობილურმა ტელეფონმა დარეკა. აღმოჩნდა, რომ მათივე თან-



ამშრომელი — თემურ სამხარაძე რეკავდა. მობილურის პატრონმა კითხვაზე — თუ სად იმყოფებოდა? — უპასუხა, რომ მუმლაძის დაბადების დღის წვეულებიდან შინ ბრუნდებოდა და იმწუთას, იუბილარიც მასთან ერთად იმყოფებოდა. სამხარაძემ სთხოვა, მიენოდებინა ტელეფონი მუმლაძისთვის, რის შემდეგაც, მან იუბილარს დაბადების დღე მიულოცა. მუმლაძემ მადლობა გადაუხადა და ტელეფონი პატრონს მიანოდა, თან, სამხარაძის მისამართით უშვერი სიტყვები თქვა. აღმოჩნდა, რომ ტელეფონს კავშირის გამთიშველი ლილაკი დაზიანებული ჰქონდა და ერთი დაჭერით არ ითიშებოდა. ამის გამო, სამხარაძემ მისი მისამართით მუმლაძის მიერ ნათქვამი სიტყვები გაიგონა და განაწყენებულმა, რამდენიმე წამში ისევ დარეკა. მან მუმლაძესთან დალაპარაკება მოითხოვა. ტელეფონით სამხარაძემ მუმლაძეს მის მიერ ნათქვამისთვის პასუხი მოსთხოვა და ჰკითხა, თუ რით დაიმსახურა მისგან ასეთი შეურაცხყოფა? თან, გაბრაზებულმა, მუმლაძეს დედა შეაგინა. მუმლაძემაც მორიგი შეურაცხყოფით უპასუხა...

სატელეფონი დიალოგის დროს წარმოქმნილ კონფლიქტში, მუმლაძის ავტომანქანაში მსხდომი პირებიც ჩაერივნენ. ისინი მუმლაძეს მოუწოდებდნენ, დაშვიდებულიყო. მაგრამ ამ მოწოდებებს შედეგი რომ არ მოჰქონდა, ერთ-ერთმა — გივი მამულაშვილმა მას ტელეფონი ხელიდან გამოსტაცა და

ურჩია, დამშვიდებულიყო და შინ წასულიყო.

მონმეების — მუმლაძის ავტომანქანაში მსხდომი პირების თქმით, მათ არ იციან, თუ რა უთხრა პირველი სატელეფონო საუბრისას სამხარაძემ მუმლაძეს, თუმცა ვარაუდობენ, რომ წესით, მილოცვის გარდა, არაფერი არ უნდა ეთქვა.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, მუმლაძემ მას შეურაცხყოფა სრულიად უსაფუძვლოდ მიაყენა, ზურგს უკან ნათქვამი გინება კი, შემთხვევით, სამხარაძემ გაიგონა. მონმეები თვითონ ჩვენებებში ვერ ასახელებენ მუმლაძის გაღიზიანების მიზეზს. ამის შესახებ გამოძიების მასალებშიც არაფერია ნათქვამი, თუმცა მუმლაძეს სამხარაძისადმი განსაკუთრებული სიმპათიები რომ არ ჰქონდა, ცხადია. ის არც დაბადების დღის წვეულებაზე მიუწვევია. რაც შეეხება აღნიშნული შელაპარაკების შემდეგ ჩადენილ დანაშაულს, — გამოძიება მიიჩნევს, რომ ყველაფერი სამხარაძის მიერ ტელეფონში ნათქვამმა საპასუხო გინებამ გამოიწვია.

შინ მისულმა, მთვრალმა და გაღიზიანებულმა მუმლაძემ ბოლმა ვერ ჩაიხშო და სამხარაძესთან საქმის გარჩევა გადაწყვიტა. იმ დროს უკვე ლამის 2 საათი იყო. საკუთარი ავტომანქანით ის სამხარაძის საცხოვრებელი კორპუსისკენ დაიძრა. თან წაიღო დანაც... სამხარაძეს შეიარაღებული მუმლაძე იქვე, კორპუსთან ახლოს შეხვდა. იმის შესახებ, რომ მასთან შეხვედრა უნდოდა, წინასწარ შეატყობინა. სამხარაძემ დათანხმდა...

შეხვედრა ურთიერთშელაპარაკებით დაიწყო და ამ დროს, მუმლაძემ სამხარაძეს ხელი დაარტყა. როგორც გამოძიების მასალებშია აღნიშნული, მან სამხარაძე სცემა და სხეულის მსუბუქი დაზიანება მიაყენა. სამხარაძე მისთვის წინააღმდეგობის გაწევას შეეცადა, მაგრამ სწორედ ამ დროს, მუმლაძემ (როგორც საბრალდებო დასკვნაში ნე-

რია, განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით) მას წელის არეში ჩაარტყა დანა, რომელიც შეხვედრაზე სპეციალურად წაიღო თან. ჭრილობის მიუხედავად, სამხარაძე მას მაინც დაუსხლტა ხელიდან და გაიქცა. მუმლაძე დაჭრილს დაედევნა, დაენია თუ არა, ნააქცია და ახლა უკვე დანა გულმკერდის არეში ჩაარტყა ძლიერად. ეს ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა. სამხარაძე ადგილზევე გარდაიცვალა, მკვლელმა კი შემთხვევის ადგილი დატოვა...

სულ სხვაგვარად აღწერს მომხდარს მსჯავრდებული — მუმლაძე. აღსანიშნავია, რომ ჩადენილი მკვლელობის შემდეგ, პოლიციის განყოფილებაში ის თავისი ნებით, თანაც — ბრალის აღიარებით გამოცხადდა. მუმლაძემ არ უარყო, რომ სამხარაძის სიცოცხლე სწორედ მის მიერ მიყენებულმა ჭრილობამ შეინარა, მაგრამ სამართალდამცველებს ისიც განუცხადა — მკვლელობა წინასწარი განზრახვით არ ჩამიდენია, მისი მოკვლა არც მიფიქრია, ყველაფერი მაშინ მოხდა, როცა აფექტურ მდგომარეობაში ვიწყოფებოდიო.

მუმლაძის თქმით, სამხარაძე თავად დაესხა მას თავს, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ავტომანქანაში ისხდნენ. „სამხარაძემ, მანქანაში მჯდომს, პირდაპირ კისერში წაავლო ხელები და დახრჩობა დაუპირა, შემდეგ ცემა დაუწყო და ცოლ-შვილი და გარდაცვლილი დედა შეუგინა...“ — აღნიშნა სასამართლო პროცესზე განსასჯელის ადვოკატმა. მან პროკურატურის მიერ მუმლაძისთვის მიყენებული 108-ე მუხლი (განზრახ მკვლელობა) სრულიად უსაფუძვლოდ მიიჩნია და სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით, იგი 111-ე მუხლით (უეცარი, ძლიერი სულიერი აღვლევების მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობა) გადაეკვალიფიცირებინათ. „დანაშაულის ჩადენა გამოიწვია უმძიმესმა, აუტანელმა შეურაცხყოფამ, რომელიც სამხარაძემ მუმლაძეს მიაყენა. მან გარდაცვლილი დედის შეურაცხყოფა ვერ აიტანა.

დედის მისამართით გინებამ მუმლაძე აფექტურ მდგომარეობაში ჩააგდო და მას საკუთარ თავზე კონტროლი დააკარგვინა. ამ შეურაცხყოფის შემდეგ მისი ქმედება სრულიად უმართავი გახდა“, — აღნიშნავდა ადვოკატი.

ყველაფერთან ერთად, ის წინასწარი გამოძიების პერიოდში დაშვებულ პროცესუალურ დარღვევებზეც ამახვილებდა ყურადღებას. „უმართავი დარღვევა ფიქსირდება, მათ შორის მნიშვნელოვანია ის, რომ დადგენილებას საგამოძიებო ვადის გაგრძელების შესახებ ხელს აწერს არა პროკურორი, არამედ მისი მოადგილე, რომელიც არაუფლებამოსილი პირი იყო და იმ დროისთვის არანაირი უფლება არ ჰქონდა, პროკურორის მოვალეობა შეესრულებინა“, — აცხადებდა განსასჯელის დამცველი. მისი თქმით, ყველა ის საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ამ დოკუმენტის ხელმოწერის შემდეგ ჩატარდა, მათ შორის, მონმეების დაკითხვის ოქმებიც, სასამართლოს, ე.წ. დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა ეცნო.

სასამართლომ და სხვათა შორის, არც შემდგომმა ინსტანციებმა, ადვოკატის ეს პოზიცია არ გაიზიარეს და აღნიშნეს, რომ გამოძიება კანონის სრული დაცვით იყო ჩატარებული, დამცველის არგუმენტები კი, საფუძველს მოკლებულია. სასამართლომ არც აფექტის შესახებ ვერსია მიიჩნია სარწმუნოდ. დამნაშავის მიერ განხორციელებული თანამიმდევრული და წინასწარ გააზრებული ქმედებები განზრახვად უფრო მიუთითებდა, ვიდრე უეცარი აღვლევების შედეგად ჩადენილ, გაუცნობიერებელ დანაშაულზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბრალდების მხარემ განსასჯელისთვის 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა. პირველი ინსტანციის სასამართლომ კი გადაწყვიტა, რომ ჩადენილი მძიმე დანაშაულისთვის მუმლაძე უფრო მკაცრად უნდა დასჯილიყო. ■

სასამართლო დარბაზიდან გაძვირებული სემსოტა ისევ დააკავეს

კვალიფიციური მკურნალობის მოთხოვნით, პატიმარმა ფიზიოლოგია გამოაცხადა

პარლამენტარზე თავდასხმაში ბრალდებული შალვა გულიაშვილის დაკავება სამართალდამცველებს ხელმეორედ მოუხდათ, ამჯერად — სასამართლო დარბაზიდან გაქცევისთვის. სწორედ ამისთვის, ძებნილი გულიაშვილი შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა რამდენიმე დღის წინ დააკავეს. შს სამინისტროს პრესსამსახურის ცნობით, სოღის თანამშრომლებმა გულიაშვილის დაკავება ოსური მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე სპეცოპერაციის შედეგად შეძლეს.

შალვა გულიაშვილი, მეტსახელად სემსოტა წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის მრავალჯერ გახლდათ ნასამართლეთ. სამართალდამცველთა ინფორმაციით, ის თბილისში, უცხოური მარკის ძვირად ღირებულ ავტომანქანებს იტაცებდა და სარეალიზაციოდ ცხინვალში გადაჰყავდა. ბრალდების თანახმად, გულიაშვილმა 2005 წლის აგვისტოში, დამნაშავეთა ჯგუფთან ერთად, პარლამენტარი, ფრაქცია „მრეწველების“ წევრი თამაზ ყაჭვიშვილი გაიტაცა და დააყაჩაღა.

შს სამინისტროს ცნობით, დაკავებამდე გულიაშვილი ცხინვალს აფარებდა თავს, იქ მას ერთ-ერთი ოსური კრიმინალური დაჯგუფება მფარველობდა... ■

ე.წ. კანონიერმა ქურდმა მალხაზ ზედელაშვილმა სტაციონარულ დანესებულებაში გადაყვანისა და კვალიფიციური მკურნალობის მოთხოვნით, შიმშილობა გამოაცხადა. ამან ისედაც მძიმე ავადმყოფის მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა. ზედელაშვილის ადვოკატის — გელა ნიკოლეიშვილის თქმით, ყველაფერთან ერთად, მის დაცვის ქვეშ მყოფს ვირთხამაც უბრძანა, ცოფის სანინააღმდეგო ვაქცინის გაკეთებაზე კი პატიმარმა კატეგორიული უარი განაცხადა. „მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მთელი პასუხისმგებლობა სასჯელალსრულების დეპარტამენტს უნდა დაეკისროს“, — აცხადებს ნიკოლეიშვილი.

შეგახსენებთ, რომ მალხაზ ზედელაშვილი 2006 წლის 27 მარტს ციხეში მომხდარი ბუნტის ორგანიზებაშია ბრალდებული. გარდა ამისა, ის 14 წლის წინ ჩადენილი მკვლელობისა და ყაჩაღობისთვისაც გახლავთ გასამართლებული. ზედელაშვილს 23-წლიანი პატიმრობა აქვს მისჯილი. მისი ადვოკატის თქმით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების დასკვნების თანახმად, დადგენილია, რომ ზედელაშვილს თავის ქალის ღია ჭრილობა, ეპილეფსია და მძიმე ნევროლოგიური პათოლოგია აღენიშნება... ■

ვაიბი.ge პარალელური საყაროები

ვირბუალური წყვილის რეალური აზვანი

გვრძელებით

დასაწყისი იხ. „გზა“, №35-36



ვისაც „გზის“ ორ წინამორბედ ნომერში ამ რუბრიკით გამოქვეყნებული მასალა წაუკითხავს, ვფიქრობ, არ დაავიწყდებათ, პანდორასა (იგივე ნატალის) და ზურას დიალოგის შინაარსი. მათთვის კი, ვინც არ გასცნობია, მოკლედ ვიტყვი — წყვილმა ერთმანეთი ინტერნეტ-საიტზე გაიცნო, გასათხოვარ ქალსა და ცოლშვილიან მამაკაცს შორის დიდი სიმართლია გაჩნდა. მათივე ინიციატივით, ამ ურთიერთობის „ონლაინ-რეჟიმში“ მკითხველისთვის შეთავაზება გადავწყვიტეთ.

მარი ჯაფარიძე

24 აგვისტო, ხუთშაბათი.

11:00

პანდორა: დილა მშვიდობის, ზურა, როგორ ხარ? გინერვიულობს, წუხელ რომ უცებ გავქრი, მაგრამ ჩემი ბრალი არ იყო. დენი გამოირთო და იმიტომ მოხდა ასე. ახლა არ გაგიკვირდეს, აჭარაში დენი რატომ გამოირთო. ჩვენთან მოხდა მოკლე ჩართვა. ხელოსანმა მხოლოდ ამ დილით გააკეთა და მაშინვე კომპიუტერს მიუფუჯე. შენ კი აქ არ ხარ... ახლა უნდა წავიდე, დღეს სარფში მივდივარ. საღამომდე არ ვიქნები. კარგად.) — ეს იყოს კოცნა. მე მოვიგონე. შენთვის.

12:46

ზურა: აქ ყოფილხარ და ვერ გნახე... როგორ ხარ? ჰო, ვინერვიულე, უცებ რომ წახვედი. ახლა მშვიდად ვარ. ძალიან მინდოდა, შენთან ჭორაობა გვიანობამდე, მაგრამ არ გამომივიდა. იმედია, ამალამ ვიჭორავებთ. კოცნა მომეწონა.))))))))

15:55

ზურა: ნატალი, იქნებ, გულმა გიგრძნოს, რომ მენატრები და ცოტა ადრე დაბრუნდე, სარფიდან? გელოდები.

18:25

ზურა: ნეტავ, ახლა სახლში რომ წავიდე და ამ საღამოს არ გამოვჩნდე, ინერვიულებ? მითხარი, სულერთია შენთვის, დამელაპარაკები თუ არა?

19:33

ზურა: უკვე მ-ის ნახევარია. ნატალი, მე შენ უნდა წავიდე. იქიდან გეჭორავები, საღამოს. ასე რომ, თუ ახლა მალე

გამოჩნდები, არ გეგონოს, აღარ მოვალ. 22:40

ზურა: როგორც იქნა, გამოჩნდი!))) როგორ ხარ? სარფი როგორ მოიარე? ნეტავ, შენთან ერთად ვიყო!..

პანდორა: ჩემო კარგო, უცებ აგითვისებია სიხალე და „კოცნებს“ ხშირად მიგზავნი. ეტყობა, მოგეწონა. გუშინ ძალზე საინტერესო ადგილზე გაჩერდით. იმას მიყვებოდი, როგორ გაიცანი შენი მომავალი მეუღლე.

ზურა: ჯერ მომიკითხე მაინც, როგორ ვარ?

პანდორა: უი, მაპატიე, როგორ ხარ?

ზურა: კარგად!

პანდორა: ჰოდა, ვიცოდი, რომ კარგად იყავი და იმიტომ აღარ შეგეკითხე.))) თბილისში ცხელა?

ზურა: რა თქმა უნდა, ცხელა. იწვის ყველაფერი. ლამის ხეებს ცეცხლი მოეკიდოს. შენ კი ხარ გრილად და ამინდებიც სწორედ საზღვაოა, არა?

პანდორა: კი, კარგი ამინდია. აქაც ცხელა. შენ რომ არ მიმოიხიდე ნერვებს, მშვენივრად ვიქნებოდი...

ზურა: რაოოოოო??? ნერვებს გიშლი? ესეც ახალი ამბავი... რად მდებ ასე მძიმე ბრალს?

პანდორა: იმის მაგივრად, რომ დავისვენო და ყველანაირი ვალდებულებისგან თავისუფალი ვიყო, იძულებულს მხდი, რომ ყოველ საღამოს (და არა მარტო საღამოს) კომპიუტერთან ვიჯდე და შენ გესაუბრო... ახლა წესით, დამსვენებლები კაფეებსა და ბარებში სხედან და ერთობიან. ექ კი ჩახუთულ ოთახში ვზივარ და კლავიატურაზე ვაკაკუნებ. აბა, ესაა, საქმე?!

ზურა: ძალიანაც კარგი, თუ შენ ხარ და მე მესაუბრები. აბა, ახლა პატიოსან ქალს გარეთ რა უნდა?))) ვინმე თვალს დაგადგამს, გადაგეკიდება, მოსვენებას არ მოგცემს და მერე, სისხლი უნდა დაკლვარო. გეკითხები, რატომ? ასე ჯობია, დამიჯერე...

პანდორა: ოჰ, ოჰ, გამომივიდა ესეც სისხლისმსმელი...!)) ნეტავ, შენ რომ არ

არსებობდი, როგორ ვცხოვრობდი? ვინ იყო ჩემი დამცველი?

ზურა: გოგო, მე რომ არ ვიყავი, მაშინ სხვა იყო. ახლა ხომ ვარ? ჰოდა, რასაც გეუბნები, დამიჯერე. სხვისთვის არ მემეტები და არც იფიქრო, რომ მილაღატო.

პანდორა: საერთოდ, ლალატობენ მას, ვისი კუთვნილებაც არიან. მე შენ ვერაფრით ვერ გილაღატებ, რადგან შენი არა ვარ და არც სიტყვა მაქვს მოცემული, რომ ოდესმე გავხდები...

ზურა: მაგას უკვე შენ აღარ წყვეტ, ჩემო სიხარულო, ეგ ჩემი გადასაწყვეტია და ფაქტობრივად, გადაწყვეტილია...

პანდორა: ვინ მოგცა მაგის უფლება, რომ არჩევანის საშუალებას არ მაძლევ?

ზურა: ჩემო გოგონა, რალაც სხვანაირად ალაპარაკდი და არ მომწონს შენი ჭიკჭიკი. რაშია საქმე? რამ შეგცვალა?

პანდორა: სულაც არა! მე თავიდანვე ასეთი განწყობილებით ვიყავი. საქმე ისაა, რომ შენ მისაკუთრებდი და ახლაც ამას ცდილობ. ხომ არ ფიქრობ, რომ ცოლიანი მამაკაცისა და გასათხოვარი ქალის ურთიერთობა ძალზე რთული იქნება? 32 წლის როცა ხარ, ქალი გათხოვებაზე ფიქრობ და არა საყვარელზე. შენ რას მთავაზობ?

ზურა: ეგ ყველაზე რთული კითხვაა, რომელიც კი ოდესმე დაუსვამთ ჩემთვის. პასუხის გაცემა მიჭირს. ერთადერთი, რაც ზუსტად ვიცი, ის არის, რომ შენი დაკარგვა არ მინდა.

პანდორა: მაშინ, ახლა მე წავალ, ცოტას გავისეირნებ და მერე დავიძინებ. შენ კი მოიფიქრე, რა გინდა და ხვალ მითხარი. თუ ერთი ღამე არ გეყოფა მოსაფიქრებლად, როცა შენ გენდომება, მაშინ მითხარი პასუხი. ახლა კი — კარგად!)))

ზურა: ახლა ვზივარ და გული მაქვს გახეთქვაზე. ეს რა მითხარი?! სიტყვებიც არ მყოფნის იმის გამოსახატავად, რასაც განვიცდი. ეს არის ერთმანეთში არეული სინანული, სიყვარული, შური, აღფრთოვანება, აღმფრთხილება, გაოცება, სევდა

და დარდი... ახლა ჩემს მეგობარს დავურევავ, სადმე წავალ, ცოტა ტვინს „გავანიავებ“, ცოტას დავლევ და მთვრალ გონებაზე უფრო კარგად გადავწყვეტ, რა გავაკეთო. დროებით, ხვალამდე!

25 აგვისტო, პარასკევი.
11:22

ზურა: დილა მშვიდობისა, ჩემო სიხარულო... თავი მისკდება, ისეთი „პახმელია“ ვარ. წუხელ ბევრი დავლიემენატრები. როდის გამოჩნდები? უკვე სამსახურში ვარ, მაგრამ ახლა წავალ და ლუდს დავლევ, რომ ცოტა აზრზე მოვიდე. შენ ალბათ პლაჟზე ხარ, არხეინად წამოწოლილი, მე კი ისეთი საფიქრალი გამოჩნე, თავგზა მქვს აბნეული.

15:26

ზურა: არ გამოჩნებილხარ... ეს ფსიქოლოგის ფსიქოლოგიური სველებია, ალბათ, რომ უფრო შემაყვარო თავი... გელი.)))

18:05

ზურა: შინ მივდივარ. მთელი დღე არ გამოჩნებილხარ. საღამოს რომ ტელეფონის ნომერი არ მითხრა, იცოდე, ჩამოვალ და თავზე დაგადგები... გპირდები... ცუდი გოგო ხარ! არ გკოცნი, რადგან არ იმსახურებ.

23:08

ზურა: როგორც იქნა, გამოჩნდი. რატომ მანერვიულებ?

პანდორა: როგორ ხარ?

ზურა: როგორ ვიქნები შენს ხელში?! ცუდად ვარ. წუხელ წახვედი და საფიქრალი დამიტოვე. დღეს კი მთელი დღე არ გამოჩნდი. ასე უნდა?!

პანდორა: აბა, შენი აზრით, პლაჟზე არ გავიდე? რისთვის ვარ აქ ჩამოსული?!

ზურა: კარგი, ისევ ნუ ვიჩხუბებთ, გთხოვ...

პანდორა: როდის ვიჩხუბებ? მე არ მახსოვს...

ზურა: იცი, არასდროს არავისთან მქონია ასეთი ურთიერთობა. შენთან თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. მოდი, გავაგრძელოთ ურთიერთობა; რომ ჩამოხვალ, შევხვდეთ და მერე გადავწყვიტოთ, ვის რა გვინდა. თანახმა ხარ?

პანდორა: კარგი, მოვილაპარაკეთ! მომიყვი შენი ამბავი, რომელიც გუშინინ დაიწყე.

ზურა: ჰო, იმას ვამბობდი, რომ ჩემი მომავალი მეუღლე სტუდენტობის პირველსავე დღეს გავიცანი. პირველ სექტემბერს უნივერსიტეტში რომ მივედი, აუდიტორიაში შესვლა ცოტა დავაგვიანე. მივდივარ დერეფანში და ვხედავ, რომ კუთხეში გოგონა დგას და ტირის. მივხვდი, ისიც ჩემსავით, პირველკურსელი იყო. დავინტერესდი, რატომ ტიროდა. მივედი და ვკითხე — ლამაზ თვალებს რატომ იწითლებ ცრემლებით-მეთქი (მაშინაც მეხერხებოდა, კომპლიმენტების თქმა)? შემომხედა და მითხრა: აუდიტორიას ვერ მივაგინი, რა მემშველება ახლაო?... სიცილით მოვკვიდი. ვკითხე, რომელ ფაკულტეტზე, რომელ ჯგუფში სწავლობდა და დავხმარე, რომ ადგ-

ილზე მისულიყო. როდესაც აუდიტორიის კართან მივიყვანე, ვუთხარი: რომ არ დაიკარგო, ლექციების შემდეგ ისევ ამ კართან დამელოდე და დაგეხმარები გზის გაგნებაში-მეთქი. სრულიად შემთხვევით, რამდენიმე საათის შემდეგ იმ აუდიტორიასთან გავიარე და რას ვხედავ? ის გოგონა იქ დგას და მოთმინებით ინაცვლებს ფეხს. რომ დამინახა, გახარებული წამოვიდა ჩემკენ — მეგონა, დაგავინყდა, აქ რომ გელოდებოდიო. ხომ არ ვეტყოდი, შემთხვევით გამოვიარე-მეთქი! ისეთი სახე მივიღე, თითქოს მართლა მასთან მივდიოდი. ხელკავი გამოვდე და უნივერსიტეტის ეზოში გავიყვანე. აქედან მე თვითონ წავალ, — მითხრა და გახარებული დამემშვიდობა. აი, ასე გავიცანი ხათუნა. გარეგნობით კარგი გოგონა იყო და მომეწონა კიდეც. თუმცა, მთელი წლის მანძილზე, გამარჯობის მეტი არაფერი მითქვამს მისთვის.

პანდორა: როგორც ჩანს, დედის კალთაზე იყო მიბმული და გაუჭირდა დამოუკიდებლად გზის გაგნება. :)))

ზურა: ის რაიონიდან იყო ჩამოსული და იმიტომ იყო დაბნეული. მაგრამ სასწავლო წლის ბოლოსთვის, უკვე ჩაცმულობაც სხვანაირი ჰქონდა, ქცევაც — გაცილებით თავდაჯერებული. მოკლედ, დამოუკიდებელი გახდა, უცებ მოერგო ქალაქს და ვერაფრით განასხვავებდი, თბილისში გაზრდილი გოგონაგან. პირველი კურსი დავხურეთ. არდადეგების შემდეგ რომ დაებრუნდით, გაცილებით დაქალებული და დასრულებული ჩანდა. მასთან ურთიერთობის გაღრმავებას არ ვქარობდი. რამდენიმე ხნის შემდეგ შევნიშნე, რომ ვილაც ბიჭი აკითხავდა და შინ ერთად მიდიოდნენ ხოლმე. ერთ დღესაც, წინ გადავუდექი და ეჭვიანი ქმარივით ვკითხე — ვინ არის ის ბიჭი, ლექციების მერე რომ გაკითხავს მეთქი? — შეყვარებულიაო, — მიპასუხა. სოფელში ერთად გაიზარდნენ, წინა წელს ის ბიჭი ვერ მოხვედრილა უმაღლესში და იმ წელს „გუპეიში“ ჩარიცხულა. ერთ-მანეთი თითქმის ბავშვობიდან ჰყვარებდათ. ამან გამახელა და უკვე მასთან დაახლოება გადავწყვიტე. როდესაც პაემანი დავეუნიშნე, უარი არ უთქვამს. გამიკვირდა, მაგრამ არ შევიმჩნიე. ჰო, იმის თქმა დამავინყდა, რომ მეორე კურსზე გადასვლასთან დაკავშირებით, მამისგან საჩუქრად ავტომობილი მივიღე. ხშირად ვასეირნებდი ხათუნას თბილისის ქუჩებში და ვგრძნობდი, რომ მოსწონდა ჩემთან ურთიერთობა. მერე მოვთხოვე, რომ იმ ბიჭისთვის აეკრძალა მასთან მოსვლა და აღარ შეხვედროდა. დამემორჩილა. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, მეორე კურსის პირველი სემესტრი რომ დავხურეთ, ზამთრის არდადეგებზე, მეგობრებთან ერთად, ბაკურიანში გავიპარეთ. ის გამოიპარა, რადგან მშობლები არ უშვებდნენ, თორემ, მე რა გაპარვა მინდოდა?! ადგილზე რომ ჩავედით, ბინა ვიქირავეთ.

სულ შვიდნი ვიყავით: 3 ბიჭი და 4 გოგო. გოგონები წყვილ-წყვილად განილდნენ ოთახებში, ბიჭები კი ერთ ოთახში მოვთავსდით. ერთ საღამოს, იმ გოგოს, ვინც ხათუნასთან ერთად იყო ოთახში, ვთხოვე, რომ ცოტა ხნით მართო დავეტოვებინეთ. შუალამდე ვილაპარაკეთ. თურმე, მშობლებს გაუგიათ, რომ მათი ქალიშვილი ბაკურიანში გაპარულა და სწორედ იმ ღამეს თავზე დაგვადგნენ. როდესაც მათი მოსვლის ხმა გაიგონა, ძალზე შეშინდა. დედამისს დანახვისთანავე უთხრა, გავთხოვდიო. არადა, გეფიცები, გულშიც არ მქონია, ასე ადრე ცოლის მოყვანა. ხომ არ ვიტყოდი, გატყუებთ-მეთქი? ჰოდა, დავიბრაღე, რომ ხათუნას ქმარი ვიყავი და რა თქმა უნდა, ველარ გადავტყუამდი. ჩემს ოჯახს შევატყობინე, ცოლი მოვიყვანე-მეთქი. დედაჩემი მოსაბრუნებელი გახდა, მაგრამ რალას იზამდა?! რამდენიმე დღის შემდეგ, ხათუნასთან ერთად, მივადექი ოჯახს. ერთ თვეში კი დიდი ქორწილიც გადავიხადეთ.

პანდორა: მოკლედ, ივანე კოტორაშვილივით, ძალით დაგაქორწინეს?

ზურა: ასე გამოდის. იმას ვერ ვიტყვი, რომ მისი საწინააღმდეგო მქონდა რამე. უბრალოდ, ჯერ არ ვაპირებდი ცოლის მოყვანას და ეგ იყო. ჩვენი ურთიერთობა კარგად წარიმართა. მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ შევნიშნე, რომ ხათუნას პრეტენზიები გაუჩნდა. ძალზე ბევრს ითხოვდა, იცოდა, რომ მამაჩემი კარგ ადგილზე მუშაობდა და შესაბამისად, ფულიც ჰქონდა. ამის გამო ითხოვდა ყველაზე ძვირად ღირებულ ტანისამოსს, ნივთებს... როდესაც დაბადების დღეზე სუნამო ვაჩუქე, უკმაყოფილოდ გააქნია თავი და მითხრა — ამას სჯობდა, ოქროს სამაჯური გეჩუქებინა, ხომ იცი, რომ არ მაქვსო. ერთხელ ვიკამათეთ ამის თაობაზე და ასეთი რამ მითხრა: — მე შენ ცოლად იმიტომ გამოგყვი, ფული რომ გქონდა და ვიცოდი, არაფერს მომაკლებდი, თორემ, უფულო შეყვარებული მყავდა და ის მიყვარდა მაინცო... შოკში ჩავვარდი. ახლა ენანობ, რომ ამ სიტყვების შემდეგ არ გავცილდი. მაშინ უკვე შვილიც გყავდა, მაგრამ ბავშვს ყურადღებას არ მოვაკლებდი. ამ ამბის მერე მის მიმართ გრძნობა გამინელდა. კარგა ხანს არც კი ველაპარაკებოდი. მხოლოდ აუცილებელი ფრაზებით შემოვიფარგლებოდი და ეგ იყო. ამ ამბიდან მეორე დღეს, 2 წლის განმავლობაში პირველად ვუღალატე ცოლს და სინდისის ქენჯნა არ მიგრძნია. გადავწყვიტე — რადგან მას მხოლოდ ფული აინტერესებდა, მიიღებდა კიდეც, ხოლო სიყვარულსა და სითბოს სხვას გაუუნაწილებდი. მალე ერთი კარგი გოგონა მოვძებნე, რომელსაც შევეყვარდი და ჩემი ფული კი არა, მე თვითონ ვაინტერესებდი და მასთან ურთიერთობა ავანყვე. ხათუნა ეჭვიანობდა, სცენებს აწყობდა, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევდი. როგორც კი ჩხ-

უბს დაინყებდა, ფულს ვაძლევდი და უცებ მშვიდდებოდა. აღარ აინტერესებდა, სად დავდიოდი. მისი გონება იმაზე ფიქრით იყო დაკავებული, თუ რაში დაეხარჯა ის ფული... დღემდე ასე ვცხოვრობთ. მე ჩემთვის, ის — თავისთვის. მთავარია, ფული არ მოაკლდეს. თუ ეჭვიანობს, მხოლოდ იმიტომ, რომ არ დამკარგოს და ფული არ შემოაკლდეს.

პანდორა: ასე გულახდილად თუ გილაპარაკია ვინმესთან ამ თემაზე?

ზურა: არა, არ მილაპარაკია. ამის საკუთარ თავთან აღიარებაც კი მიჭირს ხოლმე. არ გამიმართლა და ვერ შევარჩიე ცხოვრების მეგზური...

პანდორა: ყველაფერი კარგად იქნება, ჩემო ზურა. ახლა კი, უკვე ღამის 4-ის ნახევარია და დავიძინოთ. ხვალ განვაგრძოთ ჩვენი საუბარი. კარგად!)))

ზურა: კარგად, ჩემო სიხარულო, ხვალიამდე.))))))) მე უფრო მეტი გაკოცე... აი, ასე!

26 აგვისტო, შაბათი.

10:34

ზურა: გამარჯობა, ნატალი... დღეს შაბათია და ვისვენებ. თუ შენც მთელი დღე შინიდან არ გახვალ და ვისაუბრებთ, კარგი იქნება.

პანდორა: დილა მშვიდობის! როგორ გეძინა?

ზურა: კარგად. შენ? ასე ადრე რატომ ადექი?

პანდორა: მიჩვეული ვარ ადრე ადგომას და დილაობით ვერ ვიძინებ. არსად მიდიხარ?

ზურა: არა, სად წავალ? ვერ გშორდები.

პანდორა: ნუ სულელობ...

ზურა: არ ვსულელობ, სიმართლეს გეუბნები. გულში მიზიხარ და არსად გაგიშვებ აქედან.

პანდორა: გადაკეტავ გულის კარებს, რომ გულიდან არ გაგეცე?.. :)))

ზურა: დიახაც...

პანდორა: :))) მოდი ჩემთან...

ზურა: ნუ მაგიჟებ ახლა, თორემ იცოდე, მართლა წამოვალ... მოდი, წამოვალ შენთან და ეს შაბათ-კვირა ერთად გავატაროთ.

პანდორა: არა, არ ჩამოხვიდე! ერთ კვირაში მე თვითონ ჩამოვალ... მერე ტყეში წავიდე და ქოხი ავიშენოთ. რას იტყვი?

ზურა: მე რა უნდა ვთქვა? მთავარია, შენ იყო... და მე... და მეტი არაფერია... დიდი ხნით... დაუსრულებელი ალერსის წვიმით... კოცნის სეტყვით...

პანდორა: ღამით, როდესაც ვიძინებ მე, იღვიძებენ ჩემი სიზმრები. მათთან ერთად მოდიხარ შენც, სასთუმალთან ოცნებასავით ჩამომიჯდები და მერე მე მთელი ღამე ვგრძნობ შენს თბილ ხელებს ჩემს სხეულზე. ვგრძნობ, როგორ ტკბილად მეჩურჩულები და შენი ტუჩები ეძებს ჩემს სუნთქვას, რომელსაც ვერ არ განცდილის საამური სურნელი ახლავს. დილით, როდესაც ვიღვიძებ მე, იძინებენ ჩემი სიზმრები. მათთან ერთად,

შენც მიდიხარ და მიგაქვს ჩემი ოცნებები და ფიქრები. მერე მე მთელი დღე ველოდები დიდი მზის ჩასვლას, რათა დავიძინო მე და გაიღვიძონ ჩემმა სიზმრებმა...

ზურა: ნატალი, შენ შემოგველე, ძალიან მიყვარხარ... გესმის?

პანდორა: კარგი, ახლა, წავედი. კარგად...

ზურა: სად წახვედი, გოგო?! როგორ გეხერხება ჩემი გაგიჟება.. ახლა საღამომდე რა მოიცდის?! ღმერთო, „ნა სამომ ინტერენსომ მესტე!“ კარგი, გკოცნი...

22:38

ზურა: სად ხარ, ნატალი? როდის მოხვალ?

პანდორა: აქ ვარ!

ზურა: ვაა, გულმა გიგრძნო?! როგორ ხარ?

პანდორა: როგორ ვარ და კარგად. რამდენიმე ჭიქა კონიაკი მაქვს დალეული და თავს მშვენივრად ვგრძნობ.

ზურა: ვა, სად დალიე?

პანდორა: მე, ჩემმა მეგობარმა და მეგობრის დეიდამ გადაწყვიტეთ, თითო ჭიქა დაგველია, თითოს მეორე მოჰყვა, მერე — მესამე და ასე შევჭიკჭიკადით... ლოთი კი არ გეგონო...

ზურა: ნატალია, შე ლოთო! :))) ხვალ „პახმელია“ იქნები... დავინვი, აქ ისე ცხელა. აქ მაინც მყავდე, ქალაქიდან გავიდოდი და საღამომდე არ ჩამოვიდოდი. რომ მიმატოვე აქ ასე უპატრონოდ და წახვედი, რა ვქნა ახლა მე?

პანდორა: ცივი შხაპი მოგიხდება.

ზურა: ცივი შხაპი კი არა, შენი კოცნა უფრო მომიხდებოდა...

პანდორა: უი, რატომ თავი არ მომიკვდება, რა მითხარი, ბიჭო, ეგ?! ახლა გავიბუტები, იცოდე...

ზურა: არა, არა, არ გაიბუტო... მოდი, იმ დედა-შვილის ამბავი მომიყვი, ხომ გახსოვს, სად გაჩერდი? როცა გოგონას შეყვარებული დეიდამ სახლში დაიბარა. რა მოხდა მერე?

პანდორა: ამის შემდეგ, გოგონამ სიტყვა დედას დაუთმო. მან კი მოყოლა სწორედ იქიდან განაგრძო, როცა შვილის შეყვარებული მასთან სახლში მივიდა: ჩვენ ბევრი ვისაუბრეთ. მინდოდა, გამეფრთხილებინა, რომ ჩემი გოგონასთვის არაფერი დაეშავებინა. პატარა ბავშვივით თავჩალუნული იჯდა და მისმენდა. პირველსავე შეხვედრისას შემიქანდა გული. ის გარეგნულად ძალზე კარგი მამაკაცია. ვსაუბრებოდი და თავში ათასი სისულელე მომდიოდა. ჩემს თავს ვიჭერდი იმაში, რომ არ მინდოდა, წასულიყო. ბევრი ვისაუბრეთ და რომ წავიდა, გული დამწყდა. ვერაფრით ამოვიგდე თავიდან მისი გამოხედვა, თვალები, სახე, აღნაგობა და მანერები. ჩემი შვილი შინ რომ დაბრუნდა, მისთვის თვალეში შეხედვის მერიდებოდა. ვგრძნობდი, რომ უკვე მიყვარდა მამუკა. თითქმის მთელი თვის განმავლობაში კრინტიც არ დამიძრავს იმაზე — არ შეხვედ-მეთქი. წინათ სულ ამას ჩავჭი-

ჩინებდი, ახლა კი, ხმასაც აღარ ვიღებდი. როდესაც მამუკა ტელეფონზე რეკავდა და ყურმილს მე ვიღებდი, ხმა მინყდებოდა, მუხლები მიკანკალებდა. საკუთარ შვილზე ვეჭვიანობდი. დიდი ხანი დამჭირდა საიმისოდ, რომ გადანყვეტილება მიმელო. ბოლოს მიხვდი, რომ მამუკასთან ურთიერთობის გარეშე ჩემს ცხოვრებას აზრი არ ექნებოდა და გადავწყვიტე, გადმომებირებინა. საქმე ის იყო, რომ თავს გასამართლებელი მიზეზიც მოუძებნე. რადგან ის ჩემს შვილზე გაცილებით უფროსი იყო, ამის გამო გადავწყვიტე მათი დაშორება. ჩემს თავსაც კი არ ვუმყდავენებდი, რომ სინამდვილეში, მისი სიყვარული მკლავდა. გადაწყვეტილება რომ მივიღე, როგორც იქნა, შვებით ამოვისუნთქე და ჩემი შვილის შევიწროება დავინწყე.

ზურა: ნატალი, სულ წახვეარი საათით გავალ და დავბრუნდები, მაპატიე. რომ მოვალ, გეტყვი, სადაც ვიყავი.

პანდორა: კარგი, წადი, ხვალამდე გემშვიდობები. ახლა, მაინც უკვე გვიანია. ნეტავ, სად მიდიხარ ამ შუალამისას?

02:05

ზურა: ახლა დავბრუნდი, ჩემო სიცოცხლე, მაგრამ როგორც ჩანს, შენ უკვე ტკბილად გძინავს... კარგი, ხვალამდე.

27 აგვისტო, კვირა.

08:12

ზურა: ჩემო კარგო, ახლა ქალაქიდან გასვლა მიწევს, მაგრამ საღამოს აუცილებლად დავბრუნდები და ვისაუბროთ. დროებით. :)))

11:25

პანდორა: კეთილი მგზავრობა... საღამომდე.

22:30

ზურა: ვა, უკვე აქ ხარ?! როგორ ხარ? ასე ადრე რატომ ხარ საიტზე?

პანდორა: შენ გელოდი! :)))

ზურა: მე მელოდი თუ სხვას ელაპარაკებოდი?.. ნუ მეუჭვიანებ, იცოდე.. არავინ შეგიყვარდეს... ისე, არასდროს არავინ გყვარებია? ბოლოს როდის იყავი შეყვარებული?

პანდორა: რომ მოგიყვე, შესაძლოა, არ მოგეწონოს... გინდა, იცოდე?

ზურა: მე შენ შესახებ ყველაფერი უნდა ვიცოდე, მომიყვი!

გაგრძელება 27-ე გვერდზე


სარედაქციო ცენტრი

ს ტ ს

მოამზადებს აპიტურიენტებს უმაღლეს სასწავლებლებში ჩასაბარებელი ტესტებისათვის:

ძართული, მათემატიკა, უცხო ენა, ზოგადი უნარ-ჩვევები, ისტორია

☎ 22 69 15; 91 31 62



თაშუნა კვიციანი

— XX საუკუნის დასაწყისში, მაშინ, როდესაც უჯრედები ახალი აღმოჩენილი იყო, გერმანელი ნეიროანატომი ფოქტი მიიჩნედა, რომ გენიოსს უნდა ჰქონდეს სხვაგვარი ტვინის უჯრედები ან სხვაგვარად მოწყობილი თავის ტვინი. ეს მიმართულება მთლიანად მატერიალისტურ საფუძველზე იყო აგებული. ფიქრობდნენ, რომ გენიალურობის საფუძველი არის მატერიაში, უჯრედში ან უჯრედთა განლაგებაში. ერთი პერიოდი, ფოქტი ამტკიცებდა, რომ გენიალურობის უჯრედები იპოვა. მასალის დაშუშავების შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ ეს სიცრუე იყო — სინამდვილეში, მან იპოვა რალაც შეკუმშული უჯრედები, რომლებიც რატომღაც, გენიალურობის უჯრედებად მიიჩნია. ფოქტის იდეა ყოფილ საბჭოთა კავშირში აიტაცეს და მას ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა. შეიქმნა თავის ტვინის კვლევის ინსტიტუტი, სადაც დაკვირვებას ლენინის ტვინზე აწარმოებდნენ, მაგრამ იქ განსაკუთრებული ვერაფერი იპოვეს. ან კი რა უნდა ეპოვათ?.. ახლა ეს სასაცილოა, ისევე, როგორც ყველა იდეა, რომელიც შემდგომ არ დადასტურდა.

— თქვენ თუ ემზრობით მატერიალისტური კონცეფციის მიმდევრებს?

— არა, რას ამბობთ?! ადამიანი არ არის მარტო სხეული. ეს სხეულისა და სულის ერთობლიობაა. ფიროსმანი შედეგებს იმიტომ კი არ ქმნიდა, რომ მისი თავის ტვინი განსაკუთრებული უჯრედებისგან შედგებოდა, ამას სული განაპირობებდა. მატერიალისტური კონცეფცია ჩემთვის ყოველთვის ღიმილის მომგვრელი იყო, ვერ ვხვდები — რას ეძებდნენ ლენინის ტვინში, იქ განსაკუთრებული რა უნდა აღმოეჩინათ?!

— კვლევის შემდეგ, რა დასკვნები გამოიქცადათ?

— დასკვნები დახურული იყო. შემდეგ, ფოქტის მტკიცებულებები გერმანიაში უარყვეს. სამაგიეროდ, მისი იდეა საბჭოთა კავშირში აიტაცეს.

— ამ კონცეფციის ქართველმა მიმდევრებმა ჩვენს ქვეყანაშიც დაიწყეს გენიალური ადამიანების თავის ტვინის შეგროვება. ცნობილია ისიც, რომ თქვენს კათედრაზე ინახებოდა

ნიკო ნიკოლაძე, გალაკტიონ ტაბიძე, ზაქარია ფალიაშვილი, ივანე ბერიტაშვილი — ეს იმ საზოგადო მოღვაწეთა არასრული ჩამონათვალია, რომელთა თავის ტვინიც, ჰამლეტ გონაშვილის ხორხთან ერთად, წლების მანძილზე რუსუბლიკური საავადმყოფოს პათოლოგიური ანატომიის კათედრაზე ინახებოდა (ან დღესაც ინახება). ეს კათედრა 1922 წელს, ვლადიმერ ჟღენტის მიერ იქნა დაარსებული, რომელსაც შემდეგ, წლების განმავლობაში, თამარ დეკანოზიძე და ომარ ხარძეიშვილი ხელმძღვანელობდნენ. რა ბედი ეწია ამ ორგანოებს? დღესაც ინახება თუ არა ისინი კათედრაზე? ჩაუტარდა თუ არა გამოკვლევა? — ამ კითხვებით კათედრის ყოფილ ხელმძღვანელს, თამარ დეკანოზიძეს მივმართეთ. ჩვენმა ვიზიტმა მეცნიერი საკმაოდ გააღიზიანა, კითხვებზე პასუხის გაცემას თავი აარიდა და მიჩნია: ამ თემაზე მუშაობას სჯობია, უფრო საინტერესო, მაგალითად, კულტურის სფეროში მომხდარი სიახლეებით დაინტერესდეთო. ჩვენ შორის გამართული კამათის დროს მის მიერ წამოსროლილი ფრაზებით თუ ვიმსჯელებთ, ცნობილ ადამიანთა ორგანოები (გარდა ჰამლეტ გონაშვილის ხორხისა) 15 წლის წინ, ხელისუფლების ბრძანებით, დიდუბის პანთეონში დაუმარხავთ.

იმ კითხვებს, რომლებიც ამ თემასთან დაკავშირებით გამიჩნდა, კიდევ ერთი დამატება — რას მალავს და რატომ არ სურს ამ თემაზე ლაპარაკი თამარ დეკანოზიძეს?

ამის გასარკვევად, პათანატომიის კათედრის ამჟამინდელ ხელმძღვანელს, გიორგი ბურაბაძეს დაფუკავშირდით.

ჭკანით დასკვნადი საქმისნიერო ჭკნა

- სნოაილ ზღვიანთა ზაქარია თავის ტვინაი და გონაშვილის უჯრ-უჯროდ დაჯჯაული სოჯნი

ჰამლეტ გონაშვილის ხორხიც — ქართველი პათოლოგები მისი განუმეორებელი ხმის ტემბრით დაინტერესდნენ. რას გვეტყვით ამის შესახებ?

— თავის დროზე, ქართული პათოლოგიური სკოლაც აპყა მოდას, იმიტომ, რომ ის საბჭოთა პათოლოგიური სკოლის ნაწილი იყო. მე თვითონ კათედრაზე არც ერთი თავის ტვინი არ მინახავს. შესაბამისად, არც კვლევის შედეგები ვიცი. ეს ინფორმაცია ოფიციალურ წყაროებში არასდროს გამოქვეყნებულა და ვფიქრობ, რომ არც კვლევები ჩატარდებოდა.

— რატომ არ ჩატარდებოდა?

— სანამ აქ თავის ტვინები შეაგროვეს, მანამდე დადგინდა, რომ ეს

ცნობილ ადამიანთა ორგანოები (გარდა ჰამლეტ გონაშვილის ხორხისა) 15 წლის წინ, ხელისუფლების ბრძანებით, დიდუბის პანთეონში დაუმარხავთ

მიმართულება მცდარი იყო.

— კათედრაზე ვისი თავის ტვინი იყო შენახული?

— არ ვიცი... საერთოდ, ასეთი ორგანოები სპეციალურ სითხეში ინახება, რომელსაც ფიქსატორი ჰქვია. ის მის დაშლას უშლის ხელს.

— არც ის იცით, თუ რა ბედი ეწია ამ ორგანოებს?

— ესეც არ ვიცი. ამ მიმართულებას, ისევე, როგორც პათოლოგიური ანატომიის კათედრას, თავის დროზე — თამარ დეკანოზიძე, შემდეგ კი, ომარ ხარძეიშვილი ხელმძღვანელობდა.

— ქალბატონ თამარს ვესაუბრე, მაგრამ მან არც ერთ კითხვაზე არ მიპასუხა. თქვენ კათედრის ხელმძღვანელი ბრძანდებით და ამ საკითხით არასდროს დაინტერესებულხართ?

— სამწუხაროდ, ქალბატონი თამარი მიიჩნევს, რომ ეს მისი საქმეა. მი-



...იქ სხვა ორგანოებთან ერთად, დიდი გალაკტიონის თავის გვინიც ინახებოდა...



მაჩნია და ეს მასაც ვუთხარი — რომ თუ არაფერს მაღავ, ჟურნალის ტებთან ურთიერთობაც ძალზე ადვილია.

— თქვენ აზრით, რატომ ან რას მალავს იგი?

— ვერაფერს გეტყვი. ერთადერთი, შემიძლია, ომარ ხარძეიშვილთან შეხვედრა გირჩიოთ.

— კამათის დროს, ქალბატონმა თამარმა თქვა, რომ ორგანოები დიდუბის პანთეონში დაიმარხა. არც ამ ინფორმაციას ფლობთ?

— პირველად მესმის... ჩემთვის გაუგებარია — რატომ უჩნდებათ ფაქტების დამალვისა და მიჩქმალვის სურვილი. მედიცინის ისტორიაში არაერთი მნიშვნელოვანი კვლევა დასრულებულა კრახით და ეს არავის დაუმაღავს. მეცნიერებაში, ისევე, როგორც ცხოვრებაში, მთავარი — სიმართლეა... დიდი სურვილი მაქვს დაგეხმაროთ, მაგრამ უძლური ვარ. ქალბატონი თამარი გულახდილად ამ საკითხზე არც მე მელაპარაკება.


ბატონ გიორგი ბურკაძესთან საუბრის შემდეგ, ომარ ხარძეიშვილის კაბინეტში გადავინაცვლე. ის აღნიშნულ კათედრას 1995-2005 წლებში ხელმძღვანელობდა და იმ საკითხშიც ღრმად არის ჩახედული, რომლითაც ჩვენ დავინტერესდით, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო (როგორც თვითონ თქვა), გულახდილ საუბარს თავი აარიდა და ჩემ მიერ დასმული კითხვები უპასუხოვ დატოვა. ერთადერთი, რაც მასთან შეხვედრის დროს შევიტყვე, ის არის, რომ კათედრაზე, სხვა ორგანოებთან ერთად, დიდი გალაკტიონის და ზაქარია ფალიაშვილის თავის ტვინიც ინახებოდა...

პათანატომიის კათედრის შემდეგ, ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, დიდუბის პანთეონის დირექტორს — ბადრი ქუთათელაძეს დაუკავშირდი. მან თამარ დეკანოსიძის ნათქვამი უარყო და მითხრა: ასეთი რამ პირველად მესმის, ჩვენ არანაირი კავშირი არა გვაქვს არც ერთ სამედიცინო დაწესებულებასთან, დიდუბის პანთეონში მსგავსი რამ არასდროს მომხდარა, თქვენ გატყუებენ, ეს აბსურდიაო...

ასე და ამგვარად, კითხვები კითხვებად დარჩა. თუ ვინმეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რაიმე სარწმუნო ინფორმაცია მოეპოვება, ვთხოვთ, გამოგვცხადოთ.

საინფორმაციო საშუალებები თითქმის ყოველდღე იუნჯებიან იმ თვითმკვლელი ტერორისტების შესახებ, რომლებიც თავს იფეთქებენ და ათეულობით უდანაშაულო ადამიანთა სიცოცხლეს იწირავენ. „ცოცხალ ნალმა“ უმრავლესობა მაჰმადიანი ფანატიკოსია. ერაყში — „ალ-ქაიდას“ მებძოლები, ისრაელში — პალესტინელი ექსტრემისტები, რუსეთში კი — ვაჰაბისტი შაჰიდები მოქმედებენ. საიდან ჩნდება კამიკაძე-ტერორისტების ეს არმია, რომელსაც სხვათა და საკუთარი სიცოცხლე არაფრად უღირს?..

შაჰიდთა შავი ქარმა



ადამიანში პრაქტიკულად განუსაზღვრელი რაოდენობით პროგრამის ანუ ლეგენდის ჩადება შესაძლებელი

პოლიტიკოსები და ჟურნალისტები უბედურების სათავედ რელიგიურ ფანატიზმს მიიჩნევენ. მაგრამ მუსლიმანი და ქრისტიანი რელიგიური ავტორიტეტები ამ მოსაზრებას არ ეთანხმებიან და ირწმუნებიან: ნებისმიერი რელიგია ქადაგებს, რომ ადამიანს სიცოცხლე ღმერთმა უბოძა და მისი ხელყოფის უფლება არავის აქვს. ფსიქოლოგები კი დარწმუნებული არიან, რომ ფანატიკოსი-თვითმკვლევები სპეციალური ჰიპნოზის მეშვეობით ზომბირებულნი არიან.

ზომბების ანუ მეორენაირად — „ცოცხალი მიცვალებულები“ სამშობლოდ ჰაიტი მიიჩნევა, სადაც ერთ დროს ენ. ბოკორმა-ჯადოქრებმა მიცვალებულთა გაცოცხლებისა და მათი აზროვნებადაკარგულ რობოტებად გადაქცევის ეუდუისტური ხელოვნება შეიტანეს. ადამიანების „ცოცხალ თოჯინებად“ გადაქცევის ჰიპნოზური შთაგონების ტექნიკას სხვა მაგი-ჯადოქრებიც ფლობდნენ. საფიქრებელია, რომ თანამედროვე „ზომბირების ხელოვნება“ სწორედ მათგან მომდინარეობს. ისინი, ვინც ამ ზემოქმედების ქვეშ ექცევიან, სამყაროს სრულიად განსხვავებულად აღიქვამენ. მათთვის ზოგადსაკაცობრიო ფასეულობანი არაააობად იქცევა. ეს ადამიანები თვითგადარჩენის ინსტინქტს და სიკვდილის შიშს, საკუთარი თავისა და სხვებ-

ის მიმართ სიბრალოლის გრძნობას კარგავენ.

რუსი მეცნიერი, პროფესორი გრიშაკი, რომელსაც ჰიპნოლოგის 40-წლიანი სტაჟი აქვს, ამბობს:

— მეცნიერული თვალსაზრისით, ზომბირება — ფსიქიკაზე პოსტჰიპნოზური ზემოქმედებაა. ჰიპნოზის გარკვეული სეანსების შედეგად, ადამიანი იმ მოქმედებას ასრულებს, რომლითაც დააპროგრამეს. ასეთ ადამი-

ანს მის მიერ ჩადენილი საქციელის მიზეზის ახსნა არ ძალუძს. ამგვარი დაპროგრამება ჰიპნოზის გარდა, ძლიერი ნარკოტიკების მეშვეობითაც შესაძლებელია. ადამიანში ჩადებული, მოქმედებაში მოყვანილი მექანიზმი საათის სიზუსტით მოქმედებს. ადამიანში პრაქტიკულად განუსაზღვრელი რაოდენობით პროგრამის ანუ ლეგენდის ჩადება შესაძლებელი, რომლის აღმოჩენა და ცნობიერებიდან წაშლა ძალზე რთულია. ამისათვის, სხვადასხვა პროგრამის „ასამოქმედებელი“ პროცედურისა და კოდირებული სიტყვების ცოდნის გარდა, იმ პრინციპების ცოდნაა საჭირო, რომლითაც ზომბირება მოხდა, ამიტომ ცნობიერების გასათავისუფლებლად მხოლოდ ის ერთადერთი გზა არსებობს, რომელიც ჰიპნოლოგმა ზომბის ცნობიერებაში გაკვალა და შემდგომ საგულდაგულოდ ამოქოლა.

იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც შესაძლებელი ხდება „ცოცხალი ნალმის“ აფეთქებამდე შეჩერება, ის შურისძიების შესახებ პრიმიტიულ სლოგანებს მექანიკურად იმეორებს, რადგან მათი აზრი არ ესმის. „ცოცხალ ნალმებს“ კიდევ ერთი დამახასიათებელი საერთო ნიშანი აქვთ: შურისძიების შესახებ წარმოთქმული მათი სიტყვები აბსოლუტურად უემოციოდ წარმოითქმება. მათში არც სიძუ-

ლვილი, არც მრისხანება არ იგრძნობა. ცნობილი რუსი მეცნიერი, პროფესორი კონსტანტინ კოროტკოვი წერს: „ზომბების, იგივე ადამიანი-რობოტების პრობლემის კვლევას მხოლოდ აბსტრაქტულმა ინტერესმა როდი მიბიძგა. ეს ახალი მოვლენა ჩვენს ცივილიზაციას უქმნის საფრთხეს. ჩვენ ცნობიერების მიზანდასახული შეცვლის მექანიზმი უნდა შევისწავლოთ, რომელიც ფსიქიკური პათოლოგიებისგან თავისუფალ, ნორმალურ ადამიანს არაადამიანური

ში განხორციელებულ თავდასხმაში მონაწილეობდა. მას ღია ავტომობილში მჯდომი მამაკაცის მოკვლა ევალებოდა. დაღასში ჩასულ ლუის კასტილიოს დახვდა მამაკაცი, რომელსაც ლეიკი ერქვა. ისინი რომელიღაც სახლის მესამე სართულზე ერთად ავიდნენ. ლეიკმა შავი ფუტლარი გახსნა და ოპტიკური სამიზნით აღჭურვილი შაშხანა ამოიღო. ლეიკმა შაშხანა ლუისს გადასცა და უთხრა, რომ მისი სამიზნე, კორტეჟის შუაში მიმავალი ავტომობილის უკანა სავარძელზე მჯდომი მამაკაცი იყო. კორტეჟის გამორჩენის მოლოდინში კასტილიო ფანჯარასთან მოხერხებულად მოკალათდა, ლეიკი გავიდა, მაგრამ სულ მალე უკან შემოვარდა და დაიყვირა: „უკვე მოკლეს! ავიტუსოთ!“ როდესაც მანქანაში ჩასხდნენ, ლეიკმა ლუისს რალაც ნემსი გაუკეთა. კასტილიოს დაეძინა. მეორე დღეს, ჩიკაგოს სასტუმროს ნომერში მოეგო გონს და შეიტყო, რომ წინა დღეს, დაღასში პრეზიდენტი კენედი მოკლეს...



პრესის ფურცლებზე მკვლელი ზომბების შესახებ ცნობები მრავალგზის მოხვედრილა

საქციელის ჩადენას აიძულებს“... პრესის ფურცლებზე მკვლელი ზომბების შესახებ ცნობები მრავალგზის მოხვედრილა. მაგალითად: 1967 წლის 2 მარტს, ფილიპინების გამოძიების ეროვნულმა ბიურომ მანილაში მექსიკიდან ჩასული საეჭვო ლათინურამერიკელი დააკავა, რომელსაც ანტონიო ელორიაგას სახელზე გაცემული პასპორტი ჰქონდა. სამედიცინო შემოწმების დროს, ელორიაგას მკერდზე, მუცელსა და ფეხის თითებზე უამრავი ნაიარევი აღმოაჩნდა. თავად მექსიკელმა განაცხადა, რომ ეს ჭრილობები აშშ-ში მომხდარი ავტოკატასტროფის დროს მიიღო, როდესაც მნიშვნელოვანი საბუთების გადატანისას მდევარი აედევნა. ანტონიო საავადმყოფოში მოეგო გონს. როდის, როგორ მოხდა ეს ამბავი და ვისთან მიჰქონდა დოკუმენტები, ელორიაგას თითქოს არ ახსოვდა. მან ვერაფერი თქვა ქალაქის იმ ნაგლეჯზეც, რომელზეც 12 ასოსაგან შემდგარი კომბინაცია ეწერა და რომელიც მას ჩხრეკის დროს აღმოუჩინეს.

სიურპრიზები ამ საოცარი თავგადასავლის თხრობით არ დასრულებულა. ჰიპნოზის მომდევნო სესიის მსვლელობისას, ფსიქოლოგმა მომდევნო ასოები წაიკითხა. ასოების — G, U, M, i წარმოთქმის შემდეგ, პატიმარი ისევ ალაპარაკდა. ამჯერად განაცხადა, რომ ის 29 წლის მანუელ რამირესია დაიბადა ნიუ-იორკში, ბროქსში. გაიხსენა, რომ მომზადება ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს სპეცბანაკში გაიარა, სადაც მკვლელობასა და დივერსიების მოწყობას ასწავლიდნენ. ფილიპინებზე, აჯანყებულთან კავშირის დასამყარებლად გამოგზავნეს, რომლებიც პრეზიდენტ მარკოსზე თავდასხმას გეგმავენ.

მომდევნო ოთხი ასოს წარმოთქმის შემდეგ, რამირესმა წარმოსახვითი პისტოლეთი საფეთქელთან მიიტანა და სიტყვებთან — „მე თავად!“ — ერთად, ჩახმახს თითი გამოშკრა. გამოძიება თითქოს დასრულებულად მიიჩნეოდა: ზომბი ჩავარდა და სიცოცხლის თვითმკვლელობით დასრულება სცადა, მაგრამ ქალაქის ნაგლეჯზე, ასოების რიგში კიდევ ორი ასო რჩებოდა. ამიტომ გამოძიებელმა და ფსიქოლოგმა ჰიპნოზის სესიების სერია გააგრძელეს. ისინი ამ ორ ასოს წარმოთქვამდნენ და იმავდროულად, რამირესზე ზემოქმედების სხვა მეთოდებსაც იყენებდნენ. შედეგის მიღწევას ბევრი დრო დასჭირდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, მიზანს მიაღწიეს.

აღმოჩნდა, რომ თუ ბოლო ასოების შემდეგ, სამი თარიღიდან ერთ-ერთს — 1967 წლის

22 ივნისს, 4 ივლისს ან 1968 წლის 1-ელ იანვარს ახსენებდნენ და ამასთან ერთად, პატიმარს პრეზიდენტ მარკოსის ფოტოსურათს უჩვენებდნენ, ის დაუფიქრებლად „იღებდა პისტოლეტს“ და ფილიპინების პრეზიდენტს „ესროდა“. დადგინდა, რომ რამირესი იმგვარად იყო დაპროგრამებული, რომ თავდასხმა ერთ-ერთი ამ თარიღის დროს უნდა შემდგარიყო.

უჩვეულო გამოძიების სენსაციურმა შედეგებმა მანილის გაზეთებში გაჟონა. უურნალისტები ფილიპინელი კრიმინალისტების ოსტატობას ხოტბას ასხამდნენ და „ვერაგ ცენტრალურ სამმართველოს“ მკვლელი ზომბების ფილიპინებზე გაგზავნაში ადანაშაულებდნენ. ამერიკის საელჩომ გავრცელებული ცნობა კატეგორიულად უარყო და აჟიოტაჟს „ფანტასტიკური ნაბოღვარი“ უწოდა.

უტყუარი სამხილების მიუხედავად, რამირესი პატიმრობიდან გაათავისუფლეს და ამერიკაში გაუშვეს. ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩასულმა რამირესმა განაცხადა, რომ ჩვენები მის მიერ შეთხზული იყო. სულ მალე ეს ადამიანი უკვალოდ გაქრა...

სპეციალისტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტები სწორედ მონსტრმა ზომბებმა მოაწყვეს, სამგზავრო ლაინერები გაიტაცეს და ნიუ-იორკის სავაჭრო ცენტრის შენობებს შეასკდნენ.

სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს საიდუმლო ოპერაციების ჩასატარებლად ადამიანი-რობოტები ადრეც გამოუყენებია. ზომბი ჯვიმს ერლ რეი, რომელმაც 1968 წლის 4 აპრილს, მემფისში ადამიანის უფლებათა თვალსაჩინო დამცველი, ნობელის პრემიის ლაურეატი მარტინ ლუთერ კინგი სიცოცხლეს გამოასალმა, ზომბი იყო. იგივე ითქმის სირხან ბემარ სირხანზეც, რომლის ტყვიამ 1968 წლის 5 ივნისს ლოს-ანჯელესის სასტუმრო „ამბასადორში“ სენატორი რობერტ კენედი იმსხვერპლა.



მიწოვებული პაციენტი...

068ა ჩაყელი

მეგობრებმა იციან როგორ „უნადირობ“ უცნაურ და კურიოზულ ამბებზე და ამიტომ ხშირად მისმობენ „მოვლენების ეციენტროში“. ახლა რომ უნდა გიამბოთ, იმ სასამართლო პროცესზეც ჩემი მეგობარი ადვოკატის წყალობით აღმოვჩნდი. როდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, მიტოვებული პატარძალი, კანონის ძალით ქორწილიდან გაქცეული სიძის დაბრუნებას ითხოვდა და არც მატერიალურ და არც მორალურ კომპენსაციაზე არ თანხმდებოდა...

როგორც გაირკვა, მამაკაცს 40 წლის ქალი, გაზეთში გამოქვეყნებული განცხადების წაკითხვის შემდეგ გაუცნია, რომელიც ასეთი შინაარსის იყო: „ბიზნესმენი მამის ერთადერთი ასული, თავადაც შემოსავლიანი სამსახურის, საკუთარი სახლისა და მანქანის პატრონი, ეძებს მამაკაცს, რომელსაც პატიოსნების მეტი არაფერი მოეთხოვება!..“

განცხადებაში, რა თქმა უნდა, არაფერი იყო ნათქვამი იმაზე, რომ პატარძალი 150 სმ სიმაღლის და 90 კგ წონის, მარცხენა თვალით — ელაში და მართალია, საუკეთესო ხარისხის ფაიფურის, მაგრამ მაინც — ხელოვნური კბილების პატრონი იყო...

სასიძოს კი ვალი ჰქონია გასასტუმრებელი: მისდა ჭირად, ბიზნესი წამოეწყო და პროცენტული სესხით უაქციზო სიგარეტი და სასმელი გადმოჰქონდა თურმე საზღვარზე; საქონელი მთლიანად ჩამოურთმევიათ და ერთი იმდენიც იმისთვის აუფცქვინათ, რომ საქმისთვის მსვლელობა არ მიეცათ და ციხეში არ გაეშვათ...

თავს რომ იხრჩობდა სასონარკვეთილი, მაშინ დაუდო თურმე დამ წინ გაზეთი: სიკვდილზე უარესი რაღა იქნება; გაიცანი და პირდაპირ უთხარი, თუ ვალს არ გაგიტუმრებენ, რაც გემუქრება, თუ ძალიან უნდა გათხოვება, უარს არ იტყვი!..

— ამხელა ვალი რომ გამისტუმროს, ხომ აზრზე ხარ, რამხელა ნაკლი უნდა ჰქონდეს?! — დაფრთხა თურმე სოსო. გარეგნულად კი ჰგავდა პოლიფუდის ვარსკვლავს, მის „ჩახუტებაზე“ ბევრი გოგო იცნებოდა, ბევრსაც აბოდეებდა, მაგრამ რა ეცოლებოდა, როცა არც სახლ-კარი ჰქონდა და ტანსაცმელიც სულ სხვისი ნაჩუქარი და გამოწაცავალი ეცვა. 32 წლ-

ისამ არც რესტორანი იცოდა რა იყო და არც გართობა-დასვენება!..

— აბა, მიდი და გაუყარე ბანარში თავი! — „ნება დართო“ დამ, მაგრამ რადგან კრიზისული და ეიფორიული მომენტი გასული იყო, აღარ მოუნდა სოსოს სიკვდილი:

— ჯანდაბას, რაც არის — არის! — და როგორც წესია, საპასუხო განცხადება აფრინა გაზეთში: „გელოდები ამა და ამ მაღაზიის წინ, გაზეთით ხელში“...

დანიშნულ დღეს ბევრი აცეცა აქეთ-იქით თვალები, მაგრამ არც ერთ ქალს



მისკენ არ გაუხედავს. იმედი რომ გადაეწურა, ორი „მუტრუკი“ მიუახლოვდა და როცა ის აღმოჩნდა, ვინც აინტერესებდათ, გასრიალებულ ჯიპში ჩატენეს და რომელიღაც სასახლის ალაყაფს მიაყენეს. სახლში შესულს კი თვალები აუჭრელა არნახულმა ფუფუნებამ...

სანამ ქალს ანახვებდნენ, სასიამაორო ელაპარაკა და შიშით ვერ გაუბედა სიამართლის დამალვა. სოსოს გარეგნული მონაცემებით და სიაღარი მოხიბლულმა კაცმა, შვებით ამოისუნთქა:

— სხვა პრობლემა თუ არაფერია, მისამართები მოგვეცი და ამ საღამოსვე ესტუმრებიან ჩემი ბიჭები შენს მეველებს, ოღონდ ხელწერილი უნდა დანერო, რომ ქალზე უარს არ იტყვი!..

იმწუთას ისეთ ჭკუაზე იყო, ქალს კი არა, თხას ითხოვდა და ყველა საბუთზეც დაუფიქრებლად მოანერა ხელი. მაგრამ საცოლვე — ციციწო რომ გააცნეს, მაშინ

კი გამოფხიზლდა: ძალიანაც ცადა თავის შეკავება, მაგრამ ელდნაკრავს გული წაუვიდა და... იმ დღის მერე აღარავის უნახავს გაცილებული.

...გაიმართა ნიშნობა და მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირ პარიზიდან ჩამოუტანეს ჩასაცმელ-დასახური და ოქროული, არც მას გაჰკარებია სიხარული და არც მის სამამაკაცოს, ნათესავებზე რომ აღარაფერი ვთქვათ... დამშვიდობებისას კი, ყურში ჩასჩურჩულა უახლოესმა მეგობარმა: გამაგრდი, რამეს მოვიფიქრებთ, შენს დასახსნელადო! — და მართლაც სასწაული მოახდინეს: სასიამაოროს მიერ გადახდილი ფული შეაგროვეს (ის კი არა და, ერთ-ერთ მეველეს თავისი წილი აღარც აუღია, ბიჭს ვერ დაველუპავო! — უთქვამს) და სოსო ქორწილის წინაღობას გააპარეს. მის გაგიჟებულ სიამარს კი ფული მიუტანეს და სოსოს ხელწერილების დაბრუნება მოსთხოვეს, თან, ყოველი შემთხვევისთვის, ნაცნობი ადვოკატი მიიყილეს და კაცს უარის თქმის საშუალება არ მისცეს. მაგრამ პატარძლის დაშოშმინება ვერავინ შეძლო. იურიდიული განათლების მქონემ, დამოუკიდებლად შეადგინა სარჩელი და არც ადვოკატების მოსყიდვა გასჭირვებია, მოსამართლეებთან ერთად...

ლამის მეც გადმომცვივდა ცრემლები, როცა პატარძლის მონოლოგს ვუსმენდი:

— უსინდისოდ შემაყვარა თავი, ჩემი პატიოსნებით და გამოუცდელობით ისარგებლა, სახელი გამიტეხა, ნათესაობაში შემარცხვინა, ჯანმრთელობა შემირყია, რასაც ვერანაირი ფულადი კომპენსაცია ვერ აანაზღაურებს, ამიტომ მოვითხოვ — სასწრაფოდ დამიბრუნდეს და მხოლოდ იმ შემთხვევაში წავიდე, როცა თავად შემეძლება მის გარეშე ცხოვრება. თვითონ შემომივარდა სახლში, მე ხომ არ მივძალებივარ!..

მოკლედ — „მართალი“ იყო ქალი და მოსამართლეებმაც სასიძოს ქალთან სასწრაფოდ დაბრუნება დააკისრეს, წინააღმდეგ შემთხვევაში თაღლითობისთვის წ წლით თავისუფლების აღკვეთით დაემუქრნენ...

დადგა სასამართლო დარბაზიდან გამოსული სოსო დიდი არჩევანის წინაშე: ან საბადრაგო მანქანა, ან სასიამაოროს ჯიპი!..

ვერავინ ვერაფერი ურჩია და... ჯიპისკენ აიღო გეზი, დასაკლავი ხარისვით ქედნახრილმა, რასაც მომივიანი და უკვე გამარჯვებული პატარძლის მხარდამჭერთა ყიყინა და აპლოდისმენტები მოჰყვა. სოსოს დამარცხებული გულშემატკივრები კი, თვალს ვეღარ უსწორებდნენ ერთმანეთს...



სოლიანი კასი შეიყვანდა

**„ეცოლო“ ცოლიანები და უფულო მარვატგამოხეულები
ანუ ცოლებო, არ გამიბრაზდეთ, რააააა!**

გულახდლილად გეტყვი, რომ კარგა ხანია, ასეთი რაოდენობის მესიჯი აღარ მიმიღია. მკითხველთა ასეთი აქტიურობა ან იმის ბრალია, რომ ისინი საზაფხულო დასვენების შემდეგ შინ დაბრუნდნენ, ან თემა იყო ისეთი, რომ უმეტესობას შიგ „კაკალ გულში“ მოხვდა. ქალები და მამაკაცები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ — ვინ უფრო გრძელ მესიჯს გამოგზავნიდა. საბოლოოდ კი იმდენი დაგროვდა, რომ შემიძლია, 1-2 თვე გულხელდაკრეფილი ვიჯდე, მობილურზე მშვიდად გამოვრთო და ვწერო და ვწერო... მათი მონათხრობიდან კი ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩებათ, რომ ყველა ცოლიან კაცს და გათხოვილ ქალს საყვარელი ჰყავს... ვიდრე მკითხველების მიერ მოყოლილ ამბებზე გადავიდოდეთ, მანამდე შესაფერის ანეკდოტს მოგიყვებით: ქუჩაში 2 მამაკაცი მიდის. მათ წინ კი, 2 ქალი მიიბიჯებს. ერთი მამაკაცი მეორეს ეუბნება:

— ხედავ, იმ ქალებს? მარცხნივ რომ არის, ჩემი ცოლია, მარჯვნივ — ჩემი საყვარელი და თანაც, მაგარი საყვარელი.

მეორე ეუბნება:

— როგორ გეკადრება? მარჯვნივ რომ მიდის, ჩემი ცოლია, ხოლო მარცხნივ — ჩემი საყვარელი და თანაც, მაგარი საყვარელი...

ორიოდე წამის შემდეგ, ერთმანეთს შეხედეს და ერთდროულად თქვეს:

— ხედავ, შენ?! როცა მოინადინებენ, თურმე შეუძლიათ!

მარი ჯაშარიძე

დოკლავია ქმარი

„მინდა, ჩემი ამბავი მოგიყვეთ. მალხაზი ვარ, 31 წლის. ცოლი 3 წლის წინ მოვიყვანე, მაგრამ ჯერჯერობით, შვილი არა გყავს. მანანა მიყვარდა და ძალიან დიდი მონადინების შემდეგ (რადგან მისი მშობლები წინააღმდეგნი იყვნენ), მისი ცოლად შერთვა მოვახერხე. ისიც და მეც დედისერთები გახლავართ. მისმა მშობლებმა წინასწარ იცოდნენ, რომ მათ ოჯახში ზედსიძე ვერ შევიდოდი, არადა, ოჯახიდან გასაშვებად არც თავისი ერთა ემეტებოდათ. მოკლედ, მე და მანანა გავიპარეთ. ჩემმა მეგობარმა ბიჭმა,

დროებით საცხოვრებლად ბებიამისის სახლი შემომთავაზა. მისი წინადადება სიხარულით მივიღეთ და 3 დღის განმავლობაში იქ ვიყავით. შემდეგ, ბიძა-ჩემმა მანქანით მოგვაკითხა და თავისთან წაგვიყვანა. ის რაიონში ცხოვრობდა, საკმაოდ ძლიერი ოჯახი ჰქონდა და გარდაცვლილი მამის მაგივრობასაც მიწევდა. მის ოჯახში დედაჩემი, მანანას მშობლები და უამრავი უცნობი ადამიანი დაგვხვდა. ეზოში შესვლისთანავე, თვალში მომხვდა ერთი ახალგაზრდა გოგონა. მისი ვინაობა ვიკითხე. მითხრეს, რომ ბიკოლანქმის ახლო ნათესავის ცოლი ყოფილა. იმ დღიდან, მადონა გულში ჩამივარდა. 3 დღის მოყვანილი მყავდა

ცოლი, როცა სხვა ქალზე ვფიქრობდი... როდესაც თბილისში დავბრუნდი, იმდენი მოვახერხე, რომ მისი ტელეფონის ნომერი გავიგე და როგორც კი დროს ვიხელთებდი, მაშინვე ვურეკავდი. მთელი წელი გავიდა, მაგრამ ვერ ვუბნებოდი, რომ მიყვარდა. თუმცა, ამას რაღა თქმა უნდოდა? — ისედაც ხვდებოდა. მისი ქმარი ნამდვილი ბოთე და დოყლაპია იყო. მიკვირს — ასეთი გოგო ცოლად როგორ მოიყვანა. როდესაც მასთან ურთიერთობას ვგეგმავდი, სწორედ მისი დოყლაპიობის იმედი მქონდა. ოჯახებით დავმეგობრდით (რა თქმა უნდა, ჩემი მონადინებით). მას ჩემთან მუშაობა დავანყებინე და ურთიერთობა გაცილებით გაიოლდა. მაღლიერების გამოსახატავად, მისმა ქმარმა რესტორანიც კი იკისრა. საბოლოო ჯამში, ჩემმა მონადინებამ შედეგი გამოიღო და როგორც იქნა, მადონა ჩემი გახდა. ერთმანეთს წელიწადზე მეტია, რაც ვხვდებით. ჯერჯერობით, ეჭვი არავის აულია. ის ისევე მიყვარს, როგორც თავიდან მიყვარდა და მასთან ყოველ შეხვედრას ისევე ველი, როგორც პირველ პაემანს. ქმარი რომ არ ჰყავდეს, თავს გაცილებით უკეთ ვიგრძნობდი, რადგან ახლა, მასზე ძალიან ვეჭვიანობ. ყველაზე მთავარი კი იცით, რა არის? სულ რაღაც ორიოდ თვის წინ, ჩემმა ცოლმა ამბავი მომიტანა, რომ თურმე, მადონას ქმარი საეჭვო პაემანს შეიშნავდა. გადავირიე, ჩემი ცოლი უნდაქე, რომ არ დამიშალა და ეს ამბავი მითხრა. მე კი ყურადღება გავამახვილე, რომ ჩემი საყვარლის ქმარმა ჩემი ცოლი არ გაუიმოს. ისე, რა მაგარი იქნება, არა? — ამის წარმოდგენაც კი მზარავს. მხოლოდ ახლა დავფიქრდი ჩემს საქციელზე, მაგრამ მადონა ისე მიყვარს, რომ მასთან ურთიერთობის განწყვეტას არ ვაპირებ“.

ქალების საერთო აზრი ქმრებზე ასეთია: კარგი ქმარი არ არსებობს. არსებობს ცუდი და უარესი. ზემოთ მოყოლილი ამბიდან კი, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ სულელი ქმარი ყველაზე საუკეთესო მეუღლეა, ხოლო იდეალური ცოლი — ის, ვინც ქმრის ერთგული რჩება, მაგრამ ისე მომხიბვლელად გამოიყურება, თითქოს ღალატობდეს. მინდა, მოლაღატე ქმრების პატრონ ქალბატონებს ერთი რჩევა მივცე: შევედრეთ უფალს, რომ მოგცეთ:

სიბრძნე იმისთვის, რომ გაუგოთ თქვენს ქმარს;

სიყვარული, რომ პატიება შეძლოთ; მოთმინება, რომ მის ნებისმიერ განწყობილებას ღიმილით შეხვდეთ;

ძალა, რომ ბოლოს და ბოლოს, ჭკუა ასწავლოთ მას... ეს რა თქმა უნდა, ნახევრად ხუმრობით. ახლა კი შემდეგი მესიჯი.

უფულო და მარვატგამოხეული

„გამარჯობა ყველას. ჩემი ქმრის ამბავი უნდა მოგიყვეთ. უკვე დიდი ხნის ოჯახი გვაქვს. როდესაც ცოლად მიყვე-

ბოდი, ვიცოდი — რა მუსუსი და მექალ-თანეც იყო, მაგრამ ვიფიქრე, რომ გამოსწორდებოდა. კუზიანს სამარე გაასწორებო, ნათქვამია და ეს სწორედ ჩემს ქმარზეა ზედგამოჭრილი. სულ მის დეენაში ვარ, ვაკონტროლებ, მაგრამ არაფერი ეშველა. ის კი არა და, რამდენიმე წლის წინ, ავარიასი მოყვა და საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში მყოფი საავადმყოფოში მოხვდა. როგორც იქნა, მდგომარეობა გამოსწორდა, მაგრამ ექიმი შიშობდა, რომ შესაძლოა, ტვინში გაჟონვა მომხდარიყო. ამიტომ, პალატაში მის გვერდით ვიჯექი და ცივ ნიავს არ ვაკარებდი. საჭმელსაც ჩემი ხელით ვაჭმევდი. ერთ საღამოს აიტეხა — გინდა თუ არა, შინ წადი, უკვე ამდენი დღეა, აქ ხარ, დაიბანე, მონესრიგდი, გამოიძინე და ხვალ დილით მოდიო. ისე მეხვეწებოდა, რომ ხათრი ვერ გავუტეხე და წავედი, მაგრამ შინ მისულს, გულმა აღარ გამიძლო და გვიან, ასე, ღამის პირველი საათისთვის საავადმყოფოში ტაქსით მივედი. პალატის კარი ჩაკეტილი დამხვდა. ვეჯავჯავრე, მაგრამ ვერ გავაღე. ღამის მთელი საავადმყოფო შევძარი. როგორც იქნა, კარი გაიღო, იქიდან შემცბარი, სახეანითლებული უცხო ქალი გამოვარდა და სწრაფი ნაბიჯებით გაემართა დერეფნის ბოლოსკენ. წამოვეწიე და სულ თმით ვითორიე. მერე პალატაში აღარც შევსულვარ, ისე დავბრუნდი შინ და 2 კვირის შემდეგ, საავადმყოფოდანაც ძმაცაცებმა გამოიყვანეს. კარგა ხანს ხმას არ ვცემდი. მერე, შევურიგდი (აბა, რა ჯანდაბას ვიზამდი?). წარმოიდგინეთ, ღამის მომაკვდავიც კი ქალებზე ფიქრობდა. გავიდა ხანი. ერთ მშვენიერ დღეს, მის მობილურში ისეთი სასიყვარულო მესიჯი ვნახე, რომ ღამის ჭკუიდან შევიშალე. ვუპასუხე — ვითომ, ჩემი ქმარი სწერდა პასუხს და პაემნის დანიშვნა ვცადე, მაგრამ პასუხად მომივიდა, რომ თურმე, მისი ქმარი შინ იყო და ჩემთან შეხვედრას ვერ მოახერხებდა. რადგან გავიგე, რომ ქმარი ჰყავდა და თანაც, შინ იყო, გადავრეკე. ყურმილს კარგა ხანს არ იღებდა, მაგრამ არ მოვეშვი და მიპასუხა. იცოცხლე, ისე გავლანძღე, ის კი ხმას ვერ იღებდა. იმის შემდეგ, ყოველდღე, დღეში რამდენჯერმე ვურეკავდი, ვემუქრებოდი და უშვერი სიტყვებით ვლანძღავდი. აღმოჩნდა, რომ თურმე, ჩემი ქმარი თავისი შეფის ცოლთან დადიოდა და ჩემი ასეთი საქციელის გამო, ის სამსახურიდან დაითხოვეს. ძალიანაც კარგი! ასე მოუხდებოდა! ახლა იჯდეს და ჩემი ხელფასით იცხოვროს. ვნახავ ერთი, როგორ მოაწონებს თავს ქალებს. უფუ-

ლო და შარვალგამოხეული ვის რაში სჭირდება?!”

ჩვენი დღევანდელი თემა ღალატთან პირდაპირ კავშირშია. კარგი, ბატონო, გეთანხმებით, რომ მთავრობა არ ვარგა, ჩინოვნიკები კორუმპირებულები არიან, ფეხბურთელებს თავის კარში გააქვთ გოლი, არც კლიმატი ვარგა, ღვინოც ფალსიფიცირებულია, ხელფასიც არ გვეოფნის, მაგრამ ერთი რამ ვერ გამიგია: რატომ ღალატობენ ადამიანები ერთმანეთს? შემდეგი მკითხველი ირწმუნება, რომ მისი ქმარი ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორია, მაგრამ შინ არაფრის მაქნისია — ვერც გადაამწვარი ნათურა გამოუცვლია და ვერც უთო შეუკეთე-



ბია; სხვაგან კი, თურმე ძალზე ყოჩაღად იქცევა. ამბავი — მერე, ახლა კი რჩევა ქალბატონს: „თქვენს ადგილას, გაზეთში ასეთ განცხადებას გაავრცელდით: „სასწრაფოდ! ვცვლი ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორ ქმარს, მუშა უთოზე!“

„აფსუს, ვასიკო!“

„გარიგებით გავთხოვდი და ჩემი ცოდვა მიეცეს იმას, ვინც გამაუბედურა. ისე აქებდნენ, ვიფიქრე — ავმენდი ქალი, ბედნიერება კარს მომადგა და ხელი არ უნდა ვკრა-მეთქი. ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორია, ჭკვიანი, განათლებული, ინტელიგენტი, ოქროს ხელები აქვს, „პერპენტუმობილეს“ გამოგონებას აპირებსო... მოკლედ, შემაცდინა იმ კუდიანმა დეიდაჩემმა და ზაურზე გავთხოვდი (აფსუს, ვასიკო!). ისეთი ზარმაცია, რომ ხელს ვერ გაანძრევინებ. ღამის 2 შვილიც მარტომ „გავავეთ“. სახლში ყველაფერი გაფუჭებულია — არც

უთო მუშაობს, არც მაცივარი, მაგრამ ეს სულაც არ ალელვებს. იმ დღეს, როცა სამსახურში არ მიდის, შეუძლია წამოწვეს და დალაშქვამდე ტელევიზორს თვალმოუშორებლად უყუროს. ამ ბოლო დროს, ძალზე იპრანჭებოდა, ოდეკოლოს ხშირ-ხშირად იპკურებდა, საღამოობით სადღაც იკარგებოდა და შინ გვიან ბრუნდებოდა. განგაშის ზარებს შემოვკარი და დავინწყე იმის გარკვევა, თუ სად აძვრებოდა. აღმოჩნდა, რომ საყვარელი გაუჩნია და მასთან დადიოდა. ის ქალი გათხოვილი გახლდათ, მაგრამ ქმარი თურქეთში მუშაობდა და შესაბამისად, ხელს არავინ უშლიდა, რომ საყვარელი სახლში მიეღო. ბევრი „ვიჩალიჩე“ და როგორც იქნა, იმ კაცის ტელეფონის ნომერი დავადგინე. დავურეკე და ყველაფერი მოუყვებო. მაგრამ ვიდრე ამას გავაკეთებდი, ერთ მშვენიერ საღამოს, როდესაც ჩემი ქმარი საყვარელთან მორიგ ვიზიტზე წაბრძანდა, მათთან მივედი და კარზე დაუფუკავუნე. ვინ არისო? — მკითხეს შიგნიდან. — ნაგვის ფულს ვაგროვებ-მეთქი, — ვუპასუხე. ამ სიტყვებმა ჯადოსნურად იმოქმედა და კარი გაიღო. ჯიქურ შევაბიჯე ოთახში და რას ვხედავ? — ჩემი დოყლაპია ქმარი ხალიჩაზე ზის, ფეხებზეა დამოხრილი მტვერსასრუტი უდევს, გარშემო ნაწილები აქვს მიმოფანტული და ჩხირკედელაობს. ამან უარესად გამამწარა (მერჩივივა საწოლში მენახა), მტვერსასრუტის მილი იმ „განათლებულ“ თავში ვურტყი და წამოვედი... იმ ქალის ქმარი

რომ დაბრუნდა, მერე უარესი ამბები მოხდა, მაგრამ ამას აღარ დავწერ. მგონი, ისედაც საკმარისად მოგწერეთ. გმადლობთ, რომ არსებობთ. კარგად“.

ქორწილამდე რამდენიმე დღით ადრე, სასიძო-საპატარძლო და სასიდედრო ფრიად საგულისხმო საკითხზე მსჯელობენ. სასიძო ამბობს:

- სამოგზაუროდ პარიზში წავიდეთ.
- კი, საყვარელო, წავიდეთ.
- არა, პარიზს მგონი, ეგვიპტე სჯობია...
- როგორც შენ იტყვი, ძვირფასო...
- მოდი, ავდგეთ და კანარის კუნძულებს ვესტუმროთ.
- რა თქმა უნდა, საყვარელო, ასე ჯობია...

სასიძოს წასვლის შემდეგ, დედა ქალიშვილს საყვედურობს: რატომ აძლევ ამდენის უფლებას? შენ რატომ არ გადანყვით, სად წახვიდოდით? შვილი ეუბნე-

ბა: დედა, კარგი, რააა! ხომ იცი, რომ სიკვდილმისჯილს უკანასკნელ სურვილს უსრულებენ?!

ეს ანეკდოტი ალბათ დაახლოებით მაინც გამოხატავს დაქორწინებული მამაკაცის მდგომარეობას და ისინი სწორედ ამიტომ ცდილობენ, ცოლებისგან თავი დაიჭვირონ, საყვარელი გაიჩინონ და მოჩვენებითი თავისუფლებით დატკბენ.

მატყუარა საქმრო და გულისხმიერი ცოლი

„23 წლის ვარ. გათხოვილი არ ვყოფილვარ და მოგესხენებათ, ახლა ისეთ ასაკში ვარ, რომ უკვე დროა, ამ საკითხზე სერიოზულად ვიფიქრო. რამდენიმე ხნის წინ, გავიცინი ახალგაზრდა მამაკაცი, რომელმაც თავბრუ დამახვია. ის სწორედ ისეთი ადამიანი იყო, როგორც ვოცნებობდი — თბილი, ყურადღებიანი, კარგი გარეგნობის და შეძლებული. მითხრა, რომ ცოლი არ ჰყავდა და მეც დავუჯერე. სიყვარულს მისხნიდა და ოჯახის შექმნაზე მელაპარაკებოდა. ჩემი მშობლებიც გაცივ-

ნო. მისი სახლის ტელეფონის ნომერი მქონდა, თავისუფლად ვურეკავდი, არასდროს უთქვამს: არ დარეკო. თურმე, ეს მისი მშობლების სახლი ყოფილა, სადაც ხშირად რჩებოდა. ჩემი მშობლები სასიძოს ეძახდნენ, ნათესავების ქორწინილებსა და გასვენებებში გვერდიდან არ მშორდებოდა. მოკლედ, ისეთი ბედნიერი ვიყავი, რომ საკუთარ თავს შევნატროდი. ერთ დღეს კი, ჩემს მობილურზე მისი ზარი შემოვიდა. ვუბასუხე და ყურმილის მეორე მხრიდან ქალის ხმამ მკითხა: რომელი ხარო? ვუთხარი: ეკა-მეთქი. მკითხა: ჩემი ქმრის მობილურზე შენი ზარი იყო შემოსული და რა გინდოდაო? მუხლები მომეკვეთა, ლამის იქვე ჩავიკეცი, მაგრამ მაინც ვუთხარი: ეს მობილური შენი ქმრის კი არა, ჩემი საქმროსია და მალე ქორნილიც გვექნება-მეთქი. მშვიდმა ხმამ შეხვედრა მთხოვა და რა თქმა უნდა, დავთანხმდი. ერთმანეთს ალექსანდრეს ბაღში შევხვდით. ძალიან ლამაზი გოგო მოვიდა და თავი დათოს მუხლედ გამაცნო. აღმოჩნდა, რომ მათ 2 შვილიც ჰყოლიათ. ერთი ხმამაღალი სიტყვაც არ უთქვამს, პირიქით — როდესაც ტირილით ვუამბე, რომ მისი არსებობის შესახებ არაფერი ვიცოდი და ყველაფერი დაწვრილებით მოვუყევი, დამამშვიდა და თავზე ხელი გადამისვა. შევპირდი, რომ მის ქმარს აღარ გავკვარებოდი და დანაპირით შევასრულე კიდევც, თუმცა, ამ ამბავმა ძალზე დიდი ტკივილი მომაცინა. ვერ გამიგია, რაში დასჭირდა ეს ყველაფერი? ბუნებრივია, ჩემს ოჯახს და ნათესავებს კითხვები

გაუჩნდათ — სად დაიკარგა და რატომ აღარ ჩანს ჩემი „საქმრო“, მაგრამ მათ ვუთხარი, რომ სამსახურმა 1 წლით უცხოეთში გაგზავნა. მანამდე კი, ვეცდები გავთხოვდე — ვითომ სხვა შემოიყვარდა და დათოს ჩამოსვლას არ დაველოდე. აბა, რა ვქნა? რალა მოვიფიქრო, როდესაც ერთი წელი გავა? მოკლედ, მისი წყალობით, გათხოვება უსიყვარულოდ მომიწევს. შესაძლოა, ბედნიერიც ვიყო, მაგრამ მისგან მოყვებული ტკივილი ალბათ არასდროს გაივლის“.

ინტერნეტ-მანიაკი

„გამარჯობა, მარი! სულ ვკითხულობ „გზაინილს“ და ველოდებოდი, როდის იქნებოდა ეს თემა. მეც ცოლიანი კაცი შემოიყვარდა. დედისერთა ვარ, ყველაფრით უზრუნველყოფილი, გარეგნულადაც საკმაოდ ნორმალურად გამოვიყურები, მაგრამ ყველა მეუბნება, რომ უცნაური ვარ, თან, წუნია. ამ გაზაფხულზე ინტერნეტით გავიცანი კაცი, რომელმაც მომეჯადოვა. ის თანამდებო-



ბის პირია და სხვა ქალაქში მუშაობს. მითხრა, რომ უკვე 2 წელია, რაც ცოლთან თითქმის გაყრილია და 1 ბიჭი ჰყავს. ღამეებს კომპიუტერთან ვათენებდით, თან მიკვირდა — საიდან აქვს ამდენი დრო, რომ სულ მელაპარაკება-მეთქი. ყოველღამე მობილურზე მირეკავდა და საათობით მელაპარაკებოდა. უკვე ისე მიყვარდა, რომ მისი გარეგნობა აღარც მაინტერესებდა (ძალიან ტკბილი და სექსუალური ხმა აქვს). თბილისში ვერ ახერხებდა ჩამოსვლას და 3 თვე ისე გავიდა, რომ ერთმანეთი ვერ გავიცანი. მერე, მის ქალაქში მოვხვდი და როგორც იქნა, გავიცანი. ჩემზე 12 წლით უფროსია. არასდროს მიოცნებია ასეთი გარეგნობის მამაკაცზე. სიგიჟემდე შემოყვარდა. მეუბნება, რომ მასაც ვუყვარვარ და ასე არავინ ჰყვარებია, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ცოლს გაშორებული არ არის და თან, 2 შვილი ჰყავს. ხანდახან, ძალიან უხეშად მელაპარაკება.

თუ ერთ დღეს, საოცრად თბილი და ყურადღებიანი, მეორე დღეს, ყინულივით ცივი ხდება. ძალიან თავმოყვარე და ამაყი ვარ. ჩემს თავს სულ ვეკითხები — რატომ ვპატიობ ამდენს? მისი გული-სთვის ყველა თაყვანისმცემელი ჩამოვიშორე. მეგობრები მეუბნებიან, რომ თავს ვიუბედურებ, რომ ის არ არის ჩემი სიყვარულის ღირსი და ერთი ჩვეულებრივი მექალთანეა, მაგრამ... ახლა თავის ქალაქში მუშაობს: ჩამოდი, რომ ერთმანეთი უკვე გავიცნოთ, შენი გულისთვის ოჯახის დანგრევას ვაპირებ და ხომ უნდა გიცნობდეო. სულ 4 საათით ვნახე, ისიც ერთხელ, მაგრამ სულ მასზე ვფიქრობ. არ ვიცი, რა ვქნა, წავიდე? თვალები არ ტყუიანო — მითხრა. ისეთი შეყვარებული თვალებით მიყურებს... დავიჯერო, მატყუებს? რომ წაიკითხავს, ყველაფერს მისხვდება. ისე, ხანდახან ვფიქრობ, ინტერნეტ-მანიაკი ხომ არ არის და ჩემსავით სხვა გოგოებსაც ხომ არ აგიუბებს? მაგრამ რისთვის უნდა სჭირდებოდეს 45 წლის, საკმაოდ მაღალი თან-

ამდებობის პირს ასეთი სისულელები? მეტი საქმე არა აქვს?“
ახლა კი, ჩვეულებრივსამეზობო, მოკლე შესიჯებს გთავაზობთ.

ჩემი უფროსი შემოიყვარდა

„მიყვარდა ცოლიანი კაცი და სიმპათიას მისგანაც ვგრძნობდი, მაგრამ თავს იკავებდა. მაშინ 14 წლის ვიყავი, ის — 25-ის. ერთხელ, კოცნაც დამიბორა, მაგრამ... გია, მენატრები! მარი“.

„მინდა, იმ ბიჭს გამოვცხადო, გოგონებს რომ ლანძღავს და მატყუარებს უწოდებს. ბიჭები ხომ სულ გულწრფელები ხართ, არა?! გოგონების ყველა სისუსტით სარგებლობთ და მართლაც მატყუარები ხართ. ასე მოგიხდებათ, ხანდახან თქვენც დარჩებით მოტყუებულები, აბა, სულ ჩვენ ხომ არ უნდა გვტკიოდეს გული? ახია, თქვენზე, ბიჭებო, ახი! ზღარბი“.

„ეჰ, მარი, მე რომ ბიჭი მომწონს, ცოლიანი არ არის, მაგრამ „ზატო“ ისეთი მშაკაცი ჰყავს, ვერც ერთი ცოლი, ეჭვიანობით მასთან ვერ მივა. მე და ჩემი დაქალები ვხუმრობთ ხოლმე, მგონი, ლაშას ზურა უყვარსო. მათაა! დიდა“.

„მინდა, შევეხმიანო ქალებზე გულდაწყვეტილ მკითხველს და ვუთხრა, რომ არც კაცები არიან ანგელოზები. ასე რომ, ჩუუუ! პატარა ნინჩო“.

„ცოლიანი კაცს ვუყვარვარ. ის დაქალის დეიდაშვილის ქმარია. ნიკუშა 26 წლისაა, მე — 15-ის. თავიდან ვერ ვიტანდი, სულ ვეჩხუბებოდი, მერე სიყვარული ამიხსნა და ოქროს ყელსაბამი მაჩუქა. გავოცდი და კარგადაც ვუთავაზე. ყელსაბამი კი გავწყვიტე და უკან დავუბრუნე. მალე მამა გახდება, მისი ცოლი მასზე ჭკუას კარგავს, ის კი 2 წელია, მე

დასაწყისი იხ. გვ. 17

დამდეგს, მაგრამ ჩემგან თანაგრძობას ვერ ეღიბება. უამრავ საჩუქარს მიგზავნის. ამ საჩუქრებს მის მეუღლეს რომ ვჩუქნი ხოლმე, ძალიან მწარდება, მაგრამ აბა, რას იზამს? არ იცის, რომ სულ მალე, მე და მისი ცოლისძმა ვიპარებით. ჩემო ნიკა, აზრზე მოდი! ანა-მარია“.

„სიყვარულის რა მოგახსენოთ, რადგან მიმაჩნია, რომ კაცის დიდი ხნით ატანა, ისიც ქმრის ამპლუაში, სისულელეა. მონონებით კი, ყოველთვის ცოლშვილიანი კაცები მომწონდა და ამის მიზეზსაც მალე მივხვდი. ცოლების წყალობით ისინი გაცილებით მოწონებულნი არიან. ამიტომ არასოდეს გავხდები ცოლი და როცა სურვილი მექნება, სხვის ქმარს მოვეფერები. თანაც, დაუყოვნებლივ დავაბრუნებ უკან! ცოლებო, არ გამიბრაზდეთ, რაააა! შინაბერა“.

„თუ ამ მესიჯს არ გამომიქვეყნებთ, რედაქციას აგიფეთქებთ. ერთი კარგი ბიჭი შემეყვარდა, გვიყვები, ისე მისვალა. მოვა, მომეფერება და მეც რომ მოვალ ხასიათზე, ადგება და გარბის. მახო, ძალიან საყვარელი ხარ და ნუ მანვალა, თორემ, ქვეყნად სხვებიც არსებობენ. მე კი ჯერჯერობით, მხოლოდ შენთან მივსა. ჯიუტი გოგო“.

„ჟურნალი „გზა“ პირველად ნავიკითხე და დავრწმუნდი, რომ ის მართლაც შესანიშნავია! კოტე“.

„ცოლშვილიანი კაცი — არა, მაგრამ ერთი კარგი ბიჭი შემეყვარდა. მისმა დეგენერატმა დამ კი, ჩემი თავი ყველას შეაძულა. ის ურჩევნიათ, სახლიდან გამასწორონ, სანამ მის ძმას გავყვები. გოგო“.

„მარი, შემობრალე, რააა! ჩემი შეყვარებული საბერძნეთში მიდის, დედასთან. კეთილად დედიკო, მეც ნამოვალ, რააა! იცი, როგორ გვიყვარს ერთმანეთი? ვიცი, რომ წაიკითხავ და მიცნობ“...

„გატხოვებამდე ცოლიანი ბიჭით ვიყავი გატაცებული. როგორც იქნა, მას თავი დავაღწიე და ჩემი მომავალი მეუღლე შემეყვარდა. დავქორწინდით, შვილიც შეგვეძინა და ახლა მეშინია, რომ ჩემს მეუღლესაც იგივე არ დავმართოს. მოკლედ, მსგავსი შემთხვევისგან დაზღვეული არავინაა. ყველა საყვარელი რომ მოვკლათ, ქმარი აღარავის დარჩება“...

„მიყვარს ცოლიანი კაცი. უკვე წლებია, რაც ერთად ვართ და ისევ ისე გვიყვარს ერთმანეთი, როგორც თავიდან. მისთვის მეორე ოჯახი ვარ. მის გარდა ვერავის ვამჩნევ, რადგან სწორედ ისეთი ადამიანია, როგორზეც ოდესმე მიოცნებია. ნონა“.

„ერთხელ, ტელეფონით ჩემზე 12 წლით უფროსი მამაკაცი გავიცანი. ის ძალიან თბილი და ყურადღებიანი იყო. ქალსაც მეტი რა უნდა? გაგიჟებით შემეყვარდა. მერე შევხვდით კიდევ. იმ შეხვედრის ყოველი წუთი ნათლად მახსოვს. სხვა ქალაქში ცხოვრობს, ჩემგან შორს. რომ წავიდა, მეგონა, გავაფრენდი. იმ ღამეს ვურეკავდი და ტელეფონით

გამორთული ჰქონდა. უამრავი მესიჯი მივწერე. მეორე დღეს, შუადღისას, ტელეფონმა დარეკა და ლამის სიხარულით გადავირიე, როცა ეკრანზე მისი ნომერი დავინახე. როცა ვუბახუხე, ქალის ხმამ მკითხა: რომელი ხარო? ამაყად შევუბრუნე კითხვა — თქვენ რომელი ხართ-მეთქი? მითხრა: მისი მეუღლე ვარ და ამ ნომერზე დარეკვა აღარ გაბედო. მხოლოდ ღმერთმა იცის, რა გადავიტანე... შემდეგ, თვითონაც დამირეკა და მითხრა, რომ თურმე 2 შვილიც ჰყოლია. სულ მთლად გავგიჟდი. მისთვის არ მიკითხავს — ცოლი ჰყავდა თუ არა, ამიტომ ვერც ვუსაყვედურებდი. ამის შემდეგ, ერთმანეთის ნახვა რამდენჯერმე მოვახერხეთ. ლამით მისი მესიჯი მაღვიძებს, მწერს, რომ ვუყვარვარ და ვნატრები... ხანდახან მისი ცოლიც „მესიყვარულა“ შორიდან. სიგიჟე არაა — ცოლზე იეჭვიანო? ახლაც გვიყვარს ერთმანეთი, მაგრამ არაფერი გამოვა. მის გარეშე ცხოვრება უაზრობაა. გიჟი გურული“.

„ეჰ, შემეყვარდა და მერე როგორ — უაზროდ, უსაზღვროდ, გაუმართლებლად. იცი, რა ძნელია, გიყვარდეს სხვისი ქმარი? ახლა ჩემს სიყვარულს ვეტყვი, რომ აღარ შემეძლია, შენი მონატრება ბოლო მიღებს. მოხვალ, ოდესმე? კიდევ გახსოვარ? თუ ის ყველაფერი ცხოველური ჟინი იყო, რასაც დიდ სიყვარულს ვეძახდით? მჭირდები, მენატრები...“

„ცოლიანი კაცი შემეყვარდა. მატყუებდა, მიმალავდა, რომ ცოლი ჰყავდა. როდესაც გავიგე და მიზეზი ვკითხე, მითხრა: ერთი სული მქონდა, შენს გრძელ ფეხებს და გიტარასავით ტანს როდის მოვეფრებოდიო. იმ წუთიდან შემზიზილდა და მან თავისას ვერ მიაღწია. მერე, მისი ცოლი მანახვეს — უღამაზესი გოგო ყოფილა (ჩემზე ნაკლები არაფრით არ იყო). მივსა, გოგონებს ვუთხრა, დაანებონ თავი ცოლიანი კაცების დევნას. ერთი წუთით მათი ცოლების ადგილზე წარმოიდგინონ თავი. ადრიაანა ლიმა“.

„ჩემი უფროსი, ცოლშვილიანი კაცი შემეყვარდა. ვიცი, მასაც ვუყვარვარ, მაგრამ ოჯახს ვერ დავუზღრევე. დათო, ძალიან მიყვარხარ და სიცოცხლის ბოლომდე მეყვარები“.

„იცით, რააა? ეს კაცები ან ნარკომანები არიან, ან ცისფრები, ან ციხეში სხედან და ან ცოლიანები არიან. ქალები ისედაც მამაკაცებზე ბევრნი ვართ და აბა, რა ვქნათ, თუ ზოგიერთს ცოლიანი კაცი შეგვიყვარდება?“

დღეს „გზაჯინალებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ: რაც გინახავს, ვეღარ ნახავ. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61 ან მომწერეთ ელ. ფოსტაზე: marorita77@yahoo.com გვიამბეთ წარსულის საუკეთესო მოგონებების შესახებ. ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე. ■

პანდორა: კარგი, მოგიყვები. ყველაზე სერიოზული სიყვარული ამ 4 წლის წინ მეწვია, სრულიად მოულოდნელად. ერთ დღეს, ციხის ადმინისტრაციიდან დამირეკეს, მითხრეს, რომ პატიმარს ფსიქოლოგთან შეხვედრა უნდოდა და მთხოვეს, მივსულიყავი. პატიმარი, მკვლეელი და რეციდივისტი იყო. იცოდნენ, რომ დანაშაული ჩადენილი ჰქონდა, მაგრამ ვერ უმტიციებდნენ. თვითონ მოუთხოვია, ფსიქოლოგის დახმარება მჭირდებოდა, მათაც იფიქრეს, რომ შეიძლებოდა, ამ სიტუაციის მათთვის ხელსაყრელად გამოყენება. ვიდრე პატიმართან შემიყვანდნენ, კარგა ხანს მესაუბრნენ და მითხრეს, რომ ჩემი ძირითადი ამოცანა მისგან ჩვენების მიღება იყო.

ზურა: მერე, დათანხმდი?
პანდორა: დავთანხმდი, სხვა გზა არ მქონდა. მაგრამ შევასრულებდი თუ არა მიცემულ პირობას, — ეგ სხვა საკითხი იყო. როგორც მოძღვარს არა აქვს უფლება, საიდუმლოს გათქმისა, ისე — ფსიქოლოგს. არასოდეს მიმუშავია პატიმართან. ჩემთვის პროფესიული თვალსაზრისით, ძალზე საინტერესო შემთავაზება იყო და არავითარ შემთხვევაში უარს არ ვიტყვოდი. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ვიდრე პატიმართან საკანში შემეყვანდნენ, სარკეში თმა შევისწორე და ისე გავყევი ციხის თანამშრომელს. გავიარეთ ბნელი დერეფანი. იქ ისეთი პირქუში გარემოა, ადამიანი ძალაუნებურად ითრგუნები. საკნებიდან მამაკაცების ხმები ისმოდა. შიშის გრძობა დამეუფლა და ციხის თანამშრომელს ვთხოვე — იქნებ, სადმე, მაგალითად, უფროსის კაბინეტში მოეცათ პატიმართან საუბრის საშუალება, მაგრამ გადავიფიქრე, რადგან მის სამფლობელოში გაცილებით გულახდილი საუბარი გამოგვივიდოდა. შიში დავთრგუნე, იმ იმედით, რომ საკნის კართან დაცვა იქნებოდა და საშიშროება არ მელოდა. დიდი, მძიმე კარის საკეტი ჩხაკუნით გაიღო და საკანში შევაბიჯე...
ზურა: გული მიმდის. მერე?

პანდორა: ხომ იცი, ბრაზილიურ ტელესერიალებში როგორ ხდება ხოლმე? სერია ყოველთვის ყველაზე საინტერესო ადგილზე წყდება. ასე იქნება ახლაც... დროებით დავემშვიდობები და ხვალ მოგიყვები დანაშაულს. ახლა კი —)))

ზურა: ოჰ, ნატალი, როგორ გიყვარს ჩემი წაშვება!.. მეტი რა გზა მაქვს?! კარგად! მეც გკოცნი...

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ინფორმაციულ-მედიის სექტორი

ეოზა დვალის უბის წიგნაკვანძო

1. დოდო აბაშიძეს მედიტონ ქანთარია ჰყავდა ნაცემი.
2. მსოფლიოს მასშტაბით, ადამიანები ყოველ წამში სამ ზვიგენს კლავენ.
3. შმაგა მრავალწლოვანი შხამიანი მცენარეა. მას სამკურნალოდ იყენებენ.
4. „ცეკვა“ და „შუშპარი“ სინონიმებია („აქლემის შუშპარი ხიდზე გამოჩნდება“).
5. პირველ მსოფლიო ომს ჩინელები „ვეროპელთა სამოქალაქო ომს“ ეძახდნენ.
6. „უ ნას ვეზუდ ჩეჩნია“, — ამბობდა თავის დროზე ვლადიმირ პუტინი.
7. „ბიც ილი ნე ბიც?!“ — ვერ გადაუწყვეტიათ რუსი ეროვნების ქმრებს.
8. „მთავარი ის კი არ არის, თუ რა იცი, არამედ ის, თუ ვის იცნობ“, — ამბობენ ამერიკელები.
9. უცხო ენის შესწავლისას, ბავშვები ტვინის სრულად სხვა ნაწილს იყენებენ, ვიდრე მოზრდილები.



10. ინგლისის დედოფლის — ვიქტორიას მბრძანებლობაში დედამიწის მოსახლეობის მეოთხედი შედიოდა.

11. მსახიობ ნონა მორდიუკოვას პატივსაცემად, ასტრონომებმა ერთ-ერთ ვარსკვლავს მისი სახელი დაარქვეს.

12. წმინდა სამების ტაძრის სპილენძის გუმბათის მოსაოქროებლად, ორი თვე და მილიონ დოლარზე მეტია საჭირო.

13. ჰაიტინე ნაპოლეონის ჯარს ყვითელი ციება შეეყარა, რის გამოც, აჯანყებულ ზანგებს ვერაფერი მოუხერხდა და კუნძული დაუპყრობელი დარჩათ.

14. მეხუთე წელია, რაც ფინეთში მობილური ტელეფონების სროლაში ასპარეზობა ტარდება. წლევედელმა ჩემპიონმა საკუთარი „ნოკია“ 99 მეტრზე ისროლა.

15. „მე ვეღარც კი ვამჩნევ, რომ ქალი ვარ, მე საკუთარ თავს პრემიერ-მინისტრად აღვიქვამ“, — განაცხადა ერთხელ მარგარეტ ტეტჩერმა „დეილი მირორისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

16. მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შემოვიდა მოდაში. მოდის ისტორიის მკვლევარები ჰყვებიან — ეგრეთ წოდებულმა „შპილკებმა“ მსოფლიოს ყველა მუზეუმის იატაკი გააფუჭაო.

17. ბელურები ამერიკაში 1850 წელს შეიყვანეს. მათ ისე ელოლიაებოდნენ, რომ ბოლოს და ბოლოს, ღორმუცელობით დაეხოცათ. განმეორებით შეყვანილები კი ისე გამრავლდნენ, რომ მარცვლეულის მთელი მოსავალი განადგურეს. მოგვი-

სირქის პრეზი, ავთო ტვიტინიძის ორი კოსტიუმი და ქმრის 250-მდე ანეული წნევა

გასულ ვიზიტს, როცა ბათუმში შვეულუბით ვიმყოფებოდი, ჩემი ყურადღება ქუჩაში გაკრულმა აფიშებმა მიიქცია, რომლებიც რამდენიმე დღეში, ახალგაზრდა მომღერლის, მერი-კო ტურაშვილის სოლო კონცერტზე გვეპატივებოდა. კონცერტი ბათუმის ახლად გახსნილ ცირკში უნდა გამართულიყო. ბუნებრივია, ამ მოვლენით დაინტერესდები, მით უმეტეს, ვიცოდი, ეს ვერკოს პირველი სოლო კონცერტი იყო და დანიშნულ დღეს ბათუმის ცირკს ვწვივ. კონცერტს ბათუმელებთან ერთად, დამსვენებლებიც ესწრებოდნენ. ვერკო კულისებში კონცერტის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე მოვიანსულე და ჩვენი ინტერვიუს შედეგად...

ნათია ქვიციანი

— ვერკო, საუბარი შენი პირველი სოლო კონცერტით დაინწყით. მისი ბათუმში გამართვა რატომ გადაწყვიტეთ?

— ეს ექსპრომტად მოხდა. ბათუმში ოჯახთან ერთად, დასასვენებლად ჩამოვედი, მაგრამ სულ რაღაც 10 დღის წინ გადავწყვიტეთ, რომ ჩემი პირველი სოლო კონცერტი ბათუმის ახლად გახსნილ ცირკში გამართებოდა. ამაში ჩემი ბათუმელი მეგობარი ზვიად ცირაბიძე დაეხმარა. აჭარის ტელევიზიაც მხარში ამომიდგა და ასე, ერთობლივი ძალებით ვმართავთ კონცერტს. ისინი აბსოლუტურად უსასყიდლოდ დაეხმარნენ. ეს ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი დღეა, რადგან ასეთი მასშტაბის სოლო კონცერტი არასოდეს ჩამიტარებია და ძალზე ვნერვიულობ, თუმცა დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კარგად ჩაივლის. ძალიან მემშინოდა ცირკში კონცერტის გამართვის. თავიდან უარც კი ვთქვი, რადგან კონცერტამდე მხოლოდ ერთი კვირა იყო დარჩენილი — ეს დრო კი ძალზე ცოტაა ისეთი რეკლამის გასაკეთებლად, რომ ამხელა ცირკი ხალხით შეავსო. ბოლოს, ზვიადის დაჟინებულ მოთხოვნას მაინც დავთანხმდი. ჯერ არ მინახავს, დარბაზში რა ხდება, მაგრამ როგორც მითხრეს, თითქმის ყველა ადგილი დაკავებულია. ძალიან მიხარია.

— აქამდე სოლო კონცერტზე არ გიფიქრებ?

— მიფიქრია, მაგრამ ნამდვილად არ მეგონა, ასე უცებ თუ გადაწყვეტიდი. ამ საკითხზე ოცნების დონეზე ვფიქრობდი. თანაც ახალი სიმღერა არც ისე ბევრი მაქვს, ამიტომ ამ ეტაპზე სოლო კონცერტი ნამდვილად არ დამიგეგმავს. ახლა სულ 10 სიმღერას შევასრულებ. ჩემთან ერთად მონაწილეობას რამდენიმე ბათუმელი მომღერალიც მიიღებს.

— როგორც აღნიშნე, ბათუმში დასასვენებლად ჩამოსვედი, მაგრამ დას-



ვენების ნაცვლად, აქაც მუშაობ. ბათუმამდე თუ დაისვენე სადმე?

— ჩემს ქალიშვილთან ერთად, თვე-ნახევრის განმავლობაში კოჯორში ვისვენებდი. სუფთა ჰაერი მეც და ჩემს შვილსაც ძალიან მოგვიხდა. მთის მერე ზღვაზე წამოსვლა გადავწყვიტეთ, მაგრამ როგორც ხედავ, ზღვაზე გასვლასაც ვერ ვახერხებ.

— ალბათ საზღვაო ტანსაცმლით მომზარდებული იქნები...

— მართალი ხარ. რამდენიმე საცურაო კოსტიუმი წამოვიღე. ტანსაცმელიც ბევრი მაქვს. ასეთ დროს საორტულ სტილს ვანიჭებ უპირატესობას. ახლა ერთი სული მაქვს, გავიხადო ეს მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი და „შლოპები“ ჩავიცვა. ჩემი საზღვაო გარდერობი სულ ფერად-ფერადი ტანსაცმლისგან შედგება.

— ვინ ზრუნავს შენს დღევანდელ საკონცერტო ჩაცმულობაზე?

— ახალი არაფერი მაქვს. თან მხოლოდ ავთო ცეკვიტინიძის მიერ შეკერილი ორი კოსტიუმი წამოვიღე, რომლებსაც დღეს ჩავიცვამ.

— შემთხვევით წამოიღე?

— არა. როცა სადმე მივდივარ, ყოველთვის ვუშვებ, რომ შესაძლოა, იქ რაიმე კონცერტში მომიხდეს მონაწილეობა, ამიტომ სასცენო კოსტიუმები ყოველთვის თან დამაქვს.

— ახლა თუ მუშაობ რაიმე ახალ სიმღერაზე?

— რა თქმა უნდა. თბილისში ჩასვლისთანავე ახალ სიმღერას ჩავწერ, რომელიც უკვე მზად არის. მუსიკის ავტორი ავთო ბადუაშვილია, ტექსტი კი — მანანა გურგენიძეს ეკუთვნის. ამ სიმღერას აუცილებლად ბექა ნიკოლაიშვილის სტუდიაში ჩაწერთ, ხოლო სექტემბრის ბოლოს ბათუმში დავბრუნდები და ჩემი მეგობარი ზვიად ცირ-





აბიძე აქ გადამიღებს კლიბს.

— მოდი, ახლა შენს ოჯახზე ვისაუბროთ. პატარა ლიზზე გვიამბე—

— ლიზი ჯერ სამი წლისაა. ახლა სუფთა „ჩუნგა-ჩანგაა“. მზეზე გაირუჯა და „მავ“ სახეზე ქერა კულულები აყრია. დედუნას კონცერტებს თითქმის ყოველთვის ესწრება. ახლაც დარბაზში ზის და ელოდება, სცენაზე როდის გამოვალ. საერთოდ, სცენაზე დამინახავს თუ არა, ყოველთვის ჩემთან ყოფნას ითხოვს ხოლმე. იმედი მაქვს, რომ დღეს თავს შეიკავებს.

— საერთოდ, როგორი რეაქცია აქვს, როცა ტელევიზორში ან სცენაზე გხვდება?

— არაჩვეულებრივი. ჩემი ეკრანზე გამოჩენა ძალზე უხარია და ბედნიერი სახით უყურებს ხოლმე, მაგრამ საკმარისია, მეგობრების წრეში სიმღერა დავიწყო, რომ მამინევი პირზე ხელს მაფარებს და მეუბნება, ნუ მღერო. არ ვიცი, რა მოსდის, რატომღაც რცხვენია...

— ალბათ „იანანას“ უმღერო ხოლმე—

— რა თქმა უნდა. ყოველთვის მე ვაძინებ და ჩემი „იანანის“ გარეშე არ იძინებს.

— როგორ ფიქრობ, დედის კვალს გაჰყვება?

— ზუსტად ვერ გეტყვი, რადგან საკმაოდ ძლიერი ხმა აქვს, მაგრამ სმენასთან დაკავშირებით, პატარა პრობლემები გვაქვს: მელოდიას მთლად სწორად ვერ მღერის. თუმცა, სპეციალისტები მეუბნებიან, ძალიან კარგი სმენა ექნება. ვნახოთ.

— თავად თუ გაქვს სურვილი, რომ ლიზიმ იმღეროს?

— არ ვიცი. თუ ისე იმღერებს, რომ ჩემს ჩრდილში არ მოექცევა, მაშინ აუცილებლად შევუწყობ ხელს, რომ სცენაზე დადგეს. მაგრამ თუ კარგი სმენა არ ექნება, რალაცის გამო სცენაზე არავითარ შემთხვევაში არ დავაყენებ.

— მეორე შვილზე არ ფიქრობ?

— ჯერ არა. მომავალში ალბათ ამ საკითხზე ვიფიქრებ.

— სხვათა შორის, ბათუმში ქორაობენ, ვერკოს და მის მეუღლეს ერთმანეთთან ისეთი კარგი დამოკიდებულება აქვთ, ისევე შეყვარებულები გგონებო...

ჩემი სამღვაო გარდერობი სულ ფერად-ფერადი განსაცმლისგან შედგება.



— (იციინის). მიხარია, თუ ასე ამბობენ. ნათქვამი ხომ არის, წყვილი რომ დაქორწინდება, წლებთან ერთად მათი სიყვარულიც ფერმკრთალდება. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენს ურთიერთობაში ასეთი რამ არ მომხდარა. პირიქით, მეც და ჩემი მეუღლეც ყოველდღიურად ვხვდებით, რომ ჩვენი სიყვარული უფრო და უფრო ძლიერდება. ახლა ჩემი მეუღლე რომ ნახო, დაახლოებით 250 ექნება წნევა, ისე ნერვიულობს... ის ყოველთვის ჩემ გვერდით არის.

— უახლოეს მომავალში რაიმე ტურზე თუ გაქვს დაგეგმილი?

— დასავლეთ საქართველოში ძალიან ბევრი კონცერტია დაგეგმილი და ყველა მათგანში მივიღებ მონაწილეობას. თბილისში კი ჯერჯერობით მხოლოდ ერთი კონცერტის შესახებ არის ჩემთვის ცნობილი, რომელიც კუს ტბაზე ჩატარდება. მიხარია, რომ წელს ამდენი კონცერტი ტარდება. შარშან ხომ გახსოვთ, შოუბიზნესი რა მიძინებულები იყო. გარდა ამისა, მომღერლებს ასეთ დროს შემოსავლის წყაროც გვიჩნდება.

— რადგან ასე გააქტიურდი, კვლავ რომელიმე ფესტივალში ხომ არ აპირებ მონაწილეობას?

— ჯერ კონკრეტულად არ ვიცი, მაგრამ თუ რომელიმე ფესტივალზე გამგზავრებას გადავწყვეტ, ზუსტად ვიცი, რომ წინა 3 თვე აქტიურად უნდა ვიმუშაო ვოკალზე. ბოლო 2 კონკურსზე ისე მზად არ ვიყავი, როგორც საჭირო იყო. მაშინ მივხვდი, რომ გამგზავრებამდე ბევრი შრომაა საჭირო.

— ახლანდელ შოუბიზნესში მოდარბა პროდიუსერის ყოლა. „არტ იმედს“ თუ არ ჩავთვლით, შენ პროდიუსერი არასოდეს გყოლია. რა არის მიზეზი და აპირებ თუ არა, რომ მომავალში მინიმ გყავდეს ასეთი პროდუცერი?

— ჩემს შემოქმედებაში ჩემი მეუღლე ძალზე აქტიურად არის ჩართული. მართალია, თავიდან ამის არანაირი სურვილი არ ჰქონდა, მაგრამ როცა დავეკორწინდით, თავისთავად მოუხდა ამ ყველაფერში გარევა. სახელი — „პროდიუსერი“, არც თვითონ მოსწონს და არც მე ვამბობ, რომ ის ჩემი პროდიუსერია. მაგრამ იმ საქმეებს, რასაც წესით პროდიუსერი უნდა აგვარებდეს, ჩემი მეუღლე აკეთებს. როცა საჭიროა, ვინაშურ მხარდაჭერასაც მიწევს ან სპონსორს პოულობს ჩემთვის.

— უკმაყოფილებას არ გამოიქვამს ხოლმე ამის გამო?

— არა, ამასთან დაკავშირებით, არანაირი პრობლემა არა აქვს — პირიქით, მოსწონს ჩემი შემოქმედება და ყველანაირად ხელს მინცობს, რომ ის უფრო დაფხვენო და გავზარდო.

— ყოველთვის ყურადღების ცენტრში რომ ხარ, არ ეჭვიანობს?

— საერთოდ ეჭვიანია, მაგრამ თუ ყურადღების ცენტრში ჩემი სიმღერის გამო მოვექცევი, არ ეჭვიანობს. ის სულაც არ არის პოპულარული, მაგრამ ხანდახან მეც ვეჭვიანობ ხოლმე.

ინფორმაციულ-შეხვედებითი კოლაჟი

ეჩა დკალიზ უბის წიგნაკიდან:

ანებით, როდესაც ბოსტონში მუხლუხო გაჩნდა, მათ ბოსტონელები შიშშილისგან იხსნეს, რის გამოც, იქაურებმა ამ ფრინველს ძეგლი დაუდგეს.

18. „ზურაბ ცერეტელი სტროიტ სტენუ, ბოლშე, ჩემ კიტასკაია სტენა ი სტენა პლანა, ვმესტე ვზიატიე, ი ეტა სტენა ბუდეტ ნაზი-ვატსა რუსსკაია სტენა პლანა, პატამუ შტო ვსია რასია ბუდეტ ეიო აპლანიატ“, — ამბობდა ერთ-ერთ გამოსვლაში უკმაყოფილო მიხაილ ზადორნოვი.

19. ირანული წარმოშობის ამერიკელი ქალი — ანუშა ასარი — პირველი ტურისტია ქალია, რომელიც კოსმოსში გაფრინდება. ამისათვის იგი დიდი ხანია, ემზადება და ამ მოგზაურობის სავალსური — 20 მილიონი დოლარიც გადაიხადა.



20. ამერიკელების მიერ ოკუპირებულ ზონაში, ეიზენჰაუერის განკარგულებით, იმ გერმანელებს, რომლებიც კინოში დადიოდნენ, დამატებით სასურსათო ბარათებს აძლევდნენ. კინოში მათ საკონცენტრაციო ბანაკების შესახებ გადაღებულ ფილმებს უჩვენებდნენ.

21. მატარებლის მემანქანებს მგზავრობისას, ველოსიპედის სკამზე სვამდნენ და ყოველი ნუთ-ნახევრის შემდეგ, სიგნალს აძლევდნენ, რომელზეც რეაგირება სახელურის მობრუნებით უნდა მოეხდინათ. ეს პროცედურა იმისთვის იყო საჭირო, რომ მემანქანებს მგზავრობისას არ ჩახდინებოდა.

22. ავტომობილების დაზღვევის ერთ-ერთი ფირმის კომპიუტერმა კლიენტს 0 დოლარისა და 0 ცენტის ანგარიში გაუგზავნა. ბუნებრივია, პასუხი არც მიუღია, რის შემდეგაც, ფირმა კლიენტს სადაზღვევო ხელშეკრულებების გაუქმებით დაემუქრა. ამის თავიდან ასაცილებლად, კლიენტმა ფირმას 0 დოლარისა და 0 ცენტის ჩეკი გაუგზავნა. ჩეკმა კომპიუტერი სასვეებით დააკმაყოფილა.

23. სერიული მკვლელი — ანდრეი ჩიკოტილო მთელი ცხოვრება მატერიალურ სიდუხჭირეში ცხოვრობდა. იგი სახლში ოცამდე დანას ინახავდა, რომლითაც მკვლელობა ჰქონდა ჩადენილი. მკვლელობის იარაღს მომჭირნეობის გამო არ იშორებდა თავიდან — ეს დანები ხორ ფული ღირდა(!).

24. ალექსანდრ პუშკინი ბოთლი რომის სსენებაზეც კი, საშინლად ღიზინდებოდა. მისი ბაბუა — ჰინბალი — პეტრე პირველმა ერთი ბოთლი რომის ფასად იყიდა.

25. როდესაც თბილისში ჩამოსულმა პიტერ ბრუქმა მიხეილ თუმანიშვილის მიერ დადგმული „დონ კუანი“ ნახა, რეჟისორს მიულოცა და უთხრა: ამ სპექტაკლისთვის თავად მოლიერიც კი მაღლიერი დაგრჩებოდათო.



„ტყემალოზე“ მექდარი ია ჩანტლაძე, უსქესო არსებები და სასიუყარულო ზარათები

„ბავშვური „ნიკი“ მქონდა – მინდოდა, ჩემი
შეყვარებული, „ქრასავჩიკი“ ყოფილიყო“

ლიპა ქაჩაია

„ძალიან პატარა ვიყავი, როცა აფრიკული ნაწნავები გავიკეთე (თბილისში ჯერ არავის ჰქონდა) და ამან სრული შოკი გამოიწვია“, — მითხრა მომღერალმა ია ჩანტლაძემ, რომლისთვისაც არანაირი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ სად გაიცნობს საყვარელ ადამიანს. თუმცა, მაჭანკლობას მარაზმად მიიჩნევს, რადგან როგორც თვითონ ამბობს: კოშმარია, როცა ურთიერთობის ყველა ეტაპს ვილატები უთვალთვალებენ.

— თინეიჯერობის ასაკში, პიროვნების ჩამოყალიბება იწყება და აქედან გამომდინარე, ამ ასაკის ადამიანს, დადგენილი წესების მიმართ რაღაც პროტესტის გრძნობა, საპირისპირო მიმართულებით სიარულის სურვილი და თავისუფლების კომპლექსი უჩნდება.

— თავისუფლების კომპლექსში რას გულისხმობ?

— იმას ვგულისხმობ, რომ ის იწყებს ფიქრს — „თავისუფალი ვარ, ე.ი. ყველაფერი შემიძლია გავაკეთო“ და ამ დროს, ზოგიერთი მათგანი უამრავ შეცდომას უშვებს... დროთა განმავლობაში, როცა უკვე თინეიჯერობის პერიოდს გადალახავ, თანდათან წყნარდები.

— როგორ ფიქრობ, 19 წლამდე ასაკის მოზარდმა შესაძლებელია, რომ დამოუკიდებლად იცხოვროს?

— ალბათ არა, მით უმეტეს, ჩვენს ქვეყანაში — იმიტომ, რომ აქ თინეიჯერები მატერიალურად ისევე მშობლებზე არიან დამოკიდებულნი.

— ამ ასაკში, შენ რის მიმართ გაგჩინდა პროტესტის გრძნობა?

— არ მახსოვს, მაგრამ ის კი ვიცი, რომ მქონდა უშრეტო ენერჯია, მიყვარდა სპორტული სტილი და ზოგიერთ მომენტში მინდოდა, გადანყვეტილებები მშობლებისგან დამოუკიდებლად მიმელო, რადგან ვფიქრობდი, რომ ბავშვი აღარ ვიყავი.

— როგორც თქვი, ამ ასაკში დამოუკიდებლად მიღებულ გადაწყვეტილებებს რაღაც შეცდომამდე მიყვავართ...

— მე ვთქვი, ზოგიერთ შემთხვევაში-მეთქი. მიმაჩნია, რომ მაშინ არ დამიშვია ისეთი შეცდომა, რომელიც ფატალურ შედეგს გამოიღებდა. ვფიქრობ, როცა ადამიანი (ნებისმიერ ასაკში) გადანყვეტილებას დამოუკიდებლად იღებს, რაღაც ბედნიერების განცდა ეუფლება, ხოლო თუ შეცდომას დაუშვებს, მხოლოდ საკუთარ თავს დააბრალებს და იმითაც კმაყოფილი დარჩება, რომ ამ შეცდომის შედეგად რაღაც ისწავლა. რა თქმა უნდა, უფროსების რჩევაც უნდა გავითვალისწინოთ, მაგრამ მიმაჩნია, რომ უბედურია ადამიანი, რომელიც მთელი ცხოვრება სხვისი ინსტრუქციებით ცხოვრობს.

— უფროსი თაობა თინეიჯერებს აკრიტიკებს...

— ყველას ვურჩევ — გაიხსენოს თავისი თინეიჯერობა და მერე, ალბათ უფრო ლობიერები იქნებიან. მეც ვამბობ, რომ დღევანდელი თინეიჯერები ნაკლები სულიერებით გამოირჩევიან, ვიდრე — ჩემი თაობის თინეიჯერები, მაგრამ ისიც კარგად ვიცი, რომ ზედაპირული ადამიანები ყველა თაობაში იყვნენ. ესენი ძალიან პრაგმატულები არიან და შეიძლება, ცხოვრებისთვის ასე ჯობდეს.

— ამ ასაკში, მიზნის დასახვა აუცილებელია?

— ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ თინეიჯერობის პერიოდში, პროფესიის არჩევა სისულელეა — 17 წლის ასაკში ძნელია მიხვდე, რა გენდომება მთელი ცხოვრების მანძილზე. ამიტომაც არის, რომ ძალიან ბევრი ადამიანი ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, უმაღლეს სასწავლებელში თავიდან აზარებს, სხვა პროფესიას ეუფლება და ამბობს, რომ ის წლები ტყუილად დაკარგა.

— სკოლაში როგორ მოსწავლედ მიგჩინებდნენ?

— ფანტასტიკური, საკმაოდ ავტორიტეტული ბავშვი ვიყავი.

— ავტორიტეტულში რას გულისხმობ?

— ჯერ ერთი, იმას, რომ გამორჩეულად კარგად ვსწავლობდი და ბოლოს, ჟურნალსაც მე მბარებდნენ — ჯგუფური ვიყავი, თუმცა ეს არ მინდოდა, რადგან ბოლო კლასებში სიტუაცია აირია, სკოლაში არავინ დადიოდა, კომმარული სიტუაცია იყო და მახსოვს, როცა კლასელებთან ერთად „მატალოზე“ მივდიოდი, ჟურნალიც მიმქონდა.

— და სად მიდიოდი?

— ხან — სად და ხან — სად. მთელ კლასს შეგვეძლო გვერდით ეზოში ვმსხდარიყავით და მაინც კარგად გვეხალისა. მთავარი ის იყო, რომ გაკვეთილს ვაცდენდით.

— ლამის კლუბში არ დადიოდი?

— ყოველთვის ძალიან დაკავებული ვიყავი. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ვმღეროდი — ხან ჩანერა მქონდა, ხან კონცერტი, გასტროლი და ა.შ. თან, უცხო ენას ვეუფლებოდი, დავდიოდი უამრავ წრეზე და იმდენად მრავალფეროვანი ბავშვობა მქონდა, რომ ლამის კლუბში წასვლაზე არც მიფიქრია... თუმცა, მეც მიყვარდა დისკოთეკაზე სიარული, მაგრამ მაშინ, ეს, ცოტა არ იყოს, საშიში გახლდათ (ახლა, ამ მხრივ სიტუაცია გაუმჯობესდა), საღამო, ხშირ შემთხვევაში, ვილაცის დაჭრით, მკვლევობით, ჩხუბით, აყალმყალით მთავრდებოდა.

— ხომ არ ფიქრობ, რომ სხვადასხვა წრეზე სიარულმა ბავშვობის წლები „მოგპარა“?

— როგორ გვეადრება?! ჩემთვის სიმღერა იყო ცხოვრების სტიმული, რომელიც მართალია, ბევრ დროს მართმევდა, მაგრამ მსიამოვნებდა. თუ შვილს ატყობ, რომ რაღაც არ სიამოვნებს, ძალა არ უნდა დაატანო, არ უნდა დატანჯო. თუმცა, აუცილებელია, რაღაცით მაინც იყოს დაკავებული, რათა თვალი ნარკოტიკისა და ათასი სხვა უბედურებისკენ არ გაექცეს.

— სკოლაში „სასტავებად“ იყოფოდი?

— რა თქმა უნდა. ჩემს „სასტავში“ 5-6 ბავშვი იყო, მაგრამ ჩვენ ჩაკეტილები და აგრესიულები არ ვყოფილვართ, კლასში ყველასთან ვმეგობრობდით...

— თქვენი „კულტოკი“ როგორ ერთობოდა?

— ათასნაირად — ვსერირობდით,

ოჯახებში ვიკრიბებოდით, ვჭორობდით და სხვა.

— რაზე ლაპარაკობდით ხოლმე?

— ყველაფერზე, რაც შეიძლება ადამიანს თავში მოუვიდეს.

— მასწავლებლებს არ აბრაზებდი?

— არა და ამიტომაც ვიყავი მათი ერთ-ერთი უსაყვარლესი მოსწავლე. ხომ იცი, ჩემნაირი კარგი მოსწავლეები მასწავლებლებს უყვართ (იციან).

— კი, მაგრამ კარგმა და საყვარელმა მოსწავლემაც ხომ შეიძლება, მასწავლებელი ერთხელ მაინც გააბრაზოს?

— ასეთი შემთხვევა არ მქონია, მაგრამ მასწავლებლისთვის თავის მოსწონებლად, კლასს არ გავყიდდი... თუმცა, გვყავდა „ჩამშვები“ ამხანაგები; ისეთებიც იყვნენ, „შატალოზე“ არაფრის დიდებით რომ არ წამოვიდოდნენ... მიუხედავად იმისა, რომ ფრიადოსანი ვიყავი, ასე არასდროს მოვქცეულვარ — ყოველთვის მეგობრების გვერდით ვიყავი.

— „ჩამშვებებს“ როგორ უსწორდებოდით?

— ყოველთვის ვეკითხებოდით — „ეს რატომ გააკეთე? რატომ არ წამოხვედი? რისი შეგეშინდა?“... გვექონდა ათვალწუნების მომენტებიც, ასეთის მიმართ ნდობა გვეკარგებოდა. ამიტომაც, ის ჩვენს წრეში ვეღარ შემოდოდა, გარიყული იყო.

— როგორ ფიქრობ, მათი სატყეილი აღზრდის ბრალი იყო?

— არ არის გამორიცხული. თუმცა, შესაძლებელია, რაღაც კომპლექსიც ჰქონდათ; ან უნდოდათ, რომ მასწავლებლის თვალში ჩვენზე კარგები გამოჩენილიყვნენ...

— ამ ასაკში შენ რისი კომპლექსი გქონდა?

— არ მახსოვს, რაიმე კომპლექსს შევეწუხებინე, რაც იმის წყალობაა, რომ სრულყოფილი ბავშვობა მქონდა.

— ქუჩაში მათხოვრობაც შეგეძლო?

— არ მითხრა, დღეს თინეიჯერები ასე იქცევიანო.

— მეტსაც გეტყვი, ასეთ მოზარდებს ნებისმიერ უბანში შეხვდები და ისინი თავს „სვეტსკი“ მათხოვრებს უწოდებენ.

— ე.ი. „ტყემალზე“ ვზივარ... არა, ასე ნამდვილად ვერ მოვიქცეოდი, მაგრამ არა რაღაც კომპლექსის გამო, არამედ იმიტომ, რომ არასდროს გავაკეთებ იმას, რაც ჩემს ოჯახს არ შეეფერება. ადამიანმა ნებისმიერ ასაკში უნდა იცოდეს, რა ეპატიება და რა — არა.

— მშობლები რაიმეს გიკრძალავდნენ?

— თინეიჯერობის ასაკში — არა, მაგრამ მახსოვს, როცა პატარა ვიყავი, დედა მუზნებოდა: ეზოში ისე ითამაშე, რომ მეც გხედავდე, თუ არა და არ გაგიშვებო.

— დღესასწაულზე გვიანობამ-

დე ყოფნის ან მეგობართან ლამით დარჩენის პრობლემა არასდროს გქონია?

— პრინციპში, კი, მაგრამ ჩემი მშობლებისთვის მთავარი იყო, სცოდნოდათ — სად და ვისთან ერთად ვიყავი.

— ამ ასაკში, მშობელმა შეილი უნდა აკონტროლოს?

— კი, აუცილებელია, მაგრამ ეს ისე უნდა გააკეთოს, რომ შეილი უხერხულ მდგომარეობაში არ ჩააყენოს. ბავშვი ვერ უნდა ხვდებოდეს, რომ აკონტროლებ და კიდევ, მთავარია, კონტროლი დიქტატში არ გადაიზარდოს. მიმაჩნია, რომ ამგვარი მიდგომით მშობლები შეილს დალუბავენ, ცხოვრებას ჯოჯოხეთად უქცევენ... ასეთი ბავშვი უფრო მეტად ეცდება, აკრძალულ ხილს გემო გაუგოს...

— ალბათ, ამ ასაკში ბევრი თავყანისმცემელი გყავდა...

— ბევრი არ ვიცი, მაგრამ იყვნენ.

— აბეზრების თავიდან მოშორებას როგორ ახერხებდი?

— სიტყვით, რადგან ახტაჯანა არასდროს ვყოფილვარ.

— და ეს ამართლებდა?

— ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის თავის დანებებას ცდილობდნენ.

— შეყვარებული გყავდა?

— სერიოზულად არავინ მყვარებია. შეიძლება, ვიღაც მომწონდა და მასაც მოვწონდი, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ნერვების ნერით შემოვიფარგლებოდით.

— რას წერდით?

— შინაარსი თითქმის ყოველთვის ერთნაირი იყო — „მიყვარხარ“ და ბავშვური რაღაცები.

— ბიჭებს შენი გულისთვის თუ უჩსუბიათ?

— უჰ, კი. თან, ძალიან ბევრჯერ.

— სიტუაციის განმუხტვას არ ცდილობდი?

— შეიძლება, ასეთ მომენტში ვიღაცებს სიამაყის გრძნობა გაუჩნდეთ — აი, ჩემი გულისთვის ერთმანეთს კლავნო, მაგრამ ასეთ რაღაცებზე ვლიზიანდებოდი და ვამბობდი: ნეტავ, რა აჩსუბებთ,

მოვიდნენ და მკითხონ — იქნებ, არც ერთი მომწონს და არც მეორე-მეოთხე... თუმცა, ეს იყო ბავშვური სატყეილი, რომელსაც თავისი ხიბლი ჰქონდა.

— შენ მითხარი — ადრე სპორტული სტილი მიზიდავდაო. საინტერესოა, გემოვნება ძლიერი სქესის წარმომადგენლების მიმართაც შეგეცვალა?

— თინეიჯერობის შემდეგ, გემოვნება აუცილებლად გეცვლება. წარმოიდგინე, ახლაც კედლებით რომ ვირბინო, როგორი სანახავი ვიქნები. ვფიქრობ, რომ ბიჭების მიმართ გემოვნება შემეცვალა იმ მხრივ, რომ ჩემთვის გარეგნობა მეორეხარისხოვანი გახდა. ბავშვობაში კი, რაღაც ისეთი „ნიკი“ მქონდა, რომ ჩემი რჩეული მაინცდამაინც „კრასავიკი“ უნდა ყოფილიყო.

— ამ ასაკში, ოჯახის შექმნა მისაღებია?

— სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ როცა ამ ასაკში ოჯახს ქმნი, სინამდვილეში არ იცი — რა გინდა. თინეიჯერს არაფერი აქვს ნანახი, არ იცის, ამის შემდგომ როგორ უნდა იცხოვროს, შეილი როგორ აღზარდოს და ა.შ. მერე, გადის დრო და ხვდება, რომ შეცდომა დაუშვა და ოჯახიც ინგრევა.

— როგორ ფიქრობ, მთელი ცხოვრება თინეიჯერად დარჩენა რას ნიშნავს?

— როცა 40 წლის ადამიანი ასაკისთვის შეუსაბამოდ ჩაიცვამს, სასაცილო ხდება. ასეთ ადამიანებს ასაკის კომპლექსი აქვთ და ცდილობენ, სხვებს აჩვენონ, რომ არ დაბერებულან.

— როცა ასეთი ადამიანები ქმნიან ოჯახს, მისი დანგრევის საშიშროებაც არსებობს?

— ვფიქრობ, კი, მაგრამ ყველას აქვს უფლება, ჰქონდეს ოჯახი და ამას ვერავის აუკრძალავ. მათ ვერაფერ ეტყვის — რაღაც სტანდარტებში ვერ ჯდები, ამიტომ მარტო უნდა იცხოვრო. ინფანტილური ადამიანი იშვიათ თავის შესაფერისს და მასთან ერთად ბედნიერად იცხოვრებს.

— ვინ არის შენთვის დაქალის შეყვარებული?

— დაქალის შეყვარებული არის უსქესო ადამიანი.

— და უსქესო ადამიანმა სიყვარული რომ აგისხნას, რას მოიმოქმედებ?

— თავს გაუტყვავ, ჩემს დაქალს კი ვეტყვი, რომ გვერდით დეგენერატი ჰყავს და არც იმისი შემეშინდება — არასწორად არ გაიგოს-მეთქი, რადგან დრო გავა და მიხვდება, ასე რატომაც მოვიქეცი. ასეთი რაღაცის დამალვა სისულელეა. ვერ ვხვდები — რატომ უნდა ვიზრუნო მათი სიყვარულის შესანარჩუნებლად და რატომ უნდა მინდოდეს, რომ ჩემი მეგობრის გვერდით კრეტინი იყოს?!

— თინეიჯერობაში ვისი ფანი იყავი?



რა მნიშვნელობა აქვს — ვიღაცას ქუჩაში გაიცინო თუ „ჩეთში“?

— ბევრი მსახიობი და მომღერალი მომწონდა. ისეთ კონცერტებსაც დავსწრებივარ, სადაც ტაშიც დამიკრავს, მიტრია კიდეც. მასსოვს, ჯაზმენის — მიშელ პეტრუჩინის კონცერტი იყო და როცა ის სცენაზე გამოვიდა, ავტირდი, ხოლო როცა დაკვრა დაიწყო, ლამის ჭკუიდან შევიშალე (ახლაც მზურძგლავს), ფეხებზე მეკიდა — ვინ მიყურებდა და ვინ — არა... მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ ემოციით იყო გამოწვეული. ასე იმის გამო არ მოვქცეულვარ, რომ ის შემსებობდა, ჩემთვის ხელი დაეჭინა და ა.შ. არ მესმის იმ ადამიანების, რომლებიც ვილაცხს აფეთიშებენ — ჩემთვის კერპთაყვანისმცემლობა კომმარის ტოლფასია.

— ცნობილი ადამიანების პლაკატებს აგროვებდი?

— ამ მხრივ, ჩვეულებრივი, სტანდარტული ბავშვი ვიყავი. მასსოვს, ძალიან მომწონდა კევინ კოსტნერი (ფილმის — „პირადი მცველის“ შემდეგ) და მქონდა მისი ულამაზესი პლაკატი.

— შენი თაობის თინეიჯერებისგან დღევანდლები რითი განსხვავდებიან?

— ესენი ძირითადად ვირტუალურ სამყაროში ცხოვრობენ. მართალია, კომპიუტერი ჩემს თინეიჯერობაშიც იყო, მაგრამ მასზე მიჯაჭვულები არ ვიყავ-

ით. ბევრისგან მსმენია — კომპიუტერმა წიგნი ჩაანაცვლაო. მათ ამაში ვერ დავეთანხმები, რადგან წიგნი შეუცვლელია.

— „ჩეთაობა“ გიზიდავს?

— როცა კომპიუტერი შევიძინე, მაშინ მქონდა ეს მომენტი, მაგრამ ახლა, ნაცნობების გარდა, არავის ვეკონტაქტები, რადგან „ჩეთში“ ძრომიალი უაზრო დროის კარგვად მიმაჩნია.

— რატომ, ასე ხომ შესაძლებელია, შენი ცხოვრების მეგზურ-იც გაიცნო?

— სრულიად შესაძლებელია. ეს ადამიანის გაცნობის ერთ-ერთი ფორმაა და რა მნიშვნელობა აქვს — ვილაცხს ქუჩაში გაიცნობ თუ „ჩეთში“?.. ვიცნობ ადამიანებს, რომლებმაც სწორედ ასე გაიცნეს ერთმანეთი, მერე ოჯახი შექმნეს და დღეს ბედნიერები არიან.

— მნიშვნელობა არა აქვს — გასვენებაში გაიცნობ ადამიანს თუ ქორწილში, არა?

— რეებს იგონებ ხოლმე, გავგიჟდი...

— ნუთუ, არ გაგიგია, რომ რაიონებში ახალგაზრდებს ერთმანეთს სწორედ ასეთი შემთხვევების დროს აცნობენ?

— (იცინის). მოკლედ, ადამიანის გაცნობის მეთოდს არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. უბრალოდ, ვირტუალურ

სამყაროში შეიძლება, ბევრი ტყუილი გითხრან და გაგაბრუნონ.

— მაჭანკლობის ინსტიტუტზე რას იტყვი?

— აუ, ეს მარაზმია. მგონი, მაგ საუკუნიდან გამოვედით... ისე, რომ დაფიქრდე, იტყვი — რა მოხდა, გაგაცნობენ და მორჩაო, მაგრამ შენს ერთ გაღიმებას და ურთიერთობის განვითარების ყველა ეტაპს ვილაცხები რომ უთვალთვალევენ, ეს კომმარია.

— კომმარია თუ რეალური შოუ?

— ჰო, რა, მაგრამ მაინც კომმარია.

— დაბოლოს, რას ურჩევდი თინეიჯერებს?

— არ დაკომპლექსდეთ. თუ ვინმე გეტყვით, რომ ცუდი და უზრდელი თაობა ხართ, მას არ აპყვეთ. იყავით შინაგანად თავისუფლები და აკეთეთ ის, რაც გინდათ. ძალიან კარგები ხართ და ყველანი მიყვარხართ.

P.S. ძვირფასო თინეიჯერო! შეგიძლია მოგწერო — ვის ნახვას ისურვებდი მომავალ ხუთშაბათს და რატომ? რა კითხვას დაუსვამდი შენს რჩეულს. ან სულაც, თუ გინდა, შენი გულისტკივილი გაგვიზიარო და რჩევები ცნობილი ადამიანებისგან მიიღო, დაგვიმესიჯე ნომერზე: 8(99) 17-35-27.



თათა, 16 წლის:

„4 წელია, ერთ ბიჭს ვუყვარვარ, მე კი არ მიყვარს და მეგობრად მივიჩნევ. ის ბიჭი ცოტა ხნის წინ დაიჭირეს, მაგრამ მაინც არ მეშვება. იქნებ მირჩიოთ, როგორ ჩამოვიშორო ისე, რომ მეგობრებად დავრჩეთ (თუმცა, მას ეს არ სურს)?“

ლალი მოროშკინა:

— პირველ რიგში, მინდა გითხრა, რომ არ შეიძლება, სიყვარული ვილაცხის ჩამოშორების მიზეზი იყოს. თუ ცხიხეში ზის, ე.ი. ფიზიკურად ვეღარ შეგანუხებს. თუ შენ ის მართლაც მეგობრულად გიყვარს, მაშინ იმასაც უნდა ხვდებოდე, რომ ახლა რალაცის მტკიცება და მტკივნეულ ადგილას, როგორც

შეგნება

იტყვიან — „მაზოლზე“ ფეხის დაჭერა არ ღირს.

ახმეტელი, 16 წლის:

„მყავდა შეყვარებული, რომელიც ცოტა ხნის წინ მივატოვე, მაგრამ ისევ მიყვარს და ვერ ვივიწყებ, მან კი ცოლი მოიყვანა. ახლა, ჩემს გულს ტელეფონით გაცნობილი ქუთაისელი ბიჭის სიყვარულიც დამემატა, ისიც სიყვარულს მეფიცება და მთხოვს — გავიპაროთ, არადა ერთმანეთს ჯერ არც კი შევხვედრივართ. არ ვიცი, როგორ მოვიქცე. იქნებ, თქვენ მირჩიოთ რამე?“

ლალი მოროშკინა:

— ხალხნო, XXI საუკუნეში ვცხოვრობთ და რალა დროს გაპარვა და რალაც სისულელეებია?! მით უმეტეს, როგორ უნდა გაპყვე პიროვნებას, რომელიც ნანახიც არ გყავს? როცა შეყვარებული დაკარგე, მაშინ შენი შანსი ვერ გამოიყენე და მეორე, უფრო დიდ სისულელეს ნუ ჩაიდენ. შენ დრო გჭირდება იმისთვის, რომ „დალაგდე“ და გრძნობებში გაერკვე. სანამ რაიმეს გადაწყვეტ, კარგად დაფიქრდი და მერე იმოქმედე.

ანა, 15 წლის:

„გამარჯობა, ლიკა. სანამ საზაფხულო არ დადებები და იწყებოდა, მე და ჩემი კლასელი ბიჭი კარგი მეგობრები ვიყავით, მისი თითქმის ყველა საიდუმ-

ლო ვიცოდი. მას ჩემი დაქალი უყვარს, ის კი მის გრძნობას უპასუხოდ ტოვებს. ამის გამო, ძმაცაცთან უთანხმოება მომივიდა, რადგან ჰგონია, რომ ეს ჩემი ბრალია. არადა, არაფერ შუაში ვარ. ამ ბიჭს, რაც არ დადებები და იწყებ, იმის მერე არ ველაპარაკები. მინდა შევურიგდე, რადგან კარგი მეგობარი იყო. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე?“

ლალი მოროშკინა:

— მინდა გითხრათ, რომ მეგობრის დაკარგვა სისულელეების გამო ნამდვილად არ ღირს. ჯობია, შენი მეგობარი ნახო, გულახდითად დაელაპარაკო და უთხრა, რომ არაფერ შუაში ხარ. თანაც, როცა 2 ადამიანს ერთმანეთი გულწრფელად უყვარს, მათ ურთიერთობას ვერაფერს გააფუჭებს.

სალი, 15 წლის:

„შემიყვარდა ბიჭი, რომელიც ცოლს ირთავს და მას ჰგონია, რომ მისდამი მხოლოდ მეგობრული გრძნობა მაქვს. გთხოვთ, მირჩიეთ, რა ვქნა?“

ლალი მოროშკინა:

— ძალიან რთულ სიტუაციაში ხარ. დაიმხსოვრე — ქალი ხარ და ვერაფერს გააწყობ (რა თქმა უნდა, თუ მათ ურთიერთობაში ბოროტად არ ჩაერევი). თუ ის მართლა გიყვარს, მაშინ უნდა შეეშვა და ბედნიერება უსურვო. დრო გავა, სხვა

შეგიყვარდება და შენს მეორე ნახევართან ერთად, სუფთა სინდისით იცხოვრებ.

მორცხვი, 16 წლის:

„გთხოვთ მირჩიოთ, როგორ დავძლიო უაზრო და ავადმყოფური სიმორცხვე, რომლის გამოც საშინლად ვიტანჯები. ყველასი და ყველაფრის მრცხვენია. გერმანული ენის შემსწავლელ კურსზე დავდივარ, გვერდით ერთი ბიჭი მიზის და გაკვეთილის მოყოლის დროს, ვნითლდები. ამის გამო, იქ სიარული ჩემთვის ჯოჯოხეთად იქცა. შეიძლება, ბევრმა იფიქროს, რომ არანორმალური ვარ, მაგრამ რა ვქნა, ასეთი გახლავართ“...

ლალი მორცხვი:

— დღეს მორცხვ ადამიანებს იშვიათად თუ შეხვდები. ჩემო კარგო, ეს შენი პლუსია და ასე ნუ განიცდი, პირიქით, უნდა გიხაროდეს, რომ ასეთი ხარ. წარმატებებს გისურვებ.

სალომე გიორგაძე, 17 წლის:

„ლალი, ძალიან კარგი ადამიანი ხარ, მიყვარხარ. შენსავით ვილაცებს არც მე „ვაფანატებ“, მით უმეტეს, მოდის გამო. მაინტერესებს — რომელ ფილმში მიიღებდი მონაწილეობას სიამოვნებით და ვისთან ერთად?“

ლალი მორცხვი:

— როცა ადამიანი ხელოვნებას არის ნაზიარევი, ის აუცილებლად ისურვებდა მონაწილეობა მიეღო ისეთ ფილმში, რომელსაც ცნობილი რეჟისორები იღებენ. სიამოვნებით მივიღებდი მონაწილეობას რიბანოვის, ალმოდოვარის, რეზო ჩხეიძის (სხვათა შორის, მის ერთ-ერთ ფილმში ეპიზოდური როლი მქონდა), ნოდარ მანაგაძის და ბევრი სხვა რეჟისორის ფილმში.

ანუშკები, 24 წლის:

„ვეხმაურები მოლოდინს. 24 წლის ვარ. თუ ჩემთან მეგობრობის სურვილი გაქვს, შემეხმინებ. ჩემს ნომერს ლიკა მოგცემს. ლიკა, გმადლობთ, რომ არსებობთ“.

მარი, 16 წლის:

„მონასტრის ბიჭო, ვინ შეგარქვა ეს სახელი? ან სულაც, რამდენი წლის ხარ?“

ეურნალისტკა, 15 წლის:

„ვეხმაურები ნინის: გული არ გაიტყბო. თუკი ბედმა ლოდინი გარტყნა, ნუ იფიქრებ, რომ ბედი არ გაქვს, უბედური ხომ მხოლოდ ის არის, ვისაც ლოდინის მიზეზი არ გააჩნია“.

ნინი, 15 წლის:

„ლიკა, ძალიან გამახარებ, თუ ამ მესიჯს გამომიქვეყნებ. მინდა, ჩემს თანატოლებს და მოწვეულ სტუმარს ვკითხო — რა აზრის არიან „ჩეთზე“? წინასწარ გიხდით მადლობას“.

ნინუცა, 17 წლის:

„ვეხმაურები მოლოდინს. მართალია, ჯერ 19 წლის არა ვარ, მაგრამ შენთან მეგობრობას სიამოვნებით ვცდიდი“.

სალუკა, 16 წლის:

„ვეხმაურები თბობას. შემთხვევით, მიშკა ხომ არ გქვია და შენი ცხოვრების აზრი — სოფო ხომ არ მიემგზავრება რუსეთში? თუ ასეა, გამომეხმაურე და ნამდვილად დაგეხმარები“.

რეჟისორ გიორგი შალუტაშვილს ახალციხეში შეხვდით — მესხეთის თეატრში ორ ახალ სპექტაკლს დგამდა. ლაპარაკიც მისი შემოქმედებითი ცხოვრების სიახლეებით დაიწყო. მაგრამ სიტყვამ მოიტანა და, ჯერ ერთი სახელოვანი წინაპარი ახსენა, მერე — მეორე, მესამე, შიგადაშიგ დაიმორცხვა კიდევ: დითირამებები გამომდის საკუთარ თავზეო, — თუმცა, მალევე დამშვიდდა: ჩემზე ხომ არ ვყვები, წინაპრებს ვიხსენებო, — და თხრობაც განაგრძო... ვიფიქრე, მკითხველსაც დააინტერესებს მისი მონათხობი-მეთქი და ამიტომ, რეჟისორ გიორგი შალუტაშვილსა და თეატრზე საუბარი დროებით გადავდგე...

**ჩა უსსსოჩა
კისილ როკანოკა
ულს უალუხაჟილს,
„ოტუბიანთ თუკიანის“
„კოხაუროსა“,
ჯანოოსოცაი და
„საიუანთ რუსის ჯანი
საქანთოლოცაი!“**



ირმა ხარშილაძე

გიორგი შალუტაშვილი:

— ფილმს ვიღებდი ქართულ რიტუალებზე და ერთი ოფიციალური პირი მკითხება — ფოლკლორთან და ეთნოგრაფიასთან თუ გაქვთ რაიმე კავშირიო? მოკლედ ვუპასუხე: პაპაჩემის ძმა — ვახტანგ კოტეტიშვილი, ხოლო სიმე — სერგი მაკალათია იყო-მეთქი. ბებიაჩემი — ნინა მაყაშვილი კი, პირველი ქალი გახლდათ, ვინც საქართველოში პირველი დემონსტრაცია მოაწყო ლოზუნგით: „გაიყვანეთ რუსის ჯარი საქართველოდან!“ ეს იყო 1923 წელს. მისი

ძმა — მიხეილ მაყაშვილი პირველი ქართველი სამხედრო მფრინავი, საქართველოში პირველ თვითმფრინავზე იჯდა და იუნკრებთან ერთად მოკლეს, ძალიან ახალგაზრდა. ამის გამო ბებიაჩემი არასდროს ამბობდა ოჯახში სიტყვას „კომუნისტი“, გაიძახოდა ხოლმე — СВОЛОЧИ, თუ კარგ გუნებაზე იყო — БАНДИТЫ. 1987 წელი იყო დაახლოებით, ვეუბნები: ნინა, არ გრცხვენია, რომ წუნუნებ (არადა, არასდროს წუნუნებდა...), საქართველოს დამოუკიდებლობას არ უნდა მოესწრო-მეთქი? — გიორგი, — მითხრა ნინამ, — ეს იმდენად დიდი ბედნიერებაა, თუ ერთხელ უკვე მოხდა ადამიანის ცხოვრებაში, მისთვის საკმარისია და მოდი, მეორე დამოუკიდებელ საქართველოში უკვე შენ გააგრძელებ ცხოვრება, ალონდ, ისეთი შეცდომები აღარ დაუშვავთ, როგორც ჩვენ დავუშვიეთო... ის ქაქუცა ჩოლოყაშვილის ძალზე ახლობელი ადამიანი იყო, რადგან მაყაშვილები და ჩოლოყაშვილები ნათესავეებიც არიან. მასსოვს, მეექვსეკლასელი გახლდით, კლასში ქაქუცა რომ ვახსენე, დაიხოცნენ ბავშვები სიცილით: ვერ გაიგეს, ქაქუცა ქალი იყო თუ კაცი... ნინა კი, სულ მიყვებოდა, როგორ ამოდიოდა ქაქუცა ცხენით კიბეზე, მაგიდაზეც კი ადიოდა ცხენით, მაგარი მოჯირითე ყოფილა... მერე პარიზშიც გავიგე ბევრი რამ მასზე. იქ შენახულია ბიცოლაჩემის — ზინა შავდიას წერილები, რომელსაც 9 წლიდან წერდა.



გენერალი სოლომონ მაყაშვილი — ყარსის გუბერნატორი (მარჯვნივ) შვილებთან — ბორისსა და მიშასთან და სიმესთან ერთად

ის იცნობდა, ფაქტობრივად, ყველა ემიგრანტს — სპირიდონ კედიათი დაწყებული, ნოე ჟორდანიანი დამთავრებული. სხვათა შორის, სახლში მიქვს ნოე ჟორდანიას ქალიშვილის მიერ ნაჩუქარი ფოტო: მასზე სასახლეში ჩასვენებული ნოე ჟორდანიას გამოსახული... პატარა ვიყავი, ბები-აჩემს რომ დავყავდი ხოლმე თავის დაქალებთან, კლასელებთან. ესენი იყვნენ 70 წელს მიტანებული ჯორჯაძეები, ანდრონიკაშვილები, ვაჩნაძეები, ჯანდიერები და ა.შ. და ყველა იყო საოცრად „თეთრგვრები“ და ცისფერი ან მწვანეთვალეა. ისიც კარგად მახსოვს, თუ რაოდენ თავისუფლად ლაპარაკობდნენ ფრანგულად. მახსოვს კიდევ, საგვარეულო ბეჭდები და სამაჯურები, რომლებსაც თვეები ჰქონდა ამოცლილი — გაჭირვების დროს გაუყიდიათ. ამ სამკაულებს მაინც საოცარი სიამაყით დაატარებდნენ. ერთხელ პოეტმა დათო მალრაძემ თქვა გენიალური რაღაც: ნეტავ, ან ისინი არ მცნობოდა, ან ახლა არ მეცხოვრა, ამ სიტუაციაშიო, — იმიტომ, რომ კატასტროფულად სხვა სამყაროში მოვხვდით. პაპაჩემი — ლადო კოტეტიშვილი ქართული მედიცინის ისტორიის ფუძემდებელი იყო. „იადიგარ დაუდი“, „ნიგნი სააქიმო — კარაბადინი“ მისი დამუშავებულია. ძალიან რთული ადამიანი და მაგარი ვაჟკაცი იყო. 2-3 უახლოესი ძმაცაქი ჰყავდა: ერთი — მეარლენე და მეორე — ექთანნი. თუ ვინმე პარტიული იყო (კომუნისტური პარტიის წევრი), სახლში არ უშვებდა, ახლო ნათესავიც რომ ყოფილიყო. მაგალითად, ქვისლები ჰყავდა პარტიული და ერთ-ერთი,

როცა პარტიიდან გარიცხეს, შეუთვალა: ახლა შეგიძლია, ჩემს სახლში მოხვიდეო. თუ ვინმე ქართული არ იცოდა და მარტო რუსულად ლაპარაკობდა, არც მას უშვებდა შინ. 3 ქალიშვილი ჰყავდა და არც ერთი არ შეიყვანა საბჭოთა სკოლაში. სულ ახალგაზრდა — 44 წლის დაიღუპა 1940 წელს. ბებიამ მხოლოდ მაშინ შეძლო შვილების სკოლაში მიყვანა, უფროსი — იათამზე კოტეტიშვილი 11 წლის იყო, დედაჩემი — 9 წლის, უმცროსი დეიდა — 7 წლის. სამივე 0 კლასში დასვეს. ბებიამ უთხრა დირექტორს: გამოსცადეთო. გაგიჟდა დირექტორი ბავშვების ცოდნით და ყველა თავ-თავის ასაკობრივ ჯგუფში გაამწესეს, უფროსი დეიდა — ერთი კლასით წინაც კი. მერე, იმდენად კარგად სწავლობდნენ, ბებიას მათ გამო პენსიაც კი დაუნიშნეს...

— ბებია რამდენი წლის გარდაიცვალა?

— ხნერი იყო.

— ალბათ, კიდევ ბევრი რამ გახსოვთ, მისი მოყოლილი...

— საოცარი ქალი იყო. დღემდე მძაფრად მახსოვს ერთი ამბავი, რომელსაც ყოველთვის ღიმილით ჰყვებოდა: 1945 წლის 9 მაისს, კილომეტრიან ნავთის რიგში ვიდექი, უეცრად რომ დაიძახეს და მითხრეს — ომი დამთავრდაო! კვილით გაიტყვა ყველა სახლებში, ყველას ვილაჰ ჰყავდა, რომში წასული... ბებიამეც ცოცხალი აღარავინ დარჩენოდა, ყველა 1937 წელს დაწვრილი ან მანამდე გარდაცვლილი იყო. ერთი ძმა — მიშა შეტაკებაში მოკლეს, მეორე ძმა — ბორია მყაშვილი ნოე ჟორდანიას მთავრობას



შაქოხოსნები: ვახტანგ კოტეტიშვილი, კონსტანტინე გამსახურია, პაულე ინგოროყვა, ალექსანდრე აბაშელი

გაჰყვა და მერე კონსტანტინოპოლიდან დაბრუნდა: დედას ვერ მივატოვებო. ჩამოვიდა თბილისში და მოსთხოვეს: **Вы будете на нас работать**, არა, კომუნისტებთან მე არ ვიმუშავებო, — უთქვამს ბორიას. **Тогда вы умрете под забором, как собака**, — უპასუხია ერთ კომუნისტს. **Мне лучше умереть под забором, чем работать на вас**, — უთქვამს ბორიას. იმას შეუგინებია. ამას მოუსწრია, იქვე დადებული, მარმარილოს საფერფლე აუღია და უსვრია კომუნისტისთვის, მაგრამ აუცილებია. ამაზე თამარ

მაყაშვილი ტირილით ამბობდა ხოლმე: **Как он промахнулся!**.. ბორია არ დახვრიტეს, მაგრამ კონდახებით ისე სცემეს, ეპილეფსია დაეშარათა, მძიმედ დაავადდა და მალევე გარდაიცვალა... ამიტომაც აღმოჩნდა ბები-აჩემი ნინა 1945 წლის 9 მაისს ნავთის რიგში მარტომდარტო; სამაგიეროდ, რამდენჯერმე აიღო ნავთი... ურიგოდ. **Так что, это мая для меня — 9 мая для прекрасного дня**, — იცნობდა, თუმცა ამის მიღმა რამხელა ტკივილი იყო! ოჯახიდან ერთი ადამიანიც კი აღარ ჰყავდა შემორჩენილი. ცხოვრობდა სულხან-საბა ორბელიანის ქუჩაზე, სამ ქალიშვილთან ერთად და იმ დროის მომღერლები, პოეტები, ფილოსოფოსები — ყველა მასთან იკრიბებოდა... ერთ პატარა ამბავსაც მოგი-ყვებით — „კოტეტი-ანი“ თუმნინაზე. პა-



ნინა შავდია — პირველი რესპუბლიკის მთავრობის წევრებისა და მათი შვილების გარემოცვაში (30-იანი წლები, პარიზი)

პაჩემის დამ იშოვა თუმინანი, რომელიც მელნიტ იყო დასვრილი. ეს თუმინანი დღევანდელ დაახლოებით 3 ლარს უდრიდა. გაუგზავნა პაპაჩემს, რომელიც ხარკოვში სწავლობდა. პაპაჩემმა იფიქრა — მოდი, გიგოს გაუგზავნი კიევში, იმას უფრო გამოადგებაო. გიგომ, რომელიც კიევში სწავლობდა, გადაწყვიტა — ვახტანგს გაუგზავნი, ის ჩრდილოეთშია და უფრო დასჭირდებაო. გაუგზავნა ტარტუს უნივერსიტეტში. ვახტანგმა, რაკი ეს თუმინანი ძმებისგან მიიღო, იფიქრა — ისინი უკრაინაში ერთად არიან, ალბათ, ისე უნ უჭირთო და გამოუგზავნა დას — ივლიტას თბილისში. აი, ასე, ის მელნიტ დასვრილი „კოტეტიანთ თუმინანი“ 6 თვის შემდეგ, კვლავ თბილისში დაბრუნდა.

ვახტანგ კოტეტივილი და შავროსოსნებზეც მოგვიყვით.

— 30-იან წლებში 4 ღირსეული ქართველი — კონსტანტინე გამსახურდია, ალექსანდრე აბაშელი, პავლე ინგოროყვა და ვახტანგ კოტეტივილი, ნიშნად საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვით მოგვრილი გლოვისა, შავებით შეიმოსა. შავროსოსნებმა სიმბოლურად გამოხატეს ღია პროტესტი საბჭოთა წყობილების მიმართ... ძალიან



შიო გელაშვილი (მარცხნივ) მეგობართან შ. აბაშიძესთან ერთად

საინტერესოა ლექსების ისტორია. კარგად გვახსოვს იოსებ გრიშაშვილის „გამოთხოვება ძველ თბილისთან“. ეს ბევრს რომანტიკულ-ბოჰემურ ცხოვრებასთან გამოთხოვების გამოხატულება ჰგონია, მაგრამ მსგავსი არაფერია ამ ლექსში. დაახლოებით, 30-იან წლები იყო; ვახტანგ კოტეტივილი ახლობლობდა ყველასთან — ლადო ასათიანიდან დაწყებული, გალაკტიონით დამთავრებული. ერთ დღეს იოსებ გრიშაშვილი მისულა ვახტანგთან და ბოლშევიზმის წნეხისგან შეძრწუნებულსა და შეწუხებულს (აიძულებდნენ, რომ ეწერა ლენინზე, სტალინზე, პარტიზე და ა.შ.), ძველქალაქურ-მეიდურ-ხარფუხულად უკითხავს: რა ვქნა, ვახტანგ, მივეყიდოო?.. ვახტანგს გადაუხარხარია: სოსო, თუ გინდა, მიეყიდეო. სწორედ იმ საღამოს დაუწერია იოსებ გრიშაშვილს ზემოხსენებული, ფაქტობრივად, სინდისთან გამოთხოვების, საოცრად დიდი ტიკვილით სავსე ლექსი: „ველარ შეგაქვებ, არ მაქვს უნარი/ დარჩები ჩემთვის გაუხუნარი“. სხვათა შორის, მთლად ბოლშევიზმის აპოლოგეტი არ გამხდარა

სოსო გრიშაშვილი. თუმცა, სრულად ვერ ასცდებოდა ამას, ისევე, როგორც ტიცინი: „ვედგავარ დაფასთან და ვმლი იმ ლექსებს/ ცარციტი კი არა, სისხლით რომ ვწერდი“, — ანუ მათთვის ეს ძალზე დიდი სულიერი კომპრომისი იყო.

— ტიცინი სომ გენათესავებათ?

— ტიცინის მეუღლე იყო მაყაშვილი და ამდენად, გენათესავება. რაც შეეხებათ შავროსოსნებს, — მათგან მხოლოდ ვახტანგი დახვრიტეს. წლების შემდეგ, მისი შვილი, ვახუშტი კოტეტივილი შეხვდა იმ ერთადერთ ადამიანს, რომელიც ვახტანგთან ერთად იჯდა საკანში და ცოცხალი დარჩა. მას მოუყოლია, რომ ვახტანგი სასტიკად უწამებიათ, მუხლები ჩაუშსხვრევიათ, ველარ დადიოდა და ფაქტობრივად, მაგიტომაც დახვრიტეს — აბა, ციმიბირში ველარ გადასახლებდნენ... თურმე, ეს ფეხებდამტყრეული კაცი ანუგეშებდა და სუნთქვით ვარჯიშებს ასწავლიდა (თვითონ ძველი მოჭიდავე იყო) პატიმრებს, რომ წამებისთვის გაეძლოთ. შავროსოსნები რენესანსული ეპოქის ტიპებს ჰგავდნენ. კონკრეტულად ვახტანგი, ქანდაკების კათედრის ერთ-ერთი დამაარსებელი იყო აკადემიაში, საოცრად საინტერესო ფერმწერი, ფოლკლორისტიკის ფუძემდებელი და — ბევრმა შეიძლება, არც იცის, რომ — ცნობილი „იავნანის“ — „შენს დაქალებას მომასწრებს მეღვთისმშობელი“... — ტექსტის ავტორი. 1937 წელს, მისი სახლიდან 2 სატყვირთო მანქანით გაიტანეს ხელოვნების ნიმუშები. მას, ფაქტობრივად, მუზეუმი ჰქონდა სახლში, სადაც ქართულად მოაზროვნე ხალხის საუკეთესო ნაწილი იკრიბებოდა.

— რატომ დახვრიტეს მარტო ვახტანგი?

— რეპრესირებული ყველა იყო, მაგრამ მაინც ეგრე მოხდა. იცით, მიუხედავად ყველაფრისა, შეიძლება ითქვას, რომ ვახტანგი ამ ჯგუფის მკვეთრად გამოხატული ლიდერი იყო. მისი ესეები საპროგრამო ნაშრომებს უფრო ჰგავდა. საერთოდ კი, ოთხივე უნივერსალური ადამიანი გახლდათ.

— მამის მხრიდან ნათესავებზე რატომ არაფერს ჰყვებით?


— მამის მხრიდან ბებუის ძმა — შიო გელაშვილი საფრანგეთში გაიქცა. ყველამ ვიცოდით, რომ ის „პეუოს“ ქარხნის ერთ-ერთი დისტრიბუტორი იყო, სხვათა შორის, დიმიტრი ამილახვართან ერთად იბრძოდა, დე გოლის თანამებრძოლიც გახლდათ. ისიც ვიცოდით, რომ არანაირ პოლიტიკურ ცხოვრებაში არ მონაწილეობდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, აქ მისი ოჯახის წევრებს დასჯიდნენ... დაახლოებით 1991 წელს ჩავედი პარიზში. შიო 20-25 წლის გარდაცვლილი იყო. პარიზში ერთ-ერთი სახლის პირველ სართულზე არის წმ. ნინოს სახელობის სამლოცველო, რომელსაც ეკლესიას ეძახიან. გაგიკვირდებათ ალბათ, მაგრამ ისიც გია



ნინა მაყაშვილი (მარჯვნივ) დებთან ერთად

ბულაძის მოხატულია... იმ ეკლესიაში მისულეებს, ასე, 80 წელს მიტანებული უსათნოესი ქალბატონი გამოგვეგება და გაგვეცნო: მეა დადიანი ვარო. აღმოჩნდა, რომ ბაბო დადიანის და იყო. ვუთხარი: მე შიო გელაშვილის შვილიშვილი ვარ-მეთქი. 80 წლის ქალის განითლება გაგიგიათ?! ქალბატონი მეა ყურებამდე განითლდა. მამინევი მიხვდი, რატომაც შეიძლება განითლდე, თუნდაც ამ ასაკში... შიო წარმოსადეგი კაცი და პარიზის საფეხბურთო კლუბ „სოსოს“ კაპიტანი იყო... რალა ბევრი გავაგრძელო — მეამ მითხრა: ერთ რამეს გეტყვით, რაც ნამდვილად არ გეცოდინებათ — თქვენი ბაბუა შიო საფრანგეთში არსებული, საქართველოს გათავისუფლების საიდუმლო ორგანიზაციის — „თეთრი გიორგის ფარის“ ლიდერი იყო; უსაბუთოდ ჩამოვედი პარიზში და მეტაჟეებმა მისი სახელით შემომიშვეს, იმდენად დიდ პატივს სცემდნენ საფეხბურთო გუნდის კაპიტანობის გამოო. გაოგნებული ვუსმენდი ქალბატონს მესა... კიდევ, ღვთისო შალუტაშვილი მინდა გავიხსენო — ერთი ქართველი გლეხი, ჩემი პაპის დიდი პაპის მამა. დღევანდელი ბორჯომის ტერიტორიაზე იყო სოფელი ნუა. გადმოცემით ვიცი, რომ ერთხელ, იმ მიდამოში მოდიოდა თურმე, ღვთისო და ხიდზე ეტლი შეხვდა. მეეტლემ უთხრა: ხარები უკან დასწიეო. ღვთისომ მიუგო: ჯერ ერთი, ხარები უკან არ მიდიან და მეორეც, მე შენზე ადრე შემოვედიო. უკან დასწიე, მე „ველიკინაზი“ (ВЕЛИКИЙ КНЯЗЬ. — ავტ.) მიხაილ რომანოვი მომყავსო! — შეჰყვირა მეეტლემ.

გაგრძელება 47-ე გვერდზე



ღვთისო შალუტაშვილი

გონების საქარაიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის
(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები უურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგაქცათ თავალი.

- დაასახელეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, რომელიც ახალგაზრდობაში კომბაინერად მუშაობდა.
- დაასახელეთ დიქტატორი, რომელმაც 10 წლის ასაკში ამერიკის პრეზიდენტს მისწერა, ათდოლარიანი კუპიურა არასოდეს მინახავს და კარგი იქნებოდა, რომ მქონოდაო. მისთვის ფული არავის გაუგზავნია.
- „ჩინგისხან ს მიკროფონომ“, — ვის მიმართავდა ასე ტუხაჩევსკი?
- იაპონიაში ყოფნისას, უან მარემ ბრინჯის არაყს — საკვს გაუსინჯა გემო. მის ირგვლივ ყველაფერი დატრიალდა. „რა მაგარი არაყი გქონიათ“, — უთხრა მან კელნერს. როგორ დაამშვიდეს მსახიობი?
- ვინ გამოიგონა მესამრიდი?
- ბურთის აუტზე გადაგდება და თამაშის შეჩერება, როდესაც მოწინააღმდეგე გუნდის ფეხბურთელი ტრავმირებულია, ნესად გარინჩამ და ალტაიერმა შემოიღეს. რომელი ქართველი ფეხბურთელი აკეთებდა ამ ფენტელმენტურ ფესტს მათზე ადრე?
- რა მიზეზით ვერ დაამთავრა მიხეილ ჯავახიშვილმა ყირიმის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი?
- რომანი — „ლუსიენ ლევენი“ სტენდალს დაუმთავრებელი დარჩა. რა ერქვა ამ რომანს მეორენაირად?
- ეგარსლან ბაკურციხელი, ცოტენ დადიანი, ვარამ გაგელი, ყვარყვარე ჯაყელი, შოთა კუპრი, თორღვა პანკელი, გამრეკელ თორელი, სარგის თმოგველი. ვინ ჩამოვთვალეთ ამნათას?
- არც ამ პოეტამდე და არც მის შემდეგ, ერთი პოეტის მიმდინარეობა არ შექმნილა. დაასახელეთ იგი.
- რა მიზნით ესხმან თავს მეზობელ ტომებს ამაზონის წითელი ჭიანჭველები?
- „მე ლექსებსაც გამოვაქვეყნებდი, გალაკტიონი რომ არ ყოფილიყო, მაგრამ ჩემი თანამედროვე იყო და ლექსი რა ნამუსით უნდა გამომექვეყნებინა?!“ — განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში ამ მწერალმა. დაასახელეთ იგი.
- ამ ომის დროს, ტყვედ ჩავარდნილმა ახალგაზრდა უინსტონ ჩერჩილმა სამი კვირის შემდეგ გაქცევა მოახერხა.
- აბუ აბდ ალ-ლაჰ მოჰამად იბნ აბდ ალ-მალეჰ მუიზი სპარსულ-ტაჯიკური პოეზიის წარმომადგენელი და სელჩუკთა კარის მხობლები გახლდათ. როგორ დაიღუპა ეს პოეტი?
- დაასახელეთ მსოფლიოში ყველაზე დიდი ეკლესია.

ანეკდოტები

სიკვდილის წინ ქმარი ცოლს ეუბნება:
— ძვირფასო, ჩემთვის გილალატია? მაინც ვკვდები და სიმართლე მითხარინ.
— რომ არ მოკვდე?..

მიხვდები, თუ რა არის ნამდვილი ბედნიერება.
— მართლა, მამი?!
— მართლა, მართლა, მაგრამ უკვე გვიან იქნება.

— ჩემი გოგო მუსიკით რომ დაძინებოდა, ვიოლინო ვუყიდვდი, მაგრამ — ამაოდ.

— ქალს გემო მხოლოდ 30 წლის ასაკში გაუფიქრებ.
— კი, მაგრამ — მანამდე?..
— მანამდე მხოლოდ მამაკაცები იყვნენ.
— შენ რა, ცისფერი ხარ?!
— ცისფერი თავი გაბია! კაცი-ჭამია ვარ!



— მეც მასე მომივიდა, როცა ჩემს სიდედრს ჩემოდანი ვუყიდვდი.

რაუიკუნა რაჭაში ახალი კოსტიუმით ჩავიდა. გადარიგებინა იქაურები, ისე მოეწონათ.
— რაუიკუნა, სად იყიდვს ეს შარვალ-კოსტიუმი?
— სად ვიყიდვ და სან-რემოში!
— შორია ამბროლაურიდან?
— იქნება ასე, 2000 კილომეტრი.
— უყუარე შენ, რა მიყრუებულში ყოფილა და რა კარგად კერავენ.

სერჟანტი ქალთა ბატალიონის რიგითებს მოძღვრავს:
— დაიმასხოვრეთ, გუშაგმა უნდა დაიყვიროს — „სდექ, ვინ მოდის?!“ და არა — „არ მომეკარო, თორემ, ვიკვილებ!“

უცოლო მამაკაცების დევნიდან: ჯობს, პასტერიზებული რძე იყოს მაცივარში, ვიდრე ძროხა — სამზარეულოში.

— როცა ცოლად მოგყვებოდი, მე-გონა, გაბედული კაცი იყავი.
— მაშინ ყველა ჩემი ნაცნობიც მაგას მეუბნებოდა.



ცხოვრება ზებრასავითაა: შავი, თეთრი, შავი, თეთრი, შავი, თეთრი... ბოლოს კი, აუცილებლად უკანალში ამოყოფ თავს.

დილაა. სიძე სამსახურში მიდის, სიდედრი ეუბნება:
— მთელი ღამე კოლო მკებნდა. დილით გავიღვიძე და მთელი ბალიში სისხლით იყო მოსვრილი.
— ეტყობა, გული აერია.

მამა შვილს მოძღვრავს:
— შვილო, დაქორწინდები და

— ფრთხილად, კარები იკეტება, შემდეგი სადგური — ღრმალელე! — გაისმა რეპროდუქტორში. ამის თქმა იყო და, სვანმა შარვლის ტოტები აიკაპინა.

პლანაქეში, სადისტი და მესხანძრე გამერაში ერთად სხედან. ქეში ამბობს: — ერთი მომანვეინა!.. მესხანძრე:



— მე კი ჩამაქრობინა!.. სადისტი: — შენს მოტვლებილ თავზე!..

ცოლი დგას მერვე სართულზე — მოშენებული და დაუმთავრებელი ღია აივნის კიდეზე და ქმარს უყვირის:

— მომბეზრდა, აღარ მინდა შენ-ნაირ ლოთთან და გიჟთან ცხოვრება! ახლავე უნდა დასრულდეს ყველაფერი! ერთი ნაბიჯი და — ყველაფერი გათავდება!.. ხელს ნუ მკრავ, შე დეგენერატო!

ახალდანიშნული მასწავლებელი პირველ კლასში გეოგრაფიის გაკვეთილს ატარებს. ბავშვები არ უსმენენ. ატირებული მასწავლებელი დირექტორთან გაიქცა. დირექტორმა დაამშვიდა: — ბავშვებს გაკვეთილი ისე უნდა აუხსნა, რომ დაინტერესო. წამოდი, გაჩვენებ.

შევიდნენ კლასში. — გამარჯობა, ბავშვებო! — მიესალმა ბავშვებს დირექტორი. — გაგიმარჯოს, ძმა!.. — როგორ ფიქრობთ, პრეზერვატივი გლობუსზე ჩამოცემვია? — გლობუსი რა არის? — აყვირდნენ ბავშვები. — ამას თქვენი ახალი მასწავლებელი აგისხნით.

მოსაზრება: ქალები ყველაზე ცო-

ტას თებერვალში ლაპარაკობენ, რადგან ეს ყველაზე მოკლე თვეა. მამაკაცები კი მათ საჩუქრებს მარტოში უძღვნიან — თებერვლის თვისთვის მადლიერების ნიშნად.

ციხის ერთი ზედამხედველი ეუბნება მეორეს: — წარმოგიდგენია, მეექვსე კამერიდან ელგუჯა გაიქცა! — მადლობა ღმერთს! ნერვები დამანყვითა მაგის ქლიბის წრიობინა!..

— მე სად გთხოვე ავტობუსის გაჩერება და შენ სად გამიჩერე?! — ეჩხუბება ქალი მძღოლს. — ქალო, შენ ორასგრამიანი ენა ვერ გაგიჩერებია და მე ამ მოძრაობაში რვატონიანი მანქანა ასე უცბად როგორ გავაჩერე?!

დაღლილი დამთვალეირებული მუზეუმში სკამზე ჩამოჯდა. — სერ, — მორიდებით მიმართავს მუზეუმის მეთვალყურე, — ეს ხომ ლუდოვიკო XV-ის სავარძელია!.. — რა მოხდა მერე?! მოვა ის შენი ლუდოვიკო და ავდგები.

გურული სადგურზე მდგარ პანკს დაინახავს. მივა და აკვირდება. პანკი ადგილს შეიცვლის. გურული ისევ მივა და ისევ აკვირდება: — რა გინდა, რას დამღვე? — ეკითხება პანკი. — ჯეელობაში ოფოფი ვიხმარე და მაინტერესებს, ჩემი შვილი ხომ არა ხარ!

გონაგონს სავსაჩირო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კასუხები)

1. მისაილ გორბაჩოვი.
2. ფიდელ კასტრო.
3. სტალინს.
4. მას ოფიციალტმა უთხრა: „ნუ ლელავთ, ბატონო, ეს ხომ ჩვეულებრივი მინისძვრაა?!“
5. ამერიკის პრეზიდენტმა — ბენჯამინ ფრანკლინმა.
6. ბორის პაიჭაძე.
7. საკუთარ ოჯახში დატრიალებული ტრაგედიის გამო — ავაზაკებმა მოუკლეს დედა და და. მამაც ამ უბედურებას გადააჰყვა.
8. „წითელი და თეთრი“.
9. ეს იმ ქართველ პატრიოტთა არასრული სიაა, ვინც კონტასთავის შეთქმულებაში იღებდა მონაწილეობას.
10. ბაირონი.
11. მონების მოსაპოვებლად — ასეთი თავდასხმების დროს, წითელი ჭიანჭველები ქუპრებს იტაცებენ, რომლებსაც საგულდაგულოდ უვლიან, იქიდან დაბადებულ ჭიანჭველებს კი, მონებზე აქცევენ. ეს მონები მთელ თავის სიცოცხლეს მტრის სამსახურში ატარებენ, ხოლო როცა ბერდებიან და კვდებიან, წითელი ჭიანჭველები ახალი ქუპრებისა და მონების მოსაპოვებლად მორიგ ლაშქრობას აწყობენ.
12. ოტია იოსელიანი.
13. ჩერჩილი სამხრეთ აფრიკაში, პოლანდიელ კოლონიატორთა შთამომავლების, ბურების წინააღმდეგ იბრძოდა.
14. სულთანთა მადიდებელი პოეტი ნადირობის დროს, სრულიად შემთხვევით, სულთან სანჯარის ნასროლი ისრით დაიღუპა.
15. რომის წმინდა პეტრეს ტაძარი.



საოპერატორი

უკომენტაროდ



დასანწყისი იხ. „გზა“, №24-36

veluri wablis xeivani

გაგა ვაჩნაძე

ყოფილ ემიგრანტს, არქიტექტორ ნიკა ბერიძეს, თბილისის მახლობლად მის მიერ ნაყიდი მიწის ნაკვეთის გამო, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებს ღვიძლი ბიძაშვილი, მოსკოველი ბიზნესმენი ლადო, რომელსაც ამ საქმეში ნიკას უმცროსი ძმა ირაკლიც „უმშვენებს“ გვერდს... ნიკას მოთმინების ფიალა მაშინ ვესება, როცა შეიტყობს, რომ პარლამენტში მზადდება კანონი დაუსაბუთებლად გაცემული მიწების ჩამორთმევის შესახებ. ის ლადოს სანახავად ირაკლისთან შინ მიდის და ორივეს უცხადებს — ამიერიდან ჩემი მტრები ხართო. ნიკა, ზურგის გამაგრებას, თავისი საყვარლის, თათიკოს მეშვეობით მისი მამის — მალაქინოსანი სამართალდამცველის, მურაზ ლეშკაშელის დახმარებით ფიქრობს. ბედის ირონიის წყალობით, მურაზი შვილს უთვალთვალებს და ნიკასთან მისი პაემნის დროს, წვეილს თავზე დაადგება, თუმცა ისეთ მომენტში, როცა მათ შორის, საჩოთირო არაფერი ხდება... ბოლოს, ნიკა და მურაზი შეხმატკბილებულ ქეიფში გაატარებენ მთელ ღამეს.

იმ დილას, როცა მურაზმა სახლამდე მიაცილა ნიკა, თბილისი ჯერ კიდევ იღვიძებდა. ნიკა უყურებდა, როგორ ამტვერებდა ქურთი მუზოვე ქუჩას და ის დრო გაახსენდა, როცა ქურთები ჯერ რწყავდნენ და მერე გვიდნენ... გული დასწყდა. ესენიც გადაგვარებულან ჩვენსავითო, — გაიფიქრა და სუპერმარკეტში შევიდა. ორი ბოთლი ლუდი, ზეთისხილი, შპროტი, ხიზილალა და კარაქი იყიდა და თავის სადარბაზოს კიბეს აუყვა. შეეცადა, რაც შეიძლება ჩუმად გაეღო კარი, ჩუმადვე მიეკეტა და სამზარეულოში შეპარულიყო... გამოალო სამზარეულოს კარი და — სოლომონი არ დახვდა?! იჯდა გაჯგინული და ყალიონს აბოლებდა. ნიკა სახტად დარჩა. არ იცოდა, რა ეთქვა, ესაყვედურა თუ გაჩუმებულიყო. პარკი მაგიდაზე დადო და ჩამოიჯდა.

— შენ რა, ყალიონს აბოლებ, მამა? — ვითომ გაიკვირვა ნიკამ.
 — შენ იცი, ეს რა ყალიონია?.. — შეეკითხა სოლომონი.
 — წარმოდგენაც არ მაქვს, — უპასუხა ნიკამ.
 — ეს ყალიონი, ჩემო ბიძია, ფიდელ კასტროს ნაჩუქარია. ჰავანაში რომ ჩავედით, ყველას გვისახსოვრეს, კაცებს! — თქვა სოლომონმა და ნიკასდა გასაოცრად ბოლი რგოლებად გამოუშვა.
 — რგოლებსაც უშვებ?! — შეეკითხა გაკვირვებული ნიკა, თან, პარკიდან საჭმლის ამოლაგება დაიწყო.
 — აბა! ჩვენს კლასში ყველაზე მაგარ რგოლს მე ვუშვებდი. აი, მიყურე, — უპასუხა სოლომონმა და რგოლების გამოშვება დაიწყო. ნიკამ დაითვალა და კიდევ უფრო გაუკვირდა: სოლომონმა ზუსტად მ რგოლი გააძვრინა ერთმანეთში.
 — შენ რა, ცირკში მუშაობდი? — გაეცინა ნიკას.
 — ჩვენ კაცები ვიყავით, ვაჟკაცები!.. — თქვა სოლომონმა. — თქვენსავით ლაყები კი არ ვიყავით.

ამ დროს სამზარეულოს კარი გაიღო და ყავარჯნით ხელში, „ტრუსიკ-მაიკიანი“ თაზო შემოძვრა.
 — ჭუჭუტებო, ჯიგრებო?... ყოჩაღ! არ მოყურებულან მამა-შვილი?! აა, „პახმელიაზე“ ბრძანდება ბატონი ნიკა? გენიალურია! — თაზომ სამივესთვის ლუდის ბოკლები გადმოაწყო სასწრაფოდ. — ჭაჭაც ხომ არ დავცხობთ ჯერ?..
 — მოიცა, რა! — თქვა ნიკამ და ჭიქები შეავსო.
 — ამ ჭიქით ჩვენს მთავრობას გაუმარჯოს, თავის ასარ-ბასარებოთ! — თქვა თაზომ და ქაფიანი ლუდი მოსვა.
 ჭიქებს ხელი მოჰკიდეს ნიკამ და სოლომონმაც.
 კარი გაიღო და ვერიკო შემოვიდა.
 — ღმერთო, რა ხდება! — დაიწყო კარიდანვე ვერიკომ. — ჯერ ხომ არც გათენებულა!..
 — ჰოდა, მზის ამოსვლას ვხვდებით. ხომ უნდა დავლოცოთ მისი აღმატებულების აღმობრწყინება! — თქვა თაზომ.
 — სად დაიკარგები ხოლმე, შვილო? გამინვრილდა გული, გამინვრილდა! — მკერდზე მიიხუტა ნიკას თავი დედამ და გაყურდა.
 — კაი, ქალო, გამიშვი, ნუ დამახრჩვე!.. ხომ გაგაფრთხილე, — უთხრა ნიკამ.
 — შენ კი გამაფრთხილე, მაგრამ შენმა მდივანმა ბაიარეკა ერთი ცხრაჯერ მაინც ნუხელ. შენ კი გამოართული გქონდა მთელი ღამე მობილური, — უსაყვედურა ვერიკომ.
 — ეკამ? რაო, რა მინდაო? — დაინტერესდა ნიკა.
 — არ ვიცი, არ თქვა. თუ მოვიდა, მაშინვე დამირეკოსო, — თქვა ვერიკომ და ქმარს მიაშტერდა. — ეს ნახეთ, ეე! ცალ ხელში — ყალიონი, მეორეში — ჭიქა! ბიჭო, შენ ნორმალური ხარ?! — უეცრად გაცეცხლდა ვერიკო.
 — „უენშინა ვრაგ ჩელავეკა!“ — გაიმეორა ცნობილი ფრაზა ფილმიდან სოლომონმა.
 — აბ, სიდედრებზე ეგ არ ითქმება! — თითი ასწია თაზომ.
 — რაღაცა მოხდა ნამდვილად... — ნიკა დედას ნათქვამმა ჩააფიქრა.
 — რაც არ უნდა მოხდეს, უნდა დაიკიდო და მორჩა! — ურჩია თაზომ. — საქართველოში ყველას ყველაფერი ჰკვიდა. სამშობლო აღარ არსებობს, გესმის, სამშობლო აღარა გვაქვს! წაგვართვეს, ნაილეს, გადაყლაპეს, შეჭამეს, გაყიდეს, გესმის?! სამ შაურად გაყიდეს ამ ნაძირლებმა ქვეყანა! ამ ბოზებმა! ყველაფერი ამოაყირავეს. დაგეცინიან. ვეზიზღებით. ეზიზღებათ ხალხი ამ ნაბოზრებს!.. საკუთარი ხალხი არ უყვართ!..
 — ჰო, კარგი, კარგი, გაჩერდი! სად გაუტევი?! — გააჩერა ვერიკომ. — ცოტა ჩუმად, სძინავთ ელისოს და ანის... ყველაზე არ ითქმის ეგ. ბევრი ძალიან კარგიც არის იქ და ძალიან საყვარელიც.
 — მეც მინდა, რომ მასე იყოს, მაგრამ არ არის მასე! — გააგრძელა თაზომ. —

განა მე არ მინდა?! ლამის გასკდეს გული... გამოჰყავთ ეს თავგასივებული კოკოითი და ალაპარაკებენ ამ ტელევიზორში. ნუ მაჩვენებ მაინც! ნუ მიყრი, რა, გულში ამ ხანჯალს!.. თუ იმის შინა არა გაქვს, რომ ესროლო ერთი ტყვია შუბლში და გააგორო... გაჭერდეთ, გაჭერდეთ და — დავიხოცეთ ხალხი!.. დაგვისკდა გულე-ბი!.. ეს ოსები, იმის მაგიერ, რომ თავისუფლებისთვის ებრძოლათ ჩვენსავით, ჩვენ გვიშენენ ზურგში ტყვიას და რუსებს ერთ ადგილს ულოკავენ.

— ეგ რუსების ნაყიდი ხალხია, ოსები არაფერ შუაშია, — თქვა ნიკამ.

— არ მერჩია, ამელო იარაღი და ან მოვმეკდარიყავი, ან მომეკლა და დამთავრდებოდა ყველაფერი... ვაჟკაცობის გრამი სისხლი აღარ გვცხია. ლაჩრები ვართ ყველანი! — დაამთავრა თაზომ.

სიჩუმე ჩამოვარდა „საპახმელიო“ სუფრაზე.

ამ დროს კარი გაიღო და პერანგის ამარა ანი შემოვიდა.

— რა არის, რა ხდება, რამ გაგაცოფათ, ხალხო, სვამთ ამ დილაადრიან? — ანიმ ჭიქა გაუნოდა თაზოს. — დამისხი, აბა, მეც.

თაზომ ლუდი დაუსხა და ჭიქა ასწია: — ოსებს და აფხაზებს გაუმარჯოთ! ყოველთვის, ყველაზე მწვავე, ყველაზე გადამწყვეტ მომენტში ზურგში რომ გვიმიზნებენ ტყვიას...

— გაუმარჯოს! — ერთხმად მიუჭახუნეს ჭიქები ყველამ ანის და დალიეს.

ამ დროს ტელეფონმაც დარეკა. ყველას ძალიან გაუკვირდა. ვერიკო მის-ალეზში გავიდა, რომ ეპასუხა. ცოტა ხანში შემობრუნდა.

— ნიკა, ეკაა, შენ გკითხულობს. ბო-დიში მოიხადა — დილაადრიან ვრეკავ, მეშინია, არ გამასწროსო...

ნიკა გავიდა და ყურმილი აიღო.

— ნიკა, მაპატიე, რომ ასე ადრინად ვრეკავ. გულში ვერ დაგიკავშირდი, — უთხრა ეკამ. — სასამართლოდან დარეკეს საღამოს. მიწის ნასყიდობის ხელშეკრულება გაუქმებულია

და ნაკვეთი ჩამოერთვაო... ამიტომ ვრეკავდი... — თქვა ეკამ და გაჩუმდა.

— კაი, კაი, — უპასუხა ნიკამ და ყურმილი დადო. მერე სამზარეულოში შევიდა და სკამზე დაჯდა.

— ჭაჭა მაქვსო, არა, ამბობდი?.. — უთხრა მან თაზოს.

— ამწუთას! — თქვა თაზომ და ბოთლი და არყის ჭიქები გადმოდგა.

— მაშ, მოვკლათ, არა, მე და შენ კოკოითი?! — არყის ჭიქა აიღო ხელში ნიკამ.

— აბა, რა! სიდედრთან ბოდიში, მაგრამ მოსაკლავი უნდა მოიკლას და გასაჟიმი — გაიჟიმოს! — თქვა თაზომ და ჭიქა მიუწკარუნა.

— გამოივიდნენ ვაჟკაცები... თავიდანვე უნდა გვეფიქრა, როცა შევიფარეთ და ლუკმა გავუყავით აფხაზებს და ოსებს... არც ერთი სიკეთე ბოლოს დაუსჯელი არ რჩება. ასეა და ვერსად გავქცევით... — დაასრულა ანიმ.

ნიკამ, ბოლოს და ბოლოს, ელისოს მიერ მიცემული ტელეფონი მოძებნა და ვალერიან ნოზაძეს დაუკავშირდა. ელისო სალაძე ჩემი ბებიია, იმან მომცა თქვენი ტელეფონი, ხომ არ გეცოდინებათ, რა სიმდიდრე შეიძლება აღმოჩნდეს ამა და ამ მიწის ნაკვეთში დამარხულიო? ვალერიანი ეტყობა, ხუმარა კაცი იყო და მიუგო — მიწა რა შუაშია? ყველანაირი სიმდიდრე ჩვენს ენაშია დამარხული, ერთი ეგაა მხოლოდ, ეს ჩვენი ენა იმდენად ნაზილნეთ, ვერც ერთი ეშმაკი ვერ მიხვდება, რა სიმდიდრე განიხივეთო... მერე დასძინა: — ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ სტალინმა რომ ნავთობის საბადოები დააკონსერვა საქართველოში, ვიცი, რომ მაშინ კვლევა-ძიება მაგ რაიონშიც მიმდინარეობდა, მერე იმდენად გაასაიდუმლოეს ეს ყველაფერი, რომ ერთადერთს — ძველ მოსკოვურ სუკს თუ ეცოდინება სიმართლეო, პირდაპირ ნიკას ეჭვებს „მიუკაკუნა“ ვალერიან ნოზაძემ.

ადვოკატი ნიკამ ნატოსთან დაიბარა.

— ვიბრძოლოთ და ვნახოთ, საქმე გვიჩვენებს... — აბა, სხვას რას ეტყობა ნიკას, თათიკოს მიერ შერჩეული ადვოკატი?! ოღონდ ის იყო, რომ ფულზე უარი თქვა — ისეთმა ქალმა დამავალა ეს საქმე, იქით მივცემდი ფულს სიამოვნებით, თუ გამომართმევდაო...

— ჩვენი ყველა საბუთი წესრიგშია, — თქვა ნატომ. — კიდევ კარგი, არაფერი ვიმაიმუნეთ და ნაკლებად არ შევაფასებინეთ ნოტარიუსს... საქმეს რომ აუცილებლად მოვიგებთ, ამაშიც დარწმუნებული ვარ.

— კი, კი, — ჩაერია ადვოკატი. — მოგებით კი მოვიგებთ, მაგრამ ეჭვი მაქვს, რომ თანხის გადახდას სასამართლო უეჭველად, გამყიდველს დააკისრებს. მერე უკვე ის დაინყებს ჩივილს, მერე ფული წავა „ხოდში“ და ბოლოს, მაინც მისი გადასახდელი რომ გახდეს, სააღსრულებომდე სანამ არ მივა ეს საქმე, ისე, არ არსებობს, არ დასრულდება. სააღსრულებოს მიერ დასრულებული საქმე კი, თუ ეს სახელმწიფოს ფული არ არის და კერძო ფულს ან ქონებას ეხება, მე ჯერ არ შემხვედრია. მოკლედ, რომ არ მოგატყუოთ, დიდხანს უნდა გაჯანჯლდეს ეს საქმე, როგორც ვატყობ... — დაასრულა თავისი პირველი საადვოკატო სიტყვა დამცველმა.

— მეც ასე ვფიქრობ, — თქვა ჩაფიქრებულმა ნიკამ.

— იქნებ, სხვა გზა არსებობს რაიმე? მყიდველს რომ პირადად დაელაპარაკო? — იკითხა ადვოკატმა.

— მყიდველს... — გაეცინა ნიკას. — არ მიყვარს ზღაპრების მოსმენა, მაგ ასაკიდან დიდი ხანია გამოვედი. არ მეტყვის — მე როცა მოგივდი, კანონის სრული დაცვით მოგივდი და თუკი ჩვენი მთავრობა აფრენს, მე რას მემართლები, წადი და იმით მოჰკითხო! ასე არ არის?

— არა მგონია, ის საქართველოში გაჩერებულიყო, — თქვა ნატომ.

— რა? — მაგრამ მოხვდა გულზე ნიკას. — ინფორმაცია გაქვს რაიმე?

— შენ რა გგონია, რა, ის არ უყურებს ტელევიზორს? — შეუბრუნა კითხვა ნატომ. — ამხელა ამბავი რომ ატყდა, უკანონო პრივატიზაციებზე, დაახვევდა და გადაიკარგებოდა. ის აქ გაჩერდებოდა?!

— გამოდის, რომ საშველი არ არის? — იკითხა დამცველმა.

— „ხსნა ყველგან არის, მხოლოდ გზა ხსნისა, ასეთი მერგო მე უბედურსა“, — გადაიხარხარა ნიკამ.

— სულაც არ არის სასაცილო, — თქვა ნატომ. — მარტო შენ არ იქნები, ვინც შეცდა და ამით რაკარუკს აპყვია...

ის, ვინც ნიკას მიწა მიყიდა, ვინმე ვანო ლებანიძე, მართლაც აორთქლებულიყო. მის მისამართზე სხვები ცხოვრობდნენ, თანაც — ადამიანები, რომლებმაც მის შესახებ არაფერი იცოდნენ. ვინ იცის, ვინმემ გააფრთხილა კიდევ... ლადოზე ჰქონდა ეჭვი ნიკას.

ნიკა 33 წლის იყო. ისეთი გრძნობა



ჰქონდა, თითქოს შოლტი გადაჰკრესო ზურგზე. რალაც იმედი ისევ ჰქონდა. იქნებ, სახელი და გვარი გამოიცვალა და აქვე იმალებაო? — ფიქრობდა. ამის შესახებ ვერავინ ვერაფერი გაუგო, ვერც თათიკო დაეხმარა რაიმით. ერთადერთი, რასაც ჰპირდებოდა — იქნებ, სასამართლოში მოვახერხოთ რამე და დადებითად გადავანწყვეტინოთო. მაგრამ ნიკას, რადგან ლადოს ფულების ტრიალის ამბავი იცოდა, ამის იმედი არ ჰქონდა.

რა თქმა უნდა, ნიკა ჩამოსვლისთანავე მიხვდა, რომ საქართველოში იოლი ცხოვრება არ ელოდა. მაგრამ თუ ასე მწვავედ წარიმართებოდა ყველაფერი, ამას მაინც ვერ იფიქრებდა. ჩამოსვლის პირველ დღეებში, თავის საწოლში გაღვიძებისას, აუცილებლად ღიმილი გადაჰკრავდა ხოლმე სახეზე; ახლა — გაიღვიძებდა და აღარ ეღიმიებოდა...

ელისო, როგორც ყოველთვის, ყველაზე ადრე ამდგარიყო და სამზარეულოში ფუსფუსებდა. ნიკა შევიდა, ბებოს ხელი გადახვია და აკოცა. ელისომაც გადაკოცნა.

— დაჯექი. ძალიან კარგი გამომივიდა... — უთხრა მან ნიკას ხაჭაპურზე, რომლის გამოცხოვაც უკვე მოესწრო. — ჩაის ხომ დალევ?

— კი, — თქვა ნიკამ და ხაჭაპური ჩაუბნია. — მაგარია, — თქვა მან. — ჩვენი ეროვნულობის ყველაზე მკაფიო სიმბოლო. ჩვენს გერბზე გამხდარი აფრიკული თუ ინდური ვეფხე კი არა, ხაჭაპური უნდა დაეხატათ...

— კი, გერბი, დროშა და ჰიმნი აუცილებელია, მაგრამ მთავარი მაინც ტვინი ყოფილა... — თქვა ელისომ.

— რომელიც ქართველებს არ აღმოგვაჩნდა?.. — გაეცინა ნიკას.

— თუნდაც, — თქვა ელისომ.

— ჰო, ერთი ილია გვყავდა ჭკვიანი და იმასაც სომეხი დედა ჰყავდა, არა?.. რა მგონია, იცი? — თქვა ნიკამ.

— რა? — დაინტერესდა ელისო.

— ასე მგონია, საყოველთაო უვიცობის ფაზაში შევედით. ყველაფერს წარმოვიდგენდი, მაგრამ ჩემი ნაკვეთის გამო თუ დიდ რუსეთთან მომიწევდა ომი, ამას კი — ვერა. თან, ვისი ხელით მეომება? ქართველის, მამაჩემის გაზრდილი კაცის ხელით!.. მარსელ პრუსტს აქვს მოთხრობა: ერთი ეპისკოპოსი ყასბის მიერ დახოცილ ე პატარა ბავშვს გააცოცხლებს; გაიზრდებიან და ამ ეპისკოპოსის ქალიშვილს ხომ აუპატიურებენ და ქვეყანასაც ნაცარტუტად აქცევენ...

— ჰო-ო?.. ჩემმა თემიკომ იცოდა თქმა: ჯერ კიდევ 2 ათასი წლის წინ აღექსან-



დრე მაკედონელი ამბობდა — თუ პატარა ქვეყანას გვერდით დიდი მეზობელი ჰყავს, უნდა, თუ არ უნდა, ანგარიში უნდა გაუწიოსო.

— ეტყობა, ჩვენც მაკედონელი თუ გვიშველის. ე-ე, წავიდა ტიტანების, რაინდების და რომანტიკოსების ეპოქები. მტაცებლობის ეპოქაში ვცხოვრობთ; ყველა რალაცის დატაცებულ ფიქრობს: ზოგი — მანქანის გასაწერებელი ადგილის დატაცებაზე, ზოგიც მეზობლის სარდაფის ერთი მტკაველი ფართის მიტაცებაზე... ა, ბატონო, ზვიდაური, ჩვენი მეზობელი. მთელი კორპუსის ეზო მისაკუთრა და მეზობლებს ავტოფარეხების ფართებად მიჰყიდა. თან, უბნის ინსპექტორი უბის წილში. მეტი სიგიჟე რალა გინდა?!

— ჰოდა, რომ მიუნგრევს მაგ ფარეხებს მთავრობა და უკან რომ ექნება ეგ ფული მისაცემი, მერე იმტვიროს თავი.

— უკან? დღეს? თუ ციხეში არ ჩასვი, ვერავის ვერაფერს წაართმევ...

— რა ჩემი საქმეა, მაგრამ ძალიან მაინტერესებს, ნიკა, იმ შენს ნაკვეთში რის გაკეთებას აპირებდი? — თვალბრუნებით უმზერდა ბებია შვილიშვილს პასუხის მოლოდინში.

— არ დაიჯერებ, რომ გითხრა... — სადღაც შორს, ფანჯარაში გაიხედა ნიკამ. — ცოტა შორეული გეგმები მქონდა. ვფიქრობდი — თუ ხალხმა ამოისუნთქა, შობადობაც გაიზრდება და ქალაქიც განზე გავა-მეთქი... იაპონური ტიპის, მრავალსართულიანი და მრავალკლომეტრიანი, უახლესი ტექნოლოგიებით დაკომპლექტებული ბაზრობის გაკეთებას ვაპირებდი. თავისი სასტუმროებით, კინოდარბაზებით, აუზებით, დისკოთეკებით და რა ვიცი... დიდ ბიზნესს ვაპირებდი, — დამნაშავესავით თქვა ნიკამ. — დამშუ-

ლი ქვეყნის პრიორიტეტი, ეკონომიკის ამოქაჩვა უნდა იყოს, სხვა რა? მეგობრების იმედი მქონდა და გვარი გამოიცვალა და აქვე იმალებაო... იარღერები სწავლობდნენ...

ელისო ფრთხილად ჩამოჯდა მის წინ. ისხდნენ და ერთმანეთს უყურებდნენ.

— მერე? — იკითხა ელისომ.

— რუსული ჩექმა... — თქვა ნიკამ. — როდის ეგენი ბოტასებზე გადავლენ?.. ან გადავლენ კი, საერთოდ?.. — ხელი ჩაიქნია და წამოდგა. — ხომ გახსოვს, ქრისტემ ვაჭრები რომ დაიფრინა. იქნებ, მაგიტომაც დავისაჯე, ვინ იცის?.. დიდი მადლობა, უმადლესი ხაჭაპური იყო. წავედი...

— ჰო, სულ მაგინწყდება, — შეაჩერა ელისომ. — ეს ორი დღეა, ირაკლი რეკავს და გკითხულობს. რატომ არ ნახავ ერთხელ? გოგონები ხომ არა ხართ, ერთმანეთს გაეზუტოთ.

ნიკა დაეჭვდა. ირაკლის, წესით, არ უნდა დაერეკა. ყოველ შემთხვევაში, ნიკა არ უნდა ეკითხა.

ალბათ ეგაა — ტელეფონი რომ რეკავს, ავიღებ და არ მპასუხობსო, — გაიფიქრა... ელისოს არაფერი უთხრა. გავიდა და კარი გაიკეტა.

ელისომ კი ფანჯრისკენ გაიხედა და დიდხანს, დიდხანს იმზრებოდა მომავლისკენ, თუმცა — სასიკეთოს ვერაფერს ხედავდა...

ეკა, რა თქმა უნდა, ოფისში დახვდა ნიკას. ღილინებდა და რომელიღაც პროექტის ნახაზებზე მუშაობდა.

— არავინ მიკითხა? — შეეკითხა ნიკა.

— არა, — უპასუხა ეკამ. — გუშინ საღამოს გეგამ დოკუმენტაცია მოგიტანათ. მაგიდაზე გიდევთ. ყველაფერი გავასწორე, ყველგან ყველაფერი გადავრიცხე, შეგიძლიათ, მშვიდად იყოთო. მე ჩემი პროექტი თითქმის მთლიანად დავაკომპლექტე.

— ვახო არ გამოჩენილა, „პრარაბი“?

— არა.

— მაგათ სისხლში აქვთ რალაც... ყველა ვარიანტში უნდა მოგატყუონ. — თავი გაიქნია ნიკამ. კომპიუტერი ჩართო და ის იყო, სამუშაო ფაილი გახსნა, რომ ოფისში ზურაბ დუნდუამ შემოიჭყიტა. ნიკამ შეხედა და ხელი გაიქნია.

— ჰო, რა გიკვირთ?! — შინაურულად შემოაღაჯა დუნდუამ. — ჩამოვლაზე ვარ. ყველას ვამოწმებ. აი, სია, — რალაც ყურნალი გადაუშალა ნიკას. — აი, ნახე, ნიკა. მინუსი „გიზით“. შეგამოწმებთ, ჩამოვუსვამ ზემოდან ხაზს, ვაქცევ პლუსად და წავალ ჩემს გზაზე.

— ჰო-ო? — დაინტერესდა ნიკა. — რა ღირს მერე ეგ ნახევარი ხაზი, პლუსის?

— დარღვევას გააჩნია, — თავი ემპაკურად მოიფხანა ზურაბმა.

— აი, მაშინ, ჩემი ბულალტერია, —

ნიკამ დუნდუას წინ დაუდო გეგას მოტ-ანილი დოკუმენტაცია. — თუ რაიმე დარღვევა აღმოჩნდა, მაგ ნახევარი საზის ფულს თვითონ აუდიტი გადაიხდის.

— ასე არ გამოვა, — თქვა დუნდუამ.

— რა? — გაუკვირდა ნიკას.

— კაი, რა, ნიკა, მთვარეზე ხომ არ ვცხოვრობთ, არა?!

— მართლაც. აბა, რაღას ამბობს ჩვენი პრეზიდენტი — მღრღნელებს მოგაცილებთო? იტყუება?.. — ირონიულად იკითხა ნიკამ.

— მე რაში მეკითხება, პრეზიდენტი რას ამბობს?! მე ჩემი უფროსი მყავს, ანრი ფრანგიშვილი...

— მერე? — დაინტერესდა ნიკა.

— შენთვის იქნება ცუდი, თორემ მე რა?! პრეზიდენტი... შენ რა გგონია, ეს ამხელა მშენებლობები რომ მიდის, გზები, ხიდები, ესტაკადები... ცოტა მაღალ-ზურგთან სავარძლებში ვინც სხედან, იმათი ინტერესი არ დევს ამ ყველაფერში?..

— ჰო-ო? — წამოეწიო ნიკა. — მაშ, ის, რასაც მთავრობა ლაპარაკობს, ცარიელი ტრაკის თამაშია და მეტი არაფერი?!

— რატომ?! ცოტა რაზე გაკეთდა? თან — კეთდება, თან... აბა, როგორ გინდა?! შენ თუ უნდა ჭამო, სხვასაც უნდა აჭამო.

— რა-ა? მე უნდა ვიპრობო და ვილაყბაგასივებულმა ნახვამ კარიერისტმა თქვლიფოს, არა?! — უეცრად გაცოფდა, სხვა დროს თავშეკავებული ნიკა. — გაგსვრიან, არ გაპატიებენ!

დუნდუა წამოხტა და ეგონა, გაასწრო, მაგრამ ისე მწარედ მოხვდა კუდუსუნში ნიკას ამოქნეული ფეხი, რომ ერთი კი

დაიძახა: ვაი, დედაო! — და ტყვიასავით გავარდა.

ნიკა კი საშინლად მოიშალა. ვისთვის, რისთვის ვწვალობ?... ალბათ, საუკუნეებშიც არ ეყოფა ამითი ღორული მენტალიტეტის შეცვლასო, — ფიქრობდა...

სააბელაციო სასამართლოს სხდომას მხოლოდ ერთი მხარე ესწრებოდა. არც მთავრობის წარმომადგენელი იყო, არც საკრებულოსი და არც მერიის. არადა, სამივეს სახელით იყო შეტანილი სარჩელი. ნიკამ და მისმა ადვოკატმა პარლამენტის მიერ მიღებულ დადგენილებასთან ვერაფერი გააწყეს. ვანო ლებანიძეს მართლაც ჩალის ფასად — რაღაც 2 ათას დოლარად ჩაეგდო ხელში ეს ამხელა ადგილ-მამული...

სასამართლოს გადაწყვეტილებით, ნიკას მიწის ნაკვეთი ჩამოერთვა და უკან, სახელმწიფოს დაუბრუნდა. ლებანიძეს, ნიკას სასარგებლოდ, აღებული თანხის უკან დაბრუნება დაეკისრა. თუმცა, არც სასამართლომ და არც ძესორცილემა არ იცოდა მისი ადგილსამყოფელი...

ნიკა განიარაღებული იყო. სასამართლოს გადაწყვეტილებით, განჩინება თითქოს სრულიად სამართლიანი იყო, სინამდვილეში კი, ნიკა დამარცხდა, რითიც, რასაკვირველია, ყველაზე მეტად, ალბათ, ისევე ჯერაც არშემდგარი, აქა-იქ მიწაჩამოთლილი მისი ქვეყანა დაზარალდა, თავისი მოტრამბახე, ბაქიბუქა მთავრობიანად...

მაგრამ მიუხედავად ამხელა ფიასკოსი, ნიკამ ოფისი არ დაკეტა და მუშაობას აგრძელებდა. თუმცა, რაღაც უფრო უარესს, უფრო ცუდს უგმობდა გული. უიარაღოდ აღარსად გადიოდა, თავის ახალ „კოლტს“ სულ თან დაატარებდა.

ნიკაზე თავდასხმა ნატოს ოფისთან მოხდა. ვორონცოვზე, თოდრიას ვინრო შესახვევთან, სადაც ხალხი ჩვეულებრივ, ნაკლებად მოძრაობს. იმ დღესაც მიმოდოდნენ, მაგრამ — კანტიკუნტად. თავდამსხმელები ორნი იყვნენ, შავი ნიღბებით. ორივენი ძველ, უნომრო, მწვანე „მერსედესის“ წინა სავარძლებზე ისხდნენ. დღისით-მზისით, სამს 10 უკლდა...

ნიკამ, რომ იტყვიან — ზურგიტ, ინტუიციურად იგრძნო, რომ უნდა ესროლა. აღარ დაუხანებია, იარაღი ამოიღო და მზესუმზირის გამყიდველი ქალი გადათქერა. იქვე, რკინის ალაცაფში შესტა და კედელს აეკრა... მანქანის მუხურუჭების ხმა და გასროლა ერთი იყო.

შიშმა, რომელმაც 2 წამის წინ უეცრად დაზაფრა, მთლიანად გაუარა. მზესუმზირის გამყიდველი ქალის წივილი არც გაუგონია. მარჯვენა ხელი ქუჩაში გამოყო და დამიზნებით ესროლა. მოეჩვენა, რომ მოარტყა, რადგან მანქანა ტროტუარზე ახტა და სიგარეტის ჯიხურს შეასკდა. მაგრამ იმწამვე უკან დაიხია და იქიდან სროლა გამოერდა. ნიკამაც ესროლა. მერე მანქანა ღმუილით მოსწყდა ადგილს და მოსახვევში გაუჩინარდა...

სანამ მზესუმზირის გამყიდველი მოასულიერეს, ნიკას არაფერი უგრძნია. მერე კი, მკლავზე დაიხედა და სისხლი დაინახა.

...სროლის ხმაზე ოფისიდან გამოსულმა ნატომ, ნიკა მანქანაში ჩასვა და ნაცნობ ექიმთან, კერძო პოლიკლინიკაში გააქანა. ნიკას არ უნდოდა, მისი დაჭრა საექიმო ცნობით გაფორმებულიყო და თავდასხმაზე სისხლის სამართლის საქმის წარმოება დაწყებულიყო. ტყვიას იდაყვთან, კუნთში გაველო, ისე, რომ არც მთავარ და არც სხვიის ძვალს არ შეხებოდა.

ნიკას არ უჩივლია. მკვლელებს აღარ იჭერენ და მით უმეტეს, შენს მკვლელს ვინ დაიჭერსო?! — უთხრა რეზიმ. ტყუილად ნერვებს მოიშლი, ვერც ვერაფერს გახდები, ვერც სიმართლეს იპოვი და მოდი, რაზე ისეთი მოვიფიქროთ, მაგ ნაბიჭვრებს დღის სინათლეზე რომ გამოიყვანსო, — დასძინა. მოკლედ, ჯობს გაჩუმდე, თორემ, ამათი ამბავი რომ ვიცო, თვითონ შენ არ დაგადაწაშაულონო...

ნიკას არც უფიქრია, რომ თავდამსხმელებიდან ერთ-ერთი, შესაძლოა, მისი ძმა ირაკლი ყოფილიყო. რეზის — მით უმეტეს, არც ერთზე არ ჰქონდა წარმოდგენა — არც ძმაზე და არც ბიძაშვილზე. ნიკა კი, ლადოზე მაგრად დაეჭვდა, თან გაიფიქრა — საიდან უნდა სცოდნოდა ჩემი მარშრუტი?.. გაახსენდა ელისოს ნათქვამი — ირაკლი რეკავს და გკითხულობსო... ელისოს უთქვამს — ეს წუთია, გავიდა, ნატო უნდა ენახაო... ნიკა მიხვდა, რომ თავდასხმაში ძმის ხელიც ერია. ეს რომ გაიფიქრა, მოეჩვენა, რომ საფეთქელთან სისხლის ძარღვი გაუწყდა. გიჟურ ბოდვას ჰგავდა ეს ყველაფერი...

ნანას საიდანღაც გაეგო, რომ ნიკაზე თავდასხმა მოხდა და ეგრევე მასთან „ააჭრა“. ჩემი მეგობარიაო, — გააცნო ნანა ელისოსა და ვერიკოს ნიკამ. აბა, ხომ ვერ ეტყოდა — დეიდაშვილია ან მამიდაშვილიაო!.. ვერიკომ მაგრად „ჩაალივერა“ ნანა, ცხოვრებაში ბევრად ლამაზი ყოფილა, ვიდრე ეკრანზეო, — გაიფიქრა. ნიკა უკვე ყველასა და ყველაფერზე ეჭვიანობდა: მაშინვე გაახსენდა, რომ ნანა ოდესღაც იცნობდა ლადოს...

— სძინავს თქვენს პარლამენტს?! ყველაფერს ეპოტინება ეს კაცი, აბსოლუტურად ყველაფერს!.. — უხსნიდა ნანას ნიკა. — ენერგორესურსებს, გაზს, „გესებს“, კავშირგაბმულობას... საიდან



ამხელა ფული?! ვის ფულს, რა ფულს სდებს, რა გგონიათ?!

— როგორ შეიძლება ლადოს ნახვა? — ჰკითხა ბოლოს ნანამ.

— ალბათ ირაკლისთან, — და ნიკამ თავისი ძმის ტელეფონის ნომერი მისცა. ნანა წავიდა. შენ რომ რამე დაგემართოს, თავს არ ვიცოცხლებო, — უთხრა ნიკას...

ნანა მართალს ამბობდა. რა ექნა? სიგუფმდე უყვარდა!.. მოკლედ, როგორც ამბობენ ჩვენში: ნიკას გარეშე მის სიცოცხლეს აზრი აღარ ჰქონდა...

— უნდა წახვიდე, უნდა დაბრუნდე ამერიკაში. წყალსაც წაუღია მთელი საქართველო თავის ბანდიტებიანად და პარლამენტიანად, — არიგებდა ნიკას ვერიკო. — შენ რომ კიდევ გესროლონ, მე ამას როგორ გავუძლებ?! — უარესის მოლოდინში იყო დედის გული და არც ცდებოდა...

ლადო გაცოფებული იყო. „ბრჭყალებიანი“ თვალები გადმოუკარვლა, ნერვიულად სცემდა ბოლთას და ირაკლის დაჰბლაოდა:

— როგორ ააცდინე, როგორ?! მთელი კვირა გატარე იმ ტირში! ქვეყნის მაცუთი გადამაყრევინე ტყუილად! იმან ხომ კარგად იცის, რომ ჩვენს მეტი არავინ ესროდა...

— ჩემზე, არა მგონია, ეგ იფიქროს, — თქვა ირაკლიმ.

— მით უმეტეს, შე ჩემალა! უარესი! მარტო ჩემზე იფიქრებს, ხომ? შენ ესროლე და მე ვიჭყლიტები — როგორია?! — მთლად გაგიჟდა ლადო.

— მე არ მისვრია, — თქვა უეცრად ირაკლიმ.

ლადომ გაკვირვებულმა შეხედა. ამან ხომ არ გარეკაო? — გაიფიქრა.

— რაო, რაო? მაშ, ვინ ესროლა?! — ლამის გადაყლაპა ირაკლი ლადომ.

— არა, ვესროლე, მაგრამ დამიზნება დამავინწყდა.

— დამიზნება დაგავინწყდა?! — ჰო, რა იყო?! დამავინწყდა! — გული მოეცა ირაკლის. — პირველად ვესროდი ცოცხალ ადამიანს, თან — ძმას. მე ხომ აქამდე არაფრისთვის მისვრია, ჩიტიც კი არ მომიკლავს ჯერ...

— რა-ა?! — განცვიფრებას ვერ ფარავდა ლადო. — გამოდის, რომ ცოცხალ ადამიანებზე უნდა მევარჯიშებინე?! — და უცებ, რაღაც საშინლად მზაკვრული გაიფიქრა ლადომ. — ძალიან კარგი... გაგავარჯიშებ ცოცხალ ადამიანზე. მაგრამ თუ კიდევ არ დავუმიზნებ...

— რა-ა? — შეეკითხა ირაკლი. — რა და, შეიძლება, იმან მოგკლას, რა?! რას მიყურებ პინგვინით?! ის ტყვია რომ რომელიმეს მოგვხვედროდა, ხომ გაგავარჯიშებდა იქვე! ტყვობა, იმანაც შენსავით პირველად ესროლა ადამიანს...

— შენ? შენ გისვრია ოდესმე ვინმესთვის? — შეეკითხა ირაკლი.

— მე როცა ვისვრი, მხოლოდ ათიანში ვარტყამ... მოკლედ, მოვრჩეთ ახლა ამ

ბაზარ-ვაგბალს... მეექვსეა, ჩაგვიშვას... თუ არა და, ბილეთები შეკვეთილი მაქვს, გავასწრებთ...

იმ დღეს ასე დამთავრდა ბიძაშვილების კამათი, რა გაგრძელება ექნება მათ საუბარს... ამას მომავალში ვნახავთ.

— ...ცოფიანებით შემოცვივდნენ, — ეუბნებოდა ტელეფონში მეორე დღეს ნიკას ეკა. — კედელთან მიმაყენეს და მეც კი ხელები მიფათურეს... ყველაფერი ამოატრიალეს, ყველაფერი გადაწხრიკეს. ბოლოს მაგიდასთან დამსვეს და გაუსროლელი რევოლვერის მასრები და კოკინის ფხვნილი მაჩვენეს. მითხრეს — ბარის თაროზე ვნახეთო... ოქმი შეადგინეს და ხელი მომანერინეს. არ უნდა



მომენერა? — ეკითხებოდა ეკა. — დოკუმენტაცია წაიღეს და ოფისი დალუქეს. რა უნდა ვქნათ, ნიკა?

საფინანსო პოლიციაზე იყო ლაპარაკი. ნიკამ თათიკოს დაურეკა. თათიკომ უთხრა — გაგირკვევ და მე თვითონ დაგირეკავო. მალევე დარეკა. მამაჩემს ვერ ვეკითხები და სხვები მაგრად მალავენ და ჩქმალავენ ყველაფერს, ვერაფერი გაგირკვეიო.

სხვა გზა არ იყო — ვა-ბანკ უნდა წასულიყო ნიკა. ანის დაუკავშირდა. შეგიძლია, პირდაპირ ეთერში დამსვაო? — ჰკითხა. მოვიფიქრებო, — უპასუხა ანიმ და უცნაური გეგმა შესთავაზა: ამ საღამოს ჩემი გადაცემა „რეტროსპექტივა“ გარემოს დაცვის თემაზე მზადდება, მაყურებლებში დაგსვამ, მიკროფონს მოგანვდი და ორ-სამ წუთში უნდა ჩაეტიოო. ნიკა დათანხმდა.

როცა ნანამ დაურეკა ირაკლის და სთხოვა, ლადოს შემახვედრეო, ირაკლიმ რაღაც არასასურველი იცნოსა. მაგრამ რა შეიძლება დაერქვას ამ შემთხ-

ვევაში, ნანას ქცევას — გულუბრყვილობა, უტყინობა, უცოდინრობა თუ ეს ყველაფერი ერთად?.. მოკლედ, ცოტა მიიპრანჭ-მოიპრანჭა, საქმიანი იერი მიიღო და ირაკლის ბინის კარზე ზარი დარეკა.

ლადო მარტო დახვდა. ირაკლი გაესტუმრებინა. ისე მიიღო ნანა, თითქოს მთელი ცხოვრება გადაფსკვნილი მეგობრები ყოფილიყვნენ. აავსო ქათინაურებით — ანჯელინა ჯოლი და კლაუდია შიფერი მიმიქარავს, შენი ფხვის ფრჩხილადაც არ ღირანო, — თან მაგიდაზე წინასწარ დადგმულ ალუბლის ლიქიორს აძალებდა, რომელზედაც უარს ისედაც არ ამბობდა ნანა. ერთ სიტყვით, ჯენტლმენით იქცეოდა და მოახერხა კიდევ, რომ თავის მიმართ კეთილად განეწყო, იმდენად კეთილად, რომ ნანამ იფიქრა — ეს კაცი მარტო ნიკას ნაკვეთს კი არა, თუ ვთხოვე, სიცოცხლესაც არ დაიშურებს ჩემთვისო. მოკლედ, როცა ნანამ ლადოს ნიკა უხსენა, მან გაიოცა — რას ამბობ, შენ ნიკას იცნობო?! — და ცაში აიყვანა ნიკა ქებით... კაცმა იმდენი მოახერხოს, თავისით კოლუმბიის უნივერსიტეტი დაამთავროს, სადაც ძირითადად, მილიონერების თუ არა, მსოფლიო ელიტური საზოგადოების შვილები სწავლობენ, — ამას ეხუმრებო?!. ხოლო როცა ნანამ ნიკას ნაკვეთი უხსენა, ლადომ ვითომ მეგობრულად ხელი ხელზე დაადო ნანას და მისი ლამაზი მტევანი თავის ტორში მოიქცია... იუარა, არაფერი მაგ ნაკვეთის გარშემო არ ვიცო... რაღაც დიდხანს უჭირავს ჩემი ხელიო, — გაიფიქრა ნანამ, მაგრამ ვეღარც უკან წაიღო... ნიკამ შენი თავი შემახვედრა და ნაკვეთს კი არა, მთელ ქალაქს ვაჩუქებო, — რაღაც სხვანაირად აჩურჩულდა ლადო და ნანას პერანგის მოკლე სახელოდან თავისი მსხვილი თითები ძუძუს თავი მოუძებნა... გაგიჟდა უეცრად ნანა, ხელი ჰკრა კაცს და თვალებიდან „ბრჭყალების“ ამოკორტნასაც უპირებდა, მაგრამ კაცმა აჯობა: ორივე ხელი დაუჭირა, ტანზე მიიკრა, მარჯვენა ზურგს უკან ამოუგრიხა და ხალიჩაზე მიანვინა. მერე კი, თათი ცხელ ბარდაყებში შეუტურა. ნანას გახელება ისე გადავიდა სიძვის დაუოკებელ სურვილში — რა ხდებოდა მის თავს, უცბად ვერც გააცნობიერა... ლიქიორის, სიგარეტის კვამლით თუ კაცის მონოტონური ჩურჩულით გაბრუებული ნანა ლადოს დანებდა. სექსუალურმა აქტმა თავის პიკს მიაღწია და ნანას ელვად მთელ სხეულში ყრინაბლით დაუარა. ძალადობის აქტი თავის ტვინილ, უკანონო ნაყოფს იმკიდა... რას ფიქრობენ ქალები ასეთ დროს ან რატომ ვერ ახერხებენ უარის თქმას?.. ირემი უყვართ და დათვს ნებდებიან!.. იქნებ, სწორედ იმიტომ, რომ შეყვარებული გადაარჩინონ?.. ან იქნებ, რაღაც სულ სხვა აურა აქვთ მველლებს?.. ან კიდევ — აუხსენელ, რაღაც ველურ ინსტინქტს ემორჩილებიან?..

„ჩვენ ერთი ბრძოლას კი არ წაგვიბია და რაოდენი წაგვაბეთ ომი?!“

14 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც აფხაზეთის ომი დამთავრდა. მაგრამ ეს სიტყვა — „დამთავრდა“ — ალბათ, პირობითია, რადგან ვიდრე აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში არ დაბრუნდება, მანამდე ომი დამთავრებულად არ ჩათვლება. როდესაც აფხაზეთში ნაბრძოლებს ამ თემაზე სასაუბროდ შევხვდით, ვიფიქრე, რომ გამონათქვამი — დრო ყველაფრის მკურნალია, — უნივერსალური არ არის. აფხაზეთის ომის წაგების მიზეზებზე, ქართველთა მხრიდან ქართველთა ლაღატა და საშინელ მოგონებებზე სოსუმის მკვიდრი, ომის მონაწილენი, „რქს-კომბატანტთა კლუბის“ წევრები — დათო დიდბერიძე, ზურაბ მამარდაშვილი, ლადო დაშინანი და თემურ კვარაცხელია მოგვითხრობენ. ეს უკანასკნელი, მათ შორის, ასაკით ყველაზე უმცროსია და საუბარში სწორედ მან დაიწყო.

მარი ჯაშარიძე

თემურ კვარაცხელია:

— თბილისში, საკუთარ ბინაში ვცხოვრობ. უცოლშვილო ვარ. 18 წლის ვიყავი, როდესაც ომში წავედი. გაგრის ალების შემდეგ, ჩემი ოჯახი სოსუმში დარჩა და როგორც ყველა ადგილობრივი მოსახლე, მეც ჩავედი ომში. მე-8 ბატალიონის ასეულში ვიყავი.

— ასეთ ასაკში ძნელი არ იყო კაცისკვლაში ჩაბმა ან ამდენი სისხლისა და გარდაცვლილის ყურება?

— იმ დროს ვერ ვაცნობიერებდი,



მთავრობის სახლი

ჩემთვის თამაშით იყო ეს ყველაფერი. რაც დრო გადიოდა და უფრო ღრმავდებოდა კონფლიქტი, მეტად განვიცდიდი მომხდარს. პირველი ტყვია როგორ გავისროლე, არ მახსოვს და არც ის ადამიანი, ვინც პირველი გამოვასალმე წუთისოფელს... ამ დროს არ ფიქრობ, რომ კაცს კლავ. შენ პირისპირ დგას ადამიანი, რომელსაც უნდა დაასწრო ტყვიის გასროლა. თუ დაგასწრო, მორჩა, ყველაფერი დამთავრებულია. ამიტომ ვერ აცნობიერებ, რომ ადამიანი მოკალი და ამის გამო არც სინდისი გქენჯნის.

დათო დიდბერიძე:

— ომის დროს, ამაზე რეაქცია ვერ გქენება, რადგან თუ შენ არ მოკლავ, მაშინ შენ მოგკლავენ. ის კი არადა, ჩვენი ბიჭების სიკვდილსაც კი არ განვიცდიდით მწვავედ. ახლა ხშირად თვალზე ცრემლი მომდგომია მათი გახსენების დროს და ფილმშიც რომ მინახავს მკვლელობა, განმიცდია, მაგრამ ომი — სულ სხვაა. იქ ადამიანის სიკვდილი არაფერია. დღეს თუ ის მოკვდა, ხვალ შესაძლოა, შენი ჯერი დადგეს. ხშირად იმასაც ამბობენ, რომ ომის შემდეგ გადარჩენილ ადამიანებს კომმარტები ესიზმრებათო. მე არავითარი კომმარტი არ მანუხებს და არც ჩემ მიერ მოკლული ადამიანები მესიზმრებია...

ზურაბ მამარდაშვილი:

— სოსუმელი ვარ. ომი რომ დაიწყო, 36 წლის ვიყავი. პირველსავე დღეებიდან ავიღეთ იარაღი და საქართველოს სამსახურში ჩავდექით. წინასწარ ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ომი დაიწყებოდა. ამის გამო, რუსეთში წასვლა გადავიფიქრე. კერძო ბიზნესით ვიყავი დაკავებული და საქმეზე ვაპირებდი წასვლას, მაგრამ დარჩენა ვამჯობინე... ომის შემდეგ ადამიანს დიდი ხანი სჭირდება რეაბილიტაციისთვის. ჩემი ბიზნესი საკმაოდ მომგებიანი იყო, მაგრამ ახლა უკვე თავი ველარაფერს მოვაბი. ახლა, დღევანდელი გადასახედიდან, ვნანობ, რომ ასე მოვიქეცი და ხელში იარაღი ავიღე, რადგან ხშირად, სხვადასხვა ჩინოვიკისგან გამიგონია — საკუთარ სახლს იცავდი, ჩემთვის ხომ არ იბრძოდითო!.. ამის თქმა როგორ შეიძლება?! ომი ადამიანის ფსიქიკაზე ძალზე უარყოფით გავლენას ახდენს. რამდენსაც გინდათ, იმდენ ყოფილ მეზობლს ჩამოგიტვლით, ვინც ომის შემდეგ თავი მოიკლა. როცა ომში ადამიანს კლავ, მაშინ არაფერია, მაგრამ შემდეგ, როცა ყველაფერი მთავრდება, თავს ცუდად გრძობ, ჯანმრთელობა გერყევა. სიკვდილისთვის თვალელები ჩახედვა არც ისე იოლია...

დათო:

— ახლა აპირებენ სოციალურად დაუცველ ფენასთან მეზობლობის განაზრებას. ეს უსამართლობაა. შესაძლოა, ამ კატეგორიის ადამიანებისთვის გაცილებით მეტი დახმარება იყოს გამოყოფილი, მაგრამ თავს შეუურაცხყოფილად გრძობ. მე ჯანმრთელი ადამიანი ვარ და



სასტუმრო „აფხაზე“

არ მჭირდება არავის დახმარება, მაგრამ ბევრია ისეთი, ვინც ხეობრად დარჩა ან დაიღუპა და მისი ოჯახი, შვილები საჭიროებენ დახმარებას. სახელმწიფო მათ სოციალურად დაუცველ ფენასთან გააგიგებს და დაეხმარება არა იმიტომ, რომ ისინი ომის გამო დაზარალებულნი და თავი განირჩეს, არამედ იმიტომ, რომ შიათ. ვფიქრობ, განსხვავება დიდია. როცა ქვეყანას დასჭირდა, ხელში იარაღი ავიღეთ და ვიბრძოდით, მაგრამ ეს არ არის საიმისო საბაზი, რომ სახელმწიფომ გვითხრას: ჩვენ არ წაგვიყვანებინათ ომში და რას გვაყვედრით თქვენს ჯარისკაცობასო?! მე მხოლოდ ჩემს ოჯახს არ ვიცავდი, მე სოხუმში საქართველოს ვიცავდი..

ზურაბი:

— ოჩამჩირის მხარეს ბრძოლებს გენერლები და შტაბი გეგმავენ, მაგრამ სოხუმის არც ერთი ბრძოლა მათ მიერ დაგეგმილი არ ყოფილა. ჩვენ თვითონ ვიკავებდით პოზიციებს და შეტევასა თუ კონტრშეტევასაც თავად ვგეგმავდით. მე ასმეთაური გახლდით. ეს დიდი პასუხისმგებლობაა, რადგან შენი ერთი შეცდომის გამო შესაძლოა, უამრავი ადამიანი დაკარგო. ბევრი ისეთი მეთაურიც მინახავს, ვინც ჯარისკაცებს პოზიციაზე დატოვებდა და შუა ბრძოლის დროს გამოაცხადებდა — შტაბში მივდივარო... ჩემი მეგობრებისგან განსხვავებით, წელან რომ ამბობდნენ, კომარები არ გვანახებდნენ, მე თითქმის ყოველდღე კომარებს ვხედავ. თქვენ როგორ ფიქრობთ — რა იყო მიზეზი იმისა, რომ ომი წავაგეთ? ლაბატი! მართალია, ზვინა და გამსახურდიამ იმ პერიოდში დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მაგრამ რუსეთს ჰყავდა უამრავი „დავერობოვებულნი“ ადამიანი, თავისი აგენტები, რომლებიც ხელისუფლების ეშელონებში შეგზავნა. თამამად ვიტყვი, რომ იმ პერიოდში, საქართველოს მართავდა რუსეთის კა-გერ-ბე. ისიც კი მიკვირს, საერთოდ, როგორ ვიბრძოდით წელიწადი და 2 თვე. ჩვენ ერთი ბრძოლაც კი არ წაგვიგია და როგორ ფიქრობთ, რატომ წავაგეთ ომი?! ომის კანონია ასეთი: მტერმა ისე უნდა დამარტყას, რომ უნდა გავიქცე და დავტოვო პოზიცია. არ გავქცევულვართ, ისე დავმარცხდით. ბოლოს უკვე ქუჩის ბრძოლებისთვის ვემზადებოდით. ჩვენ უკეთ ვიცნობდით ქალაქს, ვიდრე რუსის ჯარი. თანაც, ბრძოლის ერთმა წელმა თავისი ქნა და უკვე გამოცდილებაც შევიძინეთ.



თემურ კვარაცხელია

სწორედ ამ დროს მივიღეთ ბრძანება, რომ ქართულ ჯარს უნდა დაეტოვებინა სოხუმი და კელასურს გაღმა გამაგრებულიყო.

დათო:

— ამ დროს უკვე არავითარი მთავარსარდლობა და შტაბი აღარ იყო. მოხუცი, ქალი, ბავშვი — ყველა ერთმანეთში იყო არეული. „მაჭალკას“ ვუნოდებდით სოხუმის გასასვლელს და ბრძანების თანახმად, იქ უნდა გაგვემარგებინა პოზიციები. ბოლოს სოხუმი „მხედრონმა“ დატოვა. როგორც კი ისინი გამოვიდნენ, (მაშინ ჯაბა იოსელიანიც იქ იყო), მაშინვე სოხუმის თავზე აფხაზებმა „გირლანდები“ ჩამოკიდეს (ეს ერთგვარი მამულებია, რომელსაც თვითმფრინავიდან უშვებენ). ეს იყო გამარჯვების აღსანიშნავად.

— კონკრეტულად ვისი ბრძანება იყო, რომ სოხუმი დაეტოვებინათ?

— ჩვენ მეთაურებმა გვითხრეს, ხოლო მათ ვინ უთხრა, არ ვიცი. ეს მხოლოდ მთავარსარდლის გადაწყვეტილებით მოხდებოდა. როდესაც სოხუმს ვტოვებდით, მოსახლეობა გვეკითხებოდა — რა ვქნათო?.. არ ვიცოდით, რა გვეპასუხა მათთვის. გვეუბნებოდნენ, რომ ვინაიდან გაფანტულები ვიყავით, „მაჭალკასთან“ შევიკრიბებოდით და ერთიანი ძალით შევუტევდით, ქალაქი კვლავ რომ ხელში ჩაგვეგდო. ვფიქრობდით, რომ გავიმარჯვებდით. სწორედ ამიტომ ვერ ვუუბნებოდით მოსახლეობას, რომ სოხუმი დაეტოვებინა. ამან გამოიწვია ის, რომ ბევრი მშვიდობიანი მოსახლე ჩარჩა სოხუმში და შემდეგ, რუსის იხიანი ჩახოცა. ეს რომ გვცოდნოდა, როგორც ჩვენ გამოვედით, ისინიც ისე გამოვიდოდნენ ქალაქიდან და გადარჩებოდნენ... ყველაზე მძიმე დღეები და ყველაზე დიდი ქაოსი 25-27 სექტემბერს იყო. იცით, რატომ ინელება დრო და რატომ არ ვიბრუნებთ აფხაზებს? ეს დრო რუსების ნისკვილზე ასხამს წყალს. ისინი ფიქრობენ — დღეს თუ ხვალ მოვა საქართველოში ხელისუფლება, რომელიც იტყვის: დავანებოთ ამ აფხაზებს თავი, იცხოვრონ თავისთვის და იყვენ; სოჭიც დავკარგეთ, მაგრამ ამით არაფერიც არ მომხდარაო... საქმე იცით, რაშია? აფხაზეთი დაახლოებით 300 ათასმა კაცმა დატოვა. საკურორტო ზონაში ცარიელი სივრცე გაჩნდა. ამას აფხაზები ვერ შეავსებენ, რადგან სულ 40 ათასი არიან დარჩენილი. ვინ შეავსებს ამ სივრცეს? ეს იქნება მოსახლეობა მიმდებარე ტერიტორიიდან. კრასნოდარიდან გადმოსულმა სომხებმა უკვე დაიკავეს გაგრა-ბიჭვინთა და გუდაუთას მოადგნენ. დარჩა ახალი ათონი, სოხუმი და ტყვარჩელი. ასევე აითვისებენ ამ ტერიტორიასაც. რაც უფრო მეტი დრო გავა, მით უფრო მჭიროდ დაიკავენ სხვა ერი აფხაზეთის ტერიტორიას და მით უფრო გაგვიჭირდება მისი დაბრუნება.

— თუ იცით, ვინ ცხოვრობს



დათო დიღბერიძე

ახლა თქვენს სახლში?

— ჩემს სახლში ცხოვრობენ აფხაზები ტამიშიდან, ბუნიების ოჯახი. კაცი სკოლის დირექტორია. მათ ტამიში სახლი დაუწვეს და სხვა გზა არ ჰქონდათ. მათი კარგად მესმის, სადღაც ხომ უნდა შეეფერებინათ თავი!

ზურაბი:

— ჩვენი სახლების ამბებს სულ ვვითხულობთ. ჩემს სახლში მცხოვრებმა აფხაზებმა კაცი მომიგზავნეს — ფულს გადავიხდით და მოგვიყიდო. აბა, როგორ მიყვიდდი?! ეს ხომ მხოლოდ ჩემი სახლი არ არის, ეს — სამშობლოა. როგორ გავყიდო სამშობლო?!

— ჟიული შარტავასთან დაკავშირებით რას იტყვით?

— ჟიული შარტავა განირჩეს, რადგან ომის შემდეგ, ის სიმართლეს იტყოდა... ჩვენი ასეული ჟიული შარტავას ექვემდებარებოდა. ერთხელ ასეთი რამ მოხდა: სხვა პოზიციაზე გადაგვიყვანეს და მის დაცვაში დატოვეს ის ადამიანები, ვინც არ იბრძოდა და გამოუცდელი გახლდათ. პოზიციაზე ჯარისკაცებმა რომ შეგცვალებს, ჩვენ ქალაქში გამოვედით. იმ შენობასთან გავიარეთ, სადაც აფხაზეთის მთავრობა იმყოფებოდა. სწორედ ამ დროს მანქანა გაჩერდა და ედუარდ შევარდნაძე გადმოვიდა. ჩვენ გვახლდა მეომარი, რომლის სახლშიც პრეზიდენტი ნამყოფი იყო. იცნო და გამოელაპარაკა: — აქ რას აკეთებთო? — გვკითხა. ვუთხარით, რომ შეგვეცვალეს და ცოტა ხნით ქალაქში გამოვედით. — წადით, პოზიციაზე დაბრუნდით, 3 დღე გაუძელით და ბრძოლის ველი არ მიატოვოთ. მაშინ ვერ მიხვდით, რატომ გვეუბნებოდა ამას. მერე გავაცნობიერეთ, რომ მას ჩვენი იქ გაჩერება არ უნდოდა: იქ რომ დავრჩენილიყავით, ალბათ, ჟიული შარტავას უწებლად გამოვიყვანდით...

დათო:

— როდესაც ჟიული შარტავა სოხუმში ჩამოვიდა, ქალაქი ნავით იყო სავსე, პურზე უსაშველო რიგები იდგა. ეს ხელს აძლევდა აფხაზებს, რადგან იოლი იყო მშვიდობიანი მოსახლეობის გაჟლეტა. ბევრი შემთხვევა ყოფილა, როცა პურის რიგში მდგომი ხალხისთვის დაურტყამთ, ბომბი ჩამოუგდიათ და ერთიანად გაუჟლეტიათ... ჟიული ჩამოვიდა თუ არა, ქალაქი გასუფთავდა, პურის რიგები მოისპო, ჯერისკაცებს საჭმელი მოგვიტანეს. ჩვენ

ფაქტობრივად, სახლში ვიკვებებოდი. მივდიოდით, დავნაყრდებოდით და ცელოფანის პარკში გახვეული საკვებიც თან მიგვქონდა. ჟიულის მოსვლამდე ჩვენი მთელი დღის ულუფა — 1 პომიდორი, 1 მოხარშული კვერცხი და რამდენიმე ნაჭერი პური იყო. შემდეგ უკვე კარგი კვება გვქონდა და ტანისამოსსაც კი გვირიგებდნენ. ჟიულიმ ხალხს თავი შეაყვარა. ამის გამო, ის საპრეზიდენტო არჩევნებში შევარდნაძის ყველაზე რეალური კონკურენტი იქნებოდა, რადგან 300 ათასი კაცი გვერდით დაუდგებოდა და გამარჯვებაც მისი იქნებოდა. სწორედ ამის გამო განირჩეა. ეს ჩემი სუბიექტური აზრია...

ლადო დაშინაძე:

— 27 სექტემბერს დილით, შევარდნაძემ აიძულა აფხაზეთის მთავრობის მეთაური ჟიული შარტავა, რომ ჩაეტარებინა მთავრობის სხდომა, იმ მიზნებით, რომ იქ უნდა მოსულიყო მასტუხოვი (რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, საგანგებო დავალებათა ელჩი კონფლიქტის მოგვარების საკითხში. — ავტ.) და მოლაპარაკებები ეწარმოებინა.



როდესაც სოსუმის მასობრივი დაბომბვა დაიწყო, სწორედ ამ დროს ჩამოვიდა შევარდნაძე

როდესაც ჟიული მიდიოდა, მას გამოევიდა დეიდაშვილი — ბონდო კუჭავა და — არ ნახვიდო, — უთხრა. — მე მის ყბაში ვერ ჩავვარდებო, — უპასუხა ჟიულიმ... ამ ამბიდან 1 საათის შემდეგ, ის ალყაში მოხვდა და დაიღუპა.

— **ამბობენ, მეომრებისთვის ნარკოტიკული ნივთიერებები შე-ქონდათ და ურიგებდნენო. მართალია?**

ლადო:

— ომს ყოველთვის მოჰყვება მაროდობა და ქაოსი. ასე იყო აფხაზეთის ომშიც. რაც გასატანი იყო, აფხაზეთმა პირველსავე დღეებში გაიტანეს. მერე ქართველებმაც არ დააკლეს ხელი. ეს იყო პირველ ეტაპზე. მერე გასატანი აღარაფერი დარჩა... რაც შეეხება ნარკოტიკებს, — ამის შესახებ მეც გამიგონია. მაგალითად, ჩვენს ბატალიონს დაჭრილისთვის ტკივილის გასაყუჩებლად საჭირო ნარკოტიკის შოვნა უჭირდა. იყო შემთხვევა, როცა ჩემს მეგობარს მკლავი

ქონდა მოწყვეტილი და საავადმყოფოში ნარკოტიკი არ ჰქონდათ, ნოვოკაინით გაუყუჩეს...

ზურაბი:

— ეს იმ დროს, როცა აფხაზეთში უამრავი რაოდენობით — ტონობით ნარკოტიკი შემოდიოდა. მაგრამ ის დანიშნულების ადგილამდე ვერ აღწევდა. ჰოსპიტლები დაუცველი იყო და ბევრი დაყრდნობის ფაქტი მომხდარა. ამის გამო, ნარკოტიკულ ნივთიერებებს შტაბში ინახავდნენ. ნამლით ჯარს ხრწნიდნენ, მეომრის იმიჯი ილახებოდა, ჯარისკაცი მეომრის სულს კარგავდა. კაიფში მყოფი კაცი საომრად ნავიდოდა?! ესეც სპეციალურად კეთდებოდა...

ლადო:

— მახსოვს, მთელი თვის განმავლობაში ერთმანეთის პირისპირ ვიდექით დავისროდი. ერთ დღეს გვიბრძანეს, რომ ღამით ამა და ამ საათზე, რაც იარაღი გვქონდა, ყველაფრიდან ერთდროულად გვესროლა. მიზანი, აფხაზეთის შეშინება იყო. სინამდვილეში კი, ღამით რომ გაისვრი, ყველაფერი ნათლად ჩანს. მონინალმდევე მხარეს იჯდა კაცი, რომელიც ითვლიდა, რამდენი ავტომატი, ქვემეხი თუ ტანკი გვქონდა. აბა, ასეთი სულელური ბრძანების გაცემა შეიძლებოდა?! როდის იყო, სანგარში ჩამჯდარ ჯარისკაცს შავერში გასროლილი ტყვიის უშინოდა?!

ზურაბი:

— გაგრა რომ დაეცა, 24 კაცს გენერლის ნოდება მიანიჭეს. გეკითხებით, რისთვის? იმისთვის, რომ ბრძოლა წააგეს?! ერთი გენერალი აფხაზეთს ჩაჰბარდა. როგორც ჩანს, დასასვენებლად იყო ჩამოსული, თან მცირეწლოვანი შვილი ახლდა. როდესაც ბრძოლა დაიწყო, გენერალმა, იმის შიშით, რომ შვილს მოუკლავდნენ, ყველა მეზობლს — 70 ჯარისკაცს ხელები აანვეინა და მტერს ჩაჰბარდნენ. აი, ასეთ ფაქტებს ჰქონდა ადგილი. ახლა ამბობენ, განვრთნილი ჯარი რომ არ გვყავდა, ომი იმიტომ წავაგეთო. ჯარისკაცები რომ არ იყვნენ, სწორედ იმ ბიჭებმა გატყვეს წელში რუსი მეზობლები და სპეცრაზმის ჯარისკაცები დახოცეს. განა რამდენი ჯარისკაცის გამოყვანა შეეძლო მცირერიცხოვან აფხაზურ მხარეს?! სულ 300-400 ჩრდილოკავკასიელი მეომარი იბრძოდა. საკუთარი თვალთ მაქვს ნანახი — რუსები რომ მოდიოდნენ. ჩვენ რუსეთის განვრთნილ და შეიარაღებულ ჯარს ვებრძოდით. „ალფა-ჯგუფის“ ისეთი განვრთნილი ჯარისკაცები იყვნენ, რომ ერთი მათგანის დაღუპვაც კი დიდი სენსაცია გახლდათ. ათობით ასეთი სპეცრაზმელი განწყვიტეს ჩვენმა გაუნვრთნელმა ბიჭებმა. ბოლოს კი, ომი ჩვენ წავაგეთ. გა-



ზურაბ მამარდაშვილი

მოგვიყვანეს სოსუმიდან და განგვიარაღეს. ყველაფერი წავგართვეს და ომი წაგვავებინეს. მყავდა აფხაზი მეგობარი, რომელმაც ასეთი რამ მითხრა: როდესაც სამოქალაქო ომის დროს ზვიად გამსახურდია გაიქცა და შევარდნაძე ჩამოვიდა მოსკოვიდან, აფხაზეთმა 2 ხარი დაკლესო. რატომ? იმიტომ, რომ უკვე წინასწარ იცოდნენ, რა მოხდებოდა აფხაზეთში.

ლადო:

— როდესაც სოსუმის დატოვების ბრძანება მივიღეთ, თან ტექნიკაც უნდა გაგვეყვანა. ბიჭებმა ტანკები და ქვემეხები გადამაღეს. შემდეგ შეიქმნა მონიტორინგის ჯგუფები, 3-3 კაცის შემადგენლობით: ერთი — აფხაზი, ერთი — ქართველი და ერთიც — რუსი. მათ სოსუმში დარჩენილი საბრძოლო ტექნიკის აღწერა ევალებოდათ. ისევე ქართველებმა გაყიდეს ტანკებისა და ქვემეხების სამალავები. მთელი ტექნიკა ფოთში გადაიტანეს. საარტილერიო ტექნიკას თავისი საკეტი აქვს. ჩვენმა „ჭკვიანმა“ ქართველებმა ეს საკეტები მოხსნეს და რუსებს ჩააბარეს. ასე, შიშველი ხელებით დაგვტოვეს, შეიარაღებული მტრის წინააღმდეგ... ყოველივე ამის შემდეგ, ასეთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: სახელმწიფომ ომი იმისთვის დაიწყო, რომ წაეგო! ისინი არ ელოდნენ, რომ ჩვენ, მოსახლეობა ასეთი თვდადებით ვიომებდით და როცა მიხვდნენ, არ დაეთობოდით, განგვიარაღეს და სოსუმიდან გამოგვიყვანეს. ჯარისკაცებმაც ბოლომდე იბრძოლეს. სამწუხაროდ, ბოლომდე ხელისუფლებამ არ იომია...



ქიული შარტავა გაწირეს, რადგან ომის შემდეგ, ის სიმართლეს იცყოდა...

ზურაბი:

— ეს ყველაფერი განგებ იყო მონყო-ბილი. მთავრობას ომის ბედი გადან-ყვეტილი ჰქონდა და აგვისტოში გამო-აცხადა — პირველ სექტემბერს სკოლებ-ში სწავლა დაიწყება და ვინც აფხაზეთში არ დაბრუნდება, მოლაღატედ გამოცხა-დდებაო. სამშვიდობოს გასული ხალხი უკან დააბრუნეს და აფხაზებსა და რუსებს ჩაახოცვინეს. ამაზე მეტი ლალატი რაღაა?! მშვიდობიან მოსახლეობას განიარაღებულ ქალაქში აბრუნებ და სასიკვდილოდ წირავს.. როგორ არ რცხვენიათ, რომ ამბობენ, ომი წავაგეთო?! ომი მათ წააგ-ეს, თორემ ჩვენ, მეგობრობებს არ წაგვი-გია. არ გვაომეს, არ მოგვცეს ბრძოლის საშუალება. მიხვდნენ, რომ არ დავთმობ-დით და ბოლომდე ვიბრძოლებდით და ძალით გამოგვიყვანეს სოხუმიდან. ახლა ამბობენ — არ დაბრუნდებიან აფხაზეთ-შიო... როგორ არ დავბრუნდები?! მე ჩემი სახლი მინდა, არაფერი მინდა აქაუ-რი. აქ სიმდიდრესა და განცხრომაში ცხოვრებას, იქ სიღატაკეში ყოფნა მირჩევნია. მამაჩემი აქ დაიღუპა. დარდით მოკვდა კაცი. ახლა მისი გადასვენება მი-და... ჩემი მინა-წყალი და კერა მინდა...

— როგორ ფიქრობთ, რამდენ-ნად რეალურია, რომ აფხაზეთს დავიბრუნებთ?

— ერთადერთი, რაც არ არის სა-სურველი, ეს გახლავთ ახალი სისხლის ღვრა. მაგრამ თუ გარდაუვალია, მაშინ ამაზეც წავალთ. ოლონდ, უნდა გაირკვეს ერთი რამ: თუ ვიტყვით, რომ ჩვენ აფხ-აზეთის წინააღმდეგ საბრძოლველად მივიდვართ, მაშინ ერთ ტყვიასაც კი არ გავისვრი. აფხაზი მეზობლები მყავდა და არავითარი კონფლიქტი ჩვენ არ გვქო-ნია. მათთან საომარი და საბრძოლველი ჩვენ არაფერი გვაქვს. არც ის მგონია, რომ აფხაზმა ესროლოს ქართველს. თუ მეტყვიან, რომ ახლა აფხაზეთიდან რუ-სის ჯარია გასაგდები და უნდა ვიბრძო-ლო, — მაშინ დაუზარებლად წავალ ომში. იმდენი იძახეს — ქართულ-აფხაზური კონფლიქტით, — რომ ის ბავშვები, რომლებიც მაშინ პატარები იყვნენ და ახლა უკვე იარაღის ხელში დაჭერა შეუ-ძლიათ, დაიჯერებენ, რომ მათი მტრები ვართ და გვესვრიან კიდევ. 15 წელი უკვე გავიდა, თუ მეორე 15-იც გავა, მაშინ აფხაზეთი სამუდამოდ დაკარგულია. აღარ მოვიდა დრო, რომ რუსის ჯარმა საქართველო დატოვოს?..

ლადო:

— სიმართლე უნდა ითქვას: ვიდრე ხელისუფლება არ იტყვის, რომ ეს, ქართულ-აფხაზური კონფლიქტი კი არა, რუსეთ-საქართველოს ომი იყო, არაფერი გვეშველება. როცა მსოფლიოს წინაშე იტყვი, რომ რუსია აგრესორი და ეს მისი ჩატარებული ოპერაცია იყო, აფხ-აზეთს მაშინ დავიბრუნებთ. ჩვენი მთა-ვარი პრობლემა დღესაც — რუსის ჯარია. როგორც კი ისინი დატოვებენ ქვეყანას, მერე შეიძლება, იმის იმედზე გაჩნდეს, რომ აფხაზეთს დავიბრუნებთ. ეს არ იყო

კონფლიქტი, ეს იყო სამამულო ომი. მე-ბრძოლებს არ გვექონდა ტყვია-წამალი. როდესაც სოხუმის მასობრივი დაბომბ-ვა დაიწყო, ჩვენები სათანადო ცეცხლით ვერ პასუხობდნენ. სწორედ ამ დროს ჩამოვიდა შევარდნაძე. როდესაც მას ჰკითხეს — ბატონო ედუარდ, როგორ იქნება ჩვენი საქმე, გვეშველება რამეო? — მან სანერკალამი დაანახვა და უთხრა: დღეს მე ამის მეტი საშუალება არ გამ-აჩნიაო... ეს იმას ნიშნავდა — ტყვია-წამალი არა გვაქვს და რაღაც დოკუ-მენტზე ხელი უნდა მოვაწეროო...

— რა არის თქვენი ყველაზე საშინელი მოგონება? დათო:

— ჩვენ, მეომრები ერთმანეთს ვენაცვ-ლებოდით ხოლმე პოზიციებზე, რომ ოჯახი მოგვენახულებინა. ერთხელ, სწორედ ასეთ დროს, როცა შინ ვიყავი წასული, დაბომბვა დაიწყო. სიმშვიდემ რომ დაისადგურა, მეც პოზიციისკენ გავწიე. ერთ ადგილას სისხლის გუბე შევინიშნე. როგორც ჩანს, იქ ვილაც დაიღ-



ლადო ღამნიანი

უპა. მიცვალებული იქ უკვე აღარ იყო, მაგრამ სისხლის გუბეში ადამიანის ტვი-ნი იდო. მაშინ ამაზე თითქმის არ მქო-ნია რეაქცია. დღეს კი, ამის გახსენება ყველაზე მეტად მზარავს. არ მინდა, რომ კიდევ ვნახო ასფალტზე დაგდებული ად-ამიანის ტვინი, და ჩემმა შვილებმაც ის-ილონ მსგავსი საშინელება...

ზურაბი:

— ომი — საშინელებაა. ახლა ვერ წარმომიდგენია, რომ ოთახში მიცვალე-ბული ესვენოს და იქ საჭმელი ვჭამო, მაშინ კი, ჩვეულებრივი მოვლენა იყო — იქვე, ახლოს, დახოცილი მეგობრობები იწვნენ ჩვენ კი ვცდილობდით, საჭმლის ჭამა მოგვესწრო, რადგან შესაძლო იყო, ისევ ბრძოლა დაწყებულიყო. 10-15 მეტრ-ში რომ კაცი დგას, რომელიც გესვრის და სიკვდილს თვალბეჭდით უყურებ, ეს საშინელება არ არის?! ჩემი მეგობარი ისე ახლოს აღმოჩნდა აფხაზ მეომართან, რომ ავტომატის ხმარება შეუძლებელი იყო და დანით გამოსჭრა ყელი. თუ ასე არ მოიქცეოდა, მაშინ თვითონ დაიღუ-პებოდა. თქვენ იცით, რომ ომის შემდგომი 15 წელიც ძალზე დიდი საშინელებაა?! როდესაც სახლში დავბრუნდები, ყველას მოვთხოვ ამაზე პასუხს...

**და სასახლე რომელიც მისილია
დასახლებაში, რომელიც მისილია
დასახლებაში, რომელიც მისილია**

დასახლება იხ. გვ. 35

ლვთისო სრულიად ახალგაზრდა ბიჭი ყოფილა მაშინ. მეტელს მათრახი გადაჭ-ქვრია, მაგრამ ღვთისოს მოუსწრია დაჭ-ერა და მერე, რომანოვის 5-კაციანი დაც-ვაც უცემია... წარმოგიდგენიათ, პუტინის დაცვა რომ გალახო, რას იზამს?! გულში ჩაიხვევს, დაბომბავს რომელიღაც ქალაქს და ა.შ. რა გააკეთა მისილი რომანოვმა? დაუძახა ღვთისოს და რაღაც მნიშვნელო-ვანი უთხრა (რა ენაზე ლაპარაკობდნენ, ვერ გეტყვით, რადგან იმან ქართული არ იცოდა, ამა — რუსული)... მოკლედ, ერთი რამ ფაქტია: ბორჯომში აწმენებული სახ-ლი ჩვენია — ეს არის მინილიკანის სასახ-ლე, იმავე არქიტექტორის მიერ დაპრო-ექტებული, ვინც ლიკანის სასახლე ააგო; შალუტაშვილების ისტორიული სასახლე, რომელიც მისილი რომანოვმა ვაჟკაცო-ბისთვის აუშენა და აჩუქა ღვთისო შა-ლუტაშვილს.

(წინაპრებსა და მათ თანამედროვეებზე ლაპარაკმა თავისი „გენიალური აღმოჩენ-აც“ გაახსენა გიორგის: ქართველ ქალზე მშვენიერი არავინააო!)

— ღმერთმა დაგვიწესა, რომ უზნეოდ არ უნდა ვიცხოვროთ. ზნეობა გადაგვარ-ჩენს, რადგან დღესაც, ქართველი ქალ-ისთვის პრიორიტეტი — შთამომავლობაა. წარმოიდგინეთ, 13-14 წლის რუსი გოგო-ნა იმაზე ფიქრობს, მისი პირველი მამაკაცი ვინ იქნება; ამავე ასაკის ქართველი გოგო-ნა კი, იმაზე ფიქრობს, როგორი შვილი ეყოლება... ეს გენეტიკურია, კულტურით განპირობებული მოვლენაა, რადგან სწორედ კულტურა განპირობებს ცნობიერებას. განა სადმე გეგულებათ ქვეყანა, სადაც უდიდესი განმანათლებელი, უდიდესი წამებული და უდიდესი მფეფ, ქალი იყო?!



შალუტაშვილების ისტორიული სასახლე, რომელიც მისილია რომანოვმა ვაჟკაცობისთვის აუშენა



ლაშა თაბაბარი

ფეხბურთში 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრებმა მესამე შეხვედრა კიევში ჩაატარა და უკრაინის ეროვნულ გუნდთან 2:3 დამარცხდა. ამრიგად, ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა სამ ჩატარებულ შეხვედრაში მხოლოდ ერთხელ გაიმარჯვა სტუმრად ფარუბთან და ჯგუფში მესამე ადგილი უკავია. აქვე გეტყვით, რომ მანამდე ქართველები და უკრაინელები 6-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, უკრაინამ ოთხი თამაში მოიგო, ორი კი ფრედ დასრულდა. გასულ ოთხშაბათს ამ გუნდების მეშვიდე დაპირისპირება შედგა და სამწუხაროდ, ჩვენებურებმა არასასურველი ტრადიციის დარღვევა კვლავ ვერ შეძლეს. მატჩის შემდეგ, ქართველთა თავაკცმა **კლას ტოპნი-ოლივრა** შემდეგი განაცხადა:

— საფრანგეთის ნაკრებთან ჩვენი გუნდის მიერ ნაჩვენები შედეგი სულელურად გამკვეთელი გოლების ბრალია. შევეცადეთ, რომ უკრაინელებთან ასეთი შეცდომები არ დაგვეშვა, მაგრამ ყველაფერი ისევე განმეორდა. თუმცა, თამაშამდე გუნდი სამი ქულის ასაღებად იყო განწყობილი და ყველას სურდა, რომ ნინა შეხვედრის მსგავსი ლაფსუსები არ დაეშვა. საერთო ჯამში, მიმანია, რომ ჩვენმა გუნდმა ძალიან კარგად ითამაშა. ორი თვის მანძილზე უკრაინის ნაკრებს თვალს ყურადღებით ვადევნებდით და მიმანია, რომ მის წინააღმდეგ არჩეულმა ტაქტიკამ გაამართლა. დღეს ნააგო გუნდმა, რომელიც უკეთ თამაშობდა. მიუხედავად უკრაინის ნაკრების ფეხბურთელთა მაღალი კვალიფიკაციისა, ჩვენ არც ერთი გოლი არ გაგვიშვია კომბინაციებიდან, რომელსაც ეს გუნდი ჩვეულებისამებრ მეტოქის კარის ასაღებად იყენებს. მიუხედავად ამისა, მაინც ნავაგეთ. ამის შეგნება კი მით უფრო სამწუხაროა... ვფიქრობ, მეტოქე ფეხბურთელების პერსონალური მეურველობა უფრო კარგად რომ გამოგვევლოდა, თამაშის შედეგი სულ სხვაგვარი იქნებოდა. გარდა ამისა, დარწმუნებული ვარ, რომ მოედანზე კალაძის ყოფნის შემთხვევაში, სამ გოლს არ გავუშ-

კლას ტოპნი-ოლივრა კიევში მატჩმა დააკმაყოფილა

ვბდით. ჩვენი გუნდი გააგრძელებს სწავლას საკუთარი შეცდომებისა და მიღებული გამოცდილების სარჯზე. ჩემი შევირდების თამაშის მანერითა და მათი აქტიურობით კმაყოფილი დავარჩი. საქართველოს ნაკრებმა კომბინაციური ფეხბურთი აჩვენა და მეორე ტაიმში მინიმუმ სამი შანსი გვქონდა, რომ თამაში არ წაგვეგო. სამწუხაროდ, მათი გამოყენება ვერ შევძელით.

— **არ გეჩვენებათ, რომ განვლილ თამაშში დაცვაში სათანადოდონზე მხოლოდ მალხაზ ასათიანი ირჯებოდა, ხოლო დანარჩენი ფეხბურთელები სშირად უხემ შეცდომებს უშვებდნენ?**

— მსგავსი პრობლემები საფრანგეთის წინააღმდეგ თამაშის დროსაც გვქონდა. ამის ასწნა ძალიან ადვილია — ამჟამად, ჩვენი გუნდის ნამყვანი მოთამაშეები ტრავმირებულები არიან. აქედან გამომდინარე, მოედანზე უძლიერესი შემადგენლობის გამოყვანა ვერ შევძელით. ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორც საქართველოა, ძალიან ძნელია, დროის მოკლე მონაკვეთში კალაძის მსგავს ფეხბურთელს ღირსეული შემცვლელი მოუძებნო.

— **თქვენი გუნდი საფრანგეთსაც ეთამაშა და უკრაინასაც. აქედან გამომდინარე, შეგიძლიათ შეაფასოთ, რა პერსპექტივა აქვს ბლოზინის გუნდს შესარჩევ ციკლში?**

— კენჭისყრის შემდეგ უკვე ცნობილი იყო, რომ ჯგუფში სამი ფავორიტია — საფრანგეთი, იტალია და უკრაინა. ვფიქრობ, მათ შორის ცხარე ბრძოლა გაიმართება. პარალელის გაკლება თქვენ მიერ ნახსენებ გუნდებს შორის ძნელია, რადგან ისეთ მატჩებში, როგორც ჩვენ უკრაინელთა წინააღმდეგ ჩავატარეთ, გამარჯვება აუცილებელია. ვფიქრობ, ჯგუფის გამარჯვებული, საფრანგეთი იქნება, ხოლო იტალია და უკრაინა მეორე ადგილისთვის იბრძოლებენ.

— **როგორ მიგაჩნიათ, საქართველოს ნაკრების მეკარის თამაშში მატჩის საბოლოო შედეგზე უარყოფითი ზეგავლენა იქონია?**

— საქმე მეკარეში კი არა, შუა ხაზშია. მაგალითად, ჩვენს კარში გატანილი ბოლო გოლის შემთხვევაში, კანკავა შეცდა. თუმცა, ამ დროს ჯაბას ცუდი სამსახური მისივე სიმაღლემ გაუწია. ჭანტურიას მიმართ პრეტენზია არა მაქვს, იგი კარში მშვენივრად იდგა.

— **შეძლებო გუნდში გერმანული სათამაშო დისციპლინის დანერგვას?**

— ვფიქრობ, ამის გაკეთება შემიძლია. ჩვენ ფრანგებთან დაშვებული უხემი შეცდომები უკრაინელებთან კი გამოვასწორეთ, მაგრამ დღეს ჩვენმა მეტოქემ დიდი ოსტა-

ტობა გამოავლინა, რის შესახებ კამათი ზედმეტია. მთავარი, რაც ჯერჯერობით არ გვყოფნის — ფიზიკური მომზადება და ამის გამო, მეტოქე ზოგიერთ ეპიზოდში სისწრაფეში გვჯობდა. უკრაინელებთან თამაშში აშან დიდი პრობლემები შეგვიქმნა.

— **ზედიზედ ორი ნაგების შემდეგ, საქართველო ჯგუფიდან გასვლას კვლავ გეგმავს?**

— იმის გათვალისწინებით, რომ როდესაც გუნდი ჩავიბარე, მას მსოფლიო ნაკრებთა რეიტინგში 106-ე ადგილი ეკავა, ჩვენი მხრიდან ზედმეტად თამაში განცხადება იქნებოდა, რომ მამინევე ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრა მოგვენდომებინა. ვფიქრობ, გუნდთან, რომელიც საუკეთესო ათეულში შედის, 2:3 მარცხი, ცუდ შედეგად არ უნდა მივიჩნიოთ.

ოლაზ ბლოზინი

— მატჩამდე ვამბობდი, რომ ნებისმიერი ტურნირის პირველი თამაშები ყოველთვის რთული და სანერვიულოა. როგორც ხედავთ, ამჯერადაც ასე მოხდა. თამაშის მსვლელობისას მცირე პრობლემები გვქონდა და მათ გამოსწორებას შეძლებისდაგვარად ვცდილობდით. ვფიქრობ, საერთო ჯამში მაყურებელს თამაში მოეწონა, განსაკუთრებით კი მისი მეორე ტაიმი, როდესაც ორივე გუნდი ცდილობდა, შეეტია. ჩემი აზრით, გამარჯვებას როგორც უკრაინის, ასევე საქართველოს ნაკრები იმსახურებდა. თუმცა ჩვენ ერთი უპირატესობა გვქონდა — როგორც ვამბობდი, მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, ფსიქოლოგიური მდგრადობა შევიძინეთ. სწორედ ამან მოგვცა საშუალება, რომ სამი ქულა აგველო. მაღლობელი ვარ ფეხბურთელების, რომელთაც ასეთ „მძიმე“ მოედანზე სანახაობრივი თამაში აჩვენეს. საქართველოს ნაკრებმა თავი წარმოაჩინა კარგ გუნდად, რომელშიც უკრაინის ჩემპი-



ონატში მოასპარეზე რამდენიმე ფეხბურთელ-
იც გამოდის. ტურნირი წარმატებით დავი-
წყეთ და ახლა იტალიასთან სტუმრად სათა-
ნამოდ კარგი განწყობილებით ვვმზადდებით.
უნდა გამოვასწოროთ სარწმუნოები, რომლებიც,
დასამალი არ არის, ნამდვილად გვაქვს. გან-
საკუთრებით არ გვყოფნის მაღალი დონის
შემსრულებლები დაცვაში. გარდა ამისა, დიდი
წუნი გვქონდა გადაცემებში. ასეთ მოედანზე
შორიდან დარტყმები სრული სისულელე
ქონებოდა. მაღლობა ღმერთს, ქართველებთან
თამაშში ამგვარი მხოლოდ სამი დარტყმა
განვხორციელეთ. მეორე მხრივ, კმაყოფილი
ვარ, რომ გოლები სტანდარტული სიტუა-
ციებიდან გავგაქვს. ეს შემთხვევითი არ არის,
რადგან ვარჯიშზე ამაზე გამუდმებით
ვმუშაობთ.

**— ვალერი ლობანოვსკის სათა-
მამო სისტემაზე უარს როდის
იტყვით და როდის შექმნით საკუ-
თარ შემტევ სტილს?**

— ლობანოვსკის ნუ შემადარებთ. გარ-
და ამისა, დღეს გუნდს დაცვიდან არ უთა-
მამია. ასეთი რამ სად ნახეთ? მოდით,
ჩვენი ფეხბურთის მეტრს საკადრისი პა-
ტივი მივაგოთ და დავანებოთ ამ ადამიანს
თავი. როდესაც ფეხბურთელთა შესაბამისი
არჩევანი სქემის შეცვლის საშუალებას
მომცემს, ამას მაშინ გავაკეთებ. მეორე მხრივ,
არც ერთი მწვრთნელი არ ცვლის ტაქტი-
კას მაშინ, როდესაც მისი გუნდი არსებუ-
ლი ფეხბურთელებით შედეგს აღწევს.

შესჯდარის დასრულების შემდეგ ორივე
გუნდის ფეხბურთელებმა ასეთი კომენტარი
გაკეთეს.

მალნაზ ასათიანი:

— გეტანხმებით, რომ ტოპმოლეერის
გუნდში მოსვლით სათამაშო დისციპლინა
გაცილებით განმტკიცდა. მით უმეტეს, რომ
ახალი მწვრთნელის დანიშვნის შემდეგ, ფეხ-
ბურთელებს თავისი საუკეთესო თვისებე-
ბის გამოვლენა სურთ. მართალია, ამის
გაკეთება ფრანგების წინააღმდეგ ვერ მოვახ-
ერხეთ, მაგრამ უკრაინელებთან ცუდად არ
გვითამაშია, თუმცა არ გავიმართლა. ჩვენს
კარში ყველა ბურთი ცენტრალური
ზონიდან გავიდა, რომელზეც პასუხისმგე-
ბლობა მე მაკისრია, მაგრამ ამაში საკუ-
თარ დანაშაულს ვერ ვხედავ. საერთოდ,
თამაშს მთელი გუნდი იგებს და აგებს.
შევეცდებით, ეს წარუმატებლობები
სწრაფად დავივიწყოთ და უახლოეს მატ-
ჩებში სასურველ შედეგს მივაღწიოთ.

დავით მუჯირი:

— ვცდილობდით, ორგანიზებულად
გვეთამაშა. მიმაჩნია, რომ წაგებას არ ვიმ-
სახურებდით. გარდა ამისა, ვაჩვენეთ, რომ
შეგვიძლია, წინააღმდეგობა გავწიოთ ისეთი
დონის გუნდს, როგორც უკრაინა. სამ-
წუხაროდ, ჩვენ საკუთარ საჯარიმოში მე-
ორე სართულზე ორთაბრძოლები დავთ-
მეთ, რის გამოც საკუთარ კარში გოლები
მივიღეთ. ამ შემთხვევაში მეკარეს ვერ და-
ვადანაშაულებ, რადგან პირველად შეჭრე-
ნკომ კუთხეში კარგად დაარტყა, ხოლო მე-
ორე და მესამე გოლების გატანისას, მე-
ტოქემ მიზანს სტანდარტული სიტუაციის

მაღალ დონეზე შესრულებით მიაღწია. ჩვენ
ძალიან რთულ ჯგუფში ვართ, მაგრამ შეე-
ცდებით, რომ მომდევნო თამაშებში მოწ-
ინააღმდეგეებს სიურპრიზები შევთავაზოთ.

ბიორგი დეპრეზაძე:

— ცხადია, კალაძის არყოფნა ჩვენთვის
დიდი დანაკლისია. ჩვენ აუცილებლად მი-
ვალწევდით სასურველ შედეგს, თანაბარი
შემადგენლობებით რომ გვეთამაშა, თორემ
ისე გამოვიდა — 11 ფეხბურთელი 14 მოწ-
ინააღმდეგეს ვუპირისპირდებოდით, რად-
გან უკრაინელებს მსაჯები ეხმარებოდნენ.
მასპინძლებმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება
ვერ მოახდინეს და მიმაჩნია, რომ მსოფ-
ლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალისტი უკეთ
უნდა თამაშობდეს. გოლები კი სტანდარტ-
ული მდგომარეობებიდან გავუშვით, როდე-
საც უბეში შეცდომები დაფუძვით. ხაზს გა-
ვუსვამ, რომ ჯერჯერობით ბოლო სიტყვა
არ გვითქვამს. ჩემი აზრით, ჩვენს ჯგუფში
ბრძოლა ბოლომდე გაგრძელდება.

შოთა არველაძე:

— გული როგორ არ დაგწყდება, როდე-
საც ზედინედ ორ თამაშს წააგებ. ჩვენ გაც-
ილებით სახელოვანი მეტოქეები გვყავდა,
მაგრამ ქულების აღებას სერიოზულად გვეგ-
მავდით. კიევში ნებისმიერი გუნდისთვის
ძნელია, შედეგის მიღწევა, მაგრამ ამასთან
ახლოს ვიყავით. სამწუხაროა მარცხი, როდე-
საც სტუმრად ორ გოლს გაიტან. ამასთანავე,
ყველა ბურთი თავური დარტყმების შედე-
გად გავუშვით. ფრანგებთან მატჩისგან გან-
სხვავებით, ვცდილობდით, რომ თავიდანვე
არ შეგვეტია და ბურთი დაგვეჭირა. უფრო
მეტად ყურადღებას დაცვას ვაქცევდით და
თამაში კონტრშეტევებზე ავავით. თუმცა,
რალაცაში შევცდით და ამას აუცილებლად
გავარჩევთ.

ანდრეი შვიჩინო:

— მართალია, ჩვენთან დაპირისპირე-
ბამდე საქართველომ სახლში საფრანგეთ-
თან 0:3 წააგო, მაგრამ ფეხბურთელებმა გონს
მოსვლა მოახერხეს და კიევში საკმაოდ ღირ-
სეულად გამოიყურებოდნენ. ამიტომ, გასულ
წელს თბილისში ჩატარებული თამაშის მს-
გავსად, ეს შესვედრაც რთული გახლდათ.
მოედანზე ყოფნისას მაშინვე შევამჩნიე
მჭიდრო დაცვითი რეაქციები, რომლებიც
საქართველოს ნაკრებმა საკუთარი საჯა-
რიმოს მივსადაგომებთან ააგეს. ჩვენ კი მათი
გადალახვა საკმაოდ გაგვიჭირდა. გარდა
ამისა, დაცვიდან შეტევაში სწრაფმა გადა-

სვლამ, მეტოქეს მთელი მატჩის მანძილზე,
სახიფათო კონტრიერიზების განხორციელებ-
ის საშუალება მისცა და სტუმრებმა მოვკ-
ოვსკის კართან რეალური საგოლე მომენტ-
ები შექმნეს. მიუხედავად ამისა, შესვენებამ-
დე 15 წუთით ადრე დანიშნურება მაინც
მოვახერხეთ. ანგარიშის გახსნის შემდეგ
უფრო სწორად რომ გვემოქმედა, მატჩი
სულ სხვა სცენარით წარიმართებოდა. თუმცა
ჩვენ მაშინვე საპასუხო ბურთი მივიღეთ,
რომელმაც გემები აგვირია და ქართველებს
საკუთარი თავის რწმენა შემატა. საქართვე-
ლოს ნაკრები მართლაც მომწონა. მის რიგებ-
ში მაღალი კლასის ოსტატები ადრეც გამო-
დიოდნენ. თუმცა მაშინ, სწორ შემთხვევაში,
გუნდი ავანტიურისტულ ფეხბურთს თამა-
შობდა და საკუთარი კარის უსაფრთხოე-
ბაზე ნაკლებად ზრუნავდა. გასულ მატჩში
კი მეტოქე ცდილობდა სათამაშო დისცი-
პლინა მკაცრად დაეცვა. ქართველები დაცვა-
ში ყურადღებით მოქმედებდნენ და თავს
ზედმეტის გაკეთების უფლებას არ აძლევდ-
ნენ. სწორედ ამიტომ თამაში ჩვენთვის
რთული აღმოჩნდა.

ალექსანდრ შოკოვსკი:

— მწვრთნელები მატჩამდე გვეუბნებოდ-
ნენ, რომ საქართველოს ნაკრები დაცვაში
ხისტად და დისციპლინირებულად ითა-
მამებდა. ამასთანავე, ისეთი მაღალი დო-
ნის ფორვარდები, როგორებიც არველაძე
და დემეტრადე არიან, მწვავე კონტრშეტევებს
განახორციელებდნენ. ამიტომ, კმაყოფილი
ვარ, რომ დასახული ამოცანა შევასრუ-
ლეთ. მართალი გითხრა, არც მასსოვს,
უკრაინის ნაკრებმა შესარჩევი ციკლი გამ-
არჯვებით როდის დაიწყო. წარმატებას,
ხასიათის, დიდი მონდომებისა და თავ-
მოყვარეობის ხარჯზე მივაღწიეთ. საკუ-
თარი როლი გამოცდილებამაც ითამაშა,
რომელიც მსოფლიო ჩემპიონატზე მივიღეთ.

ალექსანდრ ტიმოფევი:

— მას შემდეგ, რაც საქართველოს ნა-
კრებმა შინ საფრანგეთთან 0:3 წააგო, ჩვენ
კარგად გვესმოდა, რომ ტოპმოლეერის შე-
გირდები უკრაინაში ერთგვარი რევანშის
ასაღებად ჩამოვიდოდნენ. მოხარული ვარ,
რომ ასეთ რთულ თამაშში გამარჯვება მოვ-
იპოვეთ. ვაღიარებ, რომ მატჩმა დიდი ძალა
წამართვა, რასაც მოედნის მძიმე საფარმაც
შეუწყო ხელი. სამიდან ორი გოლი სტან-
დარტული სიტუაციიდან გავიტანეთ.
ვარჯიშებზე ამ სათამაშო კომპონენტს დიდ
ყურადღებას ვუთმობთ და სასიამოვნოა,
რომ ჩვენს შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია.

სარგი რაზროვი:

— განვლილი დაპირისპირება ჩვენთვის
რთულად წარიმართა და ცოტა ვინერვი-
ულეთ კიდევ. თუმცა, მთავარია, რომ გამ-
არჯვებას მივაღწიეთ. ვფიქრობ, გულშე-
მატიკარს თამაში უნდა მოსწონებოდა,
რადგან ხუთი გოლი გავიდა. საქართვე-
ლოს ნაკრებმა კარგი შთაბეჭდილება და-
ტოვა და მეტოქე თავს მშვენივრად იცავ-
და, განსაკუთრებით — პირველ ტაიმში.
მაგალითად, ჩემ გვერდით გამუდმებით იმ-
ყოფებოდა სტუმართა მცველი და ამ შემთხ-
ვევაში საკუთარი შესაძლებლობის გამოვ-
ლენა ძნელი გახლდათ.





თეთრი სიკვდილი

ზორა მანველიძე

დასაწყისი ის. „გზა“, №34-36

მიუყვარებლობით განთქმულ მოსამართლეს თამაზ ჩაჩავას მოულოდნელად გადასცემენ ძმები ჭელიძეების საქმეს, რომელსაც მანამდე, ხელისუფლების მორჩილი მისი კოლეგები განიხილავდნენ. აშკარაა, რომ ვიღაცა მის „გაფუჭებას“ ლამობს. პროკურორი ვაჟა კენჭაძე დაუფარავად ეუბნება მას, რომ ჭელიძეები უეჭველად მკაცრად უნდა დაისაჯონ...

მაშ, რა მოხდა ჭელიძეების ოჯახში? უმცროსი ძმა — გიო მეგობრობდა თანაკლასელ ზაზა გორგაძესთან, რომელმაც ცოტა ხნის წინ მოიხადა სასჯელი; უფროსი — რეზო ცდილობს, აარიდოს გიოს ხიფათი და ზაზასთან ურთიერთობის განწყვეტას ითხოვს, მაგრამ — ამაოდ. საღამო ხანს, ძმაცკცებს პოლიცია დაედევენა. ზაზას მოთხოვნით, გიო იქაურობას გაერიდება, ზაზა კი, სამართალდამცველებთან შეხლა-შემოხლისას იღუბება. პოლიციელები ცდილობენ, როგორმე მიჩქმალონ ეს ამბავი. მაგრამ გიო მეგობრის დაკავების ამბავს ზაზას ძმას, ვახო აცნობებს და შემდეგ, პოლიციაშიც გაპყვება. მკვლეელი პოლიციელი, მერაბ მესხი ზაზას დაკავების ფაქტს უარყოფს. ბიჭები შემთხვევის ადგილზე მიდიან იმ იმედით, რომ მომხდარის რაიმე კვალს მიაგნონ.

გიოსა და ვახოს თითქმის ორსაათიანი კვლევა უშედეგოდ დასრულდა. უბნის განაპირას მდებარე ნანგრევებში ზაზას კვალს ვერ მიაკვლიეს. ასევე არსად ჩანდა მისი მანქანაც.

— რა ადგილას აიყვანეს ზაზა? — იკითხა უშედეგო ძებნით გადაღლილმა

ვახომ.

— იქ, — გიომ ნაგვის რამდენიმე გროვისკენ გაიშვირა ხელი.

ვახო შებრუნდა და მითითებულ ადგილს მიაშურა. იქ მისულმა, სანთებელა მოიმარჯვა და თვალიერებას შეუდგა. სულ მალე, მისთვის ნათელი გახდა, რომ გიო სიმართლეს ეუბნებოდა: ატალახებულ მიწაზე მკაფიოდ იყო აღბეჭდილი მისი ძმის ავტომობილის საბურავების ფართო პროტექტორის კვალი. იქვე რამდენიმე ნაფხურიც ჩანდა.

— ისინი აქ იდგნენ, მე კი იქ ვიმალებოდი. ცოტა ხანი ილაპარაკეს, შემდეგ, ზაზა მანქანაში ჩასვეს და უკან გაბრუნდნენ, — თავისი სიტყვების დასადასტურებლად დაიწყო გიომ.

— გზაჯვარედინთან დავბრუნდეთ, — პაუზის შემდეგ ჩაილაპარაკა ვახომ და სანთებელა ჩააქრო.

ათიოდე წუთის განმავლობაში ვახომ და გიომ უხმოდ იარეს. ვახო დროდადრო ჩერდებოდა, მიწას სანთებლით ანათებდა და როდესაც ნაცნობი საბურავების ანაბეჭდს შენიშნავდა, გზას განაგრძობდა.

გარკვეული მანძილის შემდეგ, საბურავების კვალი გაქრა. ვახომ ყურადღებით შეისწავლა გზა, მისი ორივე მხარე მოათვალიერა და როდესაც დარწმუნდა, რომ მანქანას იქ ნამდვილად არ გამოეყოფო, უკან გაბრუნდა. მალე საბურავების ნაკვალევი ისევ გამოჩნდა, მაგრამ ამჯერად, ის გზიდან გადადიოდა და სამშენებლო მოედნის ყველაზე უდაბური ადგილისკენ მიემართებოდა.

— ისინი პოლიციაში არ წასულან!.. — დაძაბული ხმით ჩაილაპარაკა ვახომ.

— მაგრამ აქეთ რისთვის უნდა წამოსულიყვნენ?.. იქით ხომ მანქანით გავლა შეუძლებელია! — გიომ ჩაბნელებულ ნანგრევებს მიაპყრო მზერა.

— ის ნანგრევები უნდა დავათვალიეროთ! — სწრაფად გადაწყვიტა ვახომ და გზა განაგრძო.

ვახომ და გიომ გულდასმით გაჩხრიკეს გზა და შენობის ნანგრევები, რომლისკენაც ნაგვით მოფენილი გზა მიემართებოდა, მაგრამ ზაზასა და მისი მანქანის კვალს ისევ ვერ მიაგნეს. სამაგიეროდ, აღმოაჩინეს მომცრო მოედანი, რომელზეც, ვახოს აზრით, უნდა გაჩერებულიყო მანქანა. იქ ისევ აღმოჩნდა ფეხსაცმლის რამდენიმე კვალი, ერთ-ერთ მათგანში ვახომ ზაზას სპორტული ფეხსაცმლის ანაბეჭდი ამოიცნო.

— ეს რაღაა?! — შიშით წამოიძახა ვახომ და მიწაზე მუხლებით დაეშვა.

მას იმდენად შეშფოთებული ხმა ჰქონდა, რომ გიო იმავე წამს მის გვერდით გაჩნდა და თავისი სანთებელაც

ანთო. სანთებლის მოცახცახე ალმა მიწაზე შედედებული სისხლის გუბე გამოაჩინა.

— ახალი სისხლია! ჯერაც არ გამოშრალა!.. — ვახომ გაოგნებული მზერა ესროლა გიოს.

გიომ, რომელსაც ამ აღმოჩენის ზაზასთან დაკავშირება შიშის ზარს სცემდა, სანთებელა ჩააქრო და მიწაზე დაჯდა.

— ნავედით! — სწრაფად წამოდგა ვახო.

— სად? კიდევ სად შეიძლება მოვძებნოთ ზაზა?.. — ჰკითხა გიომ.

— მე ვიცი, სად და ვისთან უნდა მოვიკითხო ჩემი ძმა, მაგრამ ამაში შენი დახმარება დამჭირდება...

— რით შემიძლია დაგეხმარო?

— შენ ერთადერთი ადამიანი ხარ, ვინც შევსწრო ზაზას აყვანას. თავიდანვე არ მომეწონა მესხის დაჟინებული კითხვა — ვინ გითხრა, რომ შენი ძმა მე ავიყვანე?.. ახლა კი უკვე ვხვდები, რაშიც არის საქმე!..

— რაშია საქმე?

— მესხსა და ზაზას შორის შეხლა-შემოხლა მოხდა. ზაზა აქ მოიყვანეს და სცემეს. ახლა კი მისი გამოჩენა არ უნდათ...

— მაგრამ რატომ არ სურთ მისი გამოჩენა ან როდემდე დამალავენ?! — იჭვნარევი ხმით ჰკითხა გიომ.

— ვიდრე ჭრილობებს არ მოუშუშებენ, არ გამოაჩენენ...

— რატომ, რისი შეეშინდებათ?

— ახლა ის დრო აღარ არის... ამისთვის სამსახურსაც დაკარგავენ და შეიძლება, პასუხიც აგებინონ.

— ზუსტად ჩემს ძმასავით მსჯელობ, — შენიშნა გიომ.

— მაგას მნიშვნელობა არა აქვს. შენ ის მითხარი, დამეხმარები თუ არა? — ჰკითხა ვახომ.

— დაგეხმარები და მესხთანაც გავიმეორებ, რომ ზაზა მან დააპატიმრა, — დაუდასტურა გიომ.

— მაშინ, ნავედით. დროის დაკარგვა არ შეიძლება!.. — თქვა ვახომ და გზისკენ შებრუნდა.

ის იყო, ვახო და გიო ცენტრალურ გზატკეცილს მიუახლოვდნენ, რომ მათ პირისპირ მდგომმა მანქანამ მოულოდნელად ჩართო მანუქები. ვიდრე სინათლით თვალმოჭრილი ვახო და გიო რამეს მოისაზრებდნენ, მანქანის კარების ბრახუნი გაისმა და უცნობმა თავდამსხმელებმა ისინი მყისიერად შეოჭეს.

— ვინ ხართ? რა გინდათ? — გაოგნებულები აყვირდნენ მეგობრები, მაგრამ თავდამსხმელებს მათთვის რაიმე განმარტება არ მიუციათ. მათ ხელები ზურგს უკან ამოუგრიხეს და ერთმანეთს დააშორეს. უკანასკნელ წამს გიომ შეამჩნია, რომ ვახო სხვა მანქანაში ჩასვეს და სადღაც გააქანეს. შემდეგ, მისი ჯერიც დადგა. ის უხეშად მიათრიეს მანქანამდე და უკანა სავარძელზე დასვეს, რომელზეც კიდევ ვიღაც იმყოფებოდა.

გიო ელოდა, რომ მანქანა მაშინვე დაიძვრებოდა ადგილიდან, მაგრამ ამის ნაცვლად, თავდასხმელები უკან გადგნენ და მანქანის კარიც მიხურეს.

— როგორ მოხვდი ამ გაუგებრობაში? — ალაპარაკდა მის გვერდით მჯდომი მამაკაცი.

— ვინ ხარ? — გიომ მზერა დაძაბა, რომ ჩაბნელებულ სალონში მყოფი მამაკაცი ამოეცნო.

— ვერ მიცანი? — გაიკვირვა მან.

— ვერა, — უპასუხა გიომ.

იმავლე წამს სალონში სანთებელამ გაიჩნაკუნა. უცნობმა სიგარეტს მოუკიდა და ღრმა ნაფაზი დაარტყა. გიოს თავზარი დასცა უხეში ნაკვთების მქონე სახის დანახვამ, რომელიც წამით გაანათა სანთებელამ: მის გვერდით მერაბ მესხი იჯდა.

— გავაგრძელოთ საუბარი... — სიტყვები განელა მესხმა.

— გავაგრძელოთ... — პაუზის შემდეგ უპასუხა გიომ.

— მე შენზე ბევრი რამ ვიცი. შენ გიო გქვია, გვარად ჭელიძე ხარ. სწავლობ ტექნიკურ უნივერსიტეტში. გყავს დედა და უფროსი ძმა, რეზო... რამე ხომ არ მეშლება?..

— არა, — უპასუხა გიომ.

— გარდა ამისა, მე ვიცი, რომ წესიერი ბიჭი ხარ და პოლიციასთან არასოდეს მოგსვლია უთანხმოება... — განაგრძო მესხმა. — ესეც სიმაართლეა?

— ჰო, — მოკლედ უპასუხა გიომ.

— იმედია, მომავალშიც ასევე გააგრძელებ ცხოვრებას... — მესხმა კიდევ ერთი ღრმა ნაფაზი დაარტყა.

— რა თქმა უნდა, — მექანიკურად ჩაილაპარაკა გიომ.

— კეთილი... მაშინ ამისხენი: მაინც როგორ მოხვდი ამ გაუგებრობაში?

— რომელ გაუგებრობაში?.. — დაიბნა გიო.

— იცი, რაშია საქმე?.. რომ არ გიცნობდე და კარგად რომ არ ვიყო შენ მიმართ განწყობილი, პირდაპირ პოლიციაში წაგიყვანდი და სხვანაირად დაგელაპარაკებოდი. მაგრამ მე მაინც შეცდომად ვთვლი შენს აქ მოხვედრას.

— კი, მაგრამ რა დავაშავე და რისთვის უნდა წამიყვანოთ პოლიციაში? — გაუკვირდა გიოს.

— როგორ გგონია — რას ვაკეთებთ მე და ჩემი ხალხი აქ?

— წარმოდგენა არა მაქვს, — მხრები აიჩეჩა გიომ.

— არ გამოვრიცხავ... საქმე კი ისაა, რომ ეს ნანგრევები და ნაგავსაყრელი

აქაურმა ნარკომანებმა ნამდვილ ბუნაგად აქციეს. მე ინფორმაცია მქონდა, რომ დღეს აქ მათი თავყრილობა უნდა შემდგარიყო. რამდენიმე საათი ჩასაფრებაში გავატარე და შენ არ შემრჩი ხელში?! ამიტომაც გეკითხები — წესიერ სტუდენტ ბიჭს, რა გესაქმება ლამით ამ ნანგრევებში?.. თანაც — ვახტანგ გორგაძესთან ერთად!.. ვინ არის ის შენი და რა გაკავშირებს მაგ ადამიანთან? — ხმას აუნია მესხმა.

— ვახო ჩემი მეგობრის ძმაა, — მცირე პაუზის შემდეგ უპასუხა გიომ.

— ვის გულისხმობ?.. — გაიოცა მესხმა. — ნაბიჭვარ ზაზა გორგაძეს?!

— ზაზა ნაბიჭვარი არ არის! — გაღიზიანდა გიო.

— ხმას დაუწიე, ბიჭო! — ცივად ისროლა მესხმა. — შენზე უკეთ ვიცი, ვინ ნაბიჭვარია და ვინ — არა!.. კიდევ ერთხელ გეკითხები: რას აკეთებდი ამ სანაგვეზე?!

— ზაზას ვეძებდი! — უპასუხა გიომ.

— იმ ზაზას, რომელიც შენ და შენმა ხალხმა აიყვანეთ!

— საიდან მოიტანე, რომ ზაზა მე

დროს, როდესაც მე ნარკომანების აყვანის ოპერაციას ვატარებდი, აქაც არაფერი ესაქმებოდა!.. იცი, ეს რა არის? — კითხვასთან ერთად, მესხმა სალონში შუქი ჩართო და გიოს პოლიეთილენის პარკი უჩვენა, რომელშიც ათამდე შპრიცი და მცირე ზომის პოლიეთილენის შეკვრები ეწყო.

— არა, — თავი გააქნია გიომ.

— ეს შენი ძმაცაცის ძმას აღმოაჩინდა!..

— ვახოს?! — შიშით წარმოთქვა გიომ.

— სწორედ მას, — დაუდასტურა მესხმა. — იცი, რა არის ამ პარკში?

— არ ვიცი და არც მაინტერესებს. ჩვენ ერთად მოვედით აქ და ვახოს არაფერი ჰქონია თან! — ბრაზით ისროლა გიომ.

— რა ვიცი... — მხრები აიჩეჩა მესხმა. — ის კი აღიარებს, რომ პარკი მისია!..

— ტყუილი!..

— ვტყუი... — ჩაიცინა მესხმა. — ეჰ, ჩემო კარგო, შენ ისიც კი არ იცი, რა არის ტყუილი და რა — სიმართლე...

— არ მაინტერესებს შენი სიმართლე. ვახოს ეგ პარკი არ ჰქონია! — უცვლელი ტონით განაგრძო გიომ.

— კეთილი, ამაზე მოგვიანებით ვისაუბრებთ. ახლა კი, ერთ კითხვაზე მიპასუხე: გინდა, შინ დაბრუნდე, ხვალ ჩვეულებრივად წახვიდე ინსტიტუტში, ერთ მშვენიერ დღეს მიიღო დიპლომი, ეს მოვლენა მეგობრების წრეში აღნიშნო და შემდეგ, ნორმალური ადამიანივით იცხოვრო?..

— რა თქმა უნდა, — გაუბედავად დაუდასტურა გიომ.

— ამისთვის კი, მხოლოდ ერთი რამ არის

საჭირო...

— რა?..

— შენ არ შეგიძლია ასეთი გადაწყვეტილების მიღება. ამიტომაც, მე გიკარნახებ, რაც უნდა გააკეთო... გიო, დაივწყე ყველაფერი: ჩვენი შეხვედრა, გორგაძეები და საერთოდ, ყველაფერი, რაც დღეს მოხდა. ეს დღე შენი ცხოვრებიდან სამუდამოდ უნდა ამოვარდეს!..

— კატეგორიული ტონით თქვა მესხმა. — თუ ამას გააკეთებ, პირობას გაძლევ, რომ დღესვე დაბრუნდები სახლში...

— ვახო?.. — პაუზის შემდეგ იკითხა გიომ.

— ისიც შინ დაბრუნდება, ოღონდ — ცოტა მოგვიანებით. ჩვენ მასთან ერთი საკითხი გვაქვს გასარკვევი.

— ზაზა?.. — გაუბედავად დაამატა



ავიყვანე?! — გაიკვირვა მესხმა.

— საიდან და... — გიოს მესხის გვერდით ყოფნა აუხსნელ შიშს ჰგვირბოდა, ამიტომაც არ უნდოდა ამის თქმა, მაგრამ მაინც გაბედა: — საიდან და მე თვითონ დავინახე, როგორ ჩასვი ზაზა მანქანაში და სადღაც წაიყვანე!..

— ა-ა... — ცივად ჩაიცინა მესხმა. — შენ ხომ არ იყავი, მანქანიდან რომ ჩამოგვსვა?!

— ჰო, — დაუდასტურა გიომ.

— და ყოველივე ამის შემდეგ, შენ მაინც უკან მობრუნდი... სალად მოაზროვნე ადამიანი ასე არ მოიქცეოდა. არა... შენ არა ხარ ისეთი კაცი, როგორადაც გიცნობენ უბანში და მეც ვცდები შენში. სტუდენტს, გორგაძეებთან არაფერი ექნებოდა საერთოდ და იმ

კითხვა გიომ.

— საუბარი გაგვიგრძელდა... მე უკვე გითხარი ჩემი სათქმელი. თუ გინდა, რომ ჩვენი საუბარი სხვაგან და სხვა ვითარებაში გაგრძელდეს... — ამ სიტყვებთან ერთად, მესხმა დემონსტრაციულად შეათამაშა ხელში პოლიეთილენის პარკი. — იფიქრე ვახოზეც. შენს გადანყვებილებზე მისი ბედიცაა დამოკიდებული...

ვანო სწორად ივარაუდა: ზაზას რალაც დაუშავეს, ახლა დამალული ჰყავთ და ძმებს ამ საქმის საიდუმლოდ შენახვაზე ევაჭრებიან... არ ღირს ასეთ ვითარებაში მათთან ჭიდილი. მე არაფერი მესმის ასეთი საქმეებისა და შეიძლება, ყველაფერი თავდაყირა დავაყენო, — გაიფიქრა გიომ.

— შენს პასუხს ველოდები... — მესხს მოთმინება ელეოდა.

— თანახმა ვარ... — თავი დაუქნია გიომ.

— ესე იგი, გინდა, მშვიდად დაბრუნდე შინ და ყველაფერი დაივიწყო?... — ჩაეძინა მესხი.

— დიას, — დაუდასტურა გიომ.

— ყოჩაღ, გონივრული გადანყვებილება მიიღე. მაგრამ ამასთან ერთად, გაფრთხილება: მე ყოველთვის ბოლომდე ვასრულებ პირობას და სხვებისგანაც იმავეს მოვითხოვ. კაცს, რომელიც პირობას მომცემს და არ შეასრულებს, ორმაგად მკაცრად დავსჯი!..

— მეც მიყვარს სიტყვის პატრონი ხალხი, — მშვიდად მიუგო გიომ.

— ძალიან კარგი... იმას კი, თუ როგორი მეგობრობა შემიძლია და საერთოდ, რას ნიშნავს ჩემთან მეგობრობა, მოგვიანებით შეიტყობ... ახლა კი, წადი, — მოჭრა მესხმა და მანქანის კარი გაუღო.

გიომ, რომელსაც არავითარ სიამოვნებას არ ანიჭებდა მესხის საზოგადოება, სწრაფად შეასრულა მისი განკარგულება — მანქანიდან გადავიდა და გვერდზე გადასვა. იქვე მდგომი პოლიციელები, რომლებიც მოთმინებით ელოდნენ ამ დიალოგის დასრულებას, მაშინვე მანქანაში ჩასხდნენ. მანქანაც უმაღლესად ადგილიდან და ძრავის ღმუჯილით გზატკეცილის მიმართულებით გაიჭრა...

უმცროსი ძმის საქციელმა იმდენად გააღიზიანა რეზო, რომ დიდი ხნის განმავლობაში ვეღარ შეძლო დაძინება. ერთი ხანობა დედასთან ლაპარაკით დარდის გაქარვება გადაწყვიტა, მაგრამ მიხვდა, რომ ამით უფრო მეტად ატყენდა გულს ნელის და განზრახვაზე ხელი

აიღო. ისევ სიგარეტს მოუჭიდა...

ფანჯარასთან რამდენიმე ღერის ზედიზედ მოწვევის შემდეგ, რეზომ გადაწყვიტა, ისევ ეცადა დაძინება და სანოლს მიუბრუნდა. სწორედ ამ დროს, მისი მობილური ტელეფონიც აწკრივდა.

— გისმენ... — უპასუხა რეზომ.
— ხომ არ გაგაღვიძებ? — ყურმილიდან გიოს ხმა გაისმა.
— შენ როგორ გგონია?... — კითხვით უპასუხა რეზომ.

— არა... ვერ დაიძინებდი, — პაუზის შემდეგ ჩაილაპარაკა გიომ.

— მართალი ხარ, — დაეთანხმა უფროსი ძმა, — მეც არ დაძინებდი და დედასაც არ სძინავს...

— მე არა ვარ მართალი და ბოდის მოხდა მსურს... — გაუბედავად თქვა გიომ.

— სადა ხარ? — ჰკითხა რეზომ.
— აქვე... სახლთან.



— რატომ არ ამოხვედი?
— დედის მრცხვენია, — ამოიოხრა გიომ.

რეზო რამდენიმე წამით ჩაფიქრდა, შემდეგ წამოდგა, ფანჯარას მიუახლოვდა და ეზო მოათვალიერა. გიო ეზოს საპირისპირო მხარეს, სკამზე იჯდა.

— როდემდე აპირებ ეზოში ყოფნას? — საუბარი განაგრძო რეზომ.

— მხედავ? — გიომ ახედა სახლის ფანჯარას, რომელშიც ძმის სილუეტი მოჩანდა.

— გხედავ, — დაუდასტურა რეზომ.
— არ ვიცი... ალბათ, გათენებამდე... — ჩაილაპარაკა გიომ.

— მაშინ მეც ეზოში ჩამოვალ, — მიუგო რეზომ.

— არ გინდა!.. — გიო კიდევ რაღ-

ცის თქმას აპირებდა, მაგრამ რეზოს მისთვის ყური აღარ დაუგდია, მაშინვე გათიშა ტელეფონი, ბინიდან გავიდა და კიბეზე დაეშვა.

გიო თავჩაღუნული შეეგება მასთან მისულ ძმას.

— რამე ხომ არ შეგემთხვა, გიო? — რეზო მის გვერდით ჩამოჯდა და სიგარეტის კოლოფი გაუწოდა.

გიომ ერთი ღერი ამოიღო, მოუკიდა.

— შემემთხვა... — ყრუდ ჩაილაპარაკა გიომ.

— რა შეგემთხვა? — დაიძაბა რეზო.

— ჩემს ძმასა და დედას დაუმსახურებლად ვატიკინე გული... — გიომ პაუზა გააკეთა და შემდეგ დაამატა: — მამა-ატიე, რეზო.

— ამაში მართალი ხარ. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ სხვისი კარნახის გარეშე, შენ თვითონ მიხვდი ამას...

— მამაატიე... უბრალოდ, ზაზას აყვანამ წონასწორობა დამაკარგვინა.

— სად არის ახლა ზაზა? — დაინტერესდა რეზო.

— პოლიციამია... მაგრამ მესხს ამის გამყვანება არ უნდა.

— ჩვენი ლაპარაკის შემდეგ სად წახვედი?

— ვახოს ვაცნობე ზაზას აყვანის შესახებ, შემდეგ კი პოლიციაშიც გავეყვი.

— მესხს შენც შეხვდი? — გახედა ძმას რეზომ.

გიომ უხმოდ დაუქნია თავი.

— ეს არ უნდა გეჩნა, გიო!.. — უკმაყოფილო ხმით უთხრა რეზომ.

— ვიცი. მაგრამ ეს შემთხვევით მოხდა...

— იცი?! — გაუკვირდა რეზოს.

— ჰო, — თავი დაუქნია გიომ, — უბრალოდ, ვახო მართო ვერ დავეტოვე. ის პოლიციაში შევიდა, მე გარეთ ველოდი. პოლიციიდან წამოსულეხს კი, მესხი და მისი ხალხი ჩაგვიდგა კვალში და...

— რამეს ხომ არ მიმაღავ, გიო? — ჰკითხა რეზომ.

— რას უნდა გიმაღავდე?!

— ვგრძნობ, რომ შენც დაგაფიქრა მესხთან შესხვედრამ... რა მოხდა თქვენი შესხვედრისას?

გიო რამდენიმე წამს დუმდა, შემდეგ ალაპარაკდა და რეზოს დაწვრილებით მოუყვა მესხთან შემდგარი შესხვედრის შესახებ და დეტალებზეც გაამახვილა ყურადღება.

— ხომ არ აზვიადებ? — იჭვნარევი ხმით ჰკითხა რეზომ, როგორც კი გიომ თხრობა დაასრულა.

— არა... ყველაფერი მართლა ასე მოხდა, — მიუგო ძმამ.

— არც კი ვიცი, რა ვთქვა, — მხრები აიჩქრა რეზომ, — ყოველივე ეს მართლაც, დაუფრებლად მეჩვენება.

— მე კი მრავალი ასეთი ამბავი მსმენია, — ამოიოხრა გიომ.

— ზაზასგან? — უკმაყოფილო ტონით ჰკითხა რეზომ.

— არა მართო მისგან... მაგრამ ახლა ამაში არ არის საქმე.

— მაშ, რაშია?

— არ ვიცი, როგორ მოვიქცე და შენ რჩევისთვის მოგმართე.

— არ ვიცი, გიომ. მე არასოდეს მქონია საქმე ასეთ ხალხთან და რჩევის მოცემაც არ შემოძლია.

— როგორ?... ვერაფერს მირჩევ?! — გაუკვირდა გიომ.

— გირჩევ, — პაუზის შემდეგ მიუგო რეზომ.

— რას? — გამოცოცხლდა გიომ.

— დაბრუნდი შინ და ყველაფერი დაივიწყე... — მკაფიოდ წარმოთქვა რეზომ.

— ესე იგი, შენ მირჩევ, ისე მოვიქცე, როგორც მესხმა მიბრძანა?! — მოიღრუბლა გიომ.

— ჰო... — დაუდასტურა რეზომ.

— არ შემოძლია, — თავი გააქნია გიომ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ... იმიტომ, რომ ეს საკუთარი თავის მოტყუება იქნება!..

— გეთანხმები.

— მაშინ რატომ მირჩევ ყველაფრის დავიწყებას? — გაუკვირდა გიომ.

— გიომ, მე და შენ ძალიან განვსხვავდებით ზაზასა და მისი ძმისგან. მესხის, რომ შენ გული შეგტყვივა შენს მეგობარზე. გრძნობ, რომ მესხი თავად სჩადის დანაშაულს. მეც მსმენია მისი თავგასულობის შესახებ და მართლაც, არ მომწონს ეს ყველაფერი, მაგრამ არსებობს მედლის მეორე მხარეც...

— რომელ მხარეს გულისხმობ?

— ზაზა და მესხი ერთი სამყაროს წარმომადგენლები არიან. ზაზამ იცის, თუ რა შეიძლება მოჰყვეს მასთან დაპირისპირებას, მესხისთვის კი კარგადაა ცნობილი მისი მორჯულების ხერხები, ასე რომ...

— შენ რა, მესხს ამართლებ?! — ბრაზი მოერია გიომს.

— არა. უბრალოდ ვფიქრობ, რომ ეს ჩვენი საქმე არ არის. შენ მოიქცე ისე, როგორც უნდა მოქცეულიყავი — აცნობე ვახოს მისი ძმის დაკავების შესახებ. ამით ყველაფერი დასრულდა. ზაზა და ვახო თავად გაარკვევენ მესხთან ყველა საკითხს...

— არა ხარ მართალი, რეზომ... — ამოიოხრა გიომ.

— რატომ? — გახედა რეზომ.

— იმიტომ, რომ მე არა ვარ მათი სამყაროს წარმომადგენელი, მაგრამ ზაზასთან ჩემი მეგობრობა მესხისთვის საკმარისი აღმოჩნდა: მან ნათლად დამანახვა, რომ მისთვის მცირე წინააღმდეგობის განვიც შემთხვევამიც კი, სა-

კანში გამომამწყვდევს.

— მესხის, — თავი დაუქნია რეზომ, — მაგრამ ზაზას სიახლოვეს ყოფნით, შენ თავად გადალახე მათი სამყაროს საზღვრები!..

— ეს არ არის საკმარისი საკანში ჩემს გამოსაკეტად!

— არ არის, — დაეთანხმა რეზომ, — მაგრამ მესხი არც აპირებდა საკანში შენს გამოკეტვას...

— მაგრამ მან ასე მითხრა.

— ეს მხოლოდ მუქარა იყო. მუქარა, რომელიც შენთვის მაგალითად უნდა იქცეს. არც მთლად მასეა საქმე. ადამიანებს მეგობრების გამო რომ იჭერდნენ, ციხეებში ადგილი აღარ დარჩებოდა... — ჩაიციხა რეზომ. — ქვეყანა მართლაც ჩაღლით კი არ არის დახურული. ასეთი ამბები ადრე ხდებოდა, მაგრამ ის დრო წარსულს ჩაჰბარდა. მესხი ოფიციალური სამსახურის წარმომადგენელია და ჰყავს ხელმძღვანელობა, რომლის წინაშეც ანგარიშვალდებულებაა. მუქარა კი... ჩემი ბავშვობა გამახსენდა. სწორედ ასე გვაშინებდა ჩვენი უზნის ინსპექტორი: ვისაც უზნელი ავარებისა და ჯიბგირების სიახლოვეს შევნიშნავ, აღრიცხვაზე ავიყვან და თუ ამან არ გაჭრა, პირდაპირ საკანში მივამოხრებო!

— მესხი არ ხუმრობდა, რეზომ... — პაუზის შემდეგ ჩაილაპარაკა გიომ.

— მერწმუნე, ტყუილად ლელავ... შენ თვითონ დაფიქრდი — სად უნდა გააქროს მესხმა ზაზა?... დევი ხომ არ არის, რომ გადაყლაპოს და არც ზაზაა უპატრონო, მას ჰყავს დედ-მამა, რომელიც დაკარგულ შვილს მოიკითხავს. როგორ გგონია, რით ახსნის მესხი მის გაუჩინარებას?

— ვერაფრით...

— ამიტომაც, ის არსად გაქრება.

— მაშინ რატომ უარყო ზაზას აყვანის ამბავი და ვახოს მასთან შეხვედრის საშუალება არ მისცა?..

— იქნებ, მას არ სურს ამ ამბის გახმაურება. დაფიქრდი, გიომ — შემთხვევით, მესხის გეგმები არ არიო და ზაზას მდგომარეობა არ გაართულო.

გიომ ჩაფიქრებული სახით გახედა ძმას. მან სწორედ ის თქვა, რაზედაც მესხთან საუბრის შემდეგ თავად ფიქრობდა.

— რატომ დუმხარ? — ჰკითხა რეზომ, როდესაც მან პასუხი დააგვიანა.

— მართალი გითხრა, მეც ასე ვფიქრობდი. ამიტომაც მივეცი მესხს პირობა, რომ ყველაფერს დავივიწყებდი. მაგრამ შემდეგ, ყველაფერს თავიდან გადავხედე და... არ მომწონს, რეზომ, ეს ამბავი.

— ამ საქმეში არაფერია მოსაწონი. შენ განსაკუთრებით მაინც რა გალელვებს?

— მესხი დაძაბული იყო. ადრე არასოდეს მინახავს ასეთი... არც კი ვიცი, როგორ აგისხნა. უბრალოდ ვგრძნობდი, რომ მას რაღაცის შიში გაუჩნდა...

— პაუზის შემდეგ თქვა გიომ. — სწორედ ეს მაღელვებს. რა უნდა მომხდარიყო პოლიციაში ისეთი, რაც მას შეამშინებდა?..

— მოგეჩვენებოდა, — მშვიდად შენიშნა რეზომ, — შენც დაძაბული იყავი და მოგეჩვენა, რომ მესხიც დამფრთხალი იყო.

— შენ ასე გგონია?

— დარწმუნებული ვარ.

გიომ რამდენიმე წამი დუმდა. შემდეგ, სიგარეტის ნამწვავი შორს მოისროლა, საფეთქლები მოისრისა და თქვა:

— მაინც ვერ გადავწყვიტე, რა მოვიმოქმედო ხვალ!..

— ჩემს რჩევას მიიღებ? — ჰკითხა რეზომ.

— მივიღებ...

— მაშინ, საერთოდ ნუ მივიღებთ რაიმე გადაწყვეტილებას. უბრალოდ, შინ დავბრუნდეთ და ხვალინდელ დღეს დაველოდოთ, — შესთავაზა რეზომ.

— დაველოდოთ, — დაეთანხმა გიომ.

— ოღონდ, ერთი პირობით, — სწრაფად დაამატა რეზომ.

— რა პირობით?..

— დედას შენ თვითონ აუხსნი ყველაფერს და ბოდიშსაც მოუხდი.

— ამას პირობა არ სჭირდება — დედას ისედაც მოუხედი ბოდიშს, — ჩაილაპარაკა გიომ და წასასვლელად წამოიწია.

გამთენიისას რეზომ კვიციანის ხმამ გამოაღვიძა, რომელიც ეზოდან შემოიჭრა მათ ბინაში. ვიდრე ის საწოლიდან წამოდგებოდა და ტანსაცმელს ჩაიცვამდა, საძინებელი ოთახის კარი ნელიმ შემოაღო.

— რა მოხდა, დედა? — სწრაფად ჰკითხა რეზომ.

— არ ვიცი, მაგრამ რაღაც ძალიან ცუდი მოხდა: კვიციანი ზაზას სახლიდან ისმის... — მიუგო ნელიმ.

— გიომ გააღვიძე, — ყრუ ხმით ისროლა ცუდი წინათგრძნობით შეპყრობილმა რეზომ და ჩაცმა განაგრძო.

რამდენიმე წუთის შემდეგ, ძმები სირბილით მიუახლოვდნენ ზაზას საცხოვრებელ კორპუსს, რომლის წინაც ათამდე მეზობელს მოეყარა თავი.

— რა მოხდა?! — პირველსავე შემხვედრ მეზობელს ჰკითხა რეზომ.

— ზაზა დაიღუპა... — ჩავარდნილი ხმით მიუგო მან.

— რა თქვი?! — გაფითრებული სახით წამოიძახა გიომ.

— დაიღუპა... — გაიმეორა მეზობელმა. — დილით იპოვეს ნაგავსაყრელზე... სხვა არაფერი ვიცი. ნაგავსაყრელს პოლიციამ ალყა შემოარტყა და იქაურობას არავის აკარებს...

ამ პასუხის მოსმენისთანავე, გიომ შიშით სავსე მზერა მიაპყრო რეზოს, შემდეგ სწრაფად შებრუნდა და სირბილით გაქანდა ნაგავსაყრელისკენ...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ჭეშმარიტებისთვის წამებულ დედოფალი

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიწმინდეა წმინდა დედოფალ შუშანიკის ნეშტი, რომელიც მეტეხის ღვთისმშობლის შობის ეკლესიაშია დაცული. მრავალგზის ნაწამები დედოფლის წმინდა სხეულიდან მომდინარე მაღლი დღემდე არ აკლებს შეწევნას მის წინაშე რწმენითა და სასოებით მისულ მლოცველთ... წმინდა შუშანიკს მართლმადიდებელი ეკლესია სექტემბერში იხსენებს...

შორენა მერკვილაძე

შუშანიკი სომეხთა სახელოვანი მხედართმთავრის, ვარდან მამიკონიანის ასული იყო. მისი მშობლები ჭეშმარიტი ქრისტიანები იყვნენ და შვილიც ღვთის შიშითა და სიყვარულით აღზარდეს, ამიტომაც იყო, რომ ღრმად მორწმუნე და ქრისტეს მცნებათა განუხრელად დამცველი შუშანიკი სისპეტაკით, მოკრძალებით, სიკეთითა და სხვა ქრისტიანული სათნოებებით გამოირჩეოდა.

შუშანიკი ცოლად ჰყავდა ქვემო ქართლის პიტიახშს, ვარსკენს. იმ პერიოდში ქართლში სპარსელები ბატონობდნენ. სპარსეთის სამეფო კართან კეთილი ურთიერთობის დასამყარებლად, 476 წელს ვარსკენი ქტესიფონში ჩავიდა, სპარსთა მეფეს — პეროზს ეახლა, საკუთარი ნებით უარყო ჭეშმარიტი ქრისტიანული რჯული და მახდენობა მიიღო, ამასთანავე სპარსთა მეფე პეროზს დაჰპირდა, რომ ქართლში ჩასვლისთანავე ჩემს ცოლს თქვენს სჯულზე მოვაქცევო. თან მეორე ცოლად პეროზის ასული შეირთო და ქართლში გამოემართა. როდესაც ქართლის საზღვარს მიუახლოვდა და ქალაქი ცურტავიც გამოჩნდა, ვარსკენმა, იმის შიშით, რომ მოსახლეობას მისი ორგულობის შესახებ არ შეეტყო, სასახლეში მსახური წარგზავნა და დააბარა, ცოლ-შვილი, აზნაურნი და მსახურნი მომეგებნონო.

წარგზავნილი მსახურისგან შუშანიკმა ვარსკენის განდგომის შესახებ შეიტყო, ჯერ მწარედ გამოიტირა მისი საქციელი, შემდეგ კი სასახლე დატოვა და თავის ოთხ შვილთან ერთად ეკლესიას შეაფარა თავი. შვილები საკურთხევის წინ დააყენა და უფალს შესთხოვა: „უფალო ღმერთო, შენნი მოცემულნი არიან და შენ დაიცვენ ესენი, განათლებულნი წმიდისაგან ემბაზისა მადლითა და სულისა წმიდისათა, ყოფად ერთ სამწყსო ერთისა მწყემსისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტისა“.

მწუხრის ღოცვის დასრულების შემდეგ, შუშანიკმა ეკლესიის მახლობლად მდგარი მივიწყებული სახლაკი იპოვა და იქ განმარტოვდა, თან ცხარე ცრემლით ტიროდა. გვიან ღამით იგი თავისმა მოძღვარმა, იაკობ ხუცესმა მოინახულა, გაამხინვეა და გააფრთხილა — დიდ ღვაწლად შეცვლა გელის და ფრთხილად იყავი; ესეც იცოდე, ვარსკენი დაუნდობელია და დიდ სატანჯველს შეგყრისო: „მე ყველაფრისთვის მზად ვარ, მირჩევნია ვარსკენმა



მომკლას, ვიდრე მე მის გზას შევუერთდე და სული ჩემი წავინყმიდო“, — მშვიდად უპასუხა შუშანიკმა.

სამი დღის შემდეგ, სოფელში, სადაც შუშანიკი იმყოფებოდა, ვარსკენიც ჩავიდა, მაგრამ თანამეცხედრესთან შესვლა ვერ გაბედა. მეორე დღეს იაკობ ხუცესი და სხვა სასულიერო პირები იხმო და მოჩვენებითი ღმობიერებით ესაუბრა მათ, რათა მათი მეშვეობით მოეხერხებინა შუშანიკის შინ დაბრუნება. მღვდლებმა სასტიკად ამხილეს რჯულისგან განდგომილი პიტიახში — წარინყმიდე თავი შენი და ჩუენცა წარგუნყმიდნო. მხილებით გაგულისებულმა ვარსკენმა გადაწყვიტა, მეუღლე გადაეხრებინა, შეუთვალა — შინ დაბრუნდიო, მაგრამ შუშანიკმა მტკიცე უარით უპასუხა: „შენ ღმერთი ჭეშმარიტი უარჰყავ და ცეცხლსა თაყვანის ეც და ვითარცა შენ შემოქმედი შენი უარჰყავ, ეგრეცა მე შენ შეურაცხ-ყავ და თუ მრავალი ტანჯვაი მოინიო ჩემ ზედა, მე არა ვეზიარო საქმეთა შენთა“. პასუხით განრისხებულმა ვარსკენმა მის სასახლეში წამოსაყვანად აფოც ეპისკოპოსი და თავისი ძმა ჯოჯიკი გაგზავნა. ბევრი ხეწნა-შუდრის შემდეგ შუშანიკი სასახლეში დაბრუნებაზე დაიყოლიეს, თუმცა თავის გალიაკში (სადედოფლო სამყოფელი) შესვლა არ ინება, ერთ მცირე სენაკში განმარტოვდა.

ვარსკენი ორი დღის შემდეგ სასახლეში დაბრუნდა და სატრამეზოდ ძმასთან და რძალთან ერთად, შუშანიკიც მიიწვია. სუფრაზე დედოფალმა მიწოდებულ ღვინის ჭიქაზე რძალს ხელი აუკრა. განრისხ-

ებულმა ვარსკენმა სასტიკად სცემა მეუღლე, შემდეგ, მისი ბრძანებით, ბორკილები დაადეს და სენაკში გამოკეტეს, თან დარაჯი დაუყენეს.

მეორე დღეს ვარსკენმა თავად მოინახულა შუშანიკი, ერთხანს უცქირა მის ერთიანად დაწყულულ სახეს, შემდეგ გამოვიდა, მსახურს უბრძანა, რომ მასთან არავინ შეეშვა და სანადიროდ წავიდა. საღამო ხანს შუშანიკთან მისი მოძღვარი, იაკობი მივიდა, იგი იმდენად შეძრა მომაკვდავი დედოფლის ხილვამ, რომ თავი ვერ შეიკავა და ცრემლები წასკდა: „ნუ სტირი ჩემთვის, რამეთუ ღამე ესე დასაბამ გახდა სიხარულისა ჩემისა“, — უთხრა მშვიდად შუშანიკმა. მოძღვარი ევედრებოდა, რომ მისთვის პირისახეზე სისხლის მობანის და თვალთაგან ნაცრის ამონშენდის ნება მიეცა და მალაშო დაედო, მაგრამ ნაწამებმა ქალმა უარი განუცხადა — სისხლი ესე განმწმენდელ არს ცოდვათა ჩემთაო.

მალე ვარსკენი ჰუნებთან საომრად გაემართა, მანამდე იაკობ ხუცესის პირით შუშანიკს სამკაულები მოსთხოვა. როდესაც სამკაულები მიიღო, დაცინვით წარმოთქვა: დაე ესენი იმან იპოვოს, ვინც დაიმშვენოსო.

დიდმარხვა მოახლოებული იყო. ვარსკენის წასვლის შემდეგ, ოდნავ მოშჯობინებული შუშანიკი კვლავ სოფლის ეკლესიაში წავიდა და იქვე, ერთ მიყრუებულ სენაკში დაემკვიდრა, მთელ დროს მარხვას, ღოცვასა და ცრემლთა ღვრაში ატარებდა. მარხვის დასრულების შემდეგ, პიტიახშიც დაბრუნდა ბრძოლის ველიდან, იმ ეკლესიაში მივიდა, სადაც შუშანიკი იმყოფებოდა. ჯერ ღმერთი და მისი მქადაგებელი ეპისკოპოსი ავინა, სცემა კიდევ ერთ-ერთი მღვდელი, რომელმაც მისი შეწინააღმდეგება გაბედა, შემდეგ სენაკში შევარდა და შუშანიკი იქიდან თმით გამოათრია. ასე მიათრია სასახლემდე, არ ერიდებოდა არც ეკალ-ბარდებს და არც გოროხებს, თან ჩასძახოდა — აბა ვნახოთ, რას გიშველის ეგ შენი უფალი ქრისტეო. ერთი კვნესა და გმინვაც კი არ დასცდენია წამებულ დედოფალს. როდესაც სასახლეში მიათრია, ბრძანება გასცა, ცოცხალმკვდარი ქალისთვის მძიმე ჯაჭვი დაედოთ და ბნელ სენაკში ჩაეგდოთ. ხალხი შეძრული იყო ვარსკენის სისასტიკით, მაგრამ ვერავინ ბედავდა ხმის ამოღებას, მხოლოდ ჩუმად თანაუგრძნობდნენ ნაგვემ მოწამეს: „ნუ სტიროთ, ძმანო, ჩემნო, შვილნო ჩემნო, არამედ ღოცვასა მომიხსენეთ. ამიერიდან მე განშორებული ვარ თქვენგან, რამეთუ ველარ მიხილავთ ამ ციხიდან ცოცხლად გამოსულს“, — მიმართა მან თვალცრემლიან ხალხს.

ექვსი წელი გაატარა წმინდა შუშანიკმა ბნელ ჯურღმულში. ამ ხნის მანძილზე მას არაფერი უხმევია ფხლის წვეწის გარდა. ღოცვა, მარხვა და ღვთისათნო საქმე-

ყველანი — საბავშვო ბაღში!

**რუბრიკას უძღვება
ექიმი თამარ მამაცაშვილი**

**სკოლაში პირველად წასვლაზე
არანაკლებ მნიშვნელოვანი მოვლენაა
საბავშვო ბაღში პირველად მისვ-
ლა. როგორ მოვემზადოთ ამისთვის?**



მართოდ: დაარწმუნეთ პატარა, რომ ბავშვებს ის ძალიან უყვართ და ელოდებიან. თუ ამას შეძლებთ, თქვენი შვილი იქ ხალისით წავა. სალამოს ჰკითხეთ შვილს, რა იყო საინტერესო, გამოიჩინეთ ყველა წვრილმანი პრობლემა. პატარამ უნდა გაგიმხილოთ, რისი ემინია, რაზე წუხს: ბავშვი უნდა გრძნობდეს, რომ მასზე მაშინაც ზრუნავთ, როცა მის გვერდით არ ხართ.

ბევრი პატარა სწორად ცივდება. ამის მიზეზი მხოლოდ ის როდია, რომ სხვა ბავშვებს „მოაქვთ“ სხვადასხვა ვირუსი და მიკრობი... დაავადებისადმი მიდრეკილება ფსიქოლოგიური თავდაცვის ცნობილი ხერხია. ზოგჯერ მშობლებს ეჩვენებათ, რომ ბავშვი ძალად ხდება ავად, მაგრამ ეს სიმულაცია როდია: ტემპერატურა იმის გამო მატულობს, რომ პატარას აქვს დაუოკებელი სურვილი, გახდეს ავად, რათა შინ დატოვონ. გამოსავალი ის არის, რომ უნდა გავაკაუთოთ ბავშვი, ვეცადოთ, აღვუდგინოთ სულიერი ჰარმონია, დავუმაროთ საბავშვო ბაღის დადებითი მხარეების დანახვაში.

პირველი წელი ყველაზე რთულია. თავდაპირველად უმჯობესია, პატარა შუადღემდე დავტოვოთ ხოლმე. შემდგომში იგი საღამომდეც თავისუფლად დარჩება. შესაგუებლად ზოგიერთ პატარას რამდენიმე კვირაც ჰყოფნის, ზოგს კი — რამდენიმე თვე სჭირდება. თუმცა ბავშვების უმრავლესობა საბავშვო ბაღის რეჟიმს ექვს თვეში ეგუება. თუ საშუალება გაქვთ, უფრო მეტხანსაც ატარეთ ბავშვი შუადღემდე. თუკი ამ ყველაფრის მიუხედავად, ბავშვი მაინც ვერ შეეგუა ბაღს, მის ალტერნატივად გამოდგება სხვადასხვაგვარი, ბავშვთა გასაერთიანებელი ცენტრი, სადაც მათ მუსიკას, ცეკვებს, სახვით ხელოვნებას ასწავლიან. ბავშვებთან და აღმზრდელთან ურთიერთობა პატარისთვის სამომავლოდ აუცილებელია.

**ზვად არის თუ არა
პატარა, ბავშვისთვის?**

თუ შინიდან დედიკოს წასვლისას პატარა გამუდმებით ტირის, მას ბალთან შეგუება გაუჭირდება. ამიტომ ეცადეთ, ნუ მიიყვანთ მას იქ მანამ, სანამ ასეთი დამოკიდებულება არ შეუსუსტდება.

თუ ბავშვი მხიარულია, სეირნობისას ცდილობს, ეთამაშოს სხვა ბავშვებს, ეს კარგი ნიშანია. მელანქოლიური, ნაკლებად კონტაქტური, მორცხვი ბავშვები კი ძნელად ეგუებიან საბავშვო ბაღს.

ბი იყო მისი ძირითადი საქმე; ვარსკენის ბრძანებით, შუშანიკთან შესვლის უფლება არავის ჰქონდა, მაგრამ იაკობ ხუცესი მაინც ახერხებდა მის მონახულებას. შუშანიკის წამებისა და წმინდა ცხოვრების ამბავი მთელ ქვეყანას მოედო, ამიტომ მისი ხილვის სურვილმა მრავალი ადამიანი ჩაიყვანა ცურტავში, რათა მისი ხილვისა და მისგან მიღებული ლოცვის ღირსი გამხდარიყო. ბევრი მართლაც ახერხებდა მასთან მოხვედრას. მოწამე დედოფლის ლოცვით ხალხი სწულდებათაგან იკურნებოდა, უშვილოებს შვილიერების მადლი ენიჭებოდათ, მწუხარენი და განსაცდელში მყოფნი ნუგეშს იღებდნენ.

ერთ დღეს საპყრობილეში მყოფ მარტივს შეატყობინეს, რომ მისი შვილები განუდგნენ ჭეშმარიტ რჯულს და მახედნობა მიიღეს. ისინი სირცხვილით ველარ ბედადნენ დედის მონახულებას. დედოფალმა დიდხანს იტერა შვილების საქციელის გამო, ამ ამბავმა ყველაზე მეტად შეაძრწუნა და დატანჯა. თუმცა, ერთი საყვედურიც არ დასცდენია: „გმადლობ შენ, უფალო ღმერთო ჩემო, რამეთუ იყვენსვე არა ჩემი, არამედ შენი მოციმულნი იყვნეს. ვითარცა გნებავს, იყავნ ნებაი შენი, უფალო და დამიცავ მე საქმეთაგან მტერისათა“, — მხოლოდ ეს სიტყვები წარმოთქვა უფლის მიმართ.

ექვსი წლის მანძილზე გაუსაძლის პირობებში, ბნელ ჯურღმულში ცხოვრებამ ძალზე დააუძლურა და დაასწულა წმინდა მოწამე დედოფალი — ფეხები დაუსივდა, დაუსწულა და დაუჩირქდა, მთელ სხეულზე მატლები დაესია. გრძნობდა, რომ მიწიერი ცხოვრებიდან განსვლის ჟამი ახლოვდებოდა და იაკობ ხუცესი იხმო. როდესაც მოძღვარმა მისი დანაშაულებული და მატლებდასული სხეული იხილა, ცრემლები წასცდა: ნუ გემძიმება ჩემთვის ეგ მატლი, რამეთუ იგი უკვდავებას მანიჭებსო, — თავად ანუგეშა დედოფალმა ხუცესი. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე შუშანიკი ჯოჯიკმა და მისმა ცოლ-შვილმაც მონახულა, სთხოვეს, დაგვლოცე და ცოდვები მოგიტევეო. დედოფალმა დალოცა და განუტევა ცოდვანი მათნი. მომაკვდავი დედოფალი მთავარეპისკოპოსმა სამოელმა, ეპისკოპოსმა იოანემ და დიდებულებმაც მონახულეს. ყველა გაცოცხლებული იყო მისი საარაკო მხნეობითა და გამძლეობით.

წმინდანმა ყველა დალოცა და ითხოვა, რომ მისი ნეშტი იმ სოფლის ეკლესიაში დაეკრძალათ, საიდანაც პირველად გამოათრია და აწამა ვარსკენმა. შემდეგ კი წარმოთქვა: „კურთხეულ არს უფალი ჩემი. რამეთუ მშვიდობით მას ზედა დავწევ და დავიძინე“. ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები, რომელთა წარმოთქმის შემდეგაც სული უფალს შეჰვედრა. მისი წმინდა ნეშტი თავდაპირველად მართლაც ქვემო ქართლში, სოფლის ეკლესიაში დაკრძალეს, VI საუკუნეში კი, თბილისში გადმოაბრძანეს და მეტეხის ღვთისმშობლის შობის ტაძარში დააბრძანეს.

მოვაზაღოთ ნიდაპი

ფსიქოლოგთა აზრით, თუკი თავიდან ბავშვი ტირის და დედას ეკვრის — ეს ნორმალური მოვლენაა. უბრალოდ საჭიროა, მოთმინებით აღვიჭურვოთ, არ გავუბრაზდეთ პატარას და დავუმაროთ სიხალისი შეჩვევაში.

ბავშვის მომზადება წინასწარ უნდა დავიწყოთ. სეირნობისას მიიყვანეთ ხოლმე იგი საბავშვო ბაღის ეზოსთან, დაანახვეთ მოთამაშე ბავშვები, უამბეთ მათ შესახებ — როგორ ერთობიან, როგორი რეჟიმი აქვთ... რაც მეტს შეიტყობს პატარა მომავალი ახალი ცხოვრების შესახებ, მით უფრო იოლად შეძლებს ადაპტაციას. მშვენიერი ხერხია ე.წ. „ბაღბანას“ თამაშიც. შეგიძლიათ, ბავშვს თოჯინასთან ერთად ეთამაშოთ. თანაც არ დაგავიწყდეთ, რომ თოჯინას ბაღში ყოფნა ძალიან უნდა „მოსწონდეს“. წინასწარ გააცანით პატარას აღმზრდელი, აჩვენეთ, სად რა სათამაშო დევს. აუხსენით შვილს, რომ უკვე დიდა და მისთვის ბაღში სიარული ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც დედიკოსა და მამიკოსთვის — სამსახურში. დაე, პატარამ იცოდეს, რომ თქვენ მისით ამაყობთ.

პირველი თვეები

ახალმოსული თავს მიტოვებულად გრძნობს, როცა დედას ბაღში მიჰყავს და სადღაც „ქრება“. ნუ დაამშვიდებთ მას ასეთი დაპირებით: „ხუთ საათზე მოვალ და წაგიყვან“. სკოლაშენებელ პატარას ჯერ კიდევ არა აქვს განვითარებული დროის შეგრძნება და არ იცის, როდის მოვა ხუთი საათი. უმჯობესია, უამბოთ მას დღის რეჟიმის შესახებ. გაატანეთ ბავშვს ბაღში საყვარელი სათამაშო, რათა შინიდან სულ მთლად მოწყვეტილად არ იგრძნოს თავი. შეგიძლიათ, დაჰპირდეთ, რომ თუ კარგად მოიქცევა, გემრიელ სასუსნავს უყიდვით, ოღონდ აუცილებლად შეუსრულეთ დანაპირები, თორემ შემდგომში აღარ დაგიჯერებთ.

ბაღიდან წამოყვანისას დაინტერესდით არა მხოლოდ იმით, როგორ ჭამა და ეძინა ბავშვს, არამედ იმითაც, როგორ თამაშობდა სხვა ბავშვებთან. თუ მას ჯერ კიდევ არ ჰყავს მეგობრები, შეგიძლიათ, მცირე ემზავოთ მის-

ყავა, როგორც თანხმობის ნიშანი

ფინჯან ყავას შეუძლია, ადამიანი ალაპარაკოს, ზოგჯერ აზრი შეაცვლევინოს კიდევ. ამას მოწმობს ავსტრალიის კინოსლენდის სამედიცინო უნივერსიტეტის მეცნიერთა მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგები.

როგორც გამოკვლევის ერთ-ერთი ავტორი, პროფესორი პერლ მარტინი გვიამბობს, 140 მოხალისეს შესთავაზეს, გამოეთქვა საკუთარი აზრი აბორტებისა და ევთანაზიის შესახებ და ეპასუხა რამდენიმე კითხვაზე. შემდეგ მათ შესთავაზეს სასმელი, რომელიც შეიცავდა ორი ფინჯანი ყავის შესაბამისი რაოდენობის კოფეინს, თან გააცნეს სტატიები, რომელშიც მათი მოსაზრებების საპირისპირო მყარი არგუმენტები იყო მოყვანილი.



სპეციალისტებმა აღმოაჩინეს, რომ ტესტირების ყველა მონაწილე კოფეინის მიღების შემდეგ უფრო ენაწყლიანი გახდა და შედარებით იოლად დაეთანხმა ამა თუ იმ კონტრარგუმენტს. პროფესორ მარტინის აზრით, ამ დასკვნას შესაძლოა, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდეს.

„დღეს ძნელია წარმოვიდგინოთ, როგორ გავლენას მოახდენს კოფეინის შემცველი პროდუქტები (ყავა, ჩაი, კოლა) ადამიანის ფსიქიკაზე, რეკლამის, პოლიტიკური განცხადებების ალქმისას, თუ საქმიანი საუბრის დროს“, — აღნიშნავენ სპეციალისტები.

ჯაბის პარაზიტით გამოწვეული ნევროზი



კატის მოყვარულები სხვა ადამიანებთან შედარებით უფრო მეტად არიან მიდრეკილნი ნევროზისადმი, კატის იმ პარაზიტით დასნებოვნების გამო, რომელიც ახალი რადიკალური თეორიის თანახმად, ხალხების ერთიმეორისგან განმასხვავებელ კულტურულ თავისებურებებსაც კი განაპირობებს.

მსოფლიო მოსახლეობის მეოთხედზე მეტი ინ-

ფიცირებულია პარაზიტით — *Toxoplasma gondii*, რომელიც მაღარის პლაზმოდუმიის მონათესავე სახესხვაობას წარმოადგენს. ეს პარაზიტი აავადებს ვირთხებსაც.

„ზოგიერთი ჩვენგანის ტვინში ცხოვრობს პარაზიტი, რომელიც ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ შეცვალოს ჩვენი პიროვნება — წერს კალიფორნიის სანტა-ბარბარის უნივერსიტეტის მეცნიერი კევინ ლაფერტი ჟურნალ *Proceedings*-ში, — მოსახლეობის იმ ჯგუფებში, სადაც ეს პარაზიტი ფართოდაა გავრცელებული, პიროვნების მოდიფიკაციას მასობრივი ხასიათი აქვს და შეიძლება საზოგადოების კულტურული ცვლილებების განვითარებაც გამოიწვიოს“.

გამოკვლევებით დადგინდა, რომ აღნიშნული პარაზიტით დასნებოვნებულია გაერთიანებული სამეფოს მოსახლეობის 7% და ბრაზილიელთა 70%.

მეცნიერები ფიქრობენ, რომ პარაზიტს შეუძლია შეცვალოს ადამიანის დამოკიდებულება საკუთარი თავისადმი, ფულისადმი, მატერიალური კეთილდღეობისადმი, სამუშაოსა და ქცევის ნორმებისადმი.

ცდებისას იცვლებოდა ინფიცირებული ვირთხის ქცევა: იგი უფრო აქტიური, ნაკლებად ფრთხილი ხდებოდა, რაც მისი დაღუპვის და კატის კლანჭებში მოხვედრის ალბათობას ზრდიდა.

ექიმი ლაფერტი ვარაუდობს, რომ *Toxoplasma gondii*-ზე ზემოქმედებას ახდენს კლიმატი და იქ, სადაც კლიმატი პარაზიტისთვის ხელსაყრელია, მისი ფართოდ გავრცელება და კულტურული ცვლილებები ხდება. პარაზიტის ლარვა კარგად გრძნობს თავს ნესტიან, დაბლობ რეგიონებში, სადაც ყინვა იშვიათია.

მზა ყოველწლიურად 60000 ადამიანს ჯიჯს

მზის ულტრაიისფერი გამოსხივება მსოფლიოში ყოველწლიურად 60 ათას სიცოცხლეს შეინარავს — ნათქვამია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ანგარიშში. „ყოველ წელს ავთვისებიანი მელანომისაგან 48000 ადამიანი კვდება, კიდევ 12000-ის სიკვდილის მიზეზი კანის კიბოს სხვა სახეობებია. შემთხვევათა 90%-ში ეს ონკოლოგიური დაავადებები მზის ულტრაიისფერი გამოსხივებითაა გამოწვეული.“

მზე ყველასთვის აუცილებელია, მაგრამ მისი გამოსხივების სიჭარბე საშიში და სასიკვდილოც კია, — განაცხადა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და გარემოს დაცვის დეპარტამენტის დირექტორმა მარია ნეირამ. — საბედნიეროდ, ულტრაიისფერი გამოსხივების ზემოქმედებით გამოწვეული დაავადებები, კერძოდ, ავთვისებიანი მელანომები კანის სხვა სიმსივნეები და კატარაქტა, ადვილად შეიძლება ავიცილოთ თავიდან თავდაცვის მარტივი ზომების გამოყენებით“.

ასეთი ზომების შესახებ ინფორმაციას ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია თავადვე გვანდის და რეკომენდაციას იძლევა, შევზღუდოთ მზეზე ყოფნა შუადღის საათებში, მზის სხივების ზემოქმედებისგან თავდასაცავად გამოვიყენოთ ფართოფარფლებიანი ქუდი, მზის სათვალე, მზისგან დამცავი კრემები, რომლის დაცვის ფაქტორი 15-ზე მეტია, შევეფაროთ ჩრდილს. მზისგან დამცავი კრემი იმისთვის კი არ უნდა წავისვავთ, რომ მზეზე მეტი დრო გავატაროთ, არამედ იმისთვის, რომ დავიცვათ კანი მაშინ, როცა მზის სხივების ზემოქმედების თავიდან აცილება შეუძლებელია.

დილა პირსახოცით

ყოველდღიურად, დილის ვარჯიშის შემდეგ მთელი სხეული დაიზილეთ უხეში პირსახოცით, რომელიც უნდა დაასველოთ წინასწარ მომზადებულ ხსნარში: 1 ლ წყალი, 1 ჩ/კ ქმარი და 1 ს/კ მარილი. პირსახოცი ხშირ-ხშირად ასველეთ ხსნარში.

სხეულის დაზევა საჭიროა ძლიერი მოძრაობებით შემდეგი თანმიმდევრობით: ფეხები (თითებიდან დაწყებული), თეოები, მუცელი, ზურგი, მხრები, კისერი, გულმკერდი.

გულმკერდის დაზევისას სიფრთხილეთ საჭირო: დაზევის ინწყობი ილღიებიდან და შემდეგ გადადიხართ ნეკნებისაკენ — მკერდის ქვეშ, შემდეგ ისევ ზევით და ილღიებისაკენ.

ეს პროცედურა ამაგრებს კანს, ამკრივებს მას და აუმჯობესებს თვითშეგრძნებას. პროცედურის შემდეგ კანი თითქოს გენვით, მაგრამ ამასთანავე მთელ სხეულში სიმსუბუქისა და სიჯანსაღის შეგრძნება გუფულებათ.

გაუგადარი ქალები და ბავშვები

ამ დღეებში ეკრანებზე გამოვიდა კომედიები: აივან რეიტმანის „ჩემი სუპერგოგონა“ და რუსლან ბალტცერის „გაუმადლარი“, მარკ ნეველდინისა და ბრაიან ტვილორის ბოვეიკი „ადრენალინი“ და კოლექტიური ნაშრომი — „უხილავი ბავშვები“. ჟურნალისტებმა ამ ფილმებში სექსთა ურთიერთობის, აღზრდისა და ნეოთიერებათა ცვლის პრობლემები დაინახეს.

MY SUPER EX-GIRLFRIEND

ჟანრი: სექსუალური კვიცილი
რეჟისორი: აივან რეიტმანი
როლვაზი: უმა თურმანი, ლუკ უილსონი, ანა ფერისი
აშშ. 2006 წელი

ჯენი ჯონსონი (უმა თურმანი) — შავ ლაბდაში გახვეული სუპერგოგონა ზებ-გერიით სიჩქარით მიქრის, არამზადებს ფესსაცმლის 4-დუმიანი ქუსლებით სრესს, მანქანებს აქეთ-იქით მიმოფანტავს და სამყაროს გადაარჩენს... ყოველდღიურ ცხოვრებაში ჯენი გაჩხინკული, საოცრად მარტოსული, სათვალისანი გოგონაა. ამიტომ, როდესაც მეტროში შუახნის, დონდლო ტიპი (ლუკ უილსონი) გაეარშიყება, გოგონა ათიოდ წამს ინახება, შემდეგ კი პაემანზე მისვლაზე თანხმდება. პირველ პაემანზე მეთს ჰპირდება, რომ მასთან დაწვება, მეორე შეხვედრაზე მიცემულ პირობას პირნათლად ასრულებს, მესამე პაემანზე ჭეშმარიტ სახეს ამჟღავნებს და სატრფოს თავბრუდამხვევი სექსით აჯილდოებს.

აი, მეთი კი მოისუსტებს. მას მხოლოდ მსუბუქი ფლირტის გაბმა სურდა, თანაც უბრალო, მინიერი კოლეგა ჰანა (ანა ფერისი), ჯენიზე მეტად მოსწონს. მეთი ჯენის შეტევას ვერ უძლებს და თავიდან იშორებს მას. აქ კი, როგორც ბოვეიკებში ამბობენ, „ბიგ მისთეიკი“ იწყება, რადგან, სუპერგოგონას მრისხანება მისავე სექსზე თავზარდამცემია. My Super Ex-Girlfriend სუპერგმირებზე შექმნილი ბოვეი-

კი სულაც არ არის. ფილმი არც რომანტიკული კომედიის ჟანრს მიეკუთვნება. ეს სურათი გამარჯვებულ ფემინიზმზე შექმნილი სატირა გახლავთ, იმ ფემინიზმზე — სადაც მამაკაცებმა მუტაცია განიცადეს და ადამიანური სახე დაკარგეს. მათ აღარაფერი შეუძლიათ და ყველაფრის ეშინიათ. მათ სამსახურიდან იოლად აძევებენ, ამ მამაკაცებმა არც ქალის კოცნა იციან და არც ტაქსის გაჩერება. მათთვის „საკუთარი თავის ორალური გზით დაკმაყოფილების უნარი“ გახლავთ ერთადერთი სუპერთვისება.

მოტმასნილ სვიტერებში გამოწყობილი ორმეტრიანი ქერა ქალების საზოგადოებაში ყოფნა, რა თქმა უნდა, უფრო სასიამოვნოა, ვიდრე ჩვეულებრივი ქალბატონების გარემოცვაში ყოფნა. ასეთი ქალები მამაკაცთა გარეშე არსებობასაც



მანც არსებობს, რომელიც მსგავს ქალებს შეაჩერებს? შემაკავებელი ფაქტორი, რა თქმა უნდა, უნდა არსებობდეს, მაგრამ ის

აივან რეიტმანზე ძლიერი უნდა იყოს, რადგან სურათის მთავარი პრობლემა სწორედ რომ გაუბედაობაა. რეიტმანმა ფილმში ყველა ჟანრის გამოყენება სცადა, მაგრამ ფეხი ვერსად მოიკიდა. სოციალური სატირისათვის სურათი არასაკმარისად გესლიანია, რომანტიკული კომედიისათვის კი — არასაკმარისად კეთილი. ბოვეიკისათვის — ზედმეტად ჭკვიანური და სპეცეფექტებისადმი გულგრილი. ამიტომ კინომანები ამ სურათს „სუპერმენსა“ და სხვა უაზრო კომიქსებს ადარებენ და ამ შედარების შედეგად გამოტანილი დასკვნები, My Super Ex-Girlfriend-ის სასარგებლოდ სულაც არ მეთყველებს.

რეჟისორი და უმა თურმანი გადასალბ მოედანზე




მალე ისწავლიან, მაგრამ იქნებ არ ღირს? — გაუბედავად კითხულობს რეჟისორი აივან რეიტმანი, — იქნებ, ერთი ფაქტორი



ჯენიფერ ლოპესის ჯებჯებთმით აქსერნული თცნება

პრესაში რეგულარულად ქვეყნდება ცნობები ჯენიფერ ლოპესის ორსულობის შესახებ. ამ საკითხისადმი პრესის ინტერესი საფუძველს მოკლებული არ არის, რადგან მომღერალი და მსახიობი დიდი ხანია შვილის გაჩენაზე ოცნებობს, მაგრამ ჯერჯერობით მისი ოცნება, ოცნებადვე რჩება. ჯენიფერ ლოპესმა თავად აღიარა, რომ ის და მარკ ენტონი რამდენიმე თვეა



ბავშვის ჩასახვას ცდილობენ, მაგრამ სამწუხაროდ, ამ მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია. რამდენიმე ხნის წინ, ერთერთი ამერიკული რადიოსადგურის ეთერში, ახალგაზრდა მომღერალმა ჯესი მაკარტნიმ განაცხადა, რომ ორსულობის გამო, ჯენიფერმა ფილმ „დალასში“ მონაწილეობაზე უარი განაცხადა. მსახიობის წარმომადგენელმა ეს ქორი ოფიციალურად უარყო. თავად მაკარტნიმ საკუთარი სიტყვები სასწრაფოდ უკან წაიღო და ჯენიფერს ბოდიში მოუხადა. ამ დღეებში თავად ჯესი ლომ Sky News-ის კორესპონდენტს განუცხადა, რომ მისი ორსულობის შესახებ მითქმა-მოთქმა უსაფუძვლოა. ჯენიფერი ფილმ „დალასის“ თემასაც შეეხო. „ტრავოლტამ, რომელიც სურათში მთავარ როლს თამაშობს, მკითხა, მსურს თუ არა სიუ ელენის როლის შესრულება. მე ვუპასუხე, რომ დავფიქრდები. ჯერჯერობით გადაწყვეტილება არ მიმიღია. სიუ ელენი ტეხასის სილამაზის დედოფალი იყო, ასე რომ, ეს როლი შემეფერება!“ ორსულობას რაც შეეხება, ერთი რამ ნათელია: ნანატრ შვილს ჯენიფერი ჯერჯერობით ვერ გააჩენს.

ჯენ ტრავოლტა მეგობარ მამაკაცს კტენის

პოპულარული ამერიკელი ვარსკვლავის ჯონ ტრავოლტას გარშემო სკანდალი აგორდა. ამის მიზეზი ჟურნალ National Enquirer-ში გამოქვეყნებული ფოტოსურათებია, რომლებიც ინტერნეტის ქსელით სწრაფად გავრცელდა. ფოტოებზე აღბეჭდილია, თუ როგორ კოცნის პერსონალური თვითმფრინავის ტრაპზე მდგომი ჯონი მის მეგობარ მამაკაცს (ონტარიოს შტატი. ჰამილტონი). მიუხედავად იმისა, რომ ტრავოლტა მსახიობ კელი პრესტონზე დაქორწინებული, მისი მამაკაცებით გატაცების შესახებ ქორები დიდი ხნის წინათ გავრცელდა. მსახიობის ბისექსუალურობის შესახებ მითქმა-მოთქმა მას შემდეგ გაძლიერდა, როდესაც ცნობილი გახდა, რომ ტრავოლტა ტრანსვესტიტების შესახებ შექმნილ ბროდვეის ცნობილი მიუზიკლის — „თმის ლაქი“ კინოვერსიაში მთავარ როლს ითამაშებს. ახალ ფილმში ჯონ ტრავოლტა და კრისტოფერ უოკენი ცოლ-ქმარს განასახიერებენ. მათთან ერთად სურათში მონაწილეობენ: მიუელ სტივენსი, კუინ ლატიფა, ამანდა ბაინსი და ნიკი ბლონსკი. ტრავოლტას გმირი ხანდაზმული დიასახლისი ედნა ტერნბლატია. მისი ქალიშვილი პატივმოყვარე მოზარდი გოგონა ტრეისი სატელევიზიო შოუში ცეკვაზე ოცნებობს. მიუზიკლი „თმის ლაქი“, თავის მხრივ, 1988 წელს გადაღებული



საკულტო ფილმის მიხედვით შეიქმნა, რომლის ორიგინალური სცენარი გეი რეჟისორის ჯონ უოტერსის კალამს ეკუთვნის. აღსანიშნავია, რომ „თმის ლაქის“ ეკრანული და სცენური ვარიანტები ტრანსვესტიტებმა იმთავითვე საკულტო ნაწარმოებებად აღიარეს.

ანჯელინა ჯოლის მამამ თავი შვიტცხვინა



ანჯელინა ჯოლის მამა, ჯონ ვოიტი სახელოვან ქალიშვილთან და შვილიშვილებთან ურთიერთობის აღდგენის იმედს არ კარგავს. ანჯელინასადმი მორიგი მიმართვის დროს, ხანში შესულმა ვოიტმა თავი შვიტცხვინა. „ოსკაროსანი“ მსახიობი ბრიტანეთის კინოსა და ტელევიზიის აკადემიის ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა. ჟურნალისტებთან საუბრისას ვოიტმა შვილიშვილის, ანჯელინა ჯოლის შვილობილი მედოკსისთვის დაბადების დღის მილოცვა განიზრახა. „ამ დღეებში მედოკსს 5 წელი შეუსრულდა. გილოცავ მედოკს! შენ უკვე დიდი ბიჭი ხარ. მიყვარხარ!“ ჯონ ვოიტს თავი მაშინ მოეჭრა, როდესაც ანჯელინას მეორე შვილობილის ზახარის სახელი ვერ გაიხსენა და გა-

ნაცხადა: „შენც მიყვარხარ ... ეეე... შაკირა.. შაკირას... შაკირამ...“ მზრუნველი ბაბუის შერცხვენა მაშინ გაგრძელდა, როდესაც ჟურნალისტებთან დააზუსტა: „შაკირა თუ შახირა?“ მსახიობს შვილიშვილის სახელის სწორი ვარიანტი უკარნახეს, მაგრამ მან დაჟინებით გააგრძელა: „შახარა! შახარა!“ მკითხველს შევახსენებთ, რომ ანჯელინა ჯოლიმ მშობელ მამასთან ურთიერთობა რამდენიმე წლის წინ, მას შემდეგ განწყვიტა, რაც ვოიტმა პრესას გული გადაუშალა და შვილის მძიმე ხასიათის შესახებ შესჩივლა. მზრუნველი ბაბუის სახალხო მილოცვა და სამარცხვინო გულმამაცივება მამა-შვილის ისედაც ცუდ ურთიერთობას ალბათ კიდევ უფრო მეტად დაამძიმებს...

„მედიანი“ მავშტმა: სკოლის ნაცულად — მსთულით ტუქნომი

გაი რიჩი და მადონა ბავშვთა აღზრდასთან დაკავშირებულ საკითხებზე სულ უფრო ხშირად დაობენ. დედების უმრავლესობა სასწავლო წლის დაწყებას მოუთმენლად ელის, რადგან ეს მათთვის დიდი ხნის ნანატრ დასვენებას და ზაფხულის არდადეგებით გამოწვეული ალიაქოთის დასრულებას მოასწავებს, მაგრამ 48 წლის მადონა ჩვეულებრივი დედა არ არის! ის ამბავი, რომ შვილები ზაფხულში სულ მასთან ერთად იყვნენ, მომღერალს იმდენად მოეწონა, ახლა მათთან განშორება მსოფლიო ტურნეს გამოცალარ სურს. 9 წლის ლურდესს და 5 წლის როკოს ეს ამბავი ახარებთ კიდევ, მაგრამ ოჯახის მამა სხვაგვარად ფიქრობს: იმისათვის, რომ ნორმალურად ისწავლონ, ბავშვები ერთ ადგილზე უნდა ცხოვრობდნენ! გაის სულ უფრო და უფრო მეტად აღიზიანებს ის ფაქტი, რომ მადონას მსოფლიო ტურნეს გამო (რომელიც მხოლოდ ოქტომბერში დასრულდება), ლურდესი და როკო ორ კვირაში ერთხელ საცხოვრებელ ადგილს იცვლიან. ვარსკვლავური წყვილის მეგობარმა ინგლისელ ჟურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა: „მადონას მოსწონს, როდესაც

შვილები მასთან ერთად მოგზაურობენ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ იშვიათად შეხვდებოდა. ლურდესი და როკო მონაცვლეობით — ლონდონისა და ლოს-ანჯელესის სკოლაში სწავლობენ, რადგან მათი მშობლები მუდამ ამ ორ ქალაქს შორის მიმოდიან. ბოლო ორი კვირის განმავლობაში, მადონას შვილები ნიუ-იორკსა და მაიამიში უკვე იყვნენ, ახლა კი რუსეთშიც წაიყვანა, რადგან ფიქრობს, რომ ბავშვები დედასთან ერთად უნდა იყვნენ, ტრადიციონალისტი გაი კი წინააღმდეგია, ის კატეგორიულად მოითხოვს, რომ ბავშვები მუდმივად ერთ ადგილზე ცხოვრობდნენ და მხოლოდ ერთ სკოლაში ისწავლონ. აღზრდის საკითხებისადმი ცოლ-ქმრის განსხვავებული პოზიცია, მათ ოჯახურ ცხოვრებას უამრავ პრობლემას უქმნის, რასაც კიდევ უფრო ამწვავებენ არამკითხველ მეგობრები და ნათესავები, რომლებიც ამ დისკუსიაში ერევიან და აღზრდის საკითხებზე საკუთარ აზრს გამოთქვამენ.

გაი რიჩისა და მადონას ოჯახური



უთანხმოების შესახებ საზოგადოებამ ჯერ კიდევ წლის დასაწყისში შეიტყო, როდესაც მადონამ ხმამაღლა აღიარა, რომ ის ცუდი დედაა, მისმა მეუღლემ კი ჟურნალისტებს შესჩივლა იმის გამო, რომ მადონა ძალზე ბევრს მოგზაურობს.

ლაიზა მინელი ყბთილ ქმარს მის მტრამულაში აღანამაქლუმს



მომღერალმა ლაიზა მინელიმ ნიუ-იორკის სასამართლოში სარჩელი შეიტანა და ყოფილ ქმარს მედიკამენტებით მის მოწამვლაში დასდო ბრალი. თავის მხრივ, ექსპერტულე პროდიუსერი დევიდ გესტი 2003 წლიდან ცდილობს, რომ სასამართლოს მეშვეობით ლაიზას 10 მლნ დოლარი წაპგლიჯოს. გესტი ლაიზა მინელის მეოთხე ქმარია. მათი ქორწინება 16 თვის მანძილზე გრძელდებოდა და სკანდალით დასრულდა. ქმარმა მეუღლის წინააღმ-

დეგ სამოქალაქო სარჩელი შეიტანა და მორალური ზარალის ანაზღაურება მოითხოვა. გესტი ლაიზას ფიზიკურ ძალადობასა და მორალურ დამცირებაში ადანაშაულებდა, მომღერალი კი ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს და ირწმუნება, რომ გესტი „მისი ემოციებით მანიპულირებდა“, წაძლების მიღებას აიძულებდა, რის გამოც მის სიცოცხლეს „მუდმივად საფრთხე ემუქრებოდა“. საქმის „გესტი — მინელის წინააღმდეგ“ ბოლო მოსმენა 2005 წელს

შედგა. მაშინ, მოსამართლემ მხოლოდ ის შეძლო, რომ გესტს ურჩია, „წუნუნისათვის თავი დაენებებინა“. საქმის მომდევნო მოსმენა 2006 წლისთვის გადაიდო. ნიუ-იორკის სასამართლოები მუდამ ცდილობენ, ქორწინების პერიოდში მიღებული შემოსავლები განქორწინებულ წყვილს შორის თანაბრად გადანაწილდეს, მაგრამ საქმე ის არის, რომ მათი თექვსმეტთვიანი ქორწინების პერიოდში, მინელის და გესტს ფაქტობრივად არ უმუშავიათ. ამიტომ, სავარაუდოა, რომ ამ სარჩელით გესტს იმ თანხის გაზრდა სურს, რომელსაც ის პროცესის დასრულების შემდგომ მიიღებს.

ნდობის ტელეფონი ფსიქოლოგიური ხონსულტაციები

☎ 822 006 005
822 006 099
822-425-544
SMS 1474

წარი ფახაიხია, 18 წლიდან
დაკავშირება შესაძლებელია ტელეფონ-გარანტიითაც



ემა ტუხიაშვილი

სტალინის სახლ-მუზეუმში მისულს, პირველი, რაც თვალში მომხვდა, სომეხი ტურისტების სიმრავლე იყო. ისე გაფაციცებით იღებდნენ ყველაფერს ვიდეოფირზე, ვიფიქრე: სტალინის წარმომავლობაშიც სომეხურ გენს ხომ არ ეძებენ-მეთქი?.. მუზეუმის სალაროში, 3 ლარად ღირებული ბილეთი შევიძინე და ქართულად მოსაუბრე გიდი მოვიტხოვე. ქალბატონს, რომელსაც ციცილო ერქვა, ვუთხარი, რომ ჟურნალისტი ვარ და მისი მონათხრობის მიხედვით, საჟურნალო წერილის მომზადება მსურდა. აი, აქ დაინყო, რაც დაინყო... საქმეში პატარა გორის მთელი ბიუროკრატია ჩაერთო. ქალბატონმა ციცილომ ჯერ მუზეუმის ადმინისტრაციის რიგით თანამშრომელს უხმო, იმან ადმინისტრაციის უფროსთან გამგზავნა, რომელმაც მუზეუმის დირექტორს, ბატონ გელას დაურეკა და ყველამ ერთხმად სალაროსთან გამოკრულ პრეესკურანტზე მიმითითა.

მხოლოდ მაშინ აღმოვაჩინე, თუ რაოდენ დიდი პრივილეგიით ვსარგებლობდი სომეხ ტურისტებთან შედარებით, რომლებსაც პრეესკურანტის თანახმად, ბილეთში 10 ლარი ჰქონდათ გადახდილი.

„რატომ არის ბილეთის ფასი განსხვავებული ქართველი და უცხოელი დამთვალიერებლებისთვის?“ — „ჩვენს ქვეყანაში კაპიტალისტური რეჟიმი იმკვიდრებს ადგილს, ამიტომაც, ვისაც მეტი ფული აქვს, შესაბამისად, მეტიც უნდა გადაიხადოს“, — ასეთი მარტივი ლოგიკით სცადა მუზეუმის ერთ-ერთმა თანამშრომელმა ბილეთის დიფერენცირებული ღირებულების გამართლება.

ამის შემდეგ, პრეესკურანტის გრძელი სია იტყობინებოდა, რომ თუ მუზეუმში ფოტო ან ვიდეოგადაღება გსურთ, საკმაოდ სოლიდური თანხა უნდა გაიღოთ, მაგრამ არაფერი იყო ნათქვამი აუდიოჩანაწერზე, რომელიც მე უნდა მენარჩუნებინა...

„ჰო-ო, ეგ კი გამოგვრჩენია“... — შეფიქრიანდნენ მუზეუმის თანამშრომლები და დახმარებისთვის, ისევ მუზეუმის

„პატარა გორი დიდა...“ — ასე ადიდებენ გორელები საბჭოთა ბელადის აღმზრდელ ქალაქს და სიამაყით აღნიშნავენ, რომ სტალინი მათი მიწა-წყლის შვილი იყო. თუ გორში სტუმრობა მოგიხდათ, იქაურები აუცილებლად გირჩევენ, იოსებ ჯულაშვილის — იმავე სოსელოს სახლ-მუზეუმი მოინახულოთ და იმდენ სასოტბო ამბავს გაამბობენ, რომ საბჭოთა იმპერიის დიქტატორი ნამდვილ ანგელოზად მოგეჩვენებათ. ასეა თუ ისე, სტალინის სახლ-მუზეუმი დღესაც ბევრ დამთვალიერებელს იზიდავს, მათ შორის, უცხოელ ტურისტებსაც. სხვადასხვა დროს კი, აქ ისეთ ცნობილ ადამიანებსაც დაუდგამთ ფეხი, როგორებიც იყვნენ: ინდოეთის პრემიერ-მინისტრი — ინდირა განდი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი — ხო ში მინი, პირველი კოსმონავტი ქალი — ვალენტინა ტერეშკოვა, იტალიელი კინოვარსკვლავი — მარჩელო მასტროიანი და მრავალი სხვა...

ზიზნესი ასევე ზელაღის სახლ-მუზეუმში ანუ როგორ „გაუთხარინა“ გორელები პრეესკურანტის დღეობას სტალინით, ვიეტნამის პრეზიდენტს კი — ჩინით

დირექტორს მიმართეს. მას ბევრი არ უფიქრია — ფოტოგადაღებისა და აუდიოჩანაწერისთვის 60 ლარი მომთხოვა და თანამშრომლებს ამ ახალი ტარიფის პრეესკურანტში შეტანა დაავალა. მუზეუმის თანამშრომლებს დელიკატურად ავუსხენი, რომ ჩვენი გამოცემისთვის ასეთი პირობა მიუღებელი იყო და რომ თბილისში არსებულ არც ერთ მუზეუმში უფრანკოსტს მუშაობისას მსგავსი დაბრკოლებები არ ხვდება. მოკლედ, სანამ გორელები სტალინს „ოქროს თუმბინანებზე“ ყიდიან, მუზეუმიც დავათვალიერე და ხალხში ისეთი ცნობებიც შევაგროვე, რომლებსაც არც მუზეუმში მოგიყვებიან და ვერც წიგნებში ამოიკითხავთ...

1937 წელს, ქალაქ გორში, ყოფილ რუსუბანში გაიხსნა რესტავრირებული სახლი, რომლის მემორიალური დაფა იუნესკოდა, რომ ამ სახლში, 1879 წლის 21 დეკემბერს დაიბადა და 1883 წლამდე ბავშვობა გაატარა იოსებ სტალინმა. კირქვით ნაგებ სახლში სტალინის მამას, ბესარიონ ჯულაშვილს ერთი ოთახი ჰქონია ნაქირავები. მართალია, გორელების გადმოცემით, ჯულაშვილების ოჯახი ხშირად იცვლიდა ბინას, მაგრამ კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სამუზეუმო ექსპოზიციის მოწყობა სწორედ ამ სახლში გადაწყვიტა. ოთახში, სადაც სტალინი დაიბადა, მისი დედის — ეკატერინე გელაძის ნაქონი რამდენიმე ნივთია შემორჩენილი, მათ შორის — ხის ტახტი, სკივრი, სამოვარი, ძველი ხისჩარჩოიანი სარკე და გრაფინი წიქით. გორელების მონათხრობით, ჯულაშვილების ოჯახი უკიდურესად გაჭირვებულად ცხოვრობდა. სოსოს გარდა, მათ კიდევ 2 შვილი ჰყოლიათ, მაგრამ ორივე, ბატონებით გარდაცვლილა. სტალინის დედას — კეკეს უნდოდა, რომ მის ერთადერთ გადარჩენილ შვილს სასულიერო განათლება მიეღო, ხოლო მისი მულები, მენაღე ბესარიონი დაჟინებით მოითხოვდა, რომ სოსოს „სამოყინება“ შეესწავლა. ამის გამო ოჯახში ხშირად, უსიამოვნებაც ხდებოდა. ბოლოს, ბესა-

რიონი იძულებული გახდა, საცხოვრებლად თბილისში წასულიყო. აი, რა მიამბო გორელმა სანდრო პაპამ, რომელმაც ბევრი რამ სტალინის შესახებ თავისი მამისგან იცის.

სანდრო ოძროპირიძე:

— ბესარიონ ჯულაშვილი სრულ მარტოობაში, მძიმე ავადმყოფი გარდაიცვალა „მიხაილის“ საავადმყოფოში და თბილისში, კუკიის სასაფლაოზე დაკრძალეს. კეკემ თავისი გაიტანა და პატარა სოსო გორის სასულიერო სასწავლებელში მიაბარა. ეს შენობა გორში დღესაც არის შემორჩენილი და ახლა იქ მუსიკალური სკოლა ფუნქციონირებს. პატარა სოსოს თავისი ნიჭიერებით განუცვიფრებია სასწავლებლის პედაგოგები და ბიჭი, რომელმაც კარგად იცოდა წერა-კითხვა, პირველი კლასის მაგისტრად, პირდაპირ მეორეში ჩაურთისხავთ. ხმაც კარგი ჰქონია თურმე სოსოს და სასულიერო სასწავლებლის გუნდში, ქართულ ხალხურ სიმღერებსა და საგლობლებს მღეროდა... მამაჩემი მიაბობდა, რომ სტალინს „პირველის პირველი“ ხმა ჰქონდა, რასაც პროფესიონალურ ენაზე დისკანტი ჰქვია. გორში დღესაც არის შემორჩენილი ეგნატაშვილების ძველისძველი სახლი, სადაც სტალინის დედა მოახლედ მუშაობდა. როგორც მამამ მიაბო — სოსელოს დედა იმ ოჯახს პურს უცხოებდა ხოლმე. ვინაიდან კეკე და სოსო მარტო ცხოვრობდნენ, დედას პატარა ბიჭი ხშირად მიჰყავდა ბატონის ოჯახში და მისი წევრებიც დიდ მზრუნველობას იჩენდნენ საწყალი ბიჭის მიმართ. ამბობენ, რომ ერთხელ ეგნატაშვილებს სამთავისელი თავადი ამილახვარი ესტუმრა. სახლის აივანზე მოკუნტრუშე, მოახლის ვაჟი რომ დაუნახავს, წყრომით უკითხავს: ამ ნაბიჭვარს აქ რა უნდაო?! სტალინს ეს სიტყვები მთელი ცხოვრების მანძილზე ახსოვდა და დიდი რეპრესიების დროს, ცოცხლად დაამარხვინა მთელი სამთავისელი ამილახვრები...

— **მეგობრები თუ ჰყავდა გორში სოსელოს?**

— მხოლოდ რამდენიმე ბავშვობის

მეგობარს ენდობოდა. მათ შორის იყო მეთევზე კაცი, გვარად გოდერძიშვილი, მეტსახელად ქალის მელას ეძახდნენ. თავისი საქმის დიდოსტატი იყო და იმ ადგილას უყვარდა თევზის ჭერა, სადაც მტკვარი და ლიხვი ერთვის ერთმანეთს. ამბობენ, რომ სტალინს კრემლში მის მიერ დაჭერილ ცოცხალს უგზავნიდნენ. ავად გამხდარა თურმე ეს კაცი, სტალინს კი შემოუთვლია: ქალის მელას მიერ დაჭერილი ცოცხალი მინდაო. ვინ ეტყოდა ბელადს უარს? გაგზავნეს სხვა მეთევზეები თევზის დასაჭერად, საგანგებოდ მოუხარშეს კიდევ სტალინს ცოცხალი, მას კი, თევზისთვის რომ დაუხედავს, საყვედური უთქვამს: ეს ქალის მელას გამოგზავნილი თევზი არ არისო... როდესაც ცოცხალს ხარშავ, ფაქტობრივად, ცოცხალ თევზს ყრი მდულარე წყალში, სადაც ის კუდის მოქნევასლა ახერხებს და კუდი ოდნავ მორკალული რჩება; ის თევზი კი, რომელიც სტალინს მიართვეს, ლარივით სწორი ყოფილა, რაც მისი ეჭვის საფუძვლად ქცეულა.

მატერიალურად არ ეხმარებოდა სტალინი თავის ბავშვობის მეგობრებს?

— მუზეუმში დაცულია სტალინის წერილი, რომლის ადრესატიც მისი ბავშვობის მეგობარი მიშა კიკვინიძეა. ამ წერილის შინაარსი ზეპირად ვიცი და შემოიძლია, სიტყვასიტყვით გადმოგცეთ: „რას იქმ, როგორა ხარ; მე კარგად ვარ. ცოტა რამეს გიგზავნი და კაპანაძე (მისი მეგობარი — მიშა კაპანაძე) გადმოგცემს. შევიტყვე, გაგჭირვებიათ, ჩემი დანაზოგიდან გიგზავნი 2.000 მანეთს. ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს. ეს ჩემი ჰონორარია. საერთოდ, ჰონორარებს არ ვიღებ, მაგრამ ეს განსაკუთრებული შემთხვევაა, შენთვის მჭირდებოდა და ავიღე მაგიტომ. დანარჩენ 3.000-ს მთავრობა გაძღვეს სესხად, რაც აუცილებლად უნდა დააბრუნო. იცოცხლე, შენი ჭირიმე! სოსო. 1945 წელი“.

სტალინის ნაქონი ან მისგან საჩუქრად მიღებული ნივთი თუ აქვს დღეს ვინმეს გორში?


— ვისაც ჰქონდა, ყველამ მუზეუმში მიიტანა, მაგრამ ხრუშჩოვის დროს გაიძარცვა სტალინის სახლ-მუზეუმი და თუ კი რამ ძვირფასი იყო, მოსკოვში წაიღეს. ეს ძირითადად, სტალინისთვის

მიძღვნილი საჩუქრები იყო, თავად კი, ბევრი არაფერი ეზადა. მამაჩემი ამბობდა — როდესაც სტალინი გარდაცვლილა, მხოლოდ მაშინ უნახავთ, რომ ჩუსტის ლანჩი თავისი ხელით ჰქონია დაკრებულში. წინდებსაც თვითონ აკრებდა თურმე... ერთხელ, მომვლელი ქალისთვის უთქვამს — ერთი წყვილი წინდა მაკლიაო. ძალიან გაცრეცილი იყო და გადაყვარეო, — მიუგია მომვლელ ქალს. — ეგ წინდა კიდევ ერთხელ დაკრებდებოდაო! — შემოსწყრომია თურმე სტალინი.

სტალინის მუზეუმის ცენტრალური შენობა, რომელიც არქიტექტორმა არჩილ ქურდიანმა ააშენა, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, 1957 წელს გაიხსნა. სწორედ ამ შენობაშია დაცული მისი რამდენიმე პირადი ნივთი, მათ შორის: თადეუშის მიერ ნაჩუქარი, ფერადი ქვიშისგან დამზადებული სტალინის პორტრეტი, საფერფლე, რომელიც 1937 წელს, ბელადს საარჩევნო ურნასთან ედგა, ფირმა „პელიკანის“ კალამი, რომელსაც პოტსდამის კონფერენციაზე იყენებდა, სიგარუტი „პერცოგი“, სათვალე, რომელიც ჯერ თვითონ იხმარა და შემდეგ, დედას აჩუქა, ფერადი საღებავებით მოხატული ხის ყუთი, რომელიც შვილმა — ვასილმა აჩუქა დაბადების დღეზე, ვერცხლის საპარსი მოწყობილობა... სამუზეუმო ექსპონატებს შორისაა სტალინის სამაგიდო ლამპა, რომელიც მისთვის ჩელიაბინსკის საიდუმლო სატანკო ქარხანაში დაუმზადებიათ. ლამპის სადგამზე მოთავსებულია რადიომიმღები, საფერფლე, პატარა კოლოფი საბუთებისათვის, საათი და ასანთის ჩასადები. იქვეა, პატარა შავ ბორცვზე აღმართული ტანკის — „იოსებ სტალინი“ — ოქროსფერი მაკეტი, რომელიც მუხლუხებით მუსრავს ფაშისტურ, არწივიან სვასტიკას. სტალინის ეს სუვენირი მარშალ ჟუკოვის მოსწონებია, ბელადსაც არ დანანებია და ლამპა ერთგული მარშლისთვის უჩუქებია, მას კი, 24 წლის შემდეგ, ეს რელიკვია გორის მუზეუმისთვის გამოუგზავნია. სტალინის სახლ-მუზეუმის კიდევ ერთი საინტერესო ექსპონატია მატარებლის ვაგონი, რომელიც მანამდე, რუსეთის მეფის — ნიკოლოზ მეორის ძმას, ალექსანდრეს ეკუთვნოდა. ამ ვაგონით ბელადი 1935-დან 1952 წლამდე მგზავრობდა. ბელადისა და მისი თანხლები პირების კუბეების გარდა, ვაგონში არის: სამზა-

რეულო, სააბაზანო, სათათბირო ოთახი, კონდიციონერი და რადიომიმღები. საინტერესოა, ასევე სტალინის კაბინეტის ნახვა, რომელიც აბსოლუტურად იდენტურია მისი კაბინეტისა კრემლში. იქვეა პიანინო, რომელიც ცოტა ხნის წინ ეშერიდან, სტალინის სამთავრობო აგარაკიდან მოიპარეს და საზღვარგარეთ გატანა

სტალინის მუზეუმის ცენტრალური შენობა ბელადის გარდაცვალების შემდეგ, 1957 წელს გაიხსნა



სურდათ... საინტერესოა, ასევე ფოტოსურათი სტალინის პირადი არქივიდან, რომელზეც თავად სტალინი, ბუდიონი, მისი მეუღლე და ორი შვილი არიან აღბეჭდილი. ამ ფოტოზეა კიდევ ერთი პატარა ბიჭი, რომლის ვინაობაც გარკვეული ხნის განმავლობაში არავისთვის იყო ცნობილი. გორელთა თქმით, ის სტალინის შვილობილი, ვინმე ანტონ სერგევი ყოფილა. ეს ამბავი მხოლოდ მუზეუმში მისი სტუმრობის შემდეგ გარკვეულა, როდესაც თავადაც ჩამოუტანია ანალოგიური ფოტო. სერგევი ძალზე ადრე დაობლებულა და სტალინის მასზე მეურვეობა უკისრია. მხოლოდ ერთი რამ სწყენია ანტონ სერგევს: როდესაც გორში სტალინის ძეგლი უნახავს, უთქვამს — ბელადი გახსნილი კიტელითა და შინელით არასდროს დადიოდაო. У нас жарко — უპასუხიათ ენამოსწრებულ გორელებს... საკმაოდ უცნაური სანახავია მუზეუმში მოწყობილი სამგლოვიარო დარბაზი, სადაც ექსპონატებს შორის, სტალინის ნილაბს ნახავთ. ეს ნილაბი ბელადის გარდაცვალებიდან რამდენიმე საათში, მოქანდაკე მოროზოვს დაუმზადებია...

არჩილ ჯავახიშვილი, გორის რაიონის მკვიდრი:

— ჩემი ერთ-ერთი ბიძა — დათიკო ჯავახიშვილი თავგამოდებული რევოლუციონერი და სტალინის თანამებრძოლი გახლდათ. მაშინ, როდესაც მეორე ბიძა — სანო ჯავახიშვილი სოფლის მამასახლისი და ჟანდარმერიის თანამშრომელი იყო. სწორედ ეს გახდა ბიძაშვილებს შორის მტრობის საფუძველი. სანო შესაძლებლობას არ უშვებდა ხელიდან, რომ დათიკოს ადგილსამყოფელი ჟანდარმერიისთვის ეცნობებინა, ის კი, თავისი მოხერხებულობის წყალობით, ყოველთვის ახერხებდა, ხელიდან დასხლტომოდა შავრაზმელებს. ეს მტრობა საშინელი ტრაგედიით დასრულდა — რევოლუციონერი დათიკო სანოს სახლში შეი-



ამ სახლში, 1879 წლის 21 დეკემბერს დაიბადა და 1883 წლამდე ბავშვობა გაატარა იოსებ სტალინმა

ჭრა და მთელი ოჯახი ამოხცა, გარდა აკვანში მწოლიარე პატარა გოგონასი. მოგვიანებით კი, შავრაზმელებთან შეტაკებისას, დათიკო ფეხში დაიჭრა და მონინალმდეგეს ცოცხალი რომ არ ჩავარდნოდა ხელში, შუბლში ტყვია დაიხალა. ამის გამო, სტალინიმა დათიკოს დედას პერსონალური პენსია დაუნიშნა, მეგობარი კი, გმირად შერაცხა.

— როგორც ვცო, გორში, სტალინის სახლ-მუზეუმში ბევრი ცნობილი პიროვნებაა ნამყოფი, ხოლო მათი მასშინძლობა თქვენ გხვდათ წილად—

— გასული საუკუნის 60-იან წლების მიწურულს, სახლ-მუზეუმს ინგლისის დედოფალი — ელისაბედი ესტუმრა. მაშინდელი ცეკსა და უშიშროების 30-კაციანი დელეგაციის გარდა, დედოფალს ვასილ მუჟანაძის მეუღლეც ახლდა. გენარალმა ინაურმა წინასწარ შემომითვალა: ჯავახოს (ასე მეძახდა ინაური) უთხარით, საპატიო სტუმარს რიგიანად დახვდესო. მოკლედ, სახლ-მუზეუმის დათვალიერების შემდეგ გადაწყდა, დედოფალი სოფელ ვარიანში, საგანგებოდ აშენებულ კოშკში მიგვეპატიებინა. ისეთი სუფრა გავშალეთ, რომ იტყვიან — ჩიტის რძეც არ აკლდა. სტუმრებმაც მოსვლა არ დააყოვნეს. მახსოვს, ელეგანტურ დედოფალს ფეხზე თეთრი, წვრილქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა. ის-ის იყო, სუფრას უნდა მისხდომოდნენ, რომ ვასილ მუჟანაძის მეუღლე მომიახლოვდა და მთხოვა, საპირფარეშოს ადგილმდებარეობა მიმეთითებინა. მხოლოდ მაშინ გავაცნობიერე, თუ რა გასაჭირში აღმოვჩნდი: საპირფარეშო კოშკიდან ასიოდე მეტრში, ვაშლის ბაღში იდგა, ბალი კი მორწყული იყო... სხვა რა გზა მქონდა? ქალბატონებს ის ადგილი ვუჩვენე და იქაურობას გავერიდე. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ინგლისის დედოფალი მუხლებამდე ტალახში ჩაგვივარდა და ისე გაგვინაწყენდა, რომ სუფრისკენ აღარც გაუხედავს — პირდაპირ მანქანაში ჩაჯდა და მასპინძლებთან ერთად, თბილისისკენ გაემგზავრა. ჩვენ ხელმძღვანელობისგან დიდი საყვედური მივიღეთ, ხოლო დიდებულ სუფრასთან შემთხვევით მოხვედრილი სოფლის გლეხები იმას ლოცავდნენ, ვისაც იმ დღეს ბალის მორწყვა გაახსენდა... სტალინის სახლ-მუზეუმში ასევე, სტუმრად იმყოფებოდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი — ხო ში მინი. პატარა, ჩია კაცი იყო, თხის წვერით. ძალიან უბრალოდ ეცვა — ღია ფერის იარღლის შარვალსა და პერანგში იყო შემოსილი. მასაც დიდებული პურმარული დავახვედრეთ, მის პატივსაცემად ბრინჯის ფლავიც დავამზადებინეთ. სუფრასთან რომ მივიწვიეთ, უარი გვითხრა — პირდაპირ მწვანე მდელიოზე წამოკოტრიალდა და თქვა: თუ შეიძლება, ჩაი მომიტანეთო. მწვადით და ხინკლებით იყო სუფრა დახუნძლული, ჩაი ვის გაახსენდებოდა?! მოკლედ, შავ დღეში ჩაცვივდით, სადღაც ჩაიდან ვიშოვეთ, ვილაცას ჩაის ფერი გამოვართვით, ვილაცას კიდეც — ფინჯანი და ხო ში მინს მდელიოზე ჩაი მაინც მივართვით...

ტრანსვესტიტი არის ადამიანი, რომელსაც მოსწონს და ატარებს საპირისპირო სქესის ტანისამოსს. სტატისტიკის მიხედვით, ყოველი მეშვიდე მამაკაცი ამისკენ მიდრეკილია. მსგავსი უცნაურობები ადამიანებში საუკეთესო შემთხვევაში, გაცილებას ინვესს, უარეს შემთხვევაში — აგრესიას და ტრანსვესტიტები ბევრ უსიამოვნებას აწყდებიან. ისინი, საკუთარი მეგობრებისა და ოჯახის წევრების მხრიდანაც კი, შევიწროებას განიცდიან. ზოგიერთი ადამიანი მიიწენეს, რომ ტრანსვესტიტში და ჰომოსექსუალიზში ერთი და იგივეა, რაც სიმართლეს არ შეეფერება.

„რუშუბიანი“ სასკოლები, სექსი მხოლოდ ქალთან და 43 ზომის ფეხი... ვინ არის ის?



ფეხებისა და მკერდის გაპარსვაც ადრეული ასაკიდან დაიწყო

რომ ოფიციალურად შეიცვალა სქესი და ამიერიდან მარია გონსალესად იწოდებოდა. უფროსმა მისი პატაკი ხმამალა, ოფიცრების გარემოცვაში წაიკითხა. ამის შემდეგ, ბევრმა თანამშრომელმა გონსალესთან ყოველგვარი კონტაქტი განწყვიტა. თვითონ მარიას კი სულაც არ გაჰკვირვებია, რომ ასეთ რეაქციას წააწყდა, რადგან ცოტა ხნით ადრე ის საკუთარმა ცოლმა გამოაგდო შინიდან: მან ველარ აიტანა ის, რომ ქმარი უამრავ ფულს ხარჯავდა ქალის ტანისამოსის შესაძენად...

ერნესტ ჰემინგუეის უმცროსი ვაჟი, გრეგორიც ტრანსვესტიტი გახლდათ. ის რამდენიმე თვის წინ, მაიამის ციხეში გარდაიცვალა. მან ქალის სახელი — გლორია დაირქვა.

ბოლო წლებში, ასე თუ ისე, ჩვენც შევეჩვიეთ გეების, ლესბოსელებისა თუ სხვა სექსუალური უმცირესობების არსებობას. სიმართლე გითხრათ, აქამდე არ მსმენია, რომ თბი-

ლისში ტრანსვესტიტებიც არსებობდნენ, მაგრამ როგორც ჩანს, არც უმაგისობაა. ერთ-ერთი მათგანი თავად დამიკავშირდა ინტერნეტით და ჩემთან დიალოგის სურვილი გამოთქვა. ვინაიდან ქართულად მეტყველება უჭირს, ჩვენ შორის რუსულ ენაზე ასეთი საუბარი გაიმართა:

— გარეგნობით ქართველს არ ჰგავხარ...

— დედიტ რუსი ვარ, მამით — ქართველი. საშა მქვია, მაგრამ არ მიყვარს, როცა ამ სახელს მეძახიან. მე ალა ვარ!

— როგორც გავარკვიე, ტრანსვესტიტი ხარ. მოგწონს, როცა

ბექა ხობივარი

ფილადელფიელი პოლიციის აკადემიის ლექტორი ელადიოს გონსალესი იყო ერთადერთი ადამიანი, რომელმაც ოფიციალურად შეიცვალა სქესი და ამასთან, თანამდებობა და წოდება შეინარჩუნა. ახლა მისი ოფიციალური სახელი მარია გახლავთ. სამართალდამცავი ორგანოების განმარტებით, ეს გახლდათ ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ტრანსვესტიტის უფლებები არ დარღვეულა. ელადიოსი 57 წლისაა. ფილადელფიის პოლიციაში მან 36 წელი იმუშავა. გონსალესი სტუდენტებს საბრძოლო ხელოვნებას ასწავლიდა. რამდენიმე ხნის წინ კი, დაწერა პატაკი იმის შესახებ,



ჩემში თაემოყრილია ქალური საწყისი და მამაკაცური დაბოლოება.

ქალის ტანისამოსს იცვამ... რას განიცდი ამ დროს? თავს ქალად გრძნობ?

— კი, რამდენადაც ეს შესაძლებელია... ისე, ჩვეულებრივი მამაკაცი ვარ, გარეგნულადაც და ქცევითაც, მთელი ცხოვრების მანძილზე ნამდვილ, მამაკაცურ საქმესაც ვემსახურები. მაგრამ ჩემ შიგნით ქალი ცხოვრობს. ხანდახან მინდა მოვეშვა, თავი ქალად — სუსტ არსებად ვიგრძნო. სწორედ ამ დროს, ჩემი შინაგანი სამყაროდან გამოდის ქალი და მინდება „რუსებიანი“ საცვლების, ლამაზი კაბის, კოლპოტების ჩაცმა და სექსი. ფეხი 43 ზომის მაქვს და ძალიან მიჭირს აქ ასეთი დიდი ზომის ქუსლიანი ფეხსაცმლის ყიდვა. ფეხსაცმელი, რომელიც ამ სურათზე მაცვია, გერმანიაში შეკვეთით შევაკერინე. მაშინ კიევში ვცხოვრობდი და ეს ფოტოებიც, 4 წლის წინ, ჩემმა კიეველმა მეგობარმა გოგონამ გადამიღო.

— საინტერესოა, ამბობ — როდესაც ქალის ტანისამოსს იცვამ და თავს ქალად გრძნობ, მაშინ გინდება სექსი. ვისთან? ქალთან თუ მამაკაცთან?

— მე მამაკაცებთან ფიზიკურ კონტაქტს არ ვამყარებ. მხოლოდ ქალები მაინტერესებს.

— ხალხი თუ გრძნობს, რომ ასეთი უცნაური ადამიანი ხარ?

— რა თქმა უნდა, არა. ეს ჩემი საიდუმლოა და მხოლოდ ის გაიგებს, ვისაც ვენდობი.

— მოგწონს, როცა ქალის ტანისამოსში გამოწყობილს, ვინმე გიყურებს?

— კი, მომწონს. მაგრამ ის აუცილებლად უნდა იყოს ქალი ან ისეთივე „ქალი“, როგორც მე ვარ. მომწონს, როდესაც ის მაქვებს, კომპლიმენტებს მეუბნება და ჩემით აღფრთოვანდება.

— შეყვარებული ყოფილხარო ოდესმე?

— კი, ჩემი თანაკლასელი გოგონა მიყვარდა, როდესაც რუსეთში, საფრენოსნო აკადემიაში ვსწავლობდი. მამამისიც მფრინავი გახლდათ და ისინი 9 წლის წინ, ავიაკატასტროფაში დაიღუპნენ.

— თუ გაქვს იმის სურვილი, რომ ქალის ტანისამოსში გამოწყობილმა, ქუჩაში გაიარო?

— კი, მაგრამ ჯერ ამას ვერ მოვახერხებ, რადგან ბევრი რამ მაქვს სასწავლი.

— რას გულისხმობ?

— ქალივით სიარულს, მანერებს, ხელჩანთისა და მალაქუსლიანი ფეხსაცმლის ტარებას, მაკიაჟის გაკეთებას.

— თუ იტანჯები იმის გამო, რომ ორმაგი ცხოვრებით ცხოვრობ?

— არა, არ ვიტანჯები. უბრალოდ, გვერდით მჭირდება ადამიანი — ქალი, მეორე ნახევარი, რომელიც გამიგებს. დიდი სიამოვნებით დავქორწინდებოდი ისეთ ქალზე, რომელიც ჩემ გვერდით დადგებოდა, მხარს ამიბამდა და ჩემი უცნაურობის გაგებისას, გულყრა არ დაემართებოდა...

— წელან მითხარი, რომ მამაკაცურ საქმიანობას ეწევი. თუ საიდუმლო არ არის, მითხარი, რას საქმიანობ?

— ვმუშაობ ერთ-ერთ ავიაკომპანიაში პილოტად, ოფიცერი ვარ! თუ სურვილი გაქვს, შემიძლია, დაგათვალიერებინო თვითმფრინავის კაბინა, ოღონდ, ნამდვილი კი არა — სატრენაჟორო.

— ?

— რატომ გაჩუმდი? ვერ ათავსებ ჩემს პროფესიასა და გატაცებას?

— ვერა, ვერ ვათავსებ...

— სხვათა შორის, ჩემი ჰობი სულაც არ უშლის ხელს ფრენის უსაფრთხოებას.

— დედისერთა ხარ?

— დიახ.

— ხომ არ ნატრობ, რომ გოგოდ დაბადებულიყავი?

— რა თქმა უნდა, ძალიან მინდა, რომ გოგო ვიყო, მაგრამ ამას აღარაფერი ეშველება.

— მეგობარი გოგონა გყავს?

— კი, რა თქმა უნდა. მაგრამ მან არაფერი იცის ჩემი გატაცების შესახებ.

— როდის შენიშნე პირველად, რომ ქალის ტანისამოსის ტარება გიზოდავდა?

— მაშინ უკვე მოზრდილი ბიჭი ვიყავი. დედაჩემს ერთი მომწვანო ფერის სარაფანი ჰქონდა და ძალიან მომწონდა. როცა შინ არ იყო, ჩუმად

ვიცვამდი. შემდეგ, როდესაც დამოუკიდებლად დავიწყე ცხოვრება, უკვე საკუთარი ტანისამოსიც შევიძინე. ფეხებისა და მკერდის გაპარსვაც ადრეული ასაკიდან დავიწყე. ამის გამო, მშობლებსაც კი ვერ ვეჩვენებოდი ტრუსებით...

— მდიდრული გარდერობი გაქვს?

— კი, ბევრი რამ მომეპოვება, თანაც ისეთი, რომ ნებისმიერ ქალს შეშურდებოდა. მაქვს საუკეთესო კოსმეტიკა და კარგი ფეხსაცმლის კოლექცია... ჩემში თავმოყრილია ქალური საწყისი და მამაკაცური დაბოლოება...

როგორც ჩანს, ასეთი მიდრეკილება ბუნების მიერ დადგენილი წესია: რამდენიმე კვირის წინ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბრიტანეთის ერთ-ერთ ქათმების ფერმაში არის ქათამი, რომელსაც სქესი შეეცვალა. პირველი მ თვის განმავლობაში ის ჩვეულებრივი დედალი იყო და კვერცხსაც დებდა, შემდეგ ეს შეწყვიტა და ყვილი დაიწყო. დედლებზეც მამალივით იწვედა, ბიბილოც გაეზარდა... სპეციალისტების აზრით, საქმე გვაქვს ძალზე იშვიათ მოვლენასთან, რომელსაც დაზიანებული საკვერცხე ჯირკვლიდან ტესტოსტერონის გამოყოფა იწვევს. მიუხედავად იმისა, მამალივით მოიქცევა ის დედლებთან თუ არა, ვერასოდეს შეძლებს მათ განაყოფიერებას. ამ მოვლენასთან დაკავშირებით ძველი, ინგლისური გამოონათქვამიც არსებობს: ქალი, რომელიც უსტვენს და დედალი, რომელიც ყვივს, არც ღმერთს უნდა და არც მამაკაცს...



ჩემი შინაგანი სამყაროდან გამოდის ქალი და მინდება „რუსებიანი“ საცვლების, ლამაზი კაბის, კოლპოტების ჩაცმა და სექსი

„ძალიან მიყვარს ჩემი მშობლიური ბორჯომი“

თანამედროვე ქალაქური სიმღერების შემქმნელი, ცნობილი კომპოზიტორი და შემსრულებელი — ნატო გელაშვილი საკურორტო ქალაქ ბორჯომშია დაბადებულ-გაზრდილი. პირველი სიმღერაც ამ ქალაქში დაწერა. თუმცა, პოპულარული დედაქალაქში გახდა. ნატოს ყველა ნამუშევარი დღეს პიტია, დიდი თუ პატარა მის სიმღერებს მღერის. საკმარისია დავასახელოთ: „ჩემო ცისფერთვალეზა“, „ცა ფორუზის ფერია“, „აყვავდება როცა ნუში“... და კიდევ ძალიან ბევრი სიმღერა, რომლებიც უბრალოდ უყვართ და მოწაბ!

— ნატო, ზაფხულმა როგორ ჩაიარა?

— ვიყავი იტალიაში, პოეზიის მსოფლიო ფესტივალზე. ჩემთან ერთად იყო დათო მალრაძე. საელჩოდან მიგვიწვიეს ისეთი ადამიანები, ვის ლექსებზეც სიმღერებია შექმნილი. თავიდან რომ დამირეკეს, გამიკვირდა, მეგონა, როგორც კომპოზიტორს, ისე მეპატიებოდნენ. როცა შევიტყვე, რაშიც იყო საქმე, გამიხარდა. იტალიიდან კმაყოფილი და ნასიამოვნები დავბრუნდი. მერე, მშობლიურ ქალაქს — ბორჯომს ვენვიე. ახლა, ოჯახის წევრებთან ერთად ქობულეთში ვარ.

— ბორჯომი გიყვარს?

— ძალიან.

— მინერალური წყალი — „ბორჯომი“?

— ისიც, ოღონდ ბუნებრივი, თან, ცივი.

— ბორჯომისთვის სიმღერა თუ მიგიძღვნია?

— როგორ არა?! „ჰიმნი ბორჯომს“ დავწერე.

— ამ ზაფხულს რამე ახალი სიმღერა სომ არ შეგიქმნია?

— არა, ამის განწყობილება არ მქონდა. ინსტრუმენტს არც კი მივკარებოვარ. ზაფხულობით მოშვების, მოდუნების პერიოდი მაქვს. შემოდგომაზე, ალბათ მომიწევს რაიმე ახალი სიმღერის დაწერა.

— როგორია შენი მშობლიური ბორჯომი დღეს?

— თითქმის ისეთივეა, როგორც ადრე გახლდათ. უბრალოდ, ცოტათი გალამაზდა. ერთ რაღაცაზე მწყდება გული — პარკში სამკუთხედად გადახურული ვერცხლისფერი ნაგებობა იყო, რომელიც „ბორჯომის“ ეტიკეტზეც არის დატანებული. აი, ის დაან-



გრეს და მის ნაცვლად, სხვა რაღაც ააშენეს. არადა, ჩვენი ქალაქის „საპატიო“ ლოგოსაც-ით იყო.

— როგორ იყო ბორჯომი შენს ბავშვობაში?

— მას უამრავი დამსვენებელი ჰყავდა, ძირითადად, რუსები ჩამოდიოდნენ. ყველგან იყიდებოდა წვენის სანრუბი, ფაიფურის ცხვირიანი ჩიქები. რუს ტურისტებს ამ ჩიქებში „ბორჯომი“ ესხათ, სულ ხელში

ეჭირათ და მინერალურ წყალს წრუპავდნენ. ასევე, მხარზე „ბორჯომით“ საცხე თერმოსი ჰქონდათ გადაკიდებული. ძირითადად, ასაკოვანი ადამიანები იყვნენ... ლალი ბავშვობა მქონდა, თოვლი მოვიდოდა თუ არა, მთელი სკოლა საგუნდოდ ბორჯომის პარკში მივიდიოდი...

— წლის განმავლობაში, ბორჯომში რამდენჯერ ჩადისარ?

— ზაფხულში სმირად, რადგან როგორც კი მთავრდება სკოლა, ჩემი შვილები იქ ბებიასთან მიდიან. ძალიან უყვართ იქაურობა. მათთვის ბორჯომი (თბილისის შემდეგ), მეორე ქალაქია. ზამთარში, იქ ჩასასვლელად შედარებით ნაკლებად ვიცილი.

— რამდენი კილომეტრია თბილისიდან ბორჯომამდე?

— 130, რომელსაც საათ-ნახევარში ვფარავ.

— რა ტრანსპორტით ჩადისარ?

— საკუთარი ავტომანქანით.

— ბორჯომელებს რა გასასიათებთ?

— სტუმართმოყვარეობა. ჩვენი ოჯახიც იმთავითვე უამრავ სტუმარს მასპინძლობდა. ჩემს ბავშვობაში, ჩვენთან სახლში, თბილისის არაერთი კოლორიტი მოსულა — ჩვენს ოჯახთან მეგობრობდნენ. მუდმივად გვექონდა კავშირი თბილისთან და თბილისელებთან. დედაქალაქს ჩვენც სმირად ვესტუმრობდით.

— როდესაც საბოლოოდ, დედაქალაქში დამკვიდრდი, როგორ აღმოჩნდა თბილისი შენი მშობლიური ქალაქის შემდეგ?

— ბედნიერი ვარ, რომ ბორჯომში დავიბადე. იქ რაღაც სხვანაირი, ალალი, სუფთა და უბოროტო ხალხი ცხოვრობს.

— თბილისში რომელი სიმღერით გახდი ცნობილი?

— ეს იყო სიმღერა — „ისევ ღამე, ისევ თოვა“, რომელიც ყველამ აიტაცა.

ჩოგბურთის კორტები, ქართული ელიტა და საპატიო სტუმარი — ლეონიდ აკუტინი



„ჩოგბურთი მარტო სპორტი არ არის, ის ადამიანთა ურთიერთობის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. მეტიც, ის საერთაშორისო ურთიერთობათა კულტურაა“, — აღნიშნა აკუტინისთვის სპეციალურად მოწყობილ პრესკონფერენციაზე შპს „ქართული ჩოგბურთის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ დავით ლანჩავამ. მან ყველას აცნობა, რომ 11-17 და 18-24 სექტემბ-

ერს აღნიშნული კომპანია საკუთარი სპორტული კომპლექსის კორტებზე პროფესიონალ ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირებს ატარებს — „ბორჯომისა“ და „იან ჰომერის“ თასებზე. შეჯიბრებებში სხვადასხვა ქვეყნის 20 და საქართველოს 50-ზე მეტი ჩოგბურთელი მონაწილეობს, ხოლო 14 სექტემბერს „ქართული ჩოგბურთის“ კომპლექსის ოფიციალური გახსნის ცერემონია გაიმართება.

პრეზენტაციის საზეიმო ნაწილზე პასუხისმგებელია კომპანია „არტ ფორუმი“, რომლის ხელმძღვანელია კახა ცისკარიძე, ასე რომ, კახუჩელასა და მის კომპანიას დიდი საზრუნავი გაუჩნ-

და. პრეზენტაციის მუსიკალურ ნაწილზე ფიქრისას, გადამწყვიტეს, მოწვევით ისეთი ვარსკვლავი, როგორიცაა ლეონიდ აკუტინი, თუმცა, არ იცინა — უყვარს თუ არა ლეონიდს ჩოგბურთი. მაგრამ ახლა ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს — მთავარია, რომ ის ქართველებს თბილისში კონცერტის გამართვაზე დათანხმდა, უმაღლესი ხარისხის მომსახურება მოითხოვა და კარგ საღამოსაც დაჰპირდა. ამრიგად, „ქართული ჩოგბურთის“ კომპლექსის საზეიმო გახსნას რუსული ესტრადის ვარსკვლავი დაამშვენებს. 14 სექტემბერს ქართული ელიტა კორტებისკენ აიღებს გეზს.

W r e l i k i T x v e b i

სტეფანე – საშინელი ეგოისტი ვარ...

— ამ ზაფხულს სად იყავი?
 — კვარიათში. კარგი დრო გავატარე, მშვენივრად დავისვენე.
 — ყოველ ზაფხულს ასე მშვენივრად ისვენებ?
 — ძირითადად, ასეა ხოლმე.
 — რაზე გეცინება?
 — სასაცილო ადამიანებზე, ამპარტაუნებზე, ისეთებზე, უსაზღვრო ამბიცია რომ აქვთ...
 — მათ როგორი რეაქცია აქვთ შენს სიცილზე?
 — სიცილს ვერაფერს დამიშლის.
 — რაზე ბრაზდები?
 — იმავე ამბიციურ ადამიანებზე, რადგან მერე ყველაფერი სიბრაზეში გადადის.
 — როგორი არ უნდა იყოს ადამიანი?
 — „ხამი“ არ უნდა იყოს.
 — ასეთები ბევრი არიან?
 — ძალიან.
 — შენ ირგვლივ?
 — ჩემ ირგვლივაც, ოღონდ, ისინი ჩემი ახლობლები არ არიან. საერთოდ, ასეთ ხალხთან ურთიერთობას ვერიდები.
 — რას ეგუები?
 — ზოგიერთი ადამიანის ნატურას, რადგან ასეთია და ვერ შევცვლი. ამასთან, მეც ხომ არ ვარ უნაკლო?!
 — საკუთარ ნაკლად რას მიიჩნევ?
 — ძალიან ამაყი ვარ.
 — ეგოისტი ხარ?
 — საშინელი.
 — მიუხედავად იმისა, რომ „დედისამა“ ხარ?
 — კი, მაგრამ საგვარეულოში ერ-

თადერთი ბიჭი ვარ.
 — გაგათამამებს?
 — ძალიან.
 — ეს რაში გამოიხატება?
 — ჩემს კაპრიზებში.



— ერთ-ერთი შენი კაპრიზი დაასახელებ?
 — კვებასთან დაკავშირებით პრეტენზიული ვარ.
 — რას არ ჭამ?
 — თითქმის არაფერს ვჭამ. ბოლო დროს, 7 კილო დავიკელი და ახლა, 76 კილო ვარ.
 — შენი საყვარელი ფრაზა

რომელია?
 — მე შენ მიყვარხარ!
 — რას ნაიმღერებდი?
 — „აყვავდება როცა ნუში“...
 — ნუში გიყვარს?
 — კი. ნუშიც მიყვარს, ნიგოზიც, თხილც, ჩურჩხელაც და ჩირიც...
 — ამნუთას, რომელ ცხოველს დამისახელებ?
 — ლომს, რადგან ჰოროსკოპით „ლომი“ ვარ.
 — ტიპური ლომი ხარ?
 — ფაქტობრივად.
 — ლომი ნადირთა მეფეა, რაიმეს მეფურს გრძნობ საკუთარ თავში?
 — კომფორტი ნამეტნავად მიყვარს და ალბათ, ჩემი მეფური ბუნება ამაშიც ვლინდება (იცინის).
 — ტელეფონით ლაპარაკი გიყვარს?
 — არა.
 — მიგაჩნია, რომ ეს დროის კარგვაა?
 — არ მიყვარს, რადგან ვიღლები. თუმცა, ბოლო დროს, ტელეფონით ლაპარაკი საკმაოდ დიდხანს მიწევს ხოლმე.
 — დროს რაში კარგავ?
 — არ ვკარგავ. დროს მაქსიმალურად ვიყენებ.
 — დაბოლოს, რას გვეტყვი?
 — ყველამ უნდა აკეთოს თავისი საქმე. ჩვენთან კომპანიაში ასეა — ყველამ იცის თავისი საქმე!
 — რა ფუნქცია გაკისრია კომპანია „არტ ფორუმში“?
 — დამფუძნებელი და ასევე, მისი პროდიუსერი გახლავართ. ■

„რუსთავი 2“-ის რიგები ნელ-ნელა იესება



სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ში დიდი ცვლილებები მოხდა. მოგეხსენებათ, ხელმძღვანელობის შეცვლას ჟურნალისტიკა კორპუსისთვის უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია. უფრო მეტიც — კომპანიიდან წავიდნენ ისეთი ცნობილი სახეები, როგორებიც არიან: ნათია ლაზაშვილი, ნანა ლუჯავა, თენგიზ გოგოტიშვილი, თამუნა ლვინიანიძე და რამდენიმე პროდიუსერი, — ისინი, ვინც წლების განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდნენ აღნიშნულ არსს. მაგრამ კომპანია განაგრძობს მუშაობას და ცდილობს, რომ მისი გადაცემების რეიტინგი არ დაეცეს. ამისთვის ახალი ხელმძღვანელობა „ჩანაცვლებებს“ მიმართავს: მაგალითად, ტელეკომპანია „იმედიდან“, პროგრამა „ქრონიკის“ ნამყვანი დიანა ჯოჯუა გადებირეს, რომელმაც „კურიერში“ ნათია ლაზაშვილის ადგილი დაიკავა. დიანა ინტერვიუსგან ჯერჯერობით თავს იკავებს... ამბობენ, რომ აღნიშნული კომპანიის ჟურნალისტიკა რიგებს, რადიო „ფორტუნის“ საინფორმაციო სამსახურის უფროსი ნათია ბანძელაძეც შეუერთდა. ■

ინტიმური ბელაფონი

822-006-008
 822-006-088
 822-006-108

(ზარი ფასიანია)
 18 წლიდან

კვირის ასტროლოგიური პროგნოზი

(14 - 20 სექტემბერი)

პირი 2103-2004

ამ კვირას, იტულებულები გახდებით ურთიერთობები გაარკვიოთ ბევრ ადამიანთან, მოავგაროთ ძველი, გადაუჭრელი პრობლემები. ამასთან, ფინანსური და ენერგეტიკასთან დაკავშირებული პრობლემები შეგვეჩვენათ. ამიტომ კარგია, თუ შევბუღების ალებას მოახერხებთ და ნაცნობებისგან მოშორებით, მყუდრო ატმოსფეროში დაისვენებთ.

კურო 2104-2005

ამ დღეებში შეეცადეთ, მოთოვით ემოციები და უცნობ ადამიანებს არ ენდოთ. მართალია, ეს პერიოდი საინტერესო მოვლენათა სიმრავლით და რომანტიკული შეხვედრებით დაგამსახვრდებათ, მაგრამ ამან შესაძლებელია, ფინანსური დანაკარგი და თქვენი საქმიანი თვისებების შესუსტება გამოიწვიოს.

ტყვი 2105-2106

თქვენ ფრიად ტრავგიულად აღიქვამთ პატარა უსიამოვნებასაც. დაქვეითებულია თქვენი იმუნიტეტი და იზრდება ავად გახდომის საშიშროება თუმცა, ინტუიცია არ გილაღატებთ. ის გიკარნახებთ რთული პრობლემებისა და საკითხების გადაჭრის სწორ გზებს. მაგრამ მანც, ამ კვირის განმავლობაში უმჯობესია, რომ თავი აარიდოთ აქტიურ კონტაქტებს და რაიმე სასიამოვნო საქმით გაერთოთ.

კიზო 2206-2207

თქვენი კეთილგანწყობილება და ნდობა, შეიძლება ადამიანებმა თქვენს საზიანოდ გამოიყენონ. მოგინვეთ შურის, კონფლიქტებისა და ინტრიგების განეიტრალება, რაც ბევრ დროსა და ძალას წაგართმევთ. ამასთან, ეს რთული პერიოდი თქვენი ჯანმრთელობისთვის. ფრთხილად იმოქმედეთ, რათა სტრესი ან ტრავმა არ მიიღოთ.

ილაღ იმოქმედეთ, რათა სტრესი ან ტრავმა არ მიიღოთ.

ლოზი 2307-2308

ამ პერიოდში, ჯობია მეტი დრო დაუთმოთ საკუთარ ჯანმრთელობას, ჩაიტაროთ გამაჯანსაღებელი პროცედურები, სუნთქვითი ვარჯიშები. ეს მოგვეჩვენათ შეინარჩუნოთ ჩვეული მუშაობის რიტმი და არ გახდეთ საკუთარი უფუნებობის მსხვერპლი. შაბათ-კვირა მეგობრების გარემოცვაში გაატარეთ.

ძალწული 2408-2309

ამ კვირას, თქვენ პარტნიორებზე ამყარებთ იმედებს, მაგრამ ისინი თქვენს დამასურებებს მითვისებენ და საკუთარი გეგმების განხორციელებას დაიწყებენ. ამავე დროს, თქვენ არა გაქვთ სურვილი სხვისი აზრები მოისმინოთ, რაც ასევე შეიძლება უსიამოვნების მიზეზი გახდეს.

სასწორი 2409-2310

ამ დღეებში, შესაძლებელია ამოტივტივდეს ძველი, გადაუჭრელი საკითხები, გაურკვეველი ურთიერთობები და მოუფიქრებელი მოქმედებები. დროა, რომ ყველაფერი მოავგაროთ, რადგან ახალი საქმების წამოწყება არ ღირს. უწყე დღეები ოჯახის წევრებთან ერთად გაატარეთ.

მორილი 2410-2211

თქვენი სასიცოცხლო ძალები შემცირებულია, რამაც შეიძლება თქვენი შეუძლოდ ყოფნა, შინაგანი წინააღმდეგობა, საკუთარი თავითა და ირგვლივ მყოფი ადამიანებით უკმაყოფილება გამოიწვიოს. გასოვდეთ, რომ ნებისმიერი უიღბლობის მიზეზი, უმჯობესია, საკუთარ თავში ეძებოთ. ამიტომ შეეცადეთ, არ გაამძაფროთ სიტუაცია და თავი დაანებოთ დამნაშავეს ძებნას.

გზვილწოსანი 2311-2112

ეს პერიოდი ერთგვარ გამოცდას გინცობთ. ყველა გადანწყვტილება, რომელსაც ახლა მიიღებთ, კარგად უნდა იცოს მოფიქრებული. არავითარ შემთხვევაში არ იფიქროთ სწრაფად გამდინდრებაზე ან კარიერაში სწრაფ აღმასვლაზე შედეგად, გამოცდას კარგი შედეგით ჩააბარებთ.

თინს რაბ 2212-2001

ამ კვირას, აუცილებლად უნდა განსაზღვროთ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო საქმეები. თქვენ გარშემო მყოფი ადამიანები მზად იქნებიან, მხარში ამოგიდგნენ და დაგეხმარონ. ინტრიგები და შური უკანა პლანზე გადავა. თქვენი ენერგიულობა და ორიგინალური იდეები, ახალ ნაცნობებსა და თანამოაზრეებს მოიზიდავს. ეს კი დაგეხმარებათ შეეცვალოთ ცხოვრება და კარიერაში მნიშვნელოვან წარმატებას მიიღწიოთ.

მარწული 2101-1902

ამ პერიოდში, ადრე დაშვებული შეცდომები თავს შეგახსენებთ. დაიმასოვრეთ, ახალი მიზნების მისაღწევად, აუცილებელია ძველის თავიდან მოშორება. თუმცა, პირდაპირობამ და ერთგვარად აგრესიულობამ შეიძლება, კონფლიქტამდე მიგიყვანოთ. ამ დღეებში, უმჯობესია არ წამოიწყოთ ახალი საქმეები, არ დაგეგმოთ მოგზაურობა და საქმიანი შეხვედრები.

თიზწანი 2002-2003

ენერგეტიკული და სულიერი პოტენციალის ზრდასთან ერთად, იგრძნობთ, რომ საზოგადოებას სჭირდება თქვენი ცოდნა და გამოცდილება. თქვენ გულღია, დიპლომატიური და კეთილგანწყობილი ხართ. შეგიძლიათ, საჭირო რჩევა მისცეთ გარშემო მყოფებს. ეს თვისებები კი, პარტნიორებისთვის ფრიად მომხიბვლელია. კარგი პერიოდი ხანგრძლივი, მეგობრული კავშირების დასამყარებლად.

არ გაპოპრჩემთ სექტემბრის ნომერი

ლიტონიასტული კალიბრა

ცეცო

პიონა

- ანა მონილასკი
- ევერანა ააო სეკეაბერი
- ცხსლო მონიასკი
- ირასკო წანკიანს
- მშეილი აერეა
- ნანა ცეცოაშვილი

პირველი მოთხრობა

- ანას გეგაშვილი

პოეზია

- ლა ცერეა
- კოე ანსამიშვილი
- დოო მანასკი

თარგმანი

- ხანა ანანს
- ლევითანა
- გეცეა ჯანსი
- მადამ მთეარი

№ 9 (24), სექტემბერი, 2006

თქვენ სოგ გაპოვნაბიანი
აკითხვალი გრკანდაბით...

ამ მანქანით უკვე ნამდვილად გავფრინდებით...

ეს სავარაუდოდ, 2009 წელს მოხდება — თუ, რასაკვირველია, დაეჯერება ამერიკულ კომპანიას — Terrafugia, რომელმაც ცოტა ხნის წინ გამოაცხადა, რომ დაასრულა მფრინავი ავტომობილის შესაქმნელად საჭირო თეორიული სამუშაოები და ახლა უკვე ამ ფირმის ინჟინრები შეუდგნენ Transition-ად წოდებული სატრანსპორტო საშუალების აგებას.

Terrafugia-ს წარმომადგენლის თქმით, ამ მოდელის შექმნისას მათ ასეთი გზა აირჩიეს: ჯერ მომცრო თვითმფრინავის აგება გადაწყვიტეს, ხოლო შემდგომ — მისი ავტომანქანად გადაქცევა. როგორც გაირკვა, საამისოდ არაფერი განსაკუთრებული საჭირო არ ყოფილა — საკმარისი იყო, რომ ფრთები დასაკეცი ყოფილიყო, ხოლო წინა ბორბლები — მართვადი. გარდა ამისა, ინჟინრებს ძრავას სიმძლავრის განაწილების სისტემა უნდა შეემუშავებინათ (ის სხვათა შორის,



100 ცხ.ძ-ს შეადგენს): ფრენის დროს, მთელი ენერჯია ხრახნზე უნდა იყოს მიმართული, ხოლო ასფალტზე მოძრაობისას მანქანას უკვე წინა ბორბლები უნდა ამოძრავებდეს.

ამ ტრანსფორმერის შემქმნელები ირწმუნებიან, რომ მანქანა-თვითმფრინავი სტანდარტულ ავტოფარეხში დაეტევა,

სადაც ჩვეულებრივ ჯიპებს აყენებენ. ამრიგად, მის მფლობელებს აეროპორტში სპეციალური ადგილის დაქირავება არ მოუწევთ. რაც შეეხება მის ფასს, — ის არცთუ ისე ფანტასტიკურია: კომპანიის მესვეურთა თქმით, Transition 148 ათასი დოლარი ეღირება. ■



Audi Q7-ს მსოფლიოში უმძლავრესი „დიზელი“ ექნება

კომპანია „აუდი“ პარიზის ავტოსალონზე მსოფლიოში უმძლავრესი დიზელისძრავიანი ყველაგანმავლის წარმოდგენას აპირებს. Q7, 6,0 ლ სამუშაო მოცულობის, V12 ტიპის აგრეგატითაა აღჭურვილი და 500 ცხ.ძ. სიმძლავრეს ავითარებს. აქამდე, ყველაზე მძლავრი დიზელის ძრავათი (5,0 ლ სამუშაო მოცულობის V10, 313 ცხ.ძ.) Volkswagen იყო აღჭურვილი.

დიდი სიმძლავრის გარდა, ახალი „აუდის“ აგრეგატი იშვიათი ეკონომიურობითაც გამოირჩევა და ატმოსფეროში ამოფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სიმცირითაც: ის ზუსტად შეესაბამება Euro-5 სისტემის ეკოლოგიურ ნორმებს, რომლებიც ევროპაში 2010 წელს შევა ძალაში. ■

სპორტული კუპე „მერსედესისგან“

კომპანიის — Mercedes-Benz — ხელმძღვანელობა გადაწყვიტა, არ ჩამორჩეს თავის მთავარ კონკურენტებს და რამდენიმე წლის შემდეგ, მძლავრი ძრავას მქონე ნამდვილი სპორტული კუპე გამოუშვას. ახალი ავტომობილი კონკურენტის გაუწევს ისეთ მანქანებს, როგორცაა: Audi R8 (ის სარეალიზაციო ქსელებში უკვე გაისად გამოჩნდება), ახალი თაობის BMW Z8 (2008 წლის დამლევსთვის ჩამოვა კონვეიერდან) და, რაღა თქმა უნდა, Porsche 911.

გამორიცხული არ არის, რომ ახალ მოდელს უბრალოდ, Mercedes-Benz AMG დაარქვან: მას სწორედ ცნობილი სატიუნინგო ფირმა AMG-ის სპეციალისტები



ააგებენ, რომლებსაც სწრაფმავალი სპორტული მანქანების შექმნის უდიდესი გამოცდილება აქვთ.

როგორც მოსალოდნელია, ახალი კუპეს კაპოტქვეშ 6,2 ლ მოცულობის

V12 ტიპის ძრავა იქნება მოთავსებული, რომლის სიმძლავრე 500-დან 600 ცხ.ძ-მდე იქნება. რაც შეეხება ფასს — სპეციალისტთა ვარაუდით, 150-დან 180 ათასამდე ევრო ეღირება. ■

დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე — იაკობ გოგებაშვილი თავისი 1912 წლის 2 მაისის ანდერძში წერს: „100 მანეთი უნდა მიეცეს ჩემი წიგნების უკეთილსინდისიერეს ამწყობს — ლადო მახვილაძეს, ჩემს ნათესავს“ („სკოლა ცხოვრება“, №10, 1990 წ.).

ვინ იყო ლადო მახვილაძე და რატომ მოიხსენია იგი იაკობმა თავის ანდერძში? მისივე მოგონებები, 1955 წელს მისმა შვილიშვილმა, ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტმა ნოდარ მახვილაძემ ჩაინერა და თავის კომენტარებთან ერთად „გზაში“ გამოსაქვეყნებლად შემოგვთავაზა.

იაკობ გოგებაშვილის წიგნების „უკეთილსინდისიერესი ამწყობი“

ნოდარ მახვილაძე

ლადო (ვლადიმერ) ზაალის ძე მახვილაძე დაიბადა 1889 წელს, გორის რაიონის სოფელ შინდისში (ახნაურის ოჯახში).

ლადო მახვილაძეს ჰყავდა უფროსი ძმა — გიგუცა, რომელმაც ცოლად შეირთო იაკობ გოგებაშვილის დის ქალიშვილი ზენო (ზენობი). ზენობი ადრე დაობლებულა, ამიტომ მის გათხოვებასთან დაკავშირებული მთელი ხარჯები იაკობმა გაიღო.

აქვე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ლადო მახვილაძის დისშვილი — ქსენია გარსევანიშვილი, გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსის — მერაბ მამარდაშვილის დედა იყო. ის შინდისში დაიბადა და გაიზარდა.

ლადო მრავალჯერ შეხვდა იაკობს, როგორც შინდისში, ისე ვარიანში, სადაც იაკობი ცხოვრობდა (ეს ორი სოფელი ერთმანეთის მეზობლად მდებარეობს).

როგორც ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაშია აღნიშნული — „გოგებაშვილი არ იშურებდა სახსრებს სახალხო განათლებისთვის. იგი მატერიალურად ეხმარებოდა ლარიბ მოსწავლეებს, ცალკეულ საზოგადო მოღვაწეებს, პოეტებს, მწერლებს და სხვ“ (ქსე. ტ. 3).

ერთ-ერთი მათგანი აღმოჩნდა ლადო მახვილაძეც.

თვით ლადო მახვილაძის მონაყოლიდან:

„14-15 წლის ბიჭი ვიყავი, როდესაც იაკობის დისშვილი — ზენობი, ჩვენი ოჯახის რძალი გახდა. თვით იაკობიც დროდადრო მოდიოდა ჩვენს ოჯახში. მე უკვე ვიცოდი, ვინ იყო იაკობი და რა საქმიანობას ეწეოდა იგი. ამასთანავე საკმაოდ მქონდა ნაკითხული ი. ჭავჭავაძის, ა. ნერეთელის, ვ. ფშაველას, თვით იაკობის და სხვა მწერლების ნაწარმოებები. ბევრი იმ წიგნთაგანი, რომლებსაც მე ვკითხულობდი, თვით იაკობის მიერ იყო შემოთავაზებული.“

ბავშვობაში ფიზიკურად სუსტი ვიყავი. სოფლის მეურნეობის სამუშაოებს წიგნის კითხვა მერჩინა, მა-

გრამ სამუშაო მინდვრად და ვენახში არ მომკლებია.

იაკობის სტუმრობა ჩვენს ოჯახში ყოველთვის სასიამოვნო და საზეიმო განწყობას ქმნიდა. ზოგჯერ მეც ჩავდიოდი ვარიანში და ვხვდებოდი იაკობსა და მისი ოჯახის წევრებს. იქიდან კი იაკობის მიერ შერჩეული ახალი საკითხავი წიგნებით დატვირთული ვებუდებოდი, რადგანაც მან კარგად იცოდა წიგნისადმი ჩემი დამოკიდებულება. ერთ-ერთი შეხვედრის დროს იაკობმა დახმარება შემომთავაზა: თუ შენი სურვილი იქნება, ქალაქში წაგიყვან, იქ სადმე ისეთ საქმეზე მიგაბარებ, რომ წიგნის ნაკითხვაც შეძლო და რაიმე ხელობაც შეისწავლო. თურმე ამის შესახებ ჩემზე ადრე მოლაპარაკებია თავის ძმის შვილს ზენობის და ჩემს მშობლებსა და ძმას გიგუცას. მე დიდი სიხარულით დავთანხმდი.

ერთხელაც იაკობმა შემომითვალა, რომ მოვმზადებულყავი.

ეს დღეც დადგა. დილით ადრე ურმით ჩავედი გორში, იქიდან მატარებლით მცხეთაში; მცხეთიდან საგურამოში.

მატარებლით პირველად ვგზავრობდი. გზაში მრავლად იყვნენ ადამიანები, რომლებიც დიდი მოწინებით და პატივისცემით ეპყრობოდნენ იაკობ გოგებაშვილს. ეს მგზავრობა ჩემთვის იყო საოცრად ამაღლევებელი და სასიამოვნო, რადგანაც იაკობისადმი მათი ყურადღება და მოწინება გარკვეულწილად მეც მიწანილდებოდა, როგორც მის თანამგზავრს.

მცხეთაში როდესაც ჩამოვედი, იაკობს გაკვირვებული თვალებით დავუწყე ცქერა. მას არაფერი უთქვამს, მხოლოდ საგურამოსაკენ მიმავალ გზაზე მითხრა, რომ ჩვენ მივედიოდი ილია ჭავჭავაძესთან, რადგანაც ჩემს მიმართ იაკობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში მას უპირველესი დახმარების იმედი ილია ჭავჭავაძისაგან ჰქონდა.

საგურამოში მიმავალ გზაზე იაკობი მიყვებოდა ილიას შესახებ, მის



ლადო მახვილაძე და მისი მეუღლე ნინა უროგაძე-მახვილაძისა

პიროვნებაზე, მის საქმიანობაზე. აქამდის მე მხოლოდ ილიას ზოგიერთ ნაწარმოებს ვიცნობდი. ახლა კი ჩემს გონებაში სულ უფრო იზრდებოდა ილიას პიროვნება.

აი საგურამოც. მწვანე ხეებში ჩაფლული სახლი. წინ მებაღე შემოგვეგება, მოგვესალმა, შემდეგ სახლს შემოგვატარა და სახლის უკან გაგვიყვანა. იქ დავინახე კაკლის ჩრდილში, წყაროსთან მჯდარი ხანში შესული კაცი, რომელიც გაზეთს თუ წიგნს კითხულობდა. ეს იყო ილია ჭავჭავაძე.

შეგვაჩინა თუ არა, იგი წამოდგა და ჩვენსკენ გამოემართა.

იაკობი და ილია თბილად მიესალმნენ და გულითადად მოიკითხეს ერთმანეთი.

მე განზე ვიდექი და შევცქეროდი ამ ორი ადამიანის შეხვედრას, ვტკბებოდი მათი გაღიმებული სახეების ყურებით. შემდეგ ილია შემობრუნდა ჩემსკენ და ხელი ჩამომართვა. თან იაკობს შეხედა კითხვით. იაკობმა წარუდგინა ჩემი თავი, — ჩემი დის შვილის მამაა, თანაც დაუმბათა, — კარგი ახალგაზრდაა, ჩვენ მასზეც ვისაუბრებთო.

ილიამ იაკობს შესთავაზა კაკლის ხის ჩრდილში მოწყობილ მაგიდასთან მდგარ სკამებზე ჩამომსხდარიყვნენ, ნამგზავრები ხართ, აქ უფრო კარგად დისვენებთო, თან მებაღეს გადაულაპარაკა, ხილი მოართვი სტუმრებსო.

იაკობი წყაროსთან მივიდა, ხელები დაიბანა, შემდეგ სახეზე შეისხა რამდენიმე მუჭა წყალი და თითქოს გახალისებული მიუჯდა ილიას გვერდით. იაკობმა მეც შემომთავაზა იგივე პრო-

ცედურის ჩატარება, რაც დიდი სიამოვნებით შევასრულე.

დასხდნენ ილია და იაკობი. დაიწყეს საუბარი. მალე მებაღეც მობრუნდა. მაგიდაზე დაბალი დანული კალათით ხილი დადგა. მე ველარ გავბედე მათთან მისვლა. ცოტა ხანს წყაროსთან ვიჯექი. შემდეგ ბალის ბილიკებს გავყვი. თან კი მორიდებით, მაგრამ სულ მოსაუბრეებისაკენ ვიცქირებოდი და რაღაც ამაღლებული გრძნობით ვაკვირდებოდი ილიასა და იაკობის სახეებს, რომლებიც ხან გახალისებული მეჩვენებოდა, ხანაც ჩაფიქრებული და მჭმუნვარი.

მე მაშინ პატარა ბიჭი ვიყავი და შეიძლება მთლიანად ვერ აღვიქვი იმ წუთების სიდიადე, მაგრამ შემდგომ, როცა კი საგურამოს შესვედრა გამახსენდებოდა, ჩემში რაღაც უწინდესი გრძნობები აიშლებოდნენ, უდიდეს სითბოსა და პატივისცემას ვგრძნობდი ამ ორი მამულიშვილისადმი.

კარგა ხანს გაგრძელდა ილიასა და იაკობის საუბარი. შემდეგ შევამჩნიე, რომ ორივენი ჩემსკენ იხედებოდნენ. მივხვდი, ჩემზე საუბრობდნენ.

იაკობმა თავისთან მიმიხმო. მე მივირბინე და შორიასლოს გაჩერდი. იაკობმა დინჯად მომმართა: ჩვენ ვისაუბრეთ შენი მომავალი საქმიანობის შესახებ; ილიას ვუთხარი წიგნებისადმი შენს სიყვარულზე. ჯერჯერობით ასე გადაწყვიტეთ — ილია მოგაწყობს შეგიგირდად სტამბაში, ასოთამწყობად. შემდეგ კი ვნახოთ, რას გააკეთებ და როგორ.

ეს წინადადება ჩემთვის ძალიან მოულოდნელი და სასიხარულო აღმოჩნდა. გამიხარდა, რომ წიგნებთან მექნებოდა საქმე. მაღლობის თქმა ძლივს მოვახერხე. ილიამ იქვე დამისვა გვერდით და რამდენიმე შეკითხვა მომცა ჩვენს ოჯახზე და ჩვენს სოფელზე. მეც მორიდებით და დაბნეულად ვპასუხობდი.

იმავე საღამოს იაკობი და მე გავმგზავრეთ თბილისისაკენ ილიას ეტლით, რომელიც მას ქალაქში უნდა გაეგზავნა მეუღლის ამოსაყვანად. თბილისში პირველად ჩამოვედი. მე განცვიფრებული ვათვალიერებდი მის ქუჩებსა და შენობებს.

მეორე დღით იაკობი და მე სტამბაში გამოვცხადდით, სადაც დიდი პატივით დახვდნენ იაკობს. რამდენიმე კაცმა იაკობთან მოიყარა თავი. ისაუბრეს. შემდეგ იაკობმა მოახსენა ილიას დანაბარები. მეორე დღიდანვე მე შევეუდექი ჩემს საქმეს — ვსწავლობდი ასოთამწყობას.

მალე და საკმაოდ კარგად დავეუფლე ასოთამწყობის პროფესიას. იმდენად კარგად, რომ ჩემზე ადრე მისულ ბევრ მუშას ვჯობდი სისწრაფესა და

უშეცდომო აწყობაში. ამიტომ ხშირად ვიმსახურებდი შექებას. იაკობმა რამდენჯერმე მომაკითხა.

ერთხელ, როდესაც იაკობი კვლავ ჩამოვიდა ქალაქში, სტამბაში შემოიარა და სხვა საქმეებთან ერთად ჩემი საქმიანობის შესახებაც იკითხა.

იაკობთან გამომიძახეს. მის გარშემო სტამბის ხელმძღვანელობა შეკრებილიყო. იაკობმა მომიკითხა, როგორ ვმუშაობ, კმაყოფილი ვარ თუ არა, ხომ არაფერი მიჭირს. შემდეგ მითხრა, რომ სტამბის მუშაკები და ხელმძღვანელობა დიდად კმაყოფილი არიან შენი მუყაითი მუშაობით, მონდომებითა და წიგნის დიდი სიყვარულით, კარგია, რომ ჩემი ნდობა ასე გაამართლეო. ჩემი მუშაობის ქებით ნასიამოვნებმა იაკობმა თავისი ყურადღება ჩემდამი იმითაც გამოხატა, რომ ჯიბიდან ამოიღო თავისი საათი და საჩუქრად მე გადმომცა. ეს ჩემთვის იმდენად მოულოდნელი იყო, რომ მე უარიც კი ვკადრე საჩუქრის მიღებაზე. მან ოდნავ გალიმებული სახით მითხრა: აილე, ეს შენი დღევანდელი და მომავალი კარგი საქმიანობის საჩუქარი იყოსო.

ეს საჩუქარი ჩემთვის იქცა ძვირფას რელიქვიად.

სტამბაში მუშაობის პერიოდში შევხვედრივარ მრავალ გამორჩეულ ადამიანს, რომლებმაც ჩემზე, ჩემს პიროვნებაზე და ჩემს მომავალ ცხოვრებაზე უაღრესად დიდი გავლენა მოახდინეს.

თბილისში ვცხოვრობდი ერთ პატარა ბინაში, სადაც თანდათანობით, გულდაგულ ვაგროვებდი ახლად ან ადრე გამოცემულ წიგნებს და ჟურნალებს. მე ვამაყობდი ჩემი მცირე ბიბლიოთეკით, რადგანაც იქ იყო თვით იაკობის, აკაკის,

წინდი. იაკობმა არც ამ ბედნიერ დღეს დამტოვა უყურადღებოდ. იგი იმ დროს შეუძლოდ იყო, ქორწილს ვერ დაესწრო, მაგრამ საჩუქრად გამომიგზავნა ლურჯი ფერის მაგიდის გადასაფარებელი და მშვენიერი ფარდაგი, რომლებიც მრავალ ათეულ წელს ამშვენებდნენ ჩემს ოჯახს.

იაკობთან ჩემი ურთიერთობა და ჩემდამი თვით იაკობის საკმაო ყურადღება კეთილად, სასიამოვნო მოსაგონრად მაქვს ყოველთვის და მეც ვცდილობდი, რომ ამ ყურადღების ღირსეული ობიექტი ვყოფილიყავი.

ის ფაქტი, რომ იაკობმა თავის ანდერძში მეც მომიხსენია, ჩემთვის იყო და არის უდიდესი პატივი და დაფასება.

დაქორწინების შემდეგ ერთხანს გორში, სტამბაში ვმუშაობდი. შემეძინა ხუთი შვილი. ქალაქად ცხოვრება გამიჭირდა. მშობლებიც მოხუცდნენ და საფლად მეურნეობის გაძლოლა უჭირდათ. ამიტომ სოფლიდან დახმარებაც მომაკლდა. ამასთანავე ზენობი ადრე გარდაიცვალა და ჩემი ძმა მარტო დარჩა თავის ქალიშვილთან ერთად. ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ მე თავი დავანებე სტამბაში მუშაობას და დაუბრუნდი ჩემს მამულს სოფელ შინდისში. ხელი მოვკიდე სოფლის მეურნეობას“.

სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე (22/ V, 1957 წ.), ლადო მახვილაძე მშობლიურ სოფელში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. ლადო იყო თავის სოფელში ერთ-ერთი ყველაზე განათლებული და პატივისცემი კაცი. იგი სისტემატურად ეხმარებოდა თანასოფლელებს მეურნეობის გაძლოლაში და ცდილობდა, ხელი შეეწყო მათთვის კულტურისა და განათლების ამაღლებაში. იგი უანგარო დახმარებას უწევდა დაქვრივებულ ოჯახებსა და ობოლ ბავშვებს.

მას დიდ პატივს სცემდნენ თანასოფლელები იმ თანადგომისათვის, რომელსაც იგი იჩენდა ლხინსა თუ ჭირში. ამ პატივისცემის გამომხატველია თუნდაც ის, რომ მას თანასოფლელები ეძახდნენ „ნათლია ლადოს“ და დღესაც ასე იხსენიებენ.

ლადო მახვილაძის მრავალრიცხოვანი შვილიშვილი და შვილთაშვილი დღესაც ცხოვრობს სოფ. შინდისში, ასევე — თბილისში, რუსთავეში, ქარელში, სოფ. ფხვენისში. ისინი ამაყობენ, რომ დიდი მამულიშვილის — ლადო მახვილაძის შთამომავლები არიან.

...ლადო მახვილაძისადმი იაკობ გოგებაშვილის ნაჩუქარი ჯიბის საათი, როგორც უძვირფასესი საოჯახო რელიკვია, ამჟამად ჩემს ოჯახში ინახება.



იაკობმა თავისი ყურადღება ჩემდამი იმითაც გამოხატა, რომ ჯიბიდან ამოიღო თავისი საათი და საჩუქრად მე გადმომცა

ვაჟას და სხვების ავტოგრაფიც. ნაჩუქარი, ჩემის ხელით აწყობილი მრავალი წიგნი. ერთხელაც, საუბედუროდ, მეზობლის სახლში გაჩენილმა ხანძარმა შთანთქა ჩემი ძვირფასი ბიბლიოთეკაც. რამდენიმე წლის მერე კი დავექორ-

რაგონად კომუნიკაბელური ადამიანი ბრძანდებით?

ყველასათვის ცნობილია, რომ გულდია ხასიათი ადამიანს სხვებთან ურთიერთობას უიოლებს, ეს კი, როგორც კარიერაში, ისე ყოველდღიურ ცხოვრებაში წარმატების საწინდარია. უპასუხეთ ტესტის შეკითხვებს და შეიტყვეთ, რამდენად კომუნიკაბელური ადამიანი ბრძანდებით.

1. როდესაც თქვენთვის არცთუ ისე კარგად ნაცნობ ადამიანებთან ერთად ერთ სუფრაზე ხვდებით, თქვენ...

ა) ინიციატივას საკუთარ ხელში იღებთ და თანამეინახეთ საინტერესო სასაუბრო თემას სთავაზობთ — 1;

ბ) სუფრის ერთ-ერთი წევრის მიერ წამოწყებულ საუბარს აქტიურად უბამთ მხარს და ახალ თემებსაც სთავაზობთ თანამეინახეთ — 2;

გ) უმეტესად, მსმენელის როლში ხართ და საუბარში ჩაბმას დუმილს ამჯობინებთ — 3.

2. გზიბლავთ თუ არა უცნობ ადამიანებთან კონტაქტის დამყარება?

ა) ახალი კონტაქტის დამყარების არც ერთ შანსს არ უშვებთ ხელიდან — 1;

ბ) ჭეშმარიტებად მიგაჩნიათ ის გამოთქმა, რომელიც დადავებ: ძველი მეგობარი ორ ახალ მეგობარს სჯობს! — 3;

გ) თუკი ეს საქმეს სჭირდება, არც ახალ ნაცნობობაზე ამბობთ უარს — 2.

3. თუკი მოულოდნელად მოხდება ისე, რომ სრულიად მოუშვადებლად აუდიტორიის წინაშე მოგიწევთ გამოსვლა, უფრო მეტად სავარაუდოა, რომ...

ა) დაიბნევით და სიტყვასაც

ვერ დაძრავთ — 3;

ბ) გამალებით დაიწყებთ იმაზე ფიქრს, თუ როგორ გამოხვიდეთ მდგომარეობიდან და რა თქვით — 2;

გ) დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ ის, რომ რაღაც კონკრეტულ საკითხზე თქვენი ნაზრვევის სხვებისთვის გაზიარე-



ბის საშუალება მოგეცათ — 1.

4. გაქვთ თუ არა იმის უნარი, რომ კონფლიქტისა და რაღაც მანუშულაციების გარეშე გადაარწმუნოთ თანამოსაუბრე?

ა) საეჭვოა, რომ შეძლოთ — 2;

ბ) თუკი რამეში ბოლომდე დარწმუნებული ხართ, ვინმეს დასარწმუნებლად საჭირო სიტყვების მოძებნა ნამდვილად არ გაგიჭირდებათ — 1;

გ) რა საჭიროა ამოო ძალი-ისმევა? მოვა დრო და ის ადამიანი თავად დარწმუნდება თქვენს სიმართლეში — 3.

5. რაიმე თავშესაქცევი ამბებისა და ანეკდოტების მოყოლა თუ შეგიძლიათ?

ა) რა საჭიროა ასეთი სისულელებით გონების გადატვირთვა? — 3;

ბ) დიდი სიამოვნებით ისმენთ სხვის მიერ მოყოლილ თავშესაქცევ ამბებსა თუ ანეკდოტებს, მაგრამ არასოდეს იმასსოვრებთ — 2;

გ) ნებისმიერი ცხოვრებისეული სიტუაციისთვის შესაფერისი მხიარული ამბავი თუ ანეკდოტი ყოველთვის მზად გაქვთ — 1.

6. თუკი თქვენ შემოგთავაზებენ მენეჯერის ადგილს, კონკრეტულად კი — ნაწარმის გაყიდვას მოგანდობენ, რას იზამთ?

ა) შესაძლოა, რომ დათანხმდეთ — 2;

ბ) უარს იტყვით — 3;

გ) დიდი სიამოვნებით ცდით ბედს ამ ასპარეზზე — 1.


ტესტის შედეგები

6-9 ქულა: ისეთ ადამიანებს, როგორც თქვენ ხართ, როგორც წესი, „საზოგადოების სულად და გულად“ მოიხსენიებენ. თქვენ გაქვთ იმის უნარი, რომ ადამიანები კეთილად განაწყობთ თქვენ მიმართ. უმთავრესი კი, მაინც ის გახლავთ, რომ თქვენ ილუზიების სამყაროში არ ცხოვრობთ და ადამიანებს იღებთ ისეთებად, როგორებიც ისინი სინამდვილეში არიან.

10-14 ქულა: თავისუფლად და კომფორტულად თავს მხოლოდ ახლო ნაცნობ-მეგობრების წრეში გრძნობთ. თუკი მოულოდნელობები იჩენს თავს და თქვენ ამჩნევთ, რომ სიტუაციაზე კონტროლს კარგავთ, როგორც წესი, ნერვიულობთ და წონასწორობას კარგავთ. ამას იოლად გამოასწორებთ, თუკი თქვენთვის არცთუ ისე კარგად ნაცნობ ადამიანებთან სშირად იქონიებთ კონტაქტს.

15-18 ქულა: საკუთარ თავში ჩაკეტილი და გაუბედავი ადამიანი ბრძანდებით. თუკი ამის გამოსწორება გსურთ, სშირი კონტაქტი იქონიეთ ნაცნობ თუ უცნობ ადამიანებთან. ცოტა ხანში იგრძნობთ, რომ შედარებით უფრო კომუნიკაბელური გახდით. რაც უფრო სშირად ისაუბრებთ სხვადასხვა კატეგორიის ადამიანებთან, მით უფრო მალე მიხვდებით, თუ რა მშვენიერია საკუთარი სისარული, ეჭვებისა თუ აზრების, სხვებისთვის გაზიარება. მაგრამ თუკი თქვენ მიგაჩნიათ, რომ ყოველგვარი ზედმეტი კონტაქტის გარეშე ძალზე კომფორტულად გრძნობთ თავს, იცოდეთ — საკუთარ თავს ართმევთ იმის შესაძლებლობას, რომ ცხოვრებაში შეხვდეთ ისეთ ადამიანს, რომელიც თქვენს გაგებას შეძლებს.

	1	2	3			4	5		6
	7		8				9		
10	11	12				13			
14						15	16	17	
					18				19
20					21	22			
						23	24	25	26
27	28								
29		30				31			
					32	33			
					34				35
	36					37			
	38		39				40		
					41	42			
					43				
	44		45					46	



წინა ნომრის სკანოკრიის პასუხები

1. პრეფერანსი; 2. კეტი; 3. ფეტვი; 4. რენესანსი; 5. სატურნი; 6. ვიკინგი; 7. ლეიტენანტი; 8. ნაფოტი; 9. ეპატაჟი; 10. არომატი; 11. ღელე; 12. პავი; 13. სატირიკონი; 14. ნატო; 15. კანონი; 16. ნანეტი; 17. სტიქია; 18. ტუნეკა; 19. ტროლიბუსი; 20. ქუსლი; 21. ოზონი; 22. ალაო; 23. ფინჯანი; 34. რაი; 35. ზამბია; 36. ოსი; 37. ასფალტი; 38. ჯაკომო; 39. ფიცი; 40. სირიუსი; 41. ფია; 42. ირისი.

სურათზე: პოლ მაკარტნი; ჯონ ლენონი.

საფანგში გაბმული პილოტი

ავიაკომპანია Air Canada Jazz-ის თვითმფრინავის ბორტზე ძალზე უჩვეულო სიტუაცია შეიქმნა, რაც შესაძლოა, უმძიმესი შედეგებით დასრულებულიყო. თვითმფრინავის პილოტს ტუალეტის კაბინაში კარი ჩაეკეტა და კინაღამ ლაინერის მიწაზე დაშვების მომენტი გამოტოვა. ფიზიოლოგიამ თავისი გაიტანა და ავიალაინერის პილოტი იძულებული შეიქმნა, დაშვებამდე 30 წუთით ადრე შტურვალი დაეტოვებინა და ტუალეტში შესულიყო. როდესაც მიხვდა, რომ საფანგში გაეხა, პანიკაში ჩავარდა და ტუალეტის ოთახის დატოვება სცადა, მაგრამ ამოდა...



50 მგზავრი თავზარდაცემული შესცქეროდა, თუ როგორ ცდილობდა პილოტი კარის გამომტვრევას. თვითმფრინავის ეკიპაჟმა „პატიმრის“ გამოყვანა სცადა, მაგრამ ვერაფერი გააწყო და იძულებული გახდა, კარი ანჯამებიდან ჩამოეხსნა. საბრალო პილოტმა საფანგს თავი დააღწია და უკანასკნელ წუთს თვითმფრინავის აეროდრომზე უსაფრთხოდ დასმა შეძლო. ავიაკომპანიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მგზავრებს საფრთხე არ ელოდათ, ვინაიდან პილოტის თანაშემწე კაბინაში იყო და თვითმფრინავის მიწაზე დასმას უპრობლემოდ მოახერხებდა.

იაპონური ფეტიშისტების უცნაური ჯოჯოხეთი

იაპონიის ქალაქ იოკოჰამაში პოლიციამ ფეტიშისტი დააკავა, რომელიც ქალის ქვედა საცვლების ქურდობაში იყო განაფული. კანაგავას პრეფექტურის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა კაზუო მიაკე იმ დროს გამოიჭირეს, როდესაც ის საკუთარი კოლექციის ახალი ექსპონატით შეესებას ცდილობდა. როდესაც პოლიციამ გაუკუღმართებული გემოვნების კოლექციონერის სახლში ჩხრეკა ჩაატარა, ლეიბის ქვეშ 2500 ცალი სხვადასხვა ფასონის ქალის ქვედა საცვალი იპოვა. ფეტიშისტმა აღიარა, რომ საცვლების ქურდობა სიამოვნებას ანიჭებს და რომ ბოლო 10 წელი ამ კრიმინალური საქმიანობით იყო გატაცებული. აღსანიშნავია, რომ იაპონიაში ეს პირველი შემთხვევა არ არის. 2004 წელს პოლიციამ 55 წლის მამაკაცი დააკავა, რომელსაც ქალის საცვლების ქურდობაში ედებოდა ბრალი. პოლიციამ ფეტიშისტის სახლში 30 წლის განმავლობაში ნაპარავი, ქალის 4000 ქვედა საცვალი იპოვა.



იაპონური სენსაცია

სუდოკუ

ვინა ნომრის სუდოკუს პასუხები

გთავაზობთ ციფრულ თავსატეხს სუდოკუს (იაპონურად „სუ“ ნიშნავს ციფრს, „დოკუ“ — ცალკე მდგომს). სუდოკუმ უკვე მოასწრო ევროპის კროსვორდოზანების გულუბის დაპყრობა და ჩვენი ჟურნალის ფურცლებზეც გამოჩნდა. მის ამოსახსნელად ცარიელ უჯრებში უნდა ჩაწეროთ ციფრები 1-დან 9-მდე ისე, რომ არც ერთ სვეტსა და არც ერთ სტრიქონში ერთნაირი ციფრი არ გამოჩნდეს. სწორედ ამოხსნილ სუდოკუში ავრეთვე, არ მეორდება ციფრები ბლოკებში 3X3. ჩვენ გთავაზობთ მარტივ და საშუალო სუდოკუს. გისურვებთ წარმატებას!

7	8	2	5	9	3	1	4	6
3	1	9	4	8	6	7	2	5
4	5	6	7	1	2	8	9	3
9	4	7	3	6	8	2	5	1
1	3	5	2	4	7	9	6	8
2	6	8	9	5	1	3	7	4
5	2	3	1	7	4	6	8	9
6	9	1	8	2	5	4	3	7
8	7	4	6	3	9	5	1	2

6	9	5	3	4	2	8	1	7
1	8	4	7	9	5	6	2	3
7	2	3	8	6	1	4	9	5
2	3	7	9	5	4	1	8	6
8	1	6	2	3	7	5	4	9
4	5	9	1	8	6	3	7	2
3	7	8	5	1	9	2	6	4
5	6	2	4	7	8	9	3	1
9	4	1	6	2	3	7	5	8

3	5	2	8	1	6	4	9	7
8	4	6	7	9	2	5	1	3
7	9	1	3	4	5	8	2	6
5	1	8	4	7	9	6	3	2
6	2	4	1	5	3	7	8	9
9	7	3	2	6	8	1	4	5
1	6	9	5	3	4	2	7	8
4	8	5	9	2	7	3	6	1
2	3	7	6	8	1	9	5	4

* მარტივი

3	9	4	7	6	
4		8			7
6			5		3 2
7	5	6	8	1	
	3		9	2	
	8		4	5	6
3	9		7		5
	2			5	1
		6	3	4	7 2

** საშუალო

		1	2			7
5			8			9
	4			9	3	
		5		1		4 8
		3	5	2	1	
1	9			6	2	
		7	8			1
	1			4		3
8				2	9	

*** რთული

	2		1			3
6		5				2
	5					
	4		6			9
		1	9		5	
8					7	
					4	
3			8			6
7			5		1	

ფოტოკუჩიოზები





TB STARS

პიკაპი ჯიბუხი სხი ბუხამიშვილი

ბ 62/34



ლხმაღელა

ბუხამიშვილი



ინდივიდუალური გადახდის სისტემა

☎ 38-91-92 45-17-17
877-77-70-77 899-35-90-00

გურამიშვილის 78 (მაგრო "გურამიშვილთან")

ბინები 57 მ² - დან
თანამედროვე ლიფტი
სუპერმარკეტი
საბავშვო ბაღი
აუთიაჟი
სამედიცინო ცენტრი
მიწისქვეშა ავტოსადგომი
დაცვა
კაფე - ბარი
იზოლირებული,
კეთილმოწყობილი
ეზო 5000 მ²
მოპირკეთებული ქუჩა და
მიმდებარე ტერიტორია
თეთრი კარკასი